საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№2 11-17 იანვარი * ფასი 1,50 ლარი



„საერთოდ არ არის მოძალადე ტიპი“

რა იდო ვაჟა მანიას ცხოვრებაში სასწორზე და რისი გემო ვერ გაიგო მან ამერიკაში

გვ.62

გვ.51

რის მერე დასერიოზულდა და დალვინდა თამთა შედანია და რა გამოცდა ჩაუტარა მან ჩინეთში საკუთარ თავს

გვ.2

რატომ უტარებდა ნოდიკო ტატიშვილი სალომე დოლიძეს ფსიქოლოგიურ თერაპიას და გადაუხადა თუ არა მისმა მამამ ნოდიკოს დიდი ფული



გვ.6

როდიდან ამოქმედდება საგზაო ჯარიმების ქულების სისტემა და რა შემთხვევაში გემუქრებათ ქულების შემცირებით მართვის მოწმობის ჩამორთმევა



გვ.58

დარიჩინი აძლიერებს ინსულინზე რეაგირებას, უხდება სისხლძარღვთა სისტემას და აუმჯობესებს მეხსიერებასა და გუნება-განწყობას, რადგან ძალიან კარგი ანტიდეპრესანტია

როგორ მზადდება ტიბეტელი ბერების რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საციჲი და რა დაავადებებს კურნავს ის



ხალხს ჰგონია, რადგან ორჯერ გავთხოვდი და ოჯახი ორივეჯერ დამენგრა, ამიტომ ძალიან ბევრი კაცი მყავს

გვ.66

როგორ გადაიქცა თეკლა დათებაშვილი ლევან სუხიტაშვილის შვილიდან ცოლად და რამდენჯერ გადაურჩა ის ლონდონში სიკვდილს



ბერამ მაღლა ასწია ხელები და თქვა: ეს ყველაფერი არ მესმის. ჩემთვის გაუგებარია, ეს ადამიანი ასეთი სიმღერების შემდეგ აუტსაიდერებში როგორ უნდა იყოსო

გვ.3

რატომ არ ელოდა მზია ორველაშვილი საქართველოს თასზე სალომე ქაჩუას დამარცხებას და როგორ მოჰპარეს მას კონკურსის წინ კაბა



გვ.18

როგორ ამოატრიალა ერთმა დღემ ბექა ფიცხელაურის ცხოვრება და როდის გახდა ის ბერა ივანიშვილის ფავორიტი



უკვე გარდაცვლილიყო, მხოლოდ გაყინული ცრემლებიღა დავინახე მის სახეზე

გვ.15

რა ვითარებაში დაიღუპა 28 წლის სნოუბორდისტი ნუგზარ დიაკონაშვილი და რა ტრაგედიას ემსხვერპლა მისი ბიძა იმავე ასაკში

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# რატომ უტარებდა ნოდიკო ტატიშვილი სალომე დოლიძეს ფსიქოლოგიურ თერაპიას და გადაუხადა თუ არა მისმა მამამ ნოდიკოს დიდი ფული

*12 იანვარს „იმედის" ეთერში „ვოისის" ფინალი გაიმართება, რომელშიც 4 ფინალისტი მიიღებს მონაწილეობას. მათგან ერთ-ერთია ნოდიკოს გუნდის წევრი, ნიჭიერი მომღერალი **სალომე დოლიძე**. ვისაც გსურთ, სალომემ და ნოდიკომ გაიმარჯვონ, დაურეკეთ ან დაუმესიჯეთ ნომერზე: 0 903 300 359.*

**ნოდიკო ტატიშვილი**: სალომეს შემთხვევაში, ყოველთვის იყო კარგი შედეგი, რაც ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემთვის პრიორიტეტული იყო ის კონკურსანტი, რომელიც ჩემს იმედებს ამართლებდა. ათმაგად ვამაყობ ჩემი გუნდით, სადაც თორმეტივე ძალიან კარგი მომღერალი იყო, აქედან 6 – ძალიან მაგარი, ხოლო 4 – საერთოდ შოკი. არ იცი, მწვრთვნელისთვის როგორი საამაყოა ეს და, თან, საპასუხისმგებლო. საბოლოო ჯამში კი, სალომემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ფინალამდე მოსულიყო. თუმცა, ცოტა მეურჩებოდა. უცბად იტყოდა: „მე ეს ასე მინდა". ხომ უნდა აუხსნა: რატომ გინდა ასე, ასე არ ჯობია?



**სალომე: „საერთოდ არ არის მოძალადე ტიპი"**

**– და, მაინც ითანხმებდი?**

– რა თქმა უნდა, სხვა რა გზა ჰქონდა!

**სალომე დოლიძე**: ნოდიკოსთან ბრძოლას აზრი არც აქვს.

**ნოდიკო**: სალომე ფინალში არის აბსოლუტურად დამსახურებულად. გარდა იმისა, რომ ძლიერი მომღერალია, აქვს ის ჟინი, რომელიც მომღერალს, კონკურსანტს სჭირდება. ძალიან მინდა, სამშაბათ ღამეს, როცა შედეგები გამოცხადდება, სალომე იყოს გამარჯვებული.

**– რაში ეურჩებოდი ნოდიკოს?**

**სალომე**: ეს ფრაზა ხომ იცით: მე როგორც მემღერება, ისე უნდა ვიმღერო. მაგრამ, ბოლოს ყოველთვის ნოდიკო იყო მართალი, რაც მე არ მომწონდა. მეგონა, მე უკეთ ვიცოდი, რა არის ჩემთვის უკეთესი, თუმცა, საბოლოოდ აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ნოდიკომ უკეთ იცოდა.

**ნოდიკო**: როცა კონკურსში ხარ, თავიდან ცოტა შიშები გაქვს, ალიაქოთი. გგონია, რაღაც არ შეგიძლია, არ გამოგივა, ამას ვერ შეძლებ. აი, აქ იყო ურჩობა – „ამას ვერ შევძლებ". რომ ვეტყოდი: რას ჰქვია, ვერ შეძლებ, მიდი-მეთქი და მერე რომ გამოსდიოდა, იჯერებდა. რაღაც მომენტში, მე უფრო მეტს ვფიქრობდი ამათზე, ვიდრე ისინი საკუთარ თავზე.

**სალომე**: ნოდიკო არასდროს ზოგავდა თავს რეპეტიციებზე, ჩვენზე მეტს მუშაობდა. როდესაც მწვრთნელი გეუბნება, ეს გამოგივაო, ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებს და ცოტა მეშინოდა, იმედები არ გავუცრუო-მეთქი. ამის გამო ხშირად მიწევდა ჩემი კომფორტის ზონიდან გამოსვლა.

**ნოდიკო**: ახლა პროექტში რომ მოდიან კონკურსანტები, იცი, რა თვისება აქვთ? არასდროს არ უნდათ რეპეტიციაზე ბოლომდე რაღაცის გაკეთება – სცენაზე გავაკეთებთო. სცენაზე კი, არ მინდოდა, რამე სიურპრიზი დამხვედროდა. სალომესაც ჰქონდა: „აი, ხვალ რომ მოვალ"... ხვალ ისეთ რაღაცეებს გააკეთებდა, გული გამითბებოდა, მაგრამ, კულმინაციამდე რომ მივიდოდით, გაჩერდებოდა. რომ ვეკითხებოდი: „სალომე, რას აკეთებ?" – ხვალ გავაგრძელებო და ასე მოდიოდა ეთერის დროს. გენერალურ რეპეტიციაზე კი აკეთებდა ყველაფერს, მაგრამ, მანამდე მე ხომ ჩემი მემართებოდა.

**სალომე**: თუ 100 პროცენტით არ ვარ იმაში დარწმუნებული, რასაც ვაკეთებ, მაშინ, არ ვაკეთებ. ასე თავს ვიზღვევდი. თვითკრიტიკული ვარ, ლაივებს რომ ვუყურებ, აუცილებლად ვპოულობ იმას, რაც არ მომწონს და მერე ძალიან მეშლება ნერვები, საკუთარ თავს ვერ ვპატიობ.

**– ნოდიკოს არ ანებივრებდით – მოდი, ყავა მოვუდუღოთ, დაღლილიაო?**

– როგორ არა. „ყავა მოვუდუღოთ, გაციებულია და ჩაი დავალევინოთ" – სულ იყო.

**ნოდიკო**: ჩემი გუნდი რომ შევკარი, მათთან საუბარი დავიწყე საერთო საუბრებით: რა პროექტში მოვიდნენ, რა უნდა გაგვეკეთებინა. ცოტა ფსიქოლოგიური თერაპიაც უნდა ჩაუტარო, თან, მე მაქვს კონკურსების გამოცდილება და, ვიცოდი, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა.

**– რამდენად კომფორტულია ნოდიკო მუშაობის დროს?**

**სალომე**: ყველაფერი, რაც კომფორტში მოიაზრება, ამ ადამიანს აქვს და ამით გვიმარტივებდა კონკურსში ყოფნას.

**ნოდიკო**: ზოგადად, სანამ ლაივი დაიწყებოდა, ტრაგიზმში ვიყავი, მერე საკუთარ თავს ვეუბნებოდი – გაიღიმე-მეთქი. ყველა ტური მძიმე იყო, მაგრამ ოთხეულიდან არჩევნის გაკეთება განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემთვის. ეს იყო შემთხვევა, როდესაც გულისთქმას გავყევი.

**– სოციალურ ქსელში წერდნენ, სალომეს მამამ ნოდიკოს ფული გადაუხადაო. რამდენი გადაგიხადა?**

– სერიოზული თანხა გადამიხადა. ყველას თავისი გულშემატკივარი ჰყავდა და ვიღაც აუცილებლად იტყოდა, ნოდიკომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღოო. შესაბამისად, ასეთ რაღაცეებზე არ ვბრაზდებოდი. ოთხი თვეა, „ვოისით" ვცხოვრობ, ბევრ შემოთავაზებაზე ვთქვი უარი, გასტროლებზეც, რადგან, სულ მეშინოდა – 4 დღე რომ გავაცდინო, ჩემს ბავშვებს რამე დააკლდებათ-მეთქი. ცოტა აგონიაში რომ ხარ, გინდა, ყველაფერი კარგად გააკეთო, თან, ამდენი ადამიანის ბედი გაბარია.

**– როგორ მოახერხე შენს გუნდში სალომეს წაყვანა?**

– გულწრფელად ვისზეც გავგიჟდი და გადავირიე, წამოვიყვანე კიდეც ჩემთან. სალომეზე მე და ქეთამ ვიბრძოლეთ. ქეთამ მითხრა, ახლა ეს რომ შენთან წამოვიდეს, მოგკლავო. დაძაბულები ვისხედით და, უცებ სალომემ ისეთი წინადადება თქვა, რომ მე და ქეთა საერთოდ აგვრია. ცოტა ხანს გველადავა, ჯერ დაგვძაბა, გვაჩხუბა და შემდეგ მე ამირჩია.

**– გოგონების გადაბირება და შენს გუნდში წაყვანა შეგძლებია. იმედია, იყენებ ამ ხერხს ცხოვრებაში საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას.**

– რა თქმა უნდა, ვიყენებ.

**– სწორედ „ვოისის" პერიოდში გავრცელდა შენი ინტერვიუდან ამონარიდი, რის გამოც სოციალურ ქსელში ყველა გაკრიტიკებდა. სალომე, არის ნოდიკო მოძალადე ტიპი, მტვერს ხომ არ გაწმენდინებდათ რეპეტიციებზე?**

**სალომე**: საერთოდ არ არის ნოდიკო მოძალადე. თან, მე და ბაკო ისეთები ვიყავით, მისი თქმა და შეხსენება საერთოდ არ გვჭირდებოდა.

**ნოდიკო**: სალომემ და ბაკომ, პირიქით, აქეთ შემავიწროეს – საგრიმიორო წამართვეს. ოთახში, რომელსაც „ნოდიკო" ეწერა, ესენი იყვნენ და, რომ ვეტყოდი: შეიძლება, შემოვიდე-მეთქი? მოიცადე, ვიცვლით, არ შემოხვიდეო. – აქეთ ძალადობდნენ ჩემზე. საქართველოში ადამიანების გარკვეული სეგმენტი ბედნიერია იმით, რომ ვიღაც გალანძღოს და, ამაზე როგორ შეიძლება, ნერვები მოიშალო? ეთიკური ზღვარი ისეთი წვრილი ძაფია, იმას თუ გადააბიჯებ, თავს კარგავ, მე კი არ მინდა, თავი დავკარგო.

**– თან, ასეთ ლამაზ გოგონასთან დაგაწყვილეს – ჯანეტს ვგულისხმობ.**

– ისედაც ხომ ვგიჟდებოდი და ცოტა ხნის წინ გადაღებაზე ვიყავით ერთად. რომ შემოვიდა საგრიმიოროში, ენა ჩამივარდა – ულამაზესია, ნაკლი არ აქვს. ჯანეტიც ჯანსაღად უდგება ამ საკითხს. ილაპარაკონ, ამით ჯანეტს რა აკლდება, ან მე რა დამაკლდა, თუკი ვიღაცამ ჩემს ნალაპარაკევს არასწორი ინტერპრეტაცია მისცა?! გული იმაზე მწყდება, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც გიჟდებიან, როცა ვიღაცაზე ცუდს ლაპარაკობენ. ზუსტად მიხვდნენ, მე რაც მეწერა, მაგრამ, იმისთვის, რომ ელაპარაკათ, ისეთ კონტექსტში გაიგეს, როგორც თავად უნდოდათ.

**– რომ მოიგებთ პროექტს, როგორ აპირებთ ბინის გაყოფას?**

**სალომე**: ერთ ოთახს გამოვუყოფ ნოდიკოს და დავაწერ: „ეს არის ჩემი მწვრთნელის ოთახი."

**ნოდიკო**: მე ჩემი გასაღები მექნება. სალომე, შეზღუდვებს ხომ არ დამიწესებ?

**სალომე**: ვიფიქრებ ამაზე. მე ხომ მიწესებდი შეზღუდვებს: „ადრე დაიძინე, დაისვენე"...

**– რად გინდა სალომეს ბინაში ერთი ოთახი?**

**ნოდიკო**: უბრალოდ, სახსოვრად „ვოისისგან". რომ დავიღლები, ავიდე და დავიძინო. ყველაზე მეტად მინდა, სალომე ბინას რომ მოიგებს, ერთად ავიდეთ, ერთად გავაღოთ, შევიდეს სალომე და მერე მე შევყვე.

**ნათია უტიაშვილი**

**დეკემბერში სამეჯლისო ცეკვებში „საქართველოს თასი 2015-ის" ფინალი გაიმართა, სადაც მონაწილეობა წამყვანმა ქართველმა მოცეკვავეებმა მიიღეს. კონკურსში მზია ორველაშვილისა და ედგარას ბრაზასის წყვილმა გაიმარჯვა. მეორე ადგილი სალომე ჭაჭუამ და მაქს რიჟიკოვმა დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილი ჯულიანა ბარგნარისა და ოთო ფოლადაშვილის წყვილს ხვდა წილად.**

# რატომ არ ელოდა მზია ორველაშვილი საქართველოს თასზე სალომე ჭაჭუას დამარცხებას და როგორ მოპპარეს მას კონკურსის წინ კაბა

**მზია ორველაშვილი:** საქართველოს თასი 20 დეკემბერს ჩატარდა. მე და ედგარასმა გავიმარჯვეთ და ძალიან გახარებულები ვართ. ჩვენთვის ასეთი დიდი კონკურსი საქართველოში მეორე იყო. მანამდე ბათუმში გვქონდა ღია რეიტინგული ჩემპიონატი. მასში მონაწილეობას 16 ქვეყანა იღებდა. ძალიან ბევრი წყვილი იყო და მათ შორის ჩვენ მეცხრე ადგილი გვერგო, რითაც ძალიან კმაყოფილები ვიყავით. გარდა ამისა, საქართველოს თასამდე მილანსა და ვილნიუსში ვიცეკვეთ და ისეთი შედეგები ვაჩვენეთ, როგორიც ქართველ წყვილებს არასდროს ჰქონიათ. ვილნიუსში ხუთვარსკვლავიან წყვილს მოვუგეთ. ვარსკვლავი იმ წყვილს ენიჭება, რომელიც მსოფლიოს 50 საუკეთესოს შორისაა. ძალიან ბევრს ისეთს მოვუგეთ, რომლებიც ას საუკეთესოთა შორისაა. მალე უკვე ჩვენც შევალთ ას საუკეთესო წყვილში. ამ ყველაფრის შემდეგ აქ ჩამოვედით და თასი მოვიგეთ. მოკლედ, ძალიან გახარებულები ვართ *(იცინის).*

**– მეორე ადგილი სალომე ჭაჭუამ და მაქს რიჟიკოვმა მოიპოვეს, მესამე კი, ჯულიანა ბარგნარისა და ოთო ფოლადაშვილის წყვილს ერგო. როგორ შეხვდნენ ისინი დამარცხებას?**

– არ ყოფილა შეგრძნება, რომ ვილაცამ ეს ცუდად მიიღო. ჩვენ სპორტსმენები ვართ და ხან პირველები ვიქნებით და ხან მეორეები. დამარცხებას ჩვეულებრივად შეხვდნენ. არ მინდა, ვინმეზე რამე ვთქვა. ჩვეულებრივად მომილოცეს, ყველაფერი ცივილიზებულად მოხდა. შეიძლება, ამის თავი არ ჰქონდათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემთვის არ უგრძნობინებიათ. ალბათ, რაღაც რეაქციებიც იყო, მაგრამ პირადად მე, არ მინახავს. რაც შეეხება ჯულიანას, მე ის ყოველთვის კარგად მილოცავს, რადგან ჩვენ მეგობრები ვართ და ერთმანეთის წარმატება ყოველთვის გვიხარია. ამჯერადაც ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მეორე ადგილზე სალომე და მაქსი გავიდნენ. რომ გითხრათ, მე და სალომე ერთმანეთს აჟიოტაჟით ვხვდებით და ძალიან ვმეგობრობთ-მეთქი, არ იქნება მართალი. არც იმას ვამბობ, რომ ვჩხუბობთ, თუმცა, ისეთი მეგობრული ურთიერთობა არ გვაქვს, რომ ერთად დავსხდეთ, ვიმხიარულოთ, გავერთოთ და ასე შემდეგ. წარმატებას ღირსეულად ვულოცავთ და ჩვენი ურთიერთობა სულ ამით შემოიფარგლება. თუმცა, მაქსს მინსკიდან ვიცნობ. ჩვენ უკვე შვიდი წელია, ვმეგობრობთ.

**– კონკურენცია მეგობრობაზე უარყოფითად ხომ არ აისახა?**

– ჩემს და მაქსს შორის, არა. რა თქმა უნდა, არ ვიტყვი, რომ, როცა პარკეტზე გამოვდივართ, კონკურენტები არ ვართ და არ გვინდა, ერთმანეთს მოვუგოთ-მეთქი. მაშინ მეგობრობას და ყველა დანარჩენს ვივიწყებთ და ერთმანეთს ვეჯიბრებით. არ ვიტყვი, რომ იქ ჩემი მეტოქე არაა, მაგრამ ამან მეგობრობაში ხელი შეგვიშალა-მეთქი, ასეც არაა. მე და მაქსი ყოველთვის კარგად ვიქნებით ერთმანეთთან და ვიმეგობრებთ. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, ბევრ შურიან ადამიანს ეს არ მოსწონს.

**– შენთვის როდესმე კონკურენტს პრობლემა შეუქმნია, რაიმე ინტრიგის მსხვერპლი თუ გამხდარხარ?**

– კი. მაშინ დამწყებებში ვცეკვავდი და გამოსვლის წინ კაბა მომპარეს. თუმცა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რადგან კონკურსზე ყოველთვის მაქვს სათადარიგო კოსტიუმი. არავინ იცის, როდის რა მოხდება. სხვათა შორის, დღემდე არ ვიცი, ვინ მომპარა. ასეთ რამეებს არც ვეძიებ.



**ხალხს ჰგონია, რადგან ორჯერ გავთხოვდი და ოჯახი ორივეჯერ დამენგრა, ამიტომ ძალიან ბევრი კაცი მყავს**

**– თქვი, არ ელოდი საქართველოს თასის მოგებასო. რატომ?**

– გამარჯვებას არ ველოდი, იმიტომ რომ, მაქსისა და სალომეს წყვილი ძალიან კარგია. ამას ყოველთვის ვაღიარებ. ბევრს ჰგონია, რომ მათთან ძალიან ცუდი დამოკიდებულება მაქვს, თუმცა ასე არაა. მე ჩემს მეტოქეებს ვაღიარებ. არ მიყვარს, როცა ადამიანს თავის პლუსებს უკარგავენ. ამ კონკურსზეც მეგონა, რომ ერთმანეთს შევეჭიდებოდით და ასეც მოხდა – ან ის იქნებოდა პირველი ან მე – რა თქმა უნდა, გამიხარდებოდა, თუ მე ვიქნებოდი. ამ ტიტულის მოპოვება ყველას უნდა, თუმცა რეალურად, არ ველოდი. იყო შანსი, რომ მათ მოეგოთ, რადგან სალომე ვიზუალურად ყოველთვის ლამაზად გამოიყურება, კარგად იცვამს, კარგად ცეკვავს, ასევე მაქსიც და ამ ყველაფერს მათ ნამდვილად ვერ დავუკარგავ. მე მიყვარს ჩემი მეტოქეები.

**– მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არაა, რაც შენი და ედგარასის წყვილი შედგა, უკვე დიდ წარმატებებს მიაღწიეთ. ჭორებს თუ დავუჯერებთ, თქვენი ურთიერთობა მეგობრობასაც გასცდა.**

– ჩვენ, საერთო ჯამში, შვიდი თვეა, ერთად ვცეკვავთ. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, მე და ედგარასი, რეალურად, ძალიან კარგი მეგობრები ვართ *(იცინის).* ხალხს ჰგონია, რადგან ორჯერ გავთხოვდი და ოჯახი ორივეჯერ დამენგრა, ამიტომ, ძალიან ბევრი კაცი მყავს. ყველამ კარგად იცის, როცა ადამიანი ოდნავ მაინც ცნობილი ხარ, ყოველთვის ცდილობენ, რაღაც ჭორები გაგივრცელონ. ედგარასი, თან, ჩემზე პატარაა. ყველაფერი ღმერთის ნებაა და არაფერს ვიტყვი. შეიძლება, ერთ დღეს შემხვდეს ადამიანი და მეორე დღეს, ღმერთის ნებით, შემიყვარდეს. მაგრამ, მინდა, ხალხს ვუთხრა, ჩემზე ჭორაობას თავი დაანებონ, ამის მიუხედავად, ეს ჭორები მე უფრო მაძლიერებს *(იცინის).* ჩვენ, სინამდვილეში, ძალიან კარგი მეგობრები და ძალიან კარგი წყვილი ვართ. ისეთი მეწყვილე შემხვდა, რომელსაც ყველანაირ საიდუმლოს ვეუბნები. ერთმანეთზე აბსოლუტურად ყველაფერი ვიცით. ოცდაოთხი საათი ერთად ვართ. ვილნიუსში ის მიქმნის კომფორტს, აქ – მე. ხალხმა შეიძლება, ბევრი რამ ილაპარაკოს, მაგრამ რეალობა ასეთია. ბევრი რამ მსმენია ჩემზე. ისიც გავიგე, რომ ვითომ ქმარმა გამომაგდო. ორჯერ ვიყავი გათხოვილი და არცერთ ქმარს არ გამოვუგდივარ, ორივესთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ალბათ, ღმერთმა ასე ინება, ცხოვრებაში არ გამიმართლა და ოჯახი ორჯერ დამენგრა. თუ პირველად მიზეზები იყო, მეორედ, საერთოდ, არაფერი ყოფილა. გაუგებარი რაღაც მოხდა, მაგრამ ამ თემაზე საუბარი აღარ მინდა. კიდევ ბევრი რამ უთქვამთ ჩემზე. რამდენჯერმე ჩემს მშობლებს დაურეკეს, შენი შვილი სადღაც გულაობსო, არადა, მაგ დროს ზუსტად მშობლებთან ერთად ვიყავი.

**– ახლა რა ხდება შენს ცხოვრებაში?**

– წინა ურთიერთობებიდან იმდენად გულდაწყვეტილი დავრჩი, ჯერჯერობით გული არ მიმიწევს, რომ რამეზე ვიფიქრო. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, გულის სიღრმეში მინდა, გვერდით მეორე ნახევარი მყავდეს. ახლა მთავარია, ჩემს კარიერას მივხედო და ბოლომდე მივიყვანო ის, რაც დავიწყე.

**– შვილიც წარმატებულად მოღვაწეობს შენს სფეროში. მას რა მიღწევები და გეგმები აქვს?**

– დეკემბერი ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იყო, რადგან ჩემი შვილიც, ჩემთან ერთად გახდა საქართველოს თასის მფლობელი, ოღონდ პატარების ჯგუფში. ახლა კავკასიის თასისთვის ვემზადებით. მინდა, მან ჩემზე მეტს მიაღწიოს. ამისთვის ყველანაირი მონაცემი აქვს და მეც ყველანაირად შევუწყობ ხელს. მითხრა: დედიკო, მე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები და იმედია, ასეც იქნება. ცოტა ზარმაცობს, მაგრამ დედა მკაცრია. ბავშვებს ცოტა არ იყოს ჩემი ეშინიათ *(იცინის).*

**– 2016 წელს შენ რა გეგმები გაქვს?**

– 2016 წლის ყოველ შაბათ-კვირას კონკურსები მაქვს. მინდა, ჩემი სტუდიის ფილიალი გავხსნათ სადმე ცენტრში და კიდევ, 50 საუკეთესო წყვილს შორის უნდა მოვხვდე.

**ქეთი კაპანაძე**

# უსურსათოდ დარჩენილები

## ანუ ჰაერით ნაკვებნი

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ძალა აღმართს ხნავს** და ისეთი ფარცაკი რამაა, **თვით ამ ჩვენი ოკუპანტის აღმა მოხვნაც კი შესძლებია**, რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება სავაჭრო ომში გადაიზარდა. და, რაკი გადაიზარდა, **2016-დან თურქული პროდუქცია ევროპულისა და ამერიკულის ბედს გაიზიარებს**, ანუ **აღმოჩენისთანავე** – საზღვარსა თუ მაღაზიებში – **მას**, არც მეტი, არც ნაკლები, **გაანადგურებენ**.




კერძოდ, **2016 წლის პირველი იანვრიდან რუსეთის ტერიტორიაზე აკრძალულია თურქული საკვების შეტანა** – ხილის, ბოსტნეულის, ქათმის ხორცის, ყვავილების, მარილის... ამას გარდა, **სავიზო შეზღუდვები დაწესდა თურქეთის მოქალაქეებისთვის,** თუმცა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ირწმუნება, რომ თავად **არ აპირებენ რფ-სთან სავიზო რეჟიმის დაწესებას.**

ამასობაში კი **თურქეთი ემზადება, მიმართოს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს რფ-ის მიერ დაწესებული სანქციების კანონიერების დასადგენად**. მით უფრო, რომ **რფ-ის ტერიტორიაზე უკვე 2015-შივე აიკრძალა თურქული კომპანიების მუშაობა**, ასევე, **იმ კომპანიებისა, რომლებსაც თურქები ხელმღვანელობდნენ.**

თუ გავიხსენებთ, რომ **ნავთობის ფასი ეცემა**, რფ-**ის ბიუჯეტი** კი ბარელი **ნავთობის 50 დოლარიან ღირებულებაზეა გათვლილი,** მათ კი სანქციები აქვთ დაწესებული ევროპულ, ამერიკულ და ახლა უკვე თურქულ საკვებზე, პირადად მე ის უფრო მადარდებს, რომ რფ-ის მოქალაქეები „დამპალი კაპიტალისტების" ეშხით, სულაც, **ჰაერით კვებაზე არ გადავიდნენ**?! –

# დიპლომატიური კანონდაუმორჩილებლობა

## ანუ მე რომ იმუნიტეტი მიცავსო?!

მაშინ, როდესაც **სიხარულის ზარებს ვარისხებთ, ევროკავშირში უვიზო მიმოსვლას გამოვკარით ხელიო**, ნორვეგიულმა მედიამ **სევდიანად შეგვახსენა, რომ ქართველი დიპლომატები პარკინგის დავალიანებით ოსლოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის ლიდერობენ!**

სულ **ცხელ-ცხელი**, ანუ თვით 2016 წლის 5 იანვრის **მონაცემებით, საქართველოს საელჩოს ნორვეგიაში პარკინგის ჯარიმით 101 850 კრონის (27 500 ლარის) ოდენობის დავალიანება დაჰგროვებია.** –

ჰოდა, **რაკი დაუგროვებიათ, მევალეთა სიის თავში მოქცეულან.** აი, **მეორე, არანაკლებ საპატიო ადგილს,** თურმე, **მაროკოს საელჩო იკავებს** – 30 150 კრონით, **მესამეს – ვიეტნამისა** (25 600 კრონით), **მეოთხეზე კი,** 22 800 კრონით, **ერაყელ დიპლომატებს დაუვანებიათ**.

და თუმცა **ოსლოს ხელისუფალნი ცდილობენ, მოაწესრიგონ პარკირება**, რაკი **დიპლომატებს დიპლომატიური იმუნიტეტი იცავთ, პრობლემის მოგვარებას ვერ ახერხებენ.**

ამ საკითხზე **ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს**, ოღონდ, **თუ ამ ფაქტით ვიმსჯელებთ** (არაკანონმორჩილება იქით იყოს, აშკარაა, რომ **ჩვენებური დიპლომატები** (განსაკუთრებით, ნორვეგიის მიმართულებით) **ფრიად მოხერხებულად იყენებენ დიპლომატიურ სტატუსს**. ამიტომ, **ისღა დაგვრჩენია**, იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთ **მოხერხებულობას საერთაშორისო მოლაპარაკებებზე გამოიყენებენ,** თუ, **რა თქმა უნდა**, მხოლოდ **ოსლოელი პოლიციელების გაცურება არ არის ჩვენებურ დიპლომატთა უნარების გამოვლინების მწვერვალი.**

# ბომბაფეთქებლები

ვიდრე **დანარჩენი მსოფლიო ისლამურ სახალიფოს ანადგურებს** და **გავლენისა და ნავთობის მოპოვების სფეროებს ინაწილებს**, **ფხენიანი აცხადებს, რომ წარმატებით გამოსცადა წყალბადის მორიგი ბომბი.**



ეს ამბავი სრულიად დედამიწას და, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ კორეას **იქაური ტელევიზიის სპეციალური გამოშვებით აუწყეს.**

მანამდე კი **ჩრდილო კორეისა და ჩინეთის სეისმოლოგიურმა სადგურებმა 4,2-5-ბალიანი მიწისძვრა დააფიქსირეს**, თუმცა სპეციალისტებმა მაშინვე **ივარაუდეს, რომ ეს ბიძგები, შესაძლოა, ხელოვნური ყოფილიყო.**

ასეც აღმოჩნდა – **აფეთქებებით ფხენიანი ერთობოდა**. ჯერ კიდევ გასული წლის დეკე-

# „სანამ შენ გეძინა"

მბერში ბრძანა კიმ ჩენ ინმა, **წყალბადის ბომბი გვაქვსო**, რომელიც ბირთვულთან ერთად (მომყავს ციტატა) **„ეფექტიანად დაიცავს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობასა და ნაციონალურ ღირსებას!"**

ცნობისთვის: **2006 წლიდან დღემდე ჩრდილოეთ კორეამ, სულ მცირე, სამჯერ გამოსცადა ატომური ბომბი.**

ხოლო, თუ გავიხსენებთ **კიმ ჩენ ინის „ოფ-ოფებს",** არც ისაა გამორიცხული, **ვიდრე ძლიერნი ამა დედამიწისანი ნავთობის ფასზე ვაჭრობენ** და გავლენის სფეროებს ინაწილებენ, **ფხენიანმა ატომური ბომბები დაგვაყაროს და დაგვტოვოს აი, ასე ფართოდ გაღიმებული** იაფ ნავთობთან ერთად. –


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტი: თინათინ მახათაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: თათია ფარესაშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# „ჩემი გმირი გიწოდე"
## ცუდად შერჩეული ადგილი

მართალია, მდიდარი პოლიტიკური ბიოგრაფია აქვს (ხალხის რჩეულიც იყო და გუბერნატორიც) და ამ პროცესში თვით უცხოეთში სწავლაც კი მოასწრო, 2012 წლიდან პოლიტიკურ სარბიელზე აქტიურად თითქმის აღარ გამოჩენილა.

არ გამოჩენილა, მაგრამ ამ საახალწლო დღეებში გამოანათა, როდესაც გაირკვა, რომ აწ მხოლოდღა „ნაციონალური მოძრაობის" წევრს დავით კირკიტაძესა და მის ძმას, ირაკლის, არც მეტი, არც ნაკლები, იარაღის მუქარით პოლიციელი უცემიათ.



ოფიციალური ინფორმაციით, ეს სამწუხარო მოვლენა შემდეგნაირად განვითარებულა: ნასვამ ძმებ კირკიტაძეებს სამართალდამცველი დაუნახავთ და გინებაც აუტეხავთ. ირაკლი კირკიტაძეს პოლიციელისთვის იარაღიც დაუმიზნებია და მოკვლითაც დამუქრებია. ამასობაში კი – რაკი იარაღით ემუქრებოდნენ – პოლიციელს ფიზიკურადაც გასწორებიან.

სავსებით ბუნებრივია, ირაკლი კირკიტაძე დაუკავებიათ, პოლიციელი საავადმყოფოში გადაუყვანიათ, გამოძიება კი სამი მუხლით აღძრულა.

ჩვენ არ ვიცით, ძმებ კირკიტაძეებს უბრალოდ ცუდი სიმთვრალე აქვთ თუ სხვა რამ გახდა ზემოაღწერილის მოტივი, თუმცა ვიცით, რომ 2004-2008 წლის მოწვევის პარლამენტის წევრობისას ხსენებულმა დავით კირკიტაძემ პარლამენტის დაცვის წევრი სცემა, თუმცა შემდეგ ბოდიში მოიხადა, რაც, საბოლოოდ, იმხანად საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის ბ-ნი კირკიტაძის გმირად გამოცხადების მოტივად იქცა.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ბ-ნ კირკიტაძეს ბოდიშის მოხდაც აქვს ჩაფიქრებული – გმირობისთვის ხელის მეორედ გამოსაკრავად.

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი სააკაშვილი აწ ოდესის გუბერნატორია, ვფიქრობ, საგმირო ასპარეზი (ანუ დანაშაულის ჩადენის ადგილი) არასწორადაა შერჩეული: გარანტირებული გმირობისთვის ოდესა აჯობებდა. –

# რჩევები – ქრისტეფორესგან
## ანუ „შერეკილები"?!

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც კოალიცია „ოცნებისა" და „თავისუფალი დემოკრატების" გზები გაიყარა. მეტიც – გაყრას ვინ ჩივის, „თავისუფალმა დემოკრატებმა" დაკავებული თანამდებობებიც დატოვეს და არც მწარე-მწარე სიტყვები დაიშურეს ყოფილი თანაგუნდელების მიმართ.



რაკი მათი პარტიული ლიდერი – ბ-ნი ალასანია – გამოამშვიდობეს თავდაცვის მინისტრის პოსტს, დანარჩენებიც მიჰყვნენ, სავარაუდოდ, პარტიული სოლიდარობის გამო, რაც სულაც არ გახლავთ ურიგო საქციელი. თუმცა გაყრილები გვიმტკიცებდნენ, რომ ქვეყნის კურსი ჩრდილოეთისკენ იხრებოდა (და სკამთა კარგვა არაფერ შუაში იყო).

მაგრამ მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო – ისეთებიც ითქვა ყოფილი პარტნიორების მისამართით, ყურიდან ყურში რომ არ შეიშვებოდა.

ასე იყო თუ სხვაგვარად, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი ბ-ნმა ზალკალიანმაც დატოვა – ცხადია, ზემოთქმული მოტივებით. ოღონდ, ახლახან გაირკვა, რომ ის პოსტს კვლავ უბრუნდება.

როგორც თავად განმარტავს: 2015 წლის თებერვლიდან პოლიტიკურ აქტივობას აღარ ეწევა, ამიტომაც ეს მისი პერსონალური და არა პარტიის გადაწყვეტილებაა. მეორე მხრივ, თვით თანაპარტიელებმაც მიულოცეს მოსალოდნელი დანიშვნა.

ხოლო, რაკი ჩინოვნიკის გული ლურსაბის ეზოსავით ბნელია (ილიას დავესესხები), ჩვენ მაინც ვერ გავიგებთ, რა მოტივებით იხელმძღვანელეს თუ ხელმძღვანელობენ მხარეები, თუმცა, თუ „შერეკილ" ქრისტეფორეს (გარიყულიდან) ვერწმუნებით: ისეთი არაფერი უნდა ვაკადროთ ერთმანეთს, რომ დავმოყვრდებით, თვალებში შეხედვისა შეგვრცხვესო.

მაგრამ, რაკი მხარეებმა ერთმანეთს უკვე აკადრეს, ოღონდ კვლავ მოყვრდებიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ საკადრებელი კიდევ ბევრია, ან, შენ გაუგებ სიყვარულს (და მათ შორის, სკამისაც)?! –

# „იდეებ რა ვუყო"?!
## ანუ წავიჭიროთ ცხვირზე თითები

ისე მოხდა, რომ ქართული ეკლესიის კრიტიკა (კრიტიკას ვამბობ, თორემ, რეალურად პირდაპირი ლანძღვის ტრადიციაა) „განვითარებულობის" სიმბოლოდ იქცა (ისიც ფაქტია, რომ, ვინც მეტად აქტიურობს ამ ფლანგზე, გრანტების სიუხვითაც ხასიათდება, რაც არ ვიცით ნებსითაა თუ უნებლიეთ) და ისიც დაგვებედა, რომ პატრიარქის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები ფრიად დიდი განსჯა-განხილვის საგანია (თითქოს ვინმე ვინმეს აიძულებდეს, გინდა თუ არა, სამაგიდო ნაშრომებად იქციეო).



ჰოდა, რაკი დაგვებედა, უფრო ზუსტად, დავიბედეთ, დიდი სჯა-ბაასიც იმართება თითოეული ეპისტოლეს გამოქვეყნების შემდეგ და საქმე თვით საეკლესიო დოგმების დაწუნებამდეც კი მიდის. –

თუმცა ისე მოხდა, რომ წლევანდელ საშობაო ეპისტოლეს ვნებათაღელვა არ გამოუწვევია (როგორც ჩანს, ჩვენმა „განვითარებულმა" და, ასევე, არასამთავრობო სექტორმა ჩათვალა, რომ საქართველოს მოქალაქეების სამოქალაქო ყურებისთვის მიუღებელი არაფერი თქმულა), მაგრამ, ამის მიუხედავადაც, ვერც ამ შობამ ჩაიარა გენიალური იდეების შობის გარეშე.

ვერ ჩაიარა, რადგან ილიას უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა ბ-ნმა თევზაძემ გონება ახლებური ხედვით „გაგვინათა". სახელდობრ, მან ბრძანა: „არ გეწყინოთ, მაგრამ დღეს (იგულისხმება 7 იანვარი) საქართველოში შობის აღნიშვნა არის ოკუპანტების მხარდაჭერა და კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ."

მე არ შევუდგები იმის გარჩევას, თუ რა კომპლექსებზე მეტყველებს ზემოთქმული, ოღონდ, ამ ლოგიკით, გამოდის, რომ ცხვირზე თითები უნდა წავიჭიროთ, რადგან ოკუპანტების არანაკლები მხარდაჭერაა მათთან საერთო ჰაერით სუნთქვა. –

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძე


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**ახალი წლის დადგომასთან ერთად, საზოგადოებისთვის კვლავ აქტუალური გახდა ავტოსაგზაო ჯარიმათა ქულებით შეფასების ახალი სისტემა, რომელზე საუბარიც წლის მიწურულს დაიწყო. ცვლილებები, რომელიც საგზაო უსაფრთხოების რეფორმის ფორმატში, მალე კანონად იქცევა, ბევრი ადამიანის ინტერესის საგნად იქცა. ჩვენ მკითხველს დეტალურად შევახსენებთ ჯარიმების ქულებით შეფასების სავარაუდო „ნუსხას". ამის შესახებ კი არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ალიანსი - უსფართხო გზებისთვის" გამგეობის თავმჯდომარეს, ეკა ლალიაშვილს გავესაუბრეთ, რომელიც კანონპროექტის მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული.**

# როდიდან ამოქმედდება საგზაო ჯარიმების ქულების სისტემა და რა შემთხვევაში გემუქრებათ ქულების შემცირებით მართვის მოწმობის ჩამორთმევა

**ეკა ლალიაშვილი:** ჯარიმათა ასქულიანი სისტემა, სავარაუდოდ, 2016 წლის გაზაფხულისთვის ამოქმედდება. ვინც კანონმორჩილია, მისთვის ეს ცვლილებები პრობლემას არ წარმოადგენს. აჟიოტაჟი და ხმაური, ალბათ, უფრო გააზრების პროცესს მოჰყვა. ასე იყო 2010 წელს, როდესაც ღვედების გამოყენება კანონით გახდა აუცილებელი. აჟიოტაჟი მაშინაც იყო, მაგრამ იცით, როგორ შეიცვალა ამის შემდეგ ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა? – 20 პროცენტით ნაკლები ადამიანი დაიღუპა, ვიდრე წინა წელს. ჯერ ჩვენ არ გვაქვს წინა წლის ზუსტი სტატისტიკა, მაგრამ დამერწმუნეთ, ამ კანონის ამოქმედება სტატისტიკას უკეთესობისკენ შეცვლის. ეს კანონი ერთნაირ პირობებში ჩააყენებს გავლენიან ადამიანებს ასევე, მძღოლს, რომელსაც ფინანსური რესურსი აქვს და ჯარიმის გადახდა არაფრად ულირს, ამიტომ ისევ არღვევს კანონს და იმ მძღოლსაც, რომელსაც უჭირს ჯარიმის გადახდა. თუმცა ეს კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ მისი ადმინისტრირება მოხდება სწორად, მკაცრად და ადამიანებს არ ექნებათ იმის განცდა, რომ ვიღაც მეტად ჯარიმდება და ვიღაცის კანონდარღვევაზე შესაბამისმა სამსახურებმა თვალი დახუჭეს. ეს უპირველესად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ ადმინისტრირებაზე იქნება დამოკიდებული.



**– როგორია საგზაო ჯარიმების ქულებით შეფასების ნუსხა?**

– პროექტის თანახმად, ყოველი კალენდარული წლის 1 იანვარს მართვის მოწმობას 100 ქულა მიენიჭება, რომელიც ძალაში იქნება იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საგზაო მოძრაობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების შემცირებას, ხოლო ქულათა რაოდენობის მთლიანად ამოწურვა – მართვის უფლების გაუქმებას (შეწყვეტას). ასეთ შემთხვევაში, მართვის უფლების ხელახალი მოპოვებისთვის მოქალაქემ შესაბამისი კატეგორიის თეორიული გამოცდა უნდა ჩააბაროს. გამოცდის ჩაბარებას ის მართვის უფლების გაუქმებიდან 2 თვის შემდეგ შეძლებს. ქულების შემცირება არ მოხდება ვიდეორეგისტრატორის და უკონტაქტო პატრულირების დროს გამოწერილი ქვითრით. დამრღვევ მძღოლს ქულები მხოლოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის შეუმცირდება. აღსანიშნავია, რომ ქულების დაკლება მოხდება საჯარიმო ქვითრის გამოწერის პარალელურად. პროექტით, ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა მიხედვით ქულათა შემცირების სისტემა ასეთია: სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა; სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის – 30 ქულა; იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის თუ სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისთვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა – 15 ქულა; ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – 10 ქულა; მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – 15 ქულა; მოპედით ან მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა – 5 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – 5 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის თუ თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა – 5 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას, – 15 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული – 15 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომელი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს – 15 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია ან მათი შუქგამტარობა შეზღუდულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის დარღვევით – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა, ხოლო მისი მესამედ და შემდეგ ყოველი მომდევნო დარღვევა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა; სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 20 ქულა; სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისთვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში – 20 ქულა; აღნიშნული სპეციალური ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენება, ან ასეთი ხელსაწყოთი აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა – 10 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი ან, რომელიც ახორციელებს ესკორტს ან, რომელსაც მიაცილებენ – 15 ქულა; სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ან პოლიციის შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 40 ქულა; სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისთვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისთვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისთვის – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 25 ქულა; მისი განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა; „B" კატეგორიის ან „$A_1$" „$B_1$" ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მათ შორის, ტაქსით) ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა – 20 ლარი; სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნო-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**



**დიანა ვარძიგულოვი**, *58 წლის. თბილისი.*

**დიაგნოზი**: *ხერხემლის სვეტის გავრცელებული ოსტეოქონდროზი, ნეკნთაშუა ნევრალგია, L5-S1 დისკოპათია.* თქვენ არ იცით, როგორი კმაყოფილი და მადლიერი ვარ, აქ რომ მოვედი, ძალიან ცუდად ვიყავი. მტკიოდა ყველაფერი – კისერი, წელი; ნეკნების გასწვრივ ტკივილი დენივით მირტყამდა, სუნთქვას მიშლიდა, ღამით სულ არ მეძინა. აქეთ-იქით დავდიოდი. ღმერთმა გაახაროს მისი ოჯახი, მანანა ექიმმა 2 დღეში თითქმის მოხსნა ეს ყველაფერი. დავდივარ, ვმუშაობ, მძინავს. ჯერ ერთი კვირაა და... გუშინ სახლი „დავაუბორკე“. მკურნალობას ვაგრძელებ. დიდი მადლობა ჩემს ექიმს.

**პავლე ჯიქია**, *78 წლის. მარტვილი.*

**დიაგნოზი**: ორმხრივი გონართროზი, მესამე ხარისხი. მუხლები დიდი ხანია, მაწუხებს – მტკივა, ზოგჯერ სივდება, სიარულს მიშლის. ხელჯოხითაც მიჭირდა ნაბიჯების გადადგმა, კიბეზე ასვლა-ჩასვლა. იმდენი ხანია, ცუდად ვარ, მორჩენის იმედი აღარ მქონდა. აქ უიმედოდ ჩამოვედი, მაგრამ მანანა ექიმმა რომ ნახა გამოკვლევები, დამპირდა, უკეთ იქნებიო. ისე აგიხდათ ყველაფერი კაი. ხელჯოხი სამ დღეში გადავაგდე და დღეს, მერვე დღეს, თუ გინდათ, ვიცეკვებ *(იცინის).*

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**გურამ გოგიბერიძე**, *46 წლის. თბილისი.*

**დიაგნოზი**: *ჰემოროიდული დაავადება მესამე-მეოთხე ხარისხი. კოლიტი.* ორი წელია, ვითმენ ამ საშინელებას – ან ახლა გამივლის, ან ახლა-მეთქი. ახალგაზრდა კაცს ვერც მიქეიფია, ვერც დამილევია... ქირურგმა ოპერაცია დანიშნა. იქიდან მაგარი შეშინებული წამოვედი. არადა, ტკივილები უკვე გაუსაძლისი იყო. ხშირი სისხლდენაც მასუსტებდა. მერე აქ მომასწავლეს მეგობრებმა. წავიღე მალამოები, ბალახეულის ნაყენები. ერთ დღეში შვება მომცა, კუჭიც მოწესრიგდა, მერე სისხლდენაც ალაგდა და პირველი კურსის მერე, თავს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ. სიტყვები არ მყოფნის, თითქოს ხელახლა დავიბადე. ბედნიერი ახალი წელი, ქალბატონო მანანა!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

ბით სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 10 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით – 20 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 40 ქულა; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა – 15 ქულა; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება – 35 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო, საქალაქთაშორისო ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას – 20 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 40 ქულა; ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, – 5 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორება ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა; მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან გზაზე მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას – 5 ქულა; სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი – 10 ქულა; გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – 10 ქულა; სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა – 5 ქულა; - მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა”, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია”) ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია”, „მოძრაობა აკრძალულია”) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისთვის დაბრკოლების შექმნა – 10 ქულა; შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორება 1 წლის განმავლობაში – 20 ქულა; შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა – 30 ქულა; ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია” და „დგომა აკრძალულია” მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა – 20 ქულა; ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა – 20 ქულა; საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 25 ქულა; ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 30 ქულა; საგზაო მოძრაობის მონაწილის (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა) მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, აგრეთვე საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა – 10 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორება ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა – 25 ქულა; ცვლილებები „საგზაო მოძრაობის შესახებ” კანონსა და მასთან ერთად, ოთხ კანონში შედის.

**დამრღვევ მძღოლს ქულები მხოლოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის შეუმცირდება**

**თამუნა ნიჟარაძე**

**თუმცა 2015 წლის მიწურულს ლამის მთელი ცივილიზებული სამყარო დაირაზმა ისლამური სახალიფოს წინააღმდეგ, 2016 წლის დადგომისთანავე კი ახლო აღმოსავლეთში სხვა დაპირისპირებული მხარეებიც გამოიკვეთნენ: ირანმა და საუდის არაბეთმა ერთმანეთს ლამის ომი გამოუცხადეს, ანუ შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირებაც გაღრმავდა. თუმცა, სანამ ამაზე და აქედან გამომდინარე საფრთხეებზე ვისაუბრებთ, იოსებ ზაალიშვილთან ერთად მიმოვიხილავთ, რას უწოდებენ მუსლიმანები მეორედ მოსვლას და რატომ მიიჩნევა, რომ მათი მეორედ მოსვლის ნიშნები გამოკვეთილია.**

# რატომ იქნება მეორედ მოსვლისას მუჰამედი შუამავალი ისლამისტებსა და ქრისტეს შორის და რატომ არის ისლამისტებისთვის სამოთხეში მოსახვედრად აუცილებელი ქრისტიანების გამუსლიმანება ან ლიკვიდაცია

**– მუსლიმანურ საღვთო წიგნებში როგორ არის აღწერილი მეორედ მოსვლის ნიშნები და ამჟამად შეინიშნება თუ არა ისინი?**

– მაგალითად, ეზეკიელ წინასწარმეტყველს აქვს აღწერილი გოგისა და მაგოგის ომი, რომელიც მიმდინარეობს იმ ტერიტორიაზე, სადაც დღესაა ომი: იგულისხმება სირიისა და ერაყის ტერიტორია. აღწერილია, რომ ჩრდილოეთის მეფეც უნდა ჩაერიოს და ასე შემდეგ. ეს ხაზი გატარებულია ყველა აბრაამულ რელიგიაში, იუდაიზმში, ქრისტიანობასა და ისლამში. თუმცა ისლამში, როგორც ყოველთვის, ყველაფერი უკუღმაა.

**– უკუღმა ანუ?**

– რატომ არ უყვართ მათ ჯვარცმა? ისინი ფიქრობენ, რომ ჯვარს აცვეს იუდა და არა – ქრისტე. ყურანის მიხედვით, როდესაც ქრისტე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, უფალს შესთხოვა, როგორ შეიძლება, შენი წინასწარმეტყველი ამ უბრალო ებრაელებმა მოკლანო და მაშინ ღმერთმა შეუცვალა სახე ქრისტესა და იუდას, იუდა აღმოჩნდა იმ ციხეში ქრისტეს სახით და სწორედ ის აცვეს ჯვარს. მათ ყველაფერი ის, რაც საერთო გვაქვს იუდეველებს და ქრისტიანებს, ფსალმუნები და წინასწარმეტყველებები, სხვანაირად აქვთ გარჩეული და ყველაფერს ხსნიან ისე, როგორც მუჰამედი ამბობს და მიიჩნევენ, რომ ებრაელებმა და, აქედან გამომდინარე, ქრისტიანებმა შეცვალეს.

ერთი სიტყვით, მეორედ მოსვლის წინ ახლო აღმოსავლეთში უნდა დაიწყოს დიდი ომი. ამ დროს, შიიტების აზრით, უნდა გამოჩნდეს იმამი, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს ამ ომში და, მათი აზრით, ეს იმამი დაბადებულია და ამიტომ ომობს ირანი და შიიტური ფლანგი.


**რატომ არ უყვართ მუსლიმანებს ჯვარცმა? ისინი ფიქრობენ, რომ ჯვარს აცვეს იუდა და არა – ქრისტე**

სუნიტები მიიჩნევენ, რომ გოგისა და მაგოგის ომი არის მეორედ მოსვლის პირდაპირი ნიშანი და რადგან მეორედ მოსვლა დაწყებულია, ყველა არამუსლიმანი უნდა გაანადგურონ, თორემ თვითონ ვერ მოხვდებიან სამოთხეში. ანუ თუ იმ ტერიტორიაზე იცხოვრებენ არამუსლიმანები არამუსლიმანური წესით, მაშინ იქაური მუსლიმანებიც ვერ მოხვდებიან სამოთხეში. ამიტომ ისინი იეზიდებსაც ხოცავენ, შიიტებსაც...

**– მაგრამ ხოცავენ მუსლიმან ქურთებსაც?**

– ქურთების ისლამი განსხვავდება მათი ისლამისგან, ისევე, როგორც ჩვენი, კავკასიური ისლამი. მაგალითად, კოპტური მართლმადიდებლობა სხვანაირია და ქართული – სხვანაირი. ისლამშიც იგივე ხდება. მაგალითად, კავკასიაში პატივს ვცემთ უფროსებს, მაგრამ ვაჰაბიტები, უფრო ზუსტად, არაბული ისლამის მიმდევრები რომ შემოვიდნენ, პირველი რაც გააკეთეს, ადგილობრივი მოლები ჩამოახრჩვეს. ჩვენთან, კავკასიაში, ისლამი ცოტა სხვანაირად განვითარდა და იგივე სიტუაციაა ქურთებთან მიმართებაშიც. ისინი არიან მუსლიმანები, მაგრამ აქვთ თავიანთი ტრადიციები: არ არის დაშვებული მრავალცოლიანობა, ცოლად არ მოჰყავთ ბიძაშვილები. ჯიჰადისტები კი ზუსტად ისე იქცევიან, როგორც იქცეოდა მუჰამედი. ისინი არიან ისლამის ევანგელისტები, ოღონდ აგრესიულები.

**– თქვით შიიტებისა და სუნიტების მეორედ მოსვლის ხედვა, ჯიჰადისტები რას მიიჩნევენ მეორედ მოსვლის მანიშნებლად?**

– ჯიჰადისტები რეალურად სუნიტები არიან. ისინი ამბობენ, რომ მუჰამედია მთავარი წინასწარმეტყველი. მაგალითად, შიიტებისთვის ალი, მუჰამედის ნათესავი, იმავე დონის წინასწარმეტყველია, როგორიც მუჰამედი. ალი მოკლეს მუჰამედის ნათესავებმა მეჩეთში, ლოცვისას. ჯიჰადისტებს შეცდომით უწოდებენ ვაჰაბიტებს, რადგან ვაჰაბიზმი არის ოფიციალური რელიგია საუდის არაბეთში და ისინი ჯიჰადს არ ცნობენ.

საერთოდ, ჯიჰადი ორი ტიპისაა: დიდი და პატარა. პატარა ჯიჰადი ეს არის, როდესაც რწმენისთვის ომობ და ავრცელებ ისლამს, დიდი ჯიჰადი კი ნიშნავს, როდესაც შენთვის ლოცულობ და შენს თავში ებრძვი ეშმაკს. ისლამში ორივე სახეობის ჯიჰადია და უფრო მისასალმებელია, როდესაც დიდ ჯიჰადს მისდევ.

**– ჩვენ, აბა, პატარა ჯიჰადის მსხვერპლი ვყოფილვართ.**

– დიახ. თუ დიდი ჯიჰადის თავი არ გაქვს, პატარა ჯიჰადს უნდა მისდიო. პატარა ჯიჰადი კი ნიშნავს, რომ არამუსლიმანი ან უნდა მოაქციო, ან უნდა მოკლა.

**– მუსლიმანური მეორედ მოსვლა რას გულისხმობს? რა ხდება ამ დროს?**

– მათი მეორედ მოსვლა იგივეა, როგორც ჩვენთანაა აღწერილი. მუჰამედი იქნება შუამავალი ქრისტესთან, რომელმაც უნდა განგსაჯოს დიდ სასამართლოზე. თუ მუჰამედი ეტყვის ქრისტეს, რომ კარგი მართლმორწმუნე, ანუ კარგი მუსლიმანიაო, მუსლიმანი ნიშნავს „მართლმორწმუნეს“, ესე იგი, ხარ კარგი, თუ ეტყვის, რომ არ ხარ, დაიწვები გიენის ცეცხლში.

**– მართლმორწმუნე კი იმ შემთხვევაში ხარ, თუ ბევრი ქრისტიანი დახოცე ან გაამუსლიმანე?**

– დიახ.

**– და ეს მიდგომა შეუთავსებელი არ არის ქრისტეს მოძღვრებასთან?**

– არა. ნახეთ, როგორ არის: ისინი ამბობენ, რომ არის სამი წმიდა წიგნი: თორა, ბიბლია და ყურანი. თავიდან ღმერთმა მოსეს მეშვეობით ხალხს მისცა თორა, მაგრამ ხალხმა არ დაიცვა თორის წესები; შემდეგ მოვიდა ქრისტე და არც მისი სიტყვა ისმინეს და მოკვლა დაუპირეს, უტრირებულად ვყვები. ამიტომ ალაჰმა გამოგზავნა მუჰამედი, მუჰამედი კი არის შარიათი, შარიათი კი – ისლამის მახვილი. შარიათი აღარ არის თხოვნა და შეგონება. მუჰამედმა თქვა: თუ ნებით გაგება არ გინდათ, ძალით გაგაგებინებთ. აი, ასეთია მათი მოძღვრება. თან, ეს ჩემეული ახსნა არ არის, ეს მიამბო ლეკური ტერორისტული ორგანიზაცია „სადვალის“ ხელმძღვანელმა, მასთან თეოლოგიური საუბრებისას. შარიათი არის ისლამური წესები, რომლებიც გაიძულებს, გახდე მუსლიმანი და არ გაქვს არჩევნის საშუალება. მაგალითად, თუ არ გინდა მართლმადიდებლობა, არ იქნები და გეტყვიან, რომ ამის გამო მოხვდები ჯოჯოხეთში, მაგრამ არაფერს გაიძულებენ; მაგრამ ისლამში, თუ შენ არ გინდა, გახდე მუსლიმანი, მაშინ მეც ჯოჯოხეთში მოვხვდები, ამიტომ ან მუსლიმანი უნდა გაგხადო, ან უნდა მოგკლა, მარტივად რომ თქვათ.

**– დანარჩენ სამყაროს რა ბედი ეწევა? ახლო აღმოსავლეთში, ვთქვათ, ყველა გაამუსლიმანეს, მაგრამ სხვაგან, სხვა კონტინენტებზე?**

– რატომ გგონიათ, რომ დანარჩენი სამყაროს გამუსლიმანებაზე არ ფიქრობენ?

**– არ მგონია, რომ არ ფიქრობენ, მაინტერესებს, როგორ აპირებენ.**

– ევროპაში, ოფიციალური მონაცემით, შევიდა 800 000 დევნილი, თუმცა, სხვადასხვა მონაცემით, 4 მილიონამდე. ეს 4 მილიონი დევნილი რამდენ ხანში გახდება 40 მილიონი?! დარწმუნებული ვარ, 20 წელიწადში. მაგალითად, ამერიკის ზოგიერთ შტატში მუსლიმანები ითხოვენ შარიათის სასამართლოს. როდესაც ტრამპი გამოდის და ამბობს, რომ არ უნდა შემოვიდნენ მუსლიმანები, იმიტომ ამბობს, იცის, რომ ეს პრობლემა უდგათ. დავუშვათ, ამერიკა შორსაა, მაგრამ აქვეა იტალია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი... ისლამისტები მიიჩნევენ, რომ ეს მათი ტერიტორიაა. ანუ, სადღაც თუ ქრისტიანი ცხოვრობს, ის მე ხელს მიშლის, იმიტომ რომ, ვაითუ ღმერთმა მკითხოს, რატომ არ გაამუსლიმანე და ამან ხელი შემიშალოს სამოთხეში მოხვედრაში.

**– არ ვაპირებ პირადად მე გამუსლიმანებას.**

– მაშინ უნდა გაგანადგურონ ან ჯიზია უნდა გადაიხადოთ, თუ გინდათ, იყოთ ქრი-

# როგორ მოახერხა სამი ხელისუფლების ჩინოვნიკობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ

ან უკვე საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე 1981 წელსაა დაბადებული. ბაკალავრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო 1998-2002 წლებში (საერთაშორისო ურთიერთობების განხრით); 2003-2006 წლებში კი რუსეთის დიპლომატიურ აკადემიაში სწავლობდა: დაამთავრა საერთაშორისო სამართალის ასპირანტურა. 2008-2010 წლებში კავკასიის ბიზნესსკოლაში გაიღრმავა ცოდნა და საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხიც მოიპოვა ალმასრულებელთათვის; იმავე წლებში სწავლობდა გრენობლის ბიზნესკოლაშიც, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურაზე.

მიხეილ ჯანელიძის შრომითი ბიოგრაფია 2003 წლის ივლისში დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც 2004 წლის თებერვლამდე იმუშავა საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარ სპეციალისტად. 2006-2007 წლებში კი შპს „საერთაშორისო პროექტების დახმარების სერვისის“ ბიზნესის განვითარების მენეჯერი იყო; 2007 წელს „ვისოლ ჯგუფის“ პროექტის მენეჯერობაც მოასწრო, შემდეგ კი – 2009 წლამდე – შპს „ვისოლ ჯგუფის“ მმართველი დირექტორიც გახლდათ. 2009 წელს შპს „ჯანელიძისა და კომპანიის“ პარტნიორი იყო; 2009 წელსვე დაბრუნდა სახელმწიფო სექტორში, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად იმუშავა 2011-მდე. 2011 წლიდან 2015 წლის სექტემბრამდე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე იყო, 2015-ს სექტემბერში საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 2016 წელს უკვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად შეხვდა.



რაკი ბ-ნი ჯანელიძის სამოხელეო კარიერა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პირობებში დაიწყო, მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაციაც 2009 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დეპარტამენტის უფროსმა. იმხანად ბ-ნი ჯანელიძე 1987 წელს დაბადებულ მეუღლესთან ნინო ეგრისელაშვილთან ერთად ცხოვრობდა. უძრავი ქონება მხოლოდ ბ-ნ ჯანელიძეს ჰქონდა – ბინა თბილისში, შარტავას ქუჩაზე (93 კვ. მ.); ავტომანქანა კი ორივეს ჰყავდა: ცოლს 2006 წლის „ფოლკსვაგენ პასატი“, ქმარს – 2001 წლის იმავე მარკისა. რაც შეეხება შემოსავლებს: 2008 წლის განმავლობაში ბ-ნმა ჯანელიძემ, როგორც შპს „ველაჯიოს“ დირექტორის მოადგილემ, 34 454 ლარი აიღო, მისმა მეუღლემ კი, როგორც „საქართველოს ბანკის“ კორპორატიულმა ბანკირმა, 17 424 ლარი.

2011 წელს ბ-ნ ჯანელიძეს შეეძინა ქალიშვილი ანანო. მის მიერ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2014 წლით თარიღდება, რომელიც მან ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ამპლუაში შეავსო. ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე და ქალიშვილი. ოჯახის უძრავი ქონება კი შემდეგნაირია: მიხეილ ჯანელიძის საკუთრებაა ბინა თბილისში, შარტავას ბუჩაზე, მიწის ნაკვეთი დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (632 კვ. მ.) და იმავე მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლი (370 კვ.მ.). ნინო ეგრისელაშვილს ჰყავს 2011 წლის Toyota Avensis. ის, ასევე, ფლობს „საქართველოს ბანკის“ 1 ლარად ღირებულ სამ აქციას.

რაც შეეხება შემოსავლებს: 2013 წლის განმავლობაში ნინო ეგრისელაშვილმა, როგორც „ფრაისვოთერჰაუსკუპერის“ უფროსმა კონსულტანტმა, 45 239 ლარი აიღო; მიხეილ ჯანელიძემ კი, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, 76 160 ლარი. მანვე მიიღო მშობლისგან საჩუქრად 60 000 აშშ დოლარი, ბინის რემონტი კი 91 000 ლარი დაუჯდა.

ჰქონდა სხვა გასავალიც. კერძოდ: 2013 წელს აღებული 260 000-ლარიანი კრედიტის პროცენტის დასაფარად დახარჯა 2 397 ლარი; 28 600-დოლარიანი სესხის მომსახურება დაუჯდა 28 500 დოლარი; 63 040 დოლარის ღირებულების უძრავი ნივთის განვადებისთვის კი 32 040 დოლარი გადაიხადა.

**ნინო ხაჩიძე**

---

სტიანი, თქვენი ფული უნდა მოხმარდეს მუსლიმანურ საქმეს.

**– ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში ახლებურად განვითარდა მოვლენები. თითქოს ისევ მეორე პლანზე გადაიწია ისლამური სახალიფოს პრობლემამ. შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირება დაიწყო და ირანი და საუდის არაბეთი აშკარად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს მოვლენებიც მართულია, რომ შიიტებმა და სუნიტებმა დააბალანსონ ერთმანეთი თუ სიტუაცია შეიძლება ახლა უკვე სხვა კუთხით გავიდეს კონტროლიდან?**

– ჩემი აზრით, აქ პრობლემაა ნავთობის ფასები. ორივე ქვეყანა, საუდის არაბეთიც და ირანიც, ოპეკის წევრია და არა მხოლოდ ისინი, სხვებიც, რომლებიც მსოფლიოში ნავთობის ფასზე ახდენენ გავლენას. თუ ოპეკმა თქვა, მოვუმატებთ ნავთობის მოპოვებასო, ნავთობის ფასი ვარდება და პირიქით. 2008 წელს გვახსოვს, რომ მთელ მსოფლიოში საშინელი ფინანსური კრიზისი იყო, მაგრამ ნავთობზე ფასი არ დავარდნილა. ახლა ნავთობზე ფასმა დაიწყო დაცემა მაშინ, როდესაც საამისო პირობა არ იყო. ეს გააკეთა საუდის არაბეთმა. თუმცა მას ეს პროცესი არ დაუწყია რუსეთის წინააღმდეგ. საოცარი ის არის, რომ ამ პერიოდში რუსეთიც ზრდიდა მოპოვების კვოტას. არადა რუსეთის მთელი ეკონომიკა ნავთობზეა მიბმული და, წესით, უნდა შეემცირებინა მოპოვება. ეს პრობლემა დაიწყო იმით, რომ ამერიკაში დაიწყეს ფიქლის გაზის მოპოვება, რომელიც 50-60 დოლარი უჯდებათ, მაგრამ, როდესაც ნავთობის ფასი 37 დოლარამდე დაეცა, ფიქალის გაზი გახდა არარენტაბელური. ანუ თემა, რითაც ამერიკა მთელ მსოფლიოსთან ვაჭრობდა, მაქვს ჩემი გაზი და ნავთობი არ მჭირდებაო, მოკვდა. იმით, რომ საუდის არაბეთი და რუსეთი ნავთობზე ფასს აგდებდნენ, ანადგურებდნენ ისლამური სახელმწიფოს ინფრასტრუქტურას. ტერორისტები ნავთობს ჰყიდიდნენ დემპინგურ ფასად, მაგრამ, როდესაც ოფიციალური ფასი 35 დოლარია და ისლამური სახელმწიფო გაძლევს 20 დოლარად, აღარ გიღირს, მათგან იყიდო. ამიტომ დასწიეს ნავთობის ოფიციალური ფასი და ამან თურქეთის ეკონომიკა გაანადგურა. ამასობაში ამერიკამაც გახსნა თავისი სტრატეგიული რეზერვი. რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტებს დაკარგავდა. ნავთობის ბიზნესი ისეთი რამაა, თუ რამდენიმე თვით ამოვარდი, კარგავ შენს ადგილს. ამერიკამაც გამოყარა ბაზარზე თავისი ნავთობი და ოპეკის ქვეყნები, რომლებიც ნავთობის მთავარი მომპოვებლები არიან და ადგენენ ნავთობის ფასს, დაიბნენ. ნავთობის ფასი ეცემა, საუდელებს 200 მილიარდი აქვთ გარღვევა, რა უნდა ქნან?! უნდა მოუმატონ ამ ნავთობს ფასი, მაგრამ ირანიც და საუდის არაბეთიც ოპეკის წევრები არიან, ამდენად, ეს დაპირისპირება ნავთობის ფასის დასარეგულირებლად და ამ ბაზრის ხელში ჩასაგდებადაა დაწყებული. თან, ირანი აკონტროლებს ორმუზის სრუტეს, საიდანაც საუდის არაბეთს გააქვს მთელ მსოფლიოში და ირანი მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა ნავთობის ფასის წარმოქმნის პროცესში.

არავინ იცის საქართველოში, მაგრამ 2015 წელს ოპეკმა რუსეთს შესთავაზა გაწევრიანება, მაგრამ რუსეთმა უარი თქვა, იმიტომ რომ, მაშინ რუსეთს კვოტებს დაუწესებდნენ მოპოვებაზე. ამიტომ, ჩემი აზრით, მცირე ომია მოსალოდნელი.

**– და ეს მხოლოდ ნავთობია და მეტი არაფერი?**

– ნავთობთანაა დაკავშირებული. ამერიკა გავიდა რეგიონიდან; და, თუმცა საუდის არაბეთი იყო ნავთობის ფასის მთავარი დამდგენი, ამერიკა მაინც იღებდა მონაწილეობას ამ პროცესში, იმიტომ რომ, ნავთობის ძირითადი მომხმარებლები არიან ჩინეთი და ამერიკა. ჩინეთს ირანული ნავთობი მიაქვს, ამერიკას – საუდის არაბეთის. ახლა გაჩნდა თავისუფალი სივრცე და მისი ხელში ჩაგდება უნდათ: თურქეთს, რუსეთს, ირანს. ეს ხომ მარტო ტერიტორია არ არის?! იქ არის ნავთობი, ფასწარმოება, ინფრასტრუქტურა; ის ქვეყნები, რომლებიც დაინგრა, თავიდან უნდა აშენდეს და ვინც ამ ყველაფერს ჩაიგდებს ხელში, აშენდება მომავალი 30 წლის განმავლობაში და ამიტომ ყველასთვისაა ხელსაყრელი სიტუაციის დაძაბვა ახლო აღმოსავლეთში.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**თბილისში, აეროდრომის დასახლების №5-ში ვინც მოხვდება, ნამდვილი ეგზოტიკური გარემო გადაეშლება თვალწინ. აქ ცხოვრობს იშვიათი სახეობის ფრინველთა კოლექციონერი ალბერტ მანელოვი. ფრინველებით ის ბავშვობიდან დაინტერესდა, ახლა კი მის ეზოში განლაგებულ ვოლიერებში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილ ულამაზესი სახეობის ფრინველებს ნახავთ, რომელთა ხმა ნამდვილად მოგაგონებთ ველური ბუნების მშვენიერებას.**

# რატომ წაიყვანა მეუფე იობმა ალბერტ მანელოვის კოლექციიდან იშვიათი სახეობის ფრინველები და რატომ უნდა მიირთვან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებმა „ალაუკანის“ მწვანე კვერცხი

**ალბერტ მანელოვი**: ბავშვობაში დავინტერესდი ფრინველებით, როცა ჩემმა ძმებმა სოფლიდან ჩამოიყვანეს გარეული მტრედები. მალე გადავედი იშვიათი სახეობის ფრინველთა გამრავლებაზე. ჩემი ოჯახი ამ ყველაფერს დადებითად შეხვდა. საბჭოთა კავშირის დროს ყველა საზღვარი ღია იყო. მქონდა კონტაქტები სხვადასხვა რესპუბლიკაში ფრინველთა კოლექციონერებთან. ადრე აქტიურად მუშაობდა პორტი, გემები შემოდიოდნენ, მეზღვაურებს შემოჰყავდათ ფრინველი და ვყიდულობდი. ორგანიზაცია „ინტერხობი“ აწყობდა ცხოველთა და ფრინველთა გამოფენა-გაყიდვებს. საერთაშორისო დონეზე გავდიოდით. საბჭოთა კავშირში ცნობილი ვიყავი, როგორც თუთიყუშების ერთ-ერთი მსხვილი კოლექციონერი. რაოდენობა არ იყო დიდი, ფრინველის იშვიათი სახეობები მყავდა. ჩემი კოლექცია იმ პერიოდში ძალიან ცნობილი იყო. მქონდა ჩავარდნაც. როცა ქვეყანა აირია, დაიწყო ყაჩაღობა, მხედრიონელობა, მომიწია თუთიყუშების გაყიდვა. 2000 წლისთვის ისევ დავიწყე ფრინველთა გამრავლება, ძირითადად, საბერძნეთიდან შემომყავდა. იქ ჩემი ძმები ცხოვრობენ და ყველანაირად მეხმარებიან. ვეკონტაქტებოდი სხვადასხვა ქვეყნის ზოოპარკებს, სადაც ვყიდულობდი ან ვცვლიდი ფრინველებს. ვერცერთი ზოოპარკი ცალკე ვერ იარსებებს, ყოველთვის უნდა ხდებოდეს გაცვლა-გამოცვლა. სისხლი მაინც ასარევია, სხვანაირად არ შეიძლება. ყორანიც მყავდა, მაგრამ მალევე გავაჩუქე, ძალიან მავნე იყო.



ჩემთან ძირითადად უფრო ბრძენი და ჩამოყალიბებული ხალხი მოდის

**– ქართულ ზოოპარკთან თუ გქონდათ კონტაქტი?**

– როცა ფრინველთა კოლექციის შექმნას ვიწყებდი, იმ წლებში ქართული ზოოპარკი იყო აუღებელი ციხე. იქიდან ოფიციალური გაყიდვა არ ხდებოდა. არ მახსოვს შემთხვევა, მათგან წამომეყვანოს ფრინველის კონკრეტული სახეობა. კონტაქტი ადრე არ მქონია, თუმცა ახლა მაქვს. „თეთრი“ ფარშევანგი, ხოხბის რამდენიმე სახეობა ჩემგან ჰყავთ წაყვანილი.

**– საიდან შემოგყავთ იშვიათი სახეობის ფრინველები და რთულია მათი მოვლა?**

– ფრინველის შოვნაზე მეტად რთული ქვეყანაში მისი შემოყვანაა. უკვე რამდენი წელია, ჩაიარა ქათმის გრიპმა და მას მერე კარანტინი არ მოხსნილა. შეიძლება, კვერცხი გადმოიტანო და ასე გაამრავლო ფრინველი. ერთი პატარა სახეობა რომ ჩამოიყვანო, მინიმუმ 3 000 ევრო გჭირდება. ძმები მეხმარებიან. ჩემი ძირითადი რესურსი საბერძნეთია. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ფრინველის მოვლა არ მიჭირს. საკუთარი მიწა მაქვს მამაჩემის მშობლიურ სოფელში, წალკის რაიონში, სადაც მომყავს ხორბალი. მინიმუმ, 10 ტონა მჭირდება წელიწადში. იღბლიანი კაცი ვარ, ყველაფერში მიმართლებს. ჩემი მეუღლე ექიმი-ეპიდემიოლოგია და თავისი ცოდნით მეხმარება. ერთმანეთს ვავსებთ. კვების თვალსაზრისით, ძალიან საყურადღებოა ამერიკული გიგანტი კომპანია „ტეხასი“. რომლის მეშვეობითაც, ყველა ფრინველს, ინდივიდუალურად, საკუთარი საკვები აქვს. როცა კარგად გეყიდება, არ არის პრობლემა კვებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამ ეტაპზე და ბოლო პერიოდში, ძალიან უჭირს საქართველოს. 2008 წლამდე ყველაფერი კარგად იყო. მაგალითად, ძალიან რთული შესანახია ფარშევანგი. გამოსაკვებად ვიყენებ მაწონს, ხორცს, მჭირდება ბალახი და შესაბამისად, მისი გასაყიდი ფასი ნამდვილად არ არის არარეალური. ძვირიანია „თეთრი“, „კობალტი“ და „შავზურგა“ ფარშევანგები – დაახლოებით ერთნაირი ფასი აქვთ. ზრდასრული „თეთრი“ ფარშევანგი, სამი წლის, 5 000 დოლარი ღირს. ჩვეულებრივი წყვილი ფარშევანგის ფასი, მეოთხე თვეში რომ შედის და სქესი ეტყობა – 300 დოლარიდან იწყება. ზრდის პროცესი 3 წელია, თუ ასაკი მეტია, ფასიც მეტია.

**– როგორც ვიცი, ფარშევანგს ბევრი დადებითი თვისება აქვს, მათ შორის, ერთ-ერთი ქვეწარმავლებთან ბრძოლაა...**

– ფარშევანგები, ძირითადად, ინდოეთის ჯუნგლებში ბინადრობენ. ყველა ქვეწარმავალი მიირთმევს მათ კვერცხს. აქედან გამომდინარე, ჩნდება აგრესია. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, ფარშევანგი წაუყვანიათ იმისთვის, რომ ტერიტორიაზე ჰყავთ გველები. ბევრი დადებითი თვისება აქვს – როგორც კატა, ისე ნადირობს თაგვზე. ეს მისი აზარტია. სიგნალიზაციის როლსაც ასრულებს – სხვადასხვა შემთხვევაზე განსხვავებულად ყვირის. ქურდებისგანაც იცავს იმ გარემოს, სადაც არის. განსაკუთრებით უცხო ხმაზე აქვს რეაქცია. რა თქმა უნდა, მისი უპირატესობა სილამაზეც არის.

**– ვინ არიან ძირითადად თქვენი კლიენტები? ახდენთ თუ არა ფრინველის რეალიზაციას უცხოეთში?**

– ჩემთან ძირითადად უფრო მოდის ბრძენი და ჩამოყალიბებული ხალხი. მათ გაცნობიერებული აქვთ იმ ფრინველის მნიშვნელობა, რომელიც ჩემგან მიჰყავთ. საქართველოში ბევრია ასეთი, ვინც ზრუნავს სახლში ლამაზი გარემო შექმნას და ამიტომაც მიჰყავთ ფრინველები. ჩვენს უწმიდესსა და უნეტარესს უყვარს ფრინველები. სამების ტაძარში ჰყავთ გედები და ფარშევანგები. ერთი შავი გედი ჩემგან წაიყვანეს. მეუფე იობი არის დაინტერესებული



მწვანე კვერცხი ძალიან სასარგებლოა კვებითი ღირებულების თვალსაზრისით. მისი შემადგენლობა ძალზე საინტერესოა, კალორიებით მწყრის კვერცხს აღემატება და 10 ლარი ღირს

ფრინველებით. თავის რეზიდენციაშიც ჰყავს და ყველა ჩემგან წაიყვანეს – ძირითადად, ფარშევანგი და ხოხობი. ასევე, მტრედები მიჰყავთ ეკლესია-მონასტრებისთვის შესაწირად. ვინც საქართველოში მემტრედეობას მისდევს, ძირითადად, მოსიარულე-მოთამაშე მტრედები ჰყავთ. ჩემი კოლექცია კი განსხვავებულია უცნაური აღნაგობით. თერჯოლის წმიდა სამების ტაძარშიც წაიყვანეს ერთ-ერთი ძვირად ღირებული შავი გედი ჩემი კოლექციიდან. სხვადასხვა კუთხიდან მიკავშირდებიან. ზესტაფონში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში წაიყვანეს ჩემი ფრინველები. მქონდა შემთხვევა, სამეგრელოდან მესტუმრა ერთი ქალბატონი და ხოხობი წაიყვანა. რამდენიმე ოჯახი თანხას გადავინაწილებთ და ფარშევანგსაც წავიყვანთო, დამიბარა. ზოგს გასამრავლებლად მიჰყავს, ზოგს – სილამაზისთვის. ორმა ძალიან კარგმა ქართველმა ბიზნესმენმა გააკეთა მარნეულთან ახლოს დასასვენებელი ადგილი. კონსულტაციები ჩავუტარე. გაშვებული ჰყავთ ფრინველები, გაკეთებულია ბუნგალოები. ყველა სახეობის ფრინველი ჰყავთ, რასაც შეუკვეთავთ, მოგართმევენ. გახსნა ალბათ გაზაფხულზე იქნება. ჩემი ფრინველების ერთგული მყიდველი გახლდათ ბადრი პატარკაციშვილი. პირადად კარგად ვიცნობიდი და თუ რამე მყავდა ელიტარული და იშვიათი, ყველაფერი შეიძინა. ყველაზე ძვირიანი, რაც წაიყვანა, იყო „თეთრი“ ფარშევანგები. ფრინველებს მოვლა, ყურადღება სჭირდება. ხელფასს დაგინიშნავ და მოდიო, მთავაზობდა, მაგრამ დრო არ მქონდა საიმისოდ. ბიძინა ივანიშვილის ხალხიც იყო მოსული და ჩემგან ფრინველები წაიყვანეს. ხოხბების პირველი ფერმა მე გავაკეთე სოფელ დიღომში. სათბურები ჰქონდათ და მთხოვეს, კონსულტაცია. სადედე გუნდი გავუზარდე და ჩავაბარე. საქმე ააწყვეს, რესტორნებსაც მიჰქონდათ, ისედაც ყიდულობდა ხალხი – მოკლედ რომ ვთქვა, 2008 წლამდე ყველაფერი ნამდვილად კარგად იყო. გოგი თოფაძეს გავუკეთე სახოხბე. შენობა დავაპროექტე, სანადირო მეურნეობა აქვს. ზრდის ამ ხოხბებს, უშვებს და ანადირებს. უცხოეთში გასაყიდად არასდროს გამიყვანია ფრინველი. გამოფენებზე რომ დავდიოდი, მქონია შემთხვევა, გამიჩუქებია, მაგრამ გაყიდვით, არასდროს გამიყიდია. ერთხელ ბულგარეთში, გამოფენაზე ჩავიყვანე ეგვიპტური გვრიტი. ვიცოდი, იქ არ ჰყავდათ. დიდი მოწონება დაიმსახურა და „ჯუჯა“ სახეობის ქათამში გავცვალე.

**– იშვიათი სახეობის ფრინველებთან ერთად, მათ კვერცხსაც ყიდით. ამბობენ, მწყრის კვერცხი ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოაო. რეალურია ეს?**

– ფრინველის კვერცხს, ძირითადად ვყიდი გამოსაჩეკად, რომელი 7-8 ლარი ღირს. ყველაზე იაფიანი ქათმის კვერცხი ხუთი ლარია – ფრინველის სახეობას გააჩნია. ყველა სახეობის კვერცხს არ ვყიდი – როგორიცაა იშვიათი ხოხბის, იშვიათი ფარშევანგის. მწყრის კვერცხს მე არ ვყიდი. ეს არის დეკორატიული კვერცხი. დაახლოებით სამოციამდე დაავადების პროფილაქტიკისთვისაა კარგი. იაპონელი ბავშვების კვების რაციონში დღეში ორი უმი კვერცხი შედის – ტვინს ავითარებს, მაგრამ ალერგიულია. ყველა ბავშვი ვერ იტანს. ამ დროს არსებობს ძალიან მაგარი ალტერნატივა. მე მყავს ქათამი, რომლის სახეობას ჰქვია „ალაუკანი“. ის მწვანე ფერის კვერცხს დებს და მწყრის კვერცხის იდენტური შემადგენლობა აქვს. დამატებით კი, რაც მთავარია, არ არის ალერგიული. ჩემს კოლექციაში ეს ყველაზე გაყიდვადი ქათამია. 10-12 წელია, რაც მყავს. მწვანე კვერცხი ძალიან სასარგებლოა კვებითი ღირებულების თვალსაზრისით. მისი შემადგენლობა ძალიან საინტერესოა და კალორიებით მწყრის კვერცხს აღემატება. მისი ღირებულება 10 ლარია. განსაკუთრებით სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე ადამიანებისთვის – არ შეიცავს ქოლესტერინს. ძალიან ბევრი ექიმი მოდის საყიდლად. საუკეთესოა ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის, პოტენციის ასამაღლებლად ასაკოვანი მამაკაცებისთვის. ზრდასრული კვერცხისმდებელი ქათამი 100 დოლარი ღირს, ვალებული და ძალიან ლამაზია. 7 სახეობის ხოხობი მყავს, ძალიან იშვიათია. „სიამის“ ხოხობი, საბერძნეთიდან გამომიგზავნეს ძმებმა. წყვილი ხოხბის ფასი 400 ლარიდან იწყება. მყავს იშვიათი სახეობის, „ჩვეულებრივი ფარშევანგი“, რომელიც ძირითადად ინდოეთში ბინადრობს. ასევეა „შავზურგა“ ფარშევანგი, მაგრამ მოყვარულები „ბარხატნი“ ფარშევანგს ეძახიან. მყავს „თეთრი“ ფარშევანგი, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი და ბუნებაში არ არსებობს. ფაქტობრივად, ეს სამი ნაირსახეობა მყავდა, შემდეგ „ჩვეულებრივი“ და „თეთრი“ ფარშევანგი შევაჯვარე გამოვიდა ახალი სახეობა, რომელთაც „არლეკინებს“ ეძახიან. პირადად მე, გამოვიყვანე ფარშევანგის ახალი სახეობა, რომელსაც „კობალტის“ფარშევანგი ჰქვია. თუ ფარშევანგი არის ჩვეულებრივ მწვანე ფერებში, ეს უფრო მელნისფერია. ჩემს შემთხვევაში „კობალტის“ ფარშევანგი ვაქციე სახეობად და მისი წიწილა გამოდის მისივე მსგავსი. იყო შემთხვევა, პირველად ჩვენი ზოოპარკის ბიჭები მოვიდნენ. განყოფილების უფროსის მოადგილე ცოტა ემოციური ბიჭია. ლამის გაგიჟდა, აბო, ეს არ არის, აუ, ბიჭო, მართლა მაგარი ყოფილხარო. უიშვიათესი 30 სახეობის მტრედი, 12-13 სახეობა შარშან გამოვიდა, კვერცხი გამომიგზავნეს ჩემმა ძმებმა საბერძნეთიდან. საქართველოში მარტო მე მყავს ჯერჯერობით. ჩემს კოლექციაშია აბრეშუმისებრი ქათამი, რომელსაც ბუმბულის ნაცვლად ბეწვი აქვს, ასევე შავხორციანი ქათამი, ზანგი. დღეს საქართველოში



იხვი „მანდალინკა“ მსოფლიოში იხვების დედოფლად არის აღიარებული

რია – უფრო ნაკლები. მყავს ქათმის სახეობა „მარანი“, რომელიც წითელ კვერცხს დებს და აქვს ჩვეულებრივი შემადგენლობა. ქათამი მეკვერცხულია და მეხორცეული. მყავს სახეობა, რომელსაც „ავსტრალოპი“ ჰქვია. არის შერწყმული – მეხორცეულიც და მეკვერცხულიც. ძალიან ლამაზი შესახედია. 320 კვერცხამდე დებს წელიწადში.

**– სულ რამდენი სახეობის უნიკალური ფრინველი გყავთ?**

– მყავს ერთი სახეობის იხვი „მანდალინკა“, რომელიც მსოფლიოში აღიარებულია იხვების დედოფლად. 2 სახეობის მწყერი, ერთი „კალიფორნიისაა“, მეორე – ჩინური, ჯუჯა, რომელიც ჩინეთშია გავრცე-

ფრინველებისადმი ინტერესი ძალიან პასიურია. მოვუწოდებ მშობლებს, განსაკუთრებით დედებს, არ შეზღუდონ შვილები ამ სფეროში.

**ნათია გოგიშვილი**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

**2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რომელიც მთაში მცხოვრებთათვის შემდეგი ტიპის შეღავათებს ითვალისწინებს: 20-პროცენტიან დანამატს მიიღებენ პენსიონრებიც და სოციალური პაკეტის მიმღებებიც. ექიმების დანამატი სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობა იქნება; ექთნისთვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობა. ზამთრის პერიოდში ყველა აბონენტს სახელმწიფო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 50 პროცენტს აუნაზღაურებს (ოღონდ არაუმეტეს 100 კვტ.სთ-ს). ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, 1 წლის განმავლობაში მშობლები ყოველთვიურად არანაკლებ 100 ლარს მიიღებენ, ხოლო მესამე და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში – არანაკლებ 200 ლარს. მაღალ მთაში დასაქმებულ საჯარო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებს ხელფასზე დაერიცხებათ საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 პროცენტი, ისევე, როგორც დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებულ მწვრთნელებს და სხვა.**

**ამას გარდა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი ისარგებლებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. მეწარმე სუბიექტი კი განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან.**

**კანონის ავკარგიანობის შეფასება და მისგან მოსალოდნელი შედეგის შესახებ პროფესორ მიხეილ ჯიბუტის მოსაზრებით დავინტერესდით.**

# რატომ შეეზღუდებათ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება კანონით მაღალმთიანი რეგიონების შესახებ

**– რამდენად საკმარისია ის აქტივობები, რაც გაწერილია კანონში, მთის გასაძლიერებლად და იქ მოსახლეობის დასამაგრებლად და დასაბრუნებლად?**

– ვწუხვარ, რომ უნდა დავიწყო შეფასებით: ეს კანონი ზოგადად არ არის მთისთვის და იქ მაცხოვრებლებისთვის განსაკუთრებული შედეგის მომტანი. მას შეიძლება, ვუწოდოთ კანონი მთის რეზერვაციების შესახებ, რომელმაც ყველა ის მოლოდინი, რაც არსებობდა, არ გაამართლა.

**– თქვენი არგუმენტები როგორია?**

– მაღალმთიან რეგიონთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა მოცემულია კონსტიტუციაში. კონსტიტუციამ განსაზღვრა, რომ მაღალამთიანი რეგიონებისთვის უნდა დადგინდეს განსაკუთრებული შეღავათები და რეგულაციები. ეს მოხდა 1995 წელს. მას შემდეგ საკითხი გაჯანჯლდა და კანონი მივიღეთ 1999, ანუ საპარალამენტო არჩევნებისა და საპრეზიდენტო არჩევების წინა წელს, როდესაც ყველას ჰპირდებოდნენ ყველაფერს და 1 600 სოფლამდე მოხვდა ჩამონათვალში. ფაქტობრივად, ყოველი მეორე სოფელი, არადა, თუ ყველას ეკუთვნის შეღავათი, ვინ ვის უნდა გაუწიოს და რის ხარჯზე?! ამ კანონმა, ბუნებრივია, არ იმუშავა. მისი არც ერთი მიზანი არ შესრულდა: ვერც მთის ეკონომიკური ალმავლობა ვერ განხორციელდა, არც მთის დემოგრაფიული მდგომარეობა არ გაუმჯობესდა; მოსახლეობა არათუ არ დაბრუნდა, ორჯერ და მეტად შემცირდა. ესე იგი, ჩვენ გვქონდა უარყოფითი გამოცდილება, რომელიც უნდა გამოგვეყენებინა იმისთვის, რომ პოზიტივად გვექცია. მაგრამ ახლანდელ ჩამონათვალშიც 1 600-ზე მეტი სოფელი მოხვდა.

**– ამას რომ ამბობთ, რას გულისხმობთ: ეს ცოტაა თუ ბევრი?**

– რა საჭიროა სპეციალური კანონის მიღება, თუ ის შეეხება ყველას?! ის აღარ არის სპეციფიკურად ვინმესთვის. არის ზოგადი და განწირული – არშესრულებისთვის.

**– როგორ უნდა აერჩიათ მაშინ სოფლები და მაღალმთიანი რეგიონები?**

– რა გვაქვს მიზნად? ეს კანონი არ არის სოფლების კანონი, მაგრამ კანონმდებელმა ის აქცია მაღალ მთაში არსებული სოფლის კანონად. მაგალითად, უშგული შედის ამ კანონში, მაგრამ შხარა და უშბა არ შედის. ანუ მთავარი იდეა, რაც ამ კანონის სათაურში დევს, რომ ეს არის მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი, არ არის განხორციელებული. ამ კანონით, მაღალმთიანი რეგიონი უდრის მაღალმთიან დასახლებას და ეს არღვევს კონსტიტუციურ მიდგომას, რადგან კანონმდებელმა ის დაიყვანა მაღალ მთაში არსებული დასახლების დონეზე, ჩამოთვალა სოფლები და მივიღეთ მაღალ მთაში არსებული სოფლების შესახებ კანონი, რაც, თავის მხრივ, დაშორდა კონსტიტუციურ პრინციპს. არის სოფელი, რომელშიც არ არსი მოსახლეობა, ეხება თუ არა ეს კანონი ნასოფლარს? თუ გინდა, რომ მთაში დაბრუნდეს მოსახლეობა, ესე იგი, ნასოფლარსაც უნდა ეხებოდეს, მაგრამ, თუ კანონს ამ განმარტებით გამოიყენებ, არ ეხება. თან, კანონის იდეა არ არის მხოლოდ სოფელი, ეს არის რეგიონი, რომლის რესურსი არ არის გამოყენებული და მთიანეთი და მაღალმთიანეთი შეადგენს ჩვენი ქვეყნის 52 პროცენტს, მაგრამ მისი წილი ეკონომიკაში არის 3-5 პროცენტი.



**ეს კანონი, ზოგადად, არ არის მთისთვის და იქ მცხოვრებლებისთვის განსაკუთრებული შედეგის მომტანი. მას შეიძლება, ვუწოდოთ კანონი მთის რეზერვაციების შესახებ**

**– პოტენციალი რამდენი აქვს, თუ დათვლილი?**

– ზუსტად თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ დაზუსტებით შეიძლება, ითქვას, რომ გამოუყენებელია: ჰიდრორესურსი, ეკოლოგიური რესურსი, მინერალური რესურსი, ტურისტული და რეკრეაციული რესურსი. გინდა, რომ წაახალისო ადამიანები და პირველი ბავშვის გაჩენაზე აძლევ თანხას, მაგრამ ჩამონათვალში არსებული მთიანი სოფლების 90 პროცენტში ბავშვის გაჩენის ასაკის ქალი აღარ არის და თავისთავად ეს სტიმული იქ ვერ იმუშავებს. ან სკოლის მასწავლებლებს უნდა დაუმატო თანხა, მაგრამ ამ მაღალმთიანი რეგიონების სოფლების 10 პროცენტშია სკოლები, ესე იგი, დანარჩენ 90 პროცენტს არ ეხება. დავუშვათ, ადამიანი ბარიდან ავიდა და ასწავლის, მისცემ თუ არა დანამატს?! ამ კანონით, არა.

**– რატომ?**

– იმიტომ რომ ამ კანონმა შემოიტანა მთაში მუდმივად მაცხოვრებლის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ წელიწადში, მინიმუმ, 9 თვე უნდა ცხოვრობდეს ადგილზე გაუსვლელად და ეს უნდა იყოს დადასტურებული. როგორ უნდა დაადასტურო?!

**– თუ მასწავლებელია, გასაგებია, რომ დადასტურებულია სკოლაში გამოცხადებით.**

– შაბათ-კვირას როგორ უნდა დაადასტუროს?! თუ შაბათ-კვირას აუცდა ფეხი და არ იყო ადგილზე, კანონი ამბობს, რომ ის მაშინ ვერ მიიღებს დამატებით შემოსავალს. მთაში მუდმივად მცხოვრებლის სტატუსის შემოტანა არის ინდიელების რეზერვაციის შექმნის მაგვარი რამ, რაც არღვევს ადამიანის უფლებებს. იმიტომ რომ არაკონსტიტუციურია ასეთი დიფერენცირება. შეგიძლია სხვანაირად შემოიტანო: კლიმატური პირობების, მავნე სამუშაო პირობების გამო მისცე დანამატი ხელფასზე, მაგრამ არა იმისთვის, რომ გაუსვლელად იქნება ადგილზე. თუ მასწავლებელი დილით ბარიდან ამოვიდა და საღამოს ჩავიდა, ვერ მიიღებს ამ დანამატს?! რატომ? იმიტომ არ მგონია, რომ ამ სისტემამ იმუშაოს ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ, ვთქვათ, ეს ყველაფერი გავაკეთეთ, ამით განვითარდება სოფლის მეურნეობა? განვითარდება გარემო? განვითარდება სოფელი?! მთას არ სჭირდება ტურისტული თუ სხვა ინფრასტრუქტურის შექმნა?

**– მეწარმეებს შეღავათებს ჰპირდება ეს კანონი. კერძოდ, გადასახადებისგან გათავისუფლებას.**

– მთაში, სადაც არც მოსახლეობაა და არც ინფრასტრუქტურა, არ არის მუშახელის აყვანის შესაძლებლობა, წარმოება რისგან უნდა გაათავისუფლო?! მოგების 15-პროცენტიანი გადასახადისგან?! დანახარჯის ტოლფასი არის ის 15 პროცენტი? ავა ადამიანი და საწარმოს გამართავს?! ხალხი უნდა ჩაიყვანოს, საცხოვრებელი უნდა გაუკეთოს, ამუშაოს. რა საწარმო იმუშავებს იქ? კანონის არსი უნდა ყოფილიყო, რომ ისეთი კრიზისული რეგიონისთვის, როგორიცაა მთა, შემუშავებულიყო სახელმწიფო პროგრამები – თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. სახელმწიფოსა და ბიზნესის ერთობლივი ურთიერთობით შეიქმნებოდა პროდუქტი, რომელიც რომელიღაც მოსახვევში გახდებოდა თვითკმარი.

თანაც, ჩვენს მაღალმთიანეთში განსხვავებული მდგომარეობაა. მაგალითად, მაღალმთიან



**ალექსანდრე ბრაგინსკის მკურნალობის მეთოდის დახმარებით შეიძლება ისეთი პრობლემებისგან თავის დაღწევა, როგორებიცაა: შარდის შეუკავებლობა, ჭარბი წონა, ოჯახური და პარტნიორული წყვილების პრობლემები, იოლად გაღიზიანება, უძილობა, იმპოტენცია, ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები ოპერაციის გარეშე, ნერვის ანთების დროს; ასევე, ცხოვრების ისეთი მხარეების მოწესრიგება, რომელზე საუბარსაც ხშირად გაურბიან. ეს შეეხება პირად ცხოვრებას, წარმატებისკენ სწრაფვას და ბევრ ისეთ სხვა პრობლემას, რომლის მედიკამენტებით მოგვარება, პრაქტიკულად შეუძლებელია. ალექსანდრე ბრაგინსკი, რომელსაც კანადაში მოღვაწეობის 40-წლიანი გამოცდილება აქვს, დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ მისი პაციენტები კმაყოფილებას ვერ მალავენ მასთან რამდენიმე ვიზიტის შემდეგ და აღიარებენ, რომ შესამჩნევი შედეგები აქვთ.**

# ალექსანდრე ბრაგინსკი – ექიმი-ჰიპნოთერაპევტი მკურნალობის უნიკალური მეთოდით იცხოვრებ სრულფასოვნად ნებისმიერ ასაკში

**მარიამი**: „მოეწყვეთ მოხერხებულად, თვალები დახუჭეთ!“ – ასე დაიწყო სეანსი ჰიპნოთერაპევტმა ალექსანდრე ბრაგინსკიმ და აქედან დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ადრინდელ ყოფას ვიხსენებ როგორც ხანგრძლივ, უსიხარულო არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიც მქონდა, შვილებიც ნორმალურად მყავდა და აღარც ვალი მემართა ვინმესი, რატომღაც ცხოვრებისადმი დამოკიდებულება მაინც შემეცვალა. ვიყავი მუდმივად გაღიზიანებული, გადაღლილი, დამწუხრებული და 48 წლის ასაკში დედაბერს ვემსგავსებოდი. ერთბაშად მეწვია დაავადების, სიბერის, სინანულისა და უაზრო ყოფის შიში. დავდიოდი ექიმებთან, ვიკეთებდი სხვადასხვა სახის ანალიზებს. სერიოზული დაავადება რომ არ აღმომაჩნდებოდა, ვიწყებდი სიარულს სხვა ექიმთან, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე, გარდა იმისა, რომ მხოლოდ ერთადერთზე ვფიქრობდი – რა მეჭამა. გავსუქდი და ეს კიდევ ცალკე მთრგუნავდა. ამაზე უარესი ყოფა შეუძლებელი იყო. ანტიდეპრესანტებზე რომ გადავედი, ნერვები კიდევ უფრო დამეძაბა და მოკლე ხანში განმივითარდა კრუნჩხვები, მქონდა გულისცემის აჩქარება, ისტერიკა... ძლივს გამომიყვანეს მდგომარეობიდან, მაგრამ მისი ხელახლა გამეორების შიში აღარ მასვენებდა. მუშაობა უკვე აღარ შემეძლო. სახლიდან გასვლის მეშინოდა.

ბრაგინსკისთან რომ მივედი, ყურადღებით მომისმინა და მითხრა, რომ ეს ნევროზია და მისი მოხსნა ჰიპნოზითაა შესაძლებელი. ამიხსნა, რომ მოდუნებამდე მიმიყვანს, მაგრამ მექნება სრული კონტროლი საკუთარ აზრებსა და ნებაზე. ყველაფერს გავიგონებ და თუ მომინდება, ნებისმიერ წუთს შემეძლება სეანსის შეწყვეტა. მოდი, ვცადოთ-მეთქი, ვუთხარი არც ისე თავდაჯერებულმა.

ასე დაიწყო სეანსი და გზა ჩემი გამოჯა-

**მკურნალობს ნევროზებს, შიშებს, დეპრესიას, ალკოჰოლიზმს, ენაბლუობას**

ნმრთელებისკენ. მესამე სეანსიდან მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვიგრძენი, ხოლო მეათის შემდეგ, სულ სხვა ადამიანი გავხდი. დამიბრუნდა სიცოცხლის ხალისი, თავდაჯერებულობა. აღარ მემუქრებოდა პანიკური შეტევები. საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. რაც მთავარია, წონაში დავიკელი, იმიტომ რომ, საჭმელზე ფიქრს თავი დავანებე.

ბრაგინსკიმ მე მომცა ფსიქოლოგიური პროგრამა და ვისწავლე საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის კონტროლი.

**ქეთი**: ჩემი პრობლემა ცოტა არ იყოს განსხვავებული გახლდათ. ექიმ-ფსიქოთერაპევტს პირადი ცხოვრების მოწყობაში დახმარებისთვის მივმართე და რამდენიმე სეანსის შემდეგ, უკვე მქონდა შედეგი. ვგრძნობდი, თუ როგორ მოდიოდა თავდაჯერება, როგორ ვსწავლობდი წარუმატებლობის ლაბირინთიდან თავის დაღწევას. ვარჯიშებს ვიმეორებდი და მეათე სეანსის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ ექიმ ბრაგინსკის ვემადლიერები.

**ალექსანდრე ბრაგინსკი** ***(ექიმი-ფსიქოთერაპევტი და ჰიპნოთერაპევტი):*** შიში – ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ემოციაა ადამიანებში. შემუშავებული მაქვს ენერგიისა და ნების ასამაღლებელი პროგრამა, რათა ადამიანმა მართოს თავის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები, მიაღწიოს წარმატებებს და არ გახდეს საკუთარი ვნებათაღელვისა და შიშების მონა.

**ჰიპნოთერაპიის საკითხებთან დაკავშირებით დარეკეთ ნომერზე: 5 99 71-04-77.**

---

აჭარაში მოსახლეობის ნაკლებობა არ არის, იქ მიწის ნაკლებობაა, ამდენად, იქ სხვა პრობლემა გაქვს – რაციონალური განსახლების; მესხეთსა და ჯავახეთში არც ხალხის პრობლემაა და არც მიწის, მაგრამ არის კონსულტაციის, საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტირების, ტექნიკური, ინოვაციური პრობლემები.

ასევე, არის რეგიონები, სადაც ადამიანი უბრალოდ არ გვყავს: მაგალითად, თუშეთი. იქ დემოგრაფიულმა თუ მასწავლებლების წახალისებამ რა შედეგი უნდა გამოიღოს?! ამიტომ, ჩემი აზრით, ეს კანონი განწირულია იმისთვის, რომ არ იმუშაოს და უბრალოდ ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს ასეთი კანონი. სხვა რომ არაფერი ითქვას, კანონი 2016 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში და ლაპარაკია 50-მილიონიან დაფინანსებაზე. ანუ ეს თანხა ისედაც იხარჯებოდა მუნიციპალიტეტებში, ახლა შეეცვალა სახელი და, თურმე, ეს გაკეთდა მაღალმთიანი რეგიონებისთვის. ის ორი, სამი თუ ათასი მასწავლებელი თუ მიიღებს ამ ხელფასს.

**– პენსიონრებიც მიიღებენ დანამატს, ექიმები, ექთნები.**

– ეს კარგია, მაგრამ რა ამოცანა სრულდება ამით?! ეს არ არის დაკავშირებული მაღალმთიანი რეგიონების განვითარებასთან. ეს არ ქმნის მოსახლეობის მთაში დაბრუნებისა და მაღალმთიანი რეგიონის პოტენციალის გამოყენების მოტივაციას საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. ხოლო ის, რაც მასში დევს, რომ ადამიანი 9 თვის განმავლობაში ვერ დატოვებს მთას, იმუშავებს და ჩვენ მივიღებთ დისკრიმინაციულ მიდგომას, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს.

და გვირგვინი: გვიხარია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილება და, თუ ის ამოქმედდება, საქართველოს მოქალაქეს ექნება საშუალება, რომ წელიწადში ექვსი თვით წავიდეს ევროპაში, მაგრამ თუ ამ შესაძლებლობას გამოიყენებს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა და ექვსი თვით ან სამი თვით და ორი დღით წავა ევროპაში განათლების მისაღებად ან ექსკურსიაზე მუზეუმების დასათვალიერებლად, დაკარგავს ყველა იმ შეღავათს, რაც მიღებული აქვს ამ კანონით. ანუ საქართველოს მთიანი რეგიონების მცხოვრებლებისთვის საქართველოში გადაადგილების თავისუფლება ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლით საქართველოს მოქალაქის გადაადგილება ევროპაში.

**– გვაქვს საკმარისი ადამიანური რესურსი მთის დასასახლებლად? თავი რომ დავანებოთ ამ კანონის ავკარგიანობას?**

– მთელი ეკონომიკა არის მეცნიერება შეზღუდული რესურსის გადანაწილების შესახებ. ჩინეთი რომ ჩინეთია, მას არ აქვს საკმარისი ადამიანური რესურსი. რაც გაქვს რესურსი, მისი გადანაწილებაა საქმე. რადგან არ გყავს ცენტრალიზებული ბელადი, რომ დაადგინოს, ვინ სად უნდა წავიდეს, გადანაწილება უნდა მოხდეს სტიმულებითა და პროგრამებით. ადამიანს უნდა ჰქონდეს ალტერნატივა და უნდა შეიქმნას მაგალითები: სად ჯობია ცხოვრება თბილისში თუ სტეფანწმინდაში?! როგორც კი ემპირიულ დონეზე განიხილავ ამას, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, თუ შეუქმნი ადამიანებს შესაფერის გარემოს, ტექნიკა-ტექნოლოგიის განვითარების პირობებში ეს მიმართულება თბილისისკენ კი არ წავა, არამედ წავა თბილისიდან. შენთვის ამოცანაა მოსახლეობის გაზრდა მთაში თუ იმ მოსახლეობის შენარჩუნება, რომლებიც იქ ცხოვრობენ? ბუნებრივია, ეს საკითხები ვერ გადაწყდება კანონში, მაგრამ კანონი უნდა იძლეოდეს მინიშნებას, რომ ეს უნდა გადაწყდეს პროგრამებით, ეს პროგრამები უნდა იყოს დაფინანსებული, დროში გაწერილი, უნდა იყოს გარკვეული, ვინ იღებს მათზე პასუხისმგებლობას და მხოლოდ მაშინ იქნება რეალური. ზოგადად, თუშეთში პირველი ბავშვისთვის მილიონიც რომ იყოს განსაზღვრული, ვინ მიიღებს მას, როდესაც თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში 100 სოფლიდან 99-ში არავინ ცხოვრობს?! როგორ მისცემ თანხას იმას, ვინც არასდროს დაიბადება?! სამწუხაროდ, ამ კანონმა გაიმეორა წინა კანონის ყველა შეცდომა და მისი შესრულება რომ არ არის გათვალისწინებული, ჩანს იქიდანაც, რომ 2016 წლის ბიუჯეტში ამ კანონით გათვალისწინებული პროგრამებისთვის არც ერთი თეთრი არ არის განსაზღვრული. და არც ის ვიცი, ტექნიკურად როგორ შესრულდება ის დისკრიმინაციული მიდგომა, რომ ადამიანმა 9 თვე არ უნდა დატოვოს მთა. ეს არის ცუდი კანონი და მასზე სასწრაფოდ უარია სათქმელი. იყო ამ კანონის პირველი ნორმალური ვარიანტი, მაგრამ გზადაგზა შეიცვალა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

**ნინო ხაჩიძე**

**უკვე დიდი ხანია, ელენე თევდორაძე პოლიტიკას ჩამოსცილდა, თუმცა ის წლები, როცა პროცესების ეპიცენტრში იყო, დღემდე ნოსტალგიას იწვევს მასში. დღეს პენსიონერის მშვიდი ცხოვრება აქვს, თუმცა დროდადრო, როცა საქმე ადამიანის, პატიმრების უფლებებს ეხება, „ავიწყდება" რომ პენსიაზეა და ვერც ემოციებს მალავს და არც ხმაურიან სკანდალზე საუბარს არიდებს თავს.**

# ვინ სთხოვდა ქათმისგან უფლებების დაცვას ელენე თევდორაძეს და რატომ დანიშნა მან შვილიშვილის ქორწილში თამადად პატიმარი

**ელენე თევდორაძე:** რაც პოლიტიკას ჩამოვშორდი, მშვიდი ცხოვრება მაქვს. ახლა ვარ პენსიონერი და ვცხოვრობ როგორც ყველა პენსიონერი, ოდნავ მათზე უკეთესად, რადგან მაქვს სადეპუტატო პენსია – 560 ლარი. ახლა აქტიური ვარ ოჯახში, მყავს ოთხი არაჩვეულებრივი შვილთაშვილი. სამწუხაროდ, ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, ისე გაიზარდნენ ჩემი შვილიშვილები, მათთვის დრო არასდროს მქონდა. ახლა ამ დანაკლისს ვინაზღაურებ – ყველაზე დიდ დროს ჩემს პატარებთან ვატარებ. ამის გამო, პენსიონერობას თავისი დადებითი მხარეებიც ჰქონია, თუმცა თავიდან, როცა აქტიურ ცხოვრებას ჩამოვშორდი, ძალიან გამიჭირდა. უსაქმურობა ძნელი იყო. ადამიანი, ალბათ, ყველაფერს ეჩვევა და მეც შევეჩვიე. მთელი ყურადღება გადავიტანე ჯანმრთელობაზე, რისთვისაც ადრე ვერ ვიცლიდი, თუმცა არც იყო ამის საჭიროება – ახლა ჯანმრთელობამაც მიმტყუნა და მიღალატა, თუმცა თავს უკვე უკეთესად ვგრძნობ. ის მოვიმკე, რაც დავთესე ***(იცინის)***. როცა საკუთარ თავთან ერთი ერთზე რჩები, ყველაფერს სხვანაირად უყურებ. მარტო მე არ ვარ ასე, ყველა ჩემნაირად განიცდის აქტიური ცხოვრების ჩამოშორებას – როცა იღვიძებ და არსად არ ხარ წასასვლელი, მაშინ იწყებ იმაზე ფიქრს, რომ შენი საქმიანობა არავის აღარ სჭირდება. აი, ეს იყო ყველაზე ძნელი მისაჩვევი და მტკივნეული.

**– გავლენა, ძალაუფლება – ხელისუფლების სხვა „ხიბლების" დაკარგვა არ იყო რთული?**

– იმის მიუხედავად, რომ დიდხანს ვიყავი ჩართული პოლიტიკაში, ვერ ვიტყვი, რომ გავლენიანი ვიყავი, ან ძალაუფლება მქონდა. მე ვფიქრობდი, რომ ვჭირდებოდი ადამიანებს, როგორც მათი უფლებების დამცველი. გავლენაზე მეტად, მე მქონდა დამხმარე ადამიანის პოზიცია და ასე იყო ბოლომდე. როცა მე თამაშგარე მდგომარეობაში დავრჩი, გარკვეული პერიოდი, არც გაზეთებს ვკითხულობდი, არც ტელევიზორს ვუყურებდი. ჩავთვალე, საჭირო იყო, ცოტა ხანს გავცლოდი იმ ყველაფერს, რაც უკან მაბრუნებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, როცა გავდიოდი ქუჩაში, ვხვდებოდი ადამიანებს, ისინი მაშინვე მაბრუნებდნენ წარსულში. მისვამდნენ შეკითხვებს, იწყებდნენ საუბარს. ბევრმა არც იცოდა, რომ მე აღარ ვიყავი ჩართული იმ პროცესებში. ეს ერთი მხრივ სასიამოვნოც იყო და ახლაც კი, როცა ვინმე უცნობი მაჩერებს ქუჩაში და თბილ სიტყვებს მეუბნება, ან ადამიანის უფლებებზე მიწყებს საუბარს, მიხარია, რომ მათ მეხსიერებას აქამდე შემოვრჩი. ეს დიდი „სიმდიდრეა". როგორი პერიოდიც არ უნდა იყოს, პოლიტიკაში ყოფნა ძნელია. მე, მით უმეტეს – რთულ დროს მომიხდა პოლიტიკის კეთება – ჯერ იყო ედუარდ შევარდნაძის პერიოდი, როდესაც ჩვენ დავიწყეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, ბევრი ბარიერი იყო გადასალახი. მერე იყო ზურაბ ჟვანია, მის მიმართ დღემდე დიდი მადლიერების გრძნობა მაქვს. მან იმ დროს ჩემთვის რთული სფერო მანდო, მაშინ ბევრს საერთოდ არ ესმოდა, რას ნიშნავდა ადამიანის, მით უფრო, პატიმრის უფლებები. მე ძალიან დამეხმარა ის, რომ პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება მქონდა. ბავშვებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან ურთიერთობამ ბევრი რამ მომცა, რაც მერე ძალიან გამომადგა. ზურა ხშირად მეუბნებოდა, ისეთ საინტერესო გზას გადიხარ, მემუარების წერა დაიწყეო. თუმცა, ამისთვის მე ვერ მოვიცალე

**– ცოტა ხნის წინ ხმაურიან სკანდალში გაეხვივნენ თქვენი „მემკვიდრეები" – ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი და შეწყალების კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი. როგორია ამ თემასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია?**



ერთხელ დამირეკეს – პარლამენტში ბატკანი მოგიყვანეთ, მაგრამ ბატკანზე საშვს არ მიწერენო

– ამ სკანდალის გამო ძალიან განვიცადე, მწყინს, რომ ასეთ ამბავში გახვიეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი. მე ეკა ბესელიას ვიცნობ იმ წლებიდან, როცა ადვოკატი იყო და მინდა გითხრათ, რომ ის არაერთხელ უსასყიდლოდ დახმარებია პატიმართა ოჯახის წევრებს, რომელთაც ადვოკატის აყვანის საშუალება არ ჰქონდათ. ასეთ დროს ეკას ვურეკავდი და მახსოვს, ასეთი ეკა ბესელია. სამწუხაროა, რომ ახლა მისი „დაცვა" მიწევს ძალიან ბევრ ადამიანთან. მე ვერ დავიჯერებ, რომ ეკა ბესელიამ ხელები გაისვარა და ამაში იმ ხალხსაც ვარწმუნებ, ვისაც ეს სჯერა. რაც შეეხება ალეკო ელისაშვილს, როდესაც ის შეწყალების კომისიის ხელმძღვანელი გახდა, მოვიდა ჩემთან. მე მას გადავაბარე საქმეები, ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ. იქამდე მას არ ვიცნობდი, ტელეკომპანია „კავკასიაზე" ვუყურებდი, როგორც ჟურნალისტს. მერე, როდესაც ის შეწყალების კომისიის ხელმძღვანელი იყო, ტელევიზიით გამოვიდა და რეპლიკა თქვა ჩემზე, რომ მე მანქანა მემსახურებოდა. მეწყინა მისი ეს ნათქვამი. სულ ციხე-ციხე დავდიოდი და ერთი მანქანა არ დავიმსახურე? ახლაც ამ სიტუაციაში, ვფიქრობ, ცუდად მოიქცა. თუ ერთი წელი ასეთი რამ იცოდა, აქამდე ვერ მიიღო ზომები? მე სულ ვაწუხებდი პროკურატურას. იყო დრო, პროკურატურაში ტანკივით შევდიოდი. 18 წელი ვიყავი შეწყალების კომისიაში და აქედან ათი წელი – თავმჯდომარე. დაჟინებული ზარიც ბევრი იყო, თხოვნაც, მესიჯიც, მაგრამ ყველაფერზე, რაც უკანონოდ მეჩვენებოდა, მაშინვე შესაბამის ორგანოებს ვაყენებდი საქმის კურსში ყვირილისა და აურზაურის გარეშე. სწორედ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ მე ბოლო პერიოდში ძალიან გამირთულდა ურთიერთობები ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებთან. ისინი პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ მე მათთვის მისაღები არ ვიყავი. რას ვისმენდი და ვითმენდი, ახლა იმის გამეორებაც არ მინდა. ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ მუშაობა ძალიან გამიჭირდა. ზურა ადეიშვილი არც კი პასუხობდა ჩემს ზარებს, საშვს არ უშვებდა, რომ მასთან შევსულიყავი. მე ვგრძნობდი, რომ ველარ ვაკეთებდი იმას, რაც ჩემი გასაკეთებელი იყო. ამიტომაც, ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე განვაცხადე, რომ პოლიტიკიდან გავდიოდი.

**– ხმები, რომ პატიმრებით ფული „კეთდებოდა" და თავისუფლების სანაცვლოდ, გარკვეული თანხები იყო გადასახდელი, თქვენ დროსაც ხშირად ისმოდა.**

– ვიცი, გამიგია, თუმცა, მერე დრო აჩვენებდა, რომ ამ ხმებს საფუძველი არ ჰქონდა. თვითონ პატიმრებიც კი მირეკავდნენ ციხიდან და მეუბნებოდნენ: ქალბატონო ელენე, ვიღაც მოვიდა ჩვენთან და თქვა, გათავისუფლებისთვის ფულია საჭიროო. ეს ინფორმაცია მოდიოდა ჩემთან პატიმრების ოჯახის წევრებისგანაც. მე ამ ხმებს ყურადღებას არ ვაქცევდი. მიმაჩნდა, რომ ჩემი საქმე უნდა მეკეთებინა. ჭუჭყი კი, რომელიც გესროლეს, თავისით გაივლის, თუ შენ მართალი ხარ. ამიტომაც არის, რომ დღეს ყოფილ პატიმრებთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მაგალითად, ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი ჩემი შვილიშვილის ქორწილში თამადაც კი იყო.

**– ამბობენ, რომ ერთხელ ბატკანი მოგიყვანეს პარლამენტში მადლიერების ნიშნად. ეს ისტორია გახსოვთ?**

– კარგად მახსოვს. ამას რა დამავიწყებს? სამწუხაროდ, იმ ბატკანზე საშვი არ დაუშვეს და ვერ „შევხვდი" ***(იცინის)***. ერთხელ ერთ აზერბაიჯანელ პატიმარს დავეხმარე. მამამისი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მისი შვილი საავადმყოფოში არ გადაჰყავდათ იმის მიუხედავად, რომ ცუდად იყო. მე მაშინვე დავრეკე სადაც იყო საჭირო და ის პატიმარი ერთ საათში გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. ამ ამბიდან რამდენიმე დღე იყო გასული, პარლამენტში ამ პატიმრის ბიძა მოვიდა და ქვემოდან მირეკავს: ქალბატონო ელენე, მოვედი, ბატკანი მოგიყვანეთ. მე კი ამოვალ, მაგრამ ბატკანზე საშვს არ მიწერენო ***(იცინის)***. ასეთი უცნაურობებიც ხშირი იყო. კარგად მახსოვს, ერთი ქალი დაჟინებით მთხოვდა, მისი უფლებების დაცვას მეზობლის მამლისგან, რომელიც ყოველ დილით ადრე აღვიძებდა. ის ქალბატონი პენსიონერი იყო და ძალიან დარდობდა, რომ მის, პენსიონერის უფლებებზე არავინ ზრუნავდა. რა უნდა მექნა? იმ ქალს პასუხიც ვერ მივწერე. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ მომწერა, რომ იმ მამალს თავი მოწყვიტა. აი, მერე კი მივწერე, რომ მისი საქციელი დანაშაული იყო.

**– თქვენს სამეზობლოში როგორაა მამლების საქმე?**

– კარგად. მე არ ვარ ჭირვეული პენსიონერი, არც კატები მაწუხებს, არც ძაღლები და არც მამლები. მათი ყეფა და გნიასი ჩემზე არ მოქმედებს ***(იცინის)***.

**თამუნა ნიჟარაძე**

**რამდენიმე დღის წინ ბაკურიანში ტრაგიკულად დაიღუპა 28 წლის სნოუბორდისტი ნუგზარ დიაკონაშვილი. უბედური შემთხვევა კოხტაგორასა და დიდველს შორის მოხდა. ახალგაზრდა სნოუბორდისტის სიცოცხლე მთიდან მოულოდნელად წამოსულმა ზვავმა იმსხვერპლა. დიაკონაშვილი 2015 წელს საქართველოს სნოუბორდკროსის ჩემპიონი გახდა და 2018 წლის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა, რომელზეც საქართველო უნდა წარედგინა.**

# რა ვითარებაში დაიღუპა 28 წლის სნოუბორდისტი ნუგზარ დიაკონაშვილი და რა ტრაგედიას ემსხვერპლა მისი ბიძა იმავე ასაკში

**მიხეილ თასოშვილი** *(სნოუბორდისტი):* ნუგო რამდენიმე მეგობრთან ერთად სრიალებდა. ისეთ მთაზე ავიდა, სადაც საბაგირო არ მიდის. ფეხით იყვნენ ასულები და იქიდან ქვემოთ სნოუბორდით უნდა დაშვებულიყვნენ, ანუ ექსტრემალური პირობები იყო. ეს ყველაფერი ძალიან ძლიერი ქარისა და ცუდი ამინდის თანხლებით ხდებოდა. ნუგზარს სნოუბორდი გაუვარდა და იმ მხარეს დაუსრიალდა, საითაც თვითონ უნდა დასრიალებულიყვნენ. მან მეგობრები ჩასასვლელად სხვა მხრიდან გაუშვა, თვითონ კი სნოუბორდის ამოსატანად ხევში ჩავიდა, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა. ერთ მხარეს დიდი რაოდენობით თოვლი იყო მოგროვებული, მეორე მხარეს კი თოვლი თითქმის არ იყო, რადგან ქარმა ის ცალ მხარეს მიახვეტა. როცა სნოუბორდი აიღო და მობრუნდა, ზუსტად მაშინ, ხევის მეორე მხრიდან, სადაც თოვლი იყო დაგროვებული, ქარის ზემოქმედებით ზვავი წამოვიდა და ნუგზარი უკანა მხრიდან მთლიანად დაფარა, თუმცა ეს მისმა მეგობრებმა ველარ გაიგეს, რადგან ამასობაში ისინი ჩამოვიდნენ და მას ელოდნენ. რომ არ გამოჩნდა, იფიქრეს, ნუგზარი უკვე წავიდა და, ალბათ, ქვემოთააო. როცა ნახეს, უკვე გვიან იყო.

ეს სპორტი ძალიან ექსტრემალურია და, სახიფათო მდგომარეობა, როგორიცაა კლდეებიდან გადახტომა, პატარ-პატარა ზვავები და სხვა, აქამეც გვქონია მეც და ნუგზარსაც, მაგრამ ყველგან კარგად დაგვისრულებია. სამწუხაროდ, ეს შემთხვევა ნუგზარისთვის ფატალური აღმოჩნდა.

სნოუბორდი ზუსტად ახლა იყო განვითარების პიკში. წინა წელს საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა კროსში, რომელშიც ნუგზარმა გაიმარჯვა. ის, ასევე, ნამყოფი იყო საფრანგეთში, ავსტრიასა და ჩეხეთში სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაზე. საქართველოს მასშტაბით, რა თქმა უნდა, ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობდა. მე მასზე ასაკით ცოტა პატარა ვარ და, ფაქტობრივად, მან გამზარდა, ამ სპორტის შესახებაც ყველაფერი მან მასწავლა. ერთად 12 წელი ვსრიალებდით. მისი ცხოვრების მთავარი აზრი და მიზანი სნოუბორდი იყო. 2018 წლის ოლიმპიადას ელოდა, მასში მონაწილეობის მიღებას აპირებდა და ამისთვის ემზადებოდა. სული და გული სნოუბორდში ჰქონდა ჩადებული.



„მეუბნებოდა, თუ გინდა, ისწავლო, პირდაპირ ციცაბოდან უნდა დაეშვაო“

ნუგოსნაირი ადამიანი არ შემხვედრია. იმიტომ არ ვამბობ, რომ გარდაიცვალა, მართლა უკეთილშობილესი, უპატიოსნესი და ზრდილობიანი ადამიანი იყო, ხანდახან იმდენად, რომ ვსაყვედურობდი კიდეც.



„მხოლოდ გაყინული ცრემლებილა დავინახე მის სახეზე“

**ლაშა ხაჩიძე** *(მაშველი):* ზარი შემოვიდა, ნუგო ზვავში მოყვაო და იმწუთას მთელი სამაშველო გავედით, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან მისი პოვნა სამი საათის შემდეგ მოხერხდა. ზვავში მოყოლილმა ადამიანმა მაქსიმუმ 15 წუთი შეიძლება იცოცხლოს. უკვე გარდაცვლილიყო, მხოლოდ გაყინული ცრემლებილა დავინახე მის სახეზე. მისი თანამგზავრებიც ძალიან დაბნეულები იყვნენ – ვერ გაეგოთ, ნუგზარი ზვავში მოყვა თუ ფეხით გაასწრო მათ. ძალიან კარგად ვიცნობდი და ვმეგობრობდით. ახლა მისი ყოველი სიტყვა და ქმედება თვალწინ მიდგება და ძალიან მიჭირს საუბარი. არც ვიცი, რა უნდა ვთქვა.

**ოთარ იაშვილი** *(სნოუბორდისტი):* მეტსახელად „ნინძას" ეძახდნენ – ეს მისი საყვარელი სიტყვა იყო. ყოველთვის, როცა ვინმეს დაურეკავდა, მისი პირველი სიტყვები იყო: „ნინძა, წამო სასრიალოდ." ძირითადად სულ გაუკვალავში და ექსტრემალურ გარემოში ვსრიალებდით. ახლაც, ეს უბედური შემთხვევა გაუკვალავში მოხდა, ტრასაზე არ ყოფილა. ყველაზე მაღალ მთაზე ავდიოდით და იქიდან ვეშვებოდით. ყოველთვის ისეთ ადგილებს ვეძებდით, სადაც ყველაზე მეტი თოვლი იყო. საფრთხე და მცირე ტრავმები ხშირად იყო, მაგრამ ტრაგიკული შემთხვევა აქამდე არ მომხდარა. ნუგზარი ჩემი ნაცნობებიდან საუკეთესო იყო, ყველაზე უფროსი და დაკვირვებული. ის გვხელმძღვანელობდა და გვარიგებდა ხოლმე, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. ძირითადად ბაკურიანში ცხოვრობდა, სადაც თავისი სპორტსკოლა ჰქონდა და ახალ თაობას ასწავლიდა. მთელი წელი დაგეგმილი გვქონდა, ბაკურიანში კოხტაგორაზე უნდა გვესრიალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ამბავი ველარ გამოვა. ძირითადად, ყველა მთაზეა შესაძლებელი პროგნოზირება, მაგრამ ის ზუსტი არასდროსაა ხოლმე.

**სალომე ქუმარიტაშვილი** *(მეგობარი):* „ნინძა“ ზუსტად იმ საქმეს შეეწირა, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. ის ჩემთვის სამაგალითო ადამიანი იყო და ძალიან მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი. რამდენიმე დღის წინ ვნახე და მითხრა, ბაკურიანობას აუცილებლად უნდა გამოხვიდე, მეც დაგეხმარები და რაღაცეების კეთებას გასწავლიო. ყველასგან გამორჩეული იყო. ბიჭები ყვებოდნენ, შეჯიბრებისთვის რომ ვემზადებოდით, ისეთი ილეთები გააკეთა, რომლებიც არცერთმა არ ვიცოდითო. სულ რაღაც ილეთებს იგონებდა ხოლმე და თვითონვე აკეთებდა. ერთხელ მთაზე შევხვდით ერთმანეთს, მე ყურსასმენები მეკეთა და მითხრა: ესენი მოიხსენი, თოვლი უნდა იგრძნო და მისი ხმა უნდა გესმოდეს, მხოლოდ სიმაღლე ვერ მოგანიჭებს სიამოვნებასო. მას მერე ყურსასმენებით აღარ მისრიალია.

საოცარი ადამიანი იყო და ძალიან მტკივა გული, რომ ეს ტრაგედია მოხდა. დაქორწინებული არ ყოფილა, მშობლები, და და დისშვილი ჰყავდა. სიძე აგვისტოს ომში დაეღუპა. ძალიან უყვარდა პატარა დისშვილი და მასზე განსაკუთრებით ზრუნავდა, სულ ერთად ვხედავდი. კიდევ, ძაღლი ჰყავდა, რომელიც ასევე ძალიან უყვარდა და სულ მპირდებოდა, უნდა გაგაცნოო. ყოველდღე დილის 5 საათზე ასეირნებდა ხოლმე.

როგორც თქვეს, ბიძა ჰყოლია, მასაც ნუგზარი ერქვა და ისიც იმავე ასაკში დაღუპულა უბედური შემთხვევით – ავარიაში მოყოლილა.

**სალომე ქართველიშვილი** *(მეგობარი):* ბაკურიანში გავიცანი ძალიან დიდი ხნის წინ და მას შემდეგ ვმეგობრობდით. პირველად ნუგომ დამაყენა სნოუბორდზე და ეს სრულიად უანგაროდ გააკეთა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცნობდი კარგად, ერთ დღეს მოვიდა ჩემთან და მითხრა: არ მაინტერესებს არაფერი, ხვალ სნოუბორდით ამოხვალ მთაზე, სრიალი უნდა გასწავლოო და ასეც მოვიქეცი. პირველივე გაკვეთილზე პირდაპირ კოხტის წვერში ამიყვანა და გაოგნებული დავრჩი, ძალიან შემეშინდა, თვითონ კი ძალიან იხალისა. თუ გინდა, ისწავლო, პირდაპირ ციცაბოდან უნდა დაეშვაო. მთელ დღეებს მითმობდა, რომ კარგად მესწავლა და ძალიან დავმეგობრდით. სასწაულად თბილი ადამიანი იყო, რომელიც სულ იღიმოდა. თან, საყვარელი მიმიკა ჰქონდა სიცილის დროს – აპრეხილი ცხვირი და დიდი, თეთრი კბილები, რომელიც არასდროს დამავიწყდება. თავისი საქმის პროფესიონალი იყო და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მთა გაწირავდა და სრიალს ემსხვერპლებოდა. როგორც კი თოვა იწყებოდა ბაკურიანში, ნუგო თვითონ ამზადებდა „ტრამპლინებს“ გაუკვალავში. მის ექსტრემს საზღვარი არ ჰქონდა.

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრე, ძალიან კარგ პროექტს ვგეგმავდით და, სამწუხაროდ, ასე ტრაგიკულად დასრულდა ჩვენი გეგმა. ვიზიარებ მთელი ბაკურიანის მწუხარებას და არა მხოლოდ ბაკურიანის, ნუგო მთელმა საქართველომ დაკარგა.

**ქეთი მოდებაძე**

**1-2 იანვარს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ, როგორც ამ დღეებს შევხვდებით, ისეთი წელი დაგვებედება, ანუ ისეთი იქნება ჩვენთვის მთელი წელიწადიო. ხშირად იმისიც გვჯერა, რომ დაბადებისთანავე იწერება ჩვენი ბედი და ბევრი რამ სწორედ ბედისწერაზეა დამოკიდებული. როგორია ამ ყველაფრის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი):**

# როგორ უნდა გამოასწოროს ადამიანმა წინაპრების მიერ ცოდვებით დაზიანებული გენეტიკა და რატომ არ უნდა ცხოვრობდეს ის მთელი წელი ბედობისა და ბედისწერის იმედად

– რა თქმა უნდა, ადამიანის ბედი წინასწარ არ არის განსაზღვრული. რატომ? იმიტომ, რომ ის არის ხატება და მსგავსება ღვთისა. თავად ღმერთს გააჩნია აბსოლუტური თავისუფლება და, რადგან ადამიანი ხატება და მსგავსებაა, ამიტომ მას მადლით თავისუფალი ნება აქვს მიმადლებული. მთავარია, გავარკვიოთ, რას გულისხმობს ადამიანი, როდესაც ახსენებს ბედისწერას. მინდა შეგახსენოთ სამი მდგომარეობა, რომელიც ღმერთმა ადამიანზე დაუშვა, ეს არის: 1. უფლის ნება, 2. უფლის დაშვება, 3. უფლის განგებულება. უფალმა თავისი ნება პირველად აბრაამს გამოუცხადა – ჩემი ნებაა, შემომწირო შენი შვილი. აბრაამი უსიტყვოდ ემორჩილება უფალს და გადაწყვეტს შვილის შეწირვას. ღმერთი მას ამის კეთებას არ ავალდებულებს, უბრალოდ, უცხადებს თავის ნებას. შესაბამისად, აბრაამს შეეძლო, არ შეეწირა თავისი შვილი. როგორც კი ის დაემორჩილება უფლის ნებას, ღმერთი მას ეუბნება: აღარ არის საჭირო, დღეიდან შენ ჩემი მეგობარი გეწოდება; მეორე – ეს არის მრავალტანჯული იობის ცხოვრება. ყველამ უნდა იცოდეს, რამდენი რამ დაუშვა მასზე უფალმა. მან ყველაფერი დაკარგა, რაც კი გააჩნდა, საკუთარი სულის გარდა. მასთან მიდიან მეგობრები საყვედურით: სად არის ღმერთი, რატომ დაუშვა მან შენზე ეს ყველაფერი? როგორი უბედური ხარ... – როგორც დღეს ხდება ხოლმე. იობი კი პასუხობს მათ: შიშველი მოვედი ამქვეყნად და შიშველი გავალ. ანუ იობმა იცოდა, რომ ეს იყო უფლის დაშვება და უნდა გამოცდილიყო მისი ცხოვრება ღვთის წინაშე. ღმერთმა ადამიანებს დაანახვა, რომ იობს, ანუ ადამიანს, შეუძლია, ღმერთი ადიდოს განსაცდელების ჟამსაც, მაშინ როცა ყველაფერს დაკარგავს და, შეუძლია, ეს ყველაფერი სასოებით, სიყვარულით, თავმდაბლობით გადაიტანოს, ისევე, როგორც ეს იობმა გააკეთა და ღმერთმა მას ყველაფერი დაუბრუნა; და, მესამე – ღვთის განგებულება. იოსების გაყიდვა ძმების მიერ ეგვიპტეში – ეს არის უფლის განგებულება, რომ იოსები ჩავიდეს ეგვპიტეში და იქ გადაიქცეს დიდ კაცად. ჩვენ ხშირად გვერევა ბედისწერა უფლის ნებაში, განგებულებაში. იოსებს შეეძლო, იქიდან წამოსულიყო, მაგრამ არ წამოვიდა, გონიერება გამოიჩინა, ემსახურა ფარაონს და დიდი კაცი გახდა. ეს არ ყოფილა ბედისწერა, ეს იყო უფლის განგებულება, დაშვება, რაც იოსებმა კარგად დაინახა. ანუ, ადამიანი უნდა მიხვდეს, როდის არის მასზე უფლის ნება, დაშვება და განგებულება.

**– ამის მიხვედრა არ არის ადვილი. ადამიანები წლების განმავლობაში ეკლესიურად ცხოვრობენ, მაგრამ მაინც ვერ ხვდებიან, რა არის უფლის ნება, დაშვება თუ განგებულება.**

– საჭიროა საეკლესიო სწავლების ცოდნა და წმიდა წერილის გააზრება. როცა ადამიანმა იცის იობისა და აბრაამის ცხოვრება, ღმერთის არსებობა, მან უნდა იცოდეს, რომ ღმერთი მასზე არ დაუშვებს ისეთ რამეს, რაც მას დაღუპავს, გაანადგურებს. ღმერთისგან კარგი მოდის, ყველაფერი ჩვენი სიკეთისთვის, ცხონებისთვისაა და, ვინც ეს დაინახა, ის ცხონდა. მაგრამ ის, ვინც ეურჩება, არ სურს დაინახოს საკუთარ თავზე ღმერთის ნება, განგებულება, დაშვება, ის ავტომატურად ეშმაკის ზეგავლენის ქვეშ ექცევა და ეშმაკი მას მცდარი სწავლებით აბრკოლებს, ანადგურებს მის თავისუფალ ნებას. ხშირად ადამიანი აცხადებს: მე თავისუფალი ვარ, არ მჭირდება არავის მონება! – და ამ დროს ეშმაკის მონებაში ხვდება. შემდეგ კი, თავისი და ეშმაკის ნებით, ცოდვაში ვარდება, მრავალ უმსგავსობას აღასრულებს. მერე, როცა თავის უმსგავსობას ხედავს, ამბობს: უბედური ვარ, ღმერთმა დამაწერა, ეს არის ჩემი ბედისწერაო. რა თქმა უნდა, ეს უმეცრებაა.



ჩვენ დაზიანებული ბუნება გვაქვს, ჩვენი სული სხვა რამეს მოითხოვს, გონება – სხვას, ხოლო სხეული – კიდევ სხვას. ეს ყველაფერი უნდა გამთლიანდეს იესო ქრისტეში

**– ახალი წლის დღეებში განსაკუთრებით სჯერათ იმის, რომ, როგორც ამ დღეებში იცხოვრებენ, ისე გაატარებენ მთელ წელიწადს და დაებედებათ ის, რაც ახალი წლის დღეებში დაიბედეს.**

– უნდა იცოდეთ ეკლესიის სწავლება იმის შესახებ, რომ არ არსებობს არანაირი ბედობა. თუ ვინმე აღიარებს ბედისწერას, ის ქრისტიანი არ არის – ეს შემიძლია ხაზგასმით აღვნიშნო. დღეს ზოგიერთი ამბობს, რომ ძველი ეკლესია აღიარებდა ბედისწერის არსებობას, თანამედროვე ეკლესია კი უარყოფს ამასო. ეს მტკნარი სიცრუეა. ვინც აღიარებს ბედისწერას, მას ზოგჯერ სახარებიდან მოაქვს მაგალითად: თქვენს თავზე თმებიც კი დათვლილია, ერთი ღერიც არ ჩამოვრდება ღმერთის ნების გარეშეო. ამაში იგულისხმება არა ბედისწერა, არამედ ის, რომ ღვთის განგებულების გარეშე არაფერი ხდება. ღმერთმა იცოდა, რომ ადამი აკრძალულ ნაყოფს მოწყვეტდა, მაგრამ არ ერევა მის ცხოვრებაში, მის გადაწყვეტილებაში. თუმცა, არავის ეგონოს, რომ ადამიანი, მორწმუნეა ის თუ ურწმუნო, გამოდის ღვთის განგებულებიდან. ის ღვთის ნებას ემორჩილება, მაგრამ ღვთის განგებულებიდან ვერ გამოვა. დღეს თუ ის ცოდვას სჩადის, მომავალში ღმერთი მის ქმედებას სიკეთეს მოუძებნის, ადამიანის უგუნურებას მაინც დადებითად გარდაქმნის. თუ ვინმეს სჯერა, რომ ადამიანი დაიბადა მეძავი ან მკვლელი, ანუ, თუ ღმერთმა მას თავიდანვე დაუდგინა, რომ ის მკვლელი ან მეძავი უნდა ყოფილიყო, მაშინ, გამოდის, რომ ღმერთი ბოროტი არსება ყოფილა. ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, თუ ღმერთმა დაწერა ასე, მაშინ მე ასეთი ღმერთი არ მწამს! რა თქმა უნდა, ასეთი ღმერთი არ არსებობს. ღმერთი არავის აწერს შუბლზე, რომ ის იყოს ასეთი სასტიკი, ცუდი, ბოროტი, შურიანი, კაცის მკვლელი. მაგრამ არსებობს გენეტიკური კოდი, გენეტიკა შთამომავლობით. უნდა ვიცოდეთ, რითაა ჩვენი გენეტიკა დაზიანებული, რადგან, ყველა ცოდვა, რომელსაც ჩვენ ჩავდივართ, არის ინიექცია ჩვენს გენეტიკაში. ქრისტიანობას კი შეუძლია, გენეტიკაში ჩადებული კოდი შეცვალოს.

**– ეს როგორ უნდა გააკეთოს ადამიანმა?**

– თუ ადამიანი იყო მკვლელი ან მემრუშე, შეგიძლია, მას აუხსნა, რომ მისი გვარი ამის გამო დაისაჯა, მას კი შეუძლია, თავისი გენეტიკა გამოასწოროს, შეცვალოს, შანსი მისცეს საკუთარ თავსა და შთამომავლობას. ამიტომ, ჩვენი მოვალეობაა, შევისწავლოთ ჩვენი გენეტიკა და იმ ტყემლით აღარ მოვიჭრათ კბილები, რომლითაც ჩვენმა პაპამ მოიჭრა. უნდა ვებრძოლოთ ჩვენს ვნებებს, რომლებიც წინაპრებისგან მივიღეთ. თუ გინდა, შენი ბედი, შენი კარმა გაწმენდილი იყოს, განიწმიდე სული მარხვით, ლოცვით და მერე შენი გენეტიკაც კეთილშობილი გახდება. გენეტიკაში არსებულ ცოდვებსა და ვნებებს თუ შევცვლით, მთელი კაცობრიობა განილმრთობა. ქრისტიანობა კი სხვა არაფერია, თუ არა განღმრთობა. ადამიანმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება: ან – ჰო, ან – არა. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს კარგია – ჰო; ეს ცუდია, ცოდვაა და – არა; ასე უნდა ვიყოთ მთელი ცხოვრება. სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი უნდა გაგვაჩნდეს. იოანეს გამოცხადებაში წერია: „შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი, ნელთბილი ხარ და ამოგანთხევ ჩემი პირიდან". ანუ, ან მორწმუნე უნდა იყო, ან ურწმუნო; არ შეიძლება, ხან მორწმუნე იყო და ხან ურწმუნო; ხან ლოცულობდე და ხან – არა; ხან მარხვას ინახავდე და ხან – არა. ვინც ხართ, ის იყავით ბოლომდე, ოღონდ განღმრთობილები ქრისტესთან ერთად, რომ თქვენში იშვას იესო ქრისტე. ჩვენ დაზიანებული ბუნება გვაქვს, ჩვენი სული სხვა რამეს მოითხოვს, გონება – სხვა რამეს, ხოლო სხეული – სხვა რამეს. ეს ყველაფერი უნდა გამთლიანდეს იესო ქრისტეში და ჩვენს გულში უნდა იშვას განკაცებული იესო ქრისტე. ადამიანის გონება თუ არ განახლდა ქრისტეში, ის დაშრება და უკვე ცხოველს მიემსგავსება. ამიტომ, ჩვენი გონება, ჩვენი სული, მარხვიდან მარხვაში, რწმენიდან რწმენაში გადადის და, ყოველი შობა და აღდგომა უნდა იყოს ჩვენი გონების განახლება, წინსვლა და უფალთან დაახლოება.

**ნათია უტიაშვილი**

# სქემმონაზონ ვასიანის აღსრულებული სასწაული

„მე, ქალაქ ალატირის პოლიციის ზედამხედველი, ვადასტურებ, რომ მეშჩანი პეტრე ევდოკიმოვ-მალიგინი დაავადებული იყო ბნედით (ეპილეფსია) და გარდა ამისა, სხეულის სხვადასხვა ნაწილსა და თავზე ჰქონდა დარტყმისგან, დაცემისაგან მიყენებული ჭრილობები. პოლიციის ზედამხედველი იასნიცკი“. კიდევ ერთი საბუთი: „ქ. ალატირის მეშჩანი პეტრე ევდოკიმოვ-მალიგინი მომმართავდა ხოლმე სამედიცინო დახმარებისათვის. ექიმი ი. ბოლდირევი“.

ეს საბუთები, მას შემდეგ იქნა წარდგენილი, რაც ხსენებული მეშჩანი მალიგინი სრულიად ჯანმრთელი წარუდგა თანამემამულეებს. მხოლოდ უმნიშვნელო ნაკვალევი დაეტოვებინა სახეზე ავადმყოფობას, რომელიც 30 წელი სტანჯავდა მას.

პეტრე მალიგინი 23 წლისა დაქორწინდა. იმავე წელს, ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად სტუმრად რომ იმყოფებოდა ნათესავებთან დღეობაზე, გადაღლილობის გამო თავბრუ დაეხვა, დაეწყო გულისრევა და წავიდა სახლში. როდესაც ცოლმა ქმარი მოისაკლისა, ისიც სახლისკენ გაეშურა. ოთახში შესვლისას კი დაინახა, იატაკზე გაწოლილი ქმარი, რომელიც მთელი სხეულით კანკალებდა და პირიდან დუჟი გადმოსდიოდა. ამის შემდეგ პეტრე მალიგინს ბნედის შეტევები გაუხშირდა. დავარდნისას უზიანდებოდა თავი, ფეხები, ხელები... უჩნდებოდა ღრმა იარები. შედეგად, სხეული შეუშუპდა და ცოცხლად ლპობა დაიწყო.

ჩანს, ეშმაკი ჩაუსახლდა პეტრეს, რადგან ვიღაცას თავის შიგნით „ალექსეი პატრიკეევიჩის“ სახელით მოუხმობდა. არაერთხელ დამართნია მას სიგიჟე ქუჩაში. მაგალითად, მიდის მალიგინი ეკლესიის სიახლოვეს, ფიქრობს რაღაც ღვთიურზე, მაგრამ „ალექსეი პატრიკეევიჩი“ არ ასვენებს და აიძულებს, იცეკვოს მანამ, სანამ პეტრე მიწაზე არ დაეცემა. ხშირად გაუთოკია პოლიციას. მაგრამ ვერავითარი თოკი ვერ უძლებდა. წარმოუდგენელ ღონეს ავლენდა, თოკებს ისე წყვეტდა, როგორც ობობას ქსელს. რვა კაცსაც კი არ ძალუძდა მისი შეკავება.

მალიგინი ეკლესიაში არ დადიოდა, გარდა ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულისა. აი, მაშინ პეტრეს „ალექსეი პატრიკეევიჩისგან“ ასეთი სიტყვები ესმოდა: „აი, ახლა, მეგობარო პეტია, წადი ეკლესიაში. მე ვერაფრით შეგეწინააღმდეგები, რადგან მე თვითონ ვარ შებორკილი“.

არაერთ წელს იტანჯა ასე პეტრე. ფული ბლომად ჰქონდა და მის დიდ ნაწილს მკურნალობას ახმარდა, მაგრამ ვერცერთი ექიმი ვერ კურნავდა. და აი, ერთხელ, როდესაც ქუჩაში მიდიოდა, ავადმყოფს მოესმა: „პეტრე ზლობინსკი!“ – ასეთი მეტსახელი შეარქვეს მას ქალაქის მცხოვრებლებმა. მიუახლოვდა პეტრე მას და დაინახა უცნობი მამაკაცი – დაბალი, ჭაღარა, მონაზვნის გრძელ კაბაში შემოსილი. მონაზონმა მას ურჩია: „თუ გინდა, რომ ჯანმრთელი იყო, შეასრულე ის, რასაც მე გიბრძანებ. სამების მამათა მონასტერში არის გამოქვაბული, სადაც განისვენებს სქემმონაზონ ვასიანის ნეშტი და მისადმი ლოცვით, სულითა და სხეულით უძლურნი ღმერთისგან იღებენ კურნებას. შენც მიდი იქ, სამი პანაშვიდი გადაიხადე სქემმონაზონ ვასიანის სახელზე, ბოლოს კი სამადლობელი ლოცვა აღავლინე უფლისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი. და შენ სრულიად ჯანმრთელი შეიქნები“. თქვა თუ არა ეს, მონაზონი ჰაერში გაუჩინარდა. უკვე შემდეგ მალიგინი მიხვდა, რომ ეს თვითონ მამა ვასიანი იყო.

მალიგინმა ყველაფერი აღასრულა, რაც მოძღვარმა უბრძანა. პირველი პანაშვიდის დროს ავადმყოფი ხტუნავდა, „ალექსეი პატრიკეევიჩი“ კი უყვიროდა: „რატომ მაგდებ მე?“ მესამე პანაშვიდისა და სამადლობელი ლოცვის შემდეგ, მალიგინმა მაშინვე იგრძნო გამოჯანმრთელება.

ვინ იყო ის ბერი, რომლის ლოცვასაც მაცხოვრის წინაშე ასეთი დიდი ძალა ჰქონდა? მასზე ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. მაგრამ, მოღწეული გადმოცემების მიხედვით, ბერი ვასიანი ძალზე მკაცრ მოღვაწეობრივ ცხოვრებას ეწეოდა და ქალაქის მცხოვრებელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ბევრი მას წმიდა მოღვაწედ რაცხდა. ცხოვრობდა ის მეჩვიდმეტე საუკუნეში და იყო წმიდა სამების მონასტრის სქემმონაზონი, რომელიც ციმბირის გუბერნიის ქალაქ ალატირში მდებარეობდა. მისი გარდაცვალების თარიღიც უცნობია, რადგან მონასტრის არქივი ხანძარმა შთანთქა. 1748 წლის აგვისტოში, როდესაც ადგილს ასუფთავებდნენ, ამჟამად არსებული სამების ტაძრის ასაშენებლად, ნაპოვნი იქნა კუბო სქემმონაზონ ვასიანის წმიდა ნაწილებით. შემოწმებით დადგინდა, რომ თვით სხეული, ტანსაცმელი და კუბო დაუზიანებელი იყო. უკვე მაშინ, მეთვრამეტე ასწლეულში, ბერის წმიდა ნაწილებთან სასწაულებრივი განკურნებანი აღესრულებოდა. სასწაულები შემდეგ საუკუნეებშიც ხდებოდა. ბერისადმი ლოცვითი მიმართებების შედეგად, ავადმყოფები იკურნებოდნენ უსინათლობისგან, სიყრუისგან, რევმატიზმისგან, დამბლისგან, გულის მანკისგან, კუჭის კატარისგან, ხდებოდა იარებისა და წყლულების განკურნება. ყველა განკურნებული იყო ღრმად მორწმუნე, რამეთუ ურწმუნო ადამიანს ვერანაირი წმიდანი ვერ უშველის.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლოს ისტორია და ჩვენი გმირების სურათებს სალოცავ კუთხეში, ხატებთან ერთად ვინახავ. სწორად ვიქცევი თუ არა?**

**პასუხი**: ხატების კუთხე განკუთვნილია ხატების დასაბრძანებლად, მათთან ერთად გმირების სურათების მოთავსება და ისე ლოცვა არ არის მიზანშეწონილი. თქვენთვის სათაყვანებელი ადამიანების სურათები შეგიძლიათ მოათავსოთ სხვაგან, გამორჩეულ და საპატიო ადგილზე.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ნათლობის პირსახოცის გამოყენება, თუ, ხელუხლებლად უნდა შევინახოთ?**

**პასუხი**: როგორც წესი, ნათლობის პირსახოცს ხელუხლებლად ინახავენ, რადგან მასზე მირონია შეწმენდილი.



**კითხვა: სახარებაში წერია: „ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“ (მათე 5,28). რატომ არის თანაბარი ზრახვა და ქმედება?**

**პასუხი**: უფალი კრძალავს არა მარტო ბოროტ საქმეებს, არამედ სურვილებსაც და ზრახვებსაც. თუ სურვილები და ზრახვები ცოდვიანია, ისინი აუწმინდურებენ სულს. გარდა ამისა, ბოროტი ზრახვებისგან იშვება ქმედებები. ამიტომ არის აუცილებელი საკუთარ თავში ცოდვისკენ მიდრეკილი ზრახვებისა და სურვილების დათრგუნვა.

**კითხვა: ჩემი შვილი 18 იანვარს არის დაბადებული, როდესაც მძიმე მარხვა ემთხვევა. შეიძლება ამ დღეს დაბადების დღის აღნიშვნა?**

**პასუხი**: თუ აღნიშვნაში სუფრის გაშლას გულისხმობთ, უმჯობესია, ეს საქმე გადადოთ, მით უფრო, რომ საბაბიც გეძლევათ – მეორე დღეს ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულია.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ურჩობა საკუთარი თავის ღალატია, მონაზვნისთვის – თვითმკვლელობის მსგავსი ცოდვა

ერთმა მონაზონმა გვიამბო, რომ წლების განმავლობაში მღვიმეში ცხოვრობდა თავის მოძღვართან ერთად. ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ უბრძანა, რომ მისი სხეული იქვე დაემარხა და თავად დაუყოვნებლივ წასულიყო სოხუმში; თან, გზაც მიუთითა – შემოვლითი გზა, გრძელი და ძნელად სავალი. მოძღვრის დაკრძალვის შემდეგ მონაზონმა გადაწყვიტა, მოკლე და ნაცნობი გზა აერჩია, თავს იმით იმშვიდებდა, რომ განსვენებულს მისი სოხუმში ჩასვლა უნდოდა, ხოლო, რა გზით წავიდოდა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ სნეულ მოძღვარს სიკვდილის წინ, შესაძლოა, საერთოდ არეოდა გზები. ერთი სიტყვით, ის მოკლე გზით წავიდა.

ნათელი დილა იყო. უბედურებას თითქოს არაფერი აუწყებდა ადამიანს. მონაზონი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა და თან ლოცვას ამბობდა, მეუდაბნოე ცხოვრების დროს ჩვევად რომ ჰქცეოდა. უეცრად ქარი ამოვარდა, ზეცას ბინდი გადაეფარა და თოვლი წამოვიდა. დაბრუნებაც შეუძლებელი იყო უკვე და წინ წასვლაც, რადგან ბილიკი ნამქერს დაეფარა. დაღამდა. სიცივისგან გათოშილი მონაზონი შეჩერდა და კლდეს მიეყუდა. ის მიხვდა, რომ მორჩილება-ურჩობა მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცა და იგი მოძღვრის სიტყვის არად ჩაგდების გამო იღუპებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, განსვენებული ბერის მრავალწლიანი ღვაწლისა და ლოცვისთვის უფალმა შეიწყალა იგი – ცოცხალ-მკვდარი, გათოშილი მონაზონი შემთხვევით იპოვეს მგზავრებმა და ქალაქში წაიყვანეს. ამის შემდეგ იგი დიდხანს ავადმყოფობდა, ხშირად ყვებოდა, რაც შეემთხვა და ამბობდა, რომ ურჩობა საკუთარი თავის ღალატია, მონაზვნისთვის თვითმკვლელობის მსგავსი ცოდვააო.

***

მამა მერკური წერს ერთი ბერის შესახებ, რომელმაც განდეგილებისთვის შემოწირული ფულით სოხუმში სახლიც იყიდა და კიდეც ჩაეწერა მასში. მაგრამ მერკურიმ, ეტყობა, არ იცოდა, რომ იმ ბერის დაცემა სწორედ ურჩობამ განაპირობა. ურჩობა მან ჯერ კიდევ გლინის უდაბნოს არსებობის ბოლო წლებში დაიწყო და საშინელი დაცემით დაამთავრა. გლინის მონასტრის ყოფილმა მონაზონმა ჯვარი მოიხსნა, ერში დაბრუნდა და უსაშველოდ გალოთდა. როგორ წუხდა ამ ადამიანის გამო მამა სერაფიმე! როგორ ტიროდა ლოცვის დროს, უფალს საბრალო სული დასაღუპად რომ არ გაეწირა. მართლაც, დაცემული მონაზონი სიკვდილის წინ (სახელს არ ვიტყვი) თითქოს გამოფხიზლდა, გონს მოეგო, ღრმა სინანულით გამოიგლოვა ცოდვები, ჯვარი ისევ ჩამოიკიდა, ცოდვები სახალხოდ აღიარა და ზეთის კურთხევისა და ზიარების შემდეგ გარდაიცვალა.

მონაზონი მოძღვრის მორჩილი უნდა იყოს და თავისი ნება უარყოს. ღირსი ეფრემ ასური წერდა, რომ თავმდაბალი მონაზონი ისევე საშიშია ეშმაკებისთვის, როგორც ლომი – გარეული თხებისთვისო.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

**25 დეკემბერს GDS-ზე „გახდი ვარსკვლავის“ გამარჯვებული გამოვლინდა და ის 17 წლის ბექა ფიცხელაური გახდა. ბექა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია ეკონომიკის განხრით, თუმცა, ამ გამარჯვებამ მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. სექტემბერში ის ერთი წლით ლონდონში, მუსიკალური ცოდნის გასაღმავებლად გაემგზავრება და იმედი აქვს, იქაც თავის კვალს დატოვებს. ბექა ბერა ივანიშვილის ერთ-ერთი რჩეულია, რომელიც ამ კონკურსის ჟიურის წევრი იყო.**

# როგორ ამოატრიალა ერთმა დღემ ბექა ფიცხელაურის ცხოვრება და როდის გახდა ის ბერა ივანიშვილის ფავორიტი

**ბექა ფიცხელაური:** დაახლოებით 11 წლის ვიყავი, როცა გიტარა ვიყიდე. თავიდან სულ ორი სიმღერა ვიცოდი და ყველგან ვუკრავდი. შემდეგ გადავწყვიტე, ვოკალზე მემეცადინა და ერთ-ერთ მოსამზადებელ ცენტრში მივედი, სადაც დაახლოებით სამი თვე დავდიოდი. იქ ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი – ელენე კალანდაძე არის „გახდი ვარსკვლავის“ პროდიუსერი და კონკურსში მონაწილეობის მიღება სწორედ მან მთხოვა. მეც დავინტერესდი, რადგან ეს პრაქტიკა ჩემი მუსიკალური კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და დავთანხმდი. ქასთინგები წარმატებით გავიარე და იმ 26 ადამიანს შორის მოვხვდი, ვინც სცენაზე დადგა.

**– როგორი შეგრძნება გქონდა, პირველად რომ იმღერე ამხელა აუდიტორიის წინაშე?**

– ჩემს პირველ ნამღერს ტელევიზორში რომ ვუყურე, კოშმარი იყო. ყველაფერი მჭირდა, რაც შეიძლება, მომღერალს ცუდი დაემართოს – ვნერვიულობდი, დავიბენი და ტექსტი მავიწყდებოდა. შემდეგ ნელ-ნელა მომეხსნა მაყურებლის კომპლექსი, ნერვიულობაც გადავლახე და აშკარად, ზრდა დავიწყე. პირველი სამი-ოთხი „ლაივი“ ცუდი მომღერალი ვიყავი, მაგრამ შემდეგ, რაღაც გადატრიალება მოხდა *(იცინის)*, რომელმაც ყველა გააკვირვა. ალბათ, იმიტომ რომ, ბევრს ვმუშაობდი. ჟიურის შენიშვნები ჩემზე ცუდად არ მოქმედებდა, პირიქით, დიდ სტიმულს მაძლევდა. ზაკ რისმა სუპერფინალის დღეს მითხრა, რომ ყველაფერი გავითვალისწინე და მათ მოცემულ რჩევებს მილიონჯერ გავუსწარი.

**– ბერა როგორი იყო ჟიურის ამპლუაში?**

– მე მიყვარს სამართლიანი და ობიექტური ადამიანები. ჟიურის წევრს, უპირველესად, ეს თვისებები უნდა ჰქონდეს, რაც ჩემი აზრით, ბერას ნამდვილად ჰქონდა. ის გამოკვეთილად ობიექტურია და ნებისმიერ მომღერალს ზუსტად აფასებდა. კარგად მახსოვს მისი რჩევები და შენიშვნები. ამ პროექტში ჩემი გამარჯვება ბერას ობიექტურობის დამსახურებაცაა.

**– შენ მისი ერთ-ერთი რჩეული იყავი.**

– კი, იყო ასეთი კომენტარები. ყველაზე დასამახსოვრებელი ამ პროექტში ჩემთვის მისი შეფასება იყო. ყველაზე მეტად გამიხარდა, როცა მან ჩემს საფინალო ნომერზე თქვა, ასეთი შესრულება ამ კონკურსს არ ახსოვსო.

**– კადრს მიღმაც თუ გაძლევდა რჩევებს?**

– ბერა ძალიან კარგი და მეგობრული ადამიანია. იმის მიუხედავად, რომ ჟიურის წევრი იყო და ჩვენ უნდა შევეფასებინეთ, სცენის გარეთ, ყოველთვის ისე გვექცეოდა, თითქოს ჩვენი ტოლი და ჩვენი გამოცდილების იყო. ძალიან მეგობრულია და არ გვაგრძნობინებდა, რომ რამით ჩვენზე მაღლა იდგა. ამიტომ, მას ძალიან ვაფასებ. ჟიურის წევრის ამპლუაშიც ძალიან მომწონს და გამიხარდება, თუ სხვა პროექტებშიც იქნება.



**ბერამ მაღლა ასწია ხელები და თქვა: ეს ყველაფერი არ მესმის. ჩემთვის გაუგებარია, ეს ადამიანი ასეთი სიმღერების შემდეგ აუტსაიდერებში როგორ უნდა იყოსო**

**– როდის მიხვდი, რომ მისი ფავორიტი გახდი?**

– მერვე ლაივზე, როცა მეორე საკონკურსო სიმღერის შემდეგ, აუტსაიდერებში აღმოვჩნდი. ბერამ მაღლა ასწია ხელები და თქვა: ეს ყველაფერი არ მესმის. ჩემთვის გაუგებარია ეს ადამიანი ასეთი სიმღერების შემდეგ აუტსაიდერებში როგორ უნდა იყოსო. ზუსტად მაშინ მითხრა, შენ ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი ხარო.

**– მუსიკის გარდა, რით ხარ დაკავებული, რა ხდება შენს ცხოვრებაში?**

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ ეკონომიკის განხრით. ვაპირებდი, მთელი ჩემი ცხოვრება ამ სფეროში გამეტარებინა. მინდოდა, მაგისტრატურაში სწავლა უცხოეთში გამეგრძელებინა, მაგრამ ჩემი გეგმები რადიკალურად შეიცვალა. ერთმა დღემ ჩემი ცხოვრება მთლიანად ამოატრიალა და ყირაზე დააყენა *(იცინის)*. რა თქმა უნდა, ეს კარგი ცვლილებაა. ახლა ჩემთვის აღარც ეკონომიკა არსებობს და აღარც ჯავახიშვილი *(იცინის)*. დიდი შანსია, მთელი ჩემი მომავალი მუსიკაზე ავაგო, მაგრამ მინდა, თავი მაინც დავიზღვიო და ამიტომ, ეკონომისტის დიპლომი მაინც მინდა მქონდეს. შესაბამისად, სწავლას არავითარ შემთხვევაში არ დავანებებ თავს. სიმართლე გითხრათ, ეს პროფესიაც არანაკლებ მიყვარს. რადგან ლონდონის ერთწლიანი საგზური მოვიგე, აკადემიურს ავიღებ და სწავლას დაბრუნების შემდეგ გავაგრძელებ.

**– ლონდონში როდის მიემგზავრები?**

– სექტემბერში მივდივარ ერთი წლით. მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ახალგაზრდულ მუსიკალურ ინსტიტუტში ვისწავლი. რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, როცა 17 წლის ბავშვი ამას აღწევს?! ძალიან მიხარია. ჯერ კიდევ შოკში ვარ და რა ვთქვა, არ ვიცი... უცებ ძალიან დიდი ნახტომი გავაკეთე და ჩემი ცხოვრება ათი, ოცი ეტაპით წინ წავიდა. ლონდონი ჩემთვის წარმოუდგენელი სიამოვნებაა და ვნახოთ, რა იქნება. მინდა, იქ ისეთი კარიერა ავაწყო, რომ სწავლის დასრულების შემდეგაც ჩამესვლებოდეს.

**– დარწმუნებული ვარ, ამ კონკურსის შემდეგ, უნივერსიტეტში ყველაზე პოპულარული ბიჭი გახდი.**

– ჯერ უნივერსიტეტში არ ვყოფილვარ *(იცინის)*. ვერ წარმოიდგენთ, კონკურსისთვის რა გრაფიკით გვიწევდა მზადება. 12-დან 12-მდე იქ ვიყავით. თუმცა, პროექტში გამოსვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, ხალხისგან მეტი ყურადღება ვიგრძენი. სოციალურ ქსელშიც რომ შევედივარ, მგონია, ამაფეთქებენ, რაც ძალიან სასიამოვნოა. მიხარია, რომ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები ჩემით ამაყობენ.

**– თაყვანისმცემელ გოგონებზეც მომიყევი.**

– ყველანი ძალიან საყვარლები არიან. ყველა მილოცავს და თბილ სიტყვებს მწერს. თუმცა, ხანდახან პირველ მესიჯზე მეცინება. მაგალითად, 15 წლის ლამაზი, საყვარელი გოგო მწერს, „ბარო“ ან „რავა ხარ?“ *(იცინის)*. ჩემთვის ეს ყველაზე ცუდი მიმართვებია – კაი ძმაკაცური. თუმცა, მართლა ძალიან სასიამოვნოა, როცა ყურადღებას იჩენენ და ვცდილობ, ყველას პასუხი გავცე.

**– ერთი გამორჩეული გოგონა არაა, რომელიც მოგწონს ან გიყვარს?**

– არაა *(იცინის)*. არასდროს მყოლია შეყვარებული. დღეს აქტუალურია თემა, რომ მთავარია, გოგოს სული ჰქონდეს კარგი და გარეგნობას მნიშვნელობა არ აქვს. მე ამას არ ვეთანხმები *(იცინის)*. გოგო, უპირველესად, ვიზუალურად უნდა მომეწონოს. შეიძლება, ოდესმე აზრი შემეცვალოს, მაგრამ ახლა ასე ვფიქრობ. თუმცა, ვიზუალის გარდა, კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებობს და მათ შორის, მთავარი ხასიათის შეწყობაა. ზედმეტად აქტიური და შემაწუხებელი გოგოები არ მიყვარს *(იცინის)*.

**– ამ ხნის განმავლობაში, ვინ იყო შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?**

– ალბათ, დედაჩემი. რომ ვმღერი და პროექტში გავიმარჯვე, მისი დამსახურებაა. თვითონ კარგი სმენა აქვს და ჩემშიც ყოველთვის ხედავდა სიმღერის ნიჭს. ამიტომ, სულ მაძალებდა, რომ ამ საქმისთვის სერიოზულად მომეკიდა ხელი. ასევე, ძალიან ნიჭიერი და მყავს, რომელიც, თამამად ვიტყვი, რომ ჩემზე უკეთესად მღერის *(იცინის)*. ჯერ 14 წლისაა და ვფიქრობ, ქართველ მაყურებელს ისიც დაამახსოვრებს თავს.

**ქეთი კაპანაძე**

**ეს ცხოვრება არც ისე რთული მოგეჩვენებათ, თუ რასაკვირველია, მას თავად მართავთ და ამ საქმეში კომპეტენტური ადამიანების რჩევებსაც გაითვალისწინებთ. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი მერი ამბობს, ცხოვრების მართვა ნებისმიერს შეუძლია, უფრო სწორად, შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრება უფრო სასიამოვნო, სახალისო, ბედნიერი და წარმატებული გავხადოთ. ამისთვის კი არსებობს წესები, რაც ყველა ოჯახში უნდა დაიცვან – ამით უბედურებას, უიღბლობასა და უფულობას აიცილებენ თავიდან.**

# როგორ შემოვატრიალოთ მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ და გავხდეთ ბედნიერი

**მერი**: ბევრი ცდილობს, არ დაემორჩილოს ბედის კანონებს, რომელიც ზეცაში, ჩვენი დაბადების მომენტში იწერება და თავად „გამოძერწოს" საკუთარი ბედი დედამიწაზე. ბევრი გაუაზრებლად იქცევა ასე და კონკრეტული ადამიანისკენ უარყოფით ენერგიებს აგზავნის მზერით, შელოცვითა თუ სხვა ათასგვარი ხერხით. თავად, ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც პარაფსიქოლოგიურ საკითხებში კარგად ერკვეოდნენ. რომ წამოვიზარდე, ხშირად მეუბნებოდნენ, ჯიბით წყვილი რკო ან წაბლი ატარე – ეს ავი თვალისგან დაგიცავს და ბედნიერებას მოგიტანსო. მეც ასე ვიქცეოდი და მართლა ბედნიერი ვიყავი. ყველა ჯანმრთელად მყავდა, ჩაცმა არ მაკლდა, სმა-ჭამა და გავლა-გამოვლა. სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელსვე უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე. იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე და მალევე გავთხოვდი. დღესაც უბედნიერესი ქალი ვარ. ასე რომ, გასათხოვარ გოგონებს ვურჩევ, ჯიბით ატარონ წყვილი რკო ან წაბლი და ბედნიერება მათთან აუცილებლად მოვა. ასევე, ძალიან კარგია, თუ გასათხოვარი ქალი 15 იანვარს ჩაატარებს რიტუალს, რომელიც მის ბედზე სასიკეთო გავლენას მოახდენს.

ზოგადად, 15 იანვარი ენერგეტიკულად ძალიან ძლიერი დღეა. ამ დღეს დიდია ალბათობა, სასურველი ბედი დაიბედოთ. გასათხოვარმა ქალმა უნდა აიღოს ცოცხი დილის 9 საათზე და გარეცხოს გამდინარე წყალში. ამ დროს საქმელი არ უნდა გქონდეთ ნაჭამი და ცოცხიც ახალი უნდა იყოს. მასზე ჩამოკიდეთ პატარა ზარი და წითელ ძაფზე დაკიდებული საქორწინო ბეჭედი. 14 იანვარს, ღამის 12 საათამდე  ეს ცოცხი თქვენი საწოლის ქვეშ დადეთ, დილით კი გამოიღეთ და სახლის გამოგვა შემოსასვლელი კარიდან დაიწყეთ. ნაგავი სახლის მარჯვენა კუთხეში დააგროვეთ, შემდეგ ქაღალდში გაახვიეთ და ისე გაიტანეთ გარეთ. ცოცხს მოხსენით საქორწინო ბეჭედი და ზარი, გაახვიეთ თეთრ ქაღალდში და ზემოდან ის წითელი ძაფი შემოახვიეთ, რომელზეც ბეჭედი იყო დამაგრებული. ეს ცოცხი საწოლის ქვეშ მანამ შეინახეთ, სანამ სასურველი ადამიანი არ გამოჩნდება თქვენს ცხოვრებაში. ხოლო, როცა საბედო პირველად დააპირებს თქვენთან სახლში მოსვლას, ისევ ამ ცოცხით



გამოგავეთ ბინა. ეს რიტუალი ძალიან ამართლებს. ბევრ გოგონას აპოვნინა სასურველი საბედო და ბედნიერი ოჯახებიც შექმნეს.

**– ამბობენ, რომ იანვარი ენერგეტიკულად ძლიერი თვეა და ყველა დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება, კარგად განვჭვრიტოთ მოვლენები, რაც გარშემო ხდება და ამით, მთელი წლის ცხოვრების შესაძლო პროგნოზს გავაკეთებთ. ეს სიმართლეა?**

**ხელჩანთას, გასაღებსა და ქუდს ნუ დატოვებთ მაგიდაზე, რომ ბედში არ შეგექმნათ პრობლემა და მეტად გაგიმართლოთ**

– დიახ, იანვარი ენერგეტიკულად ყველაზე ძლერი თვეა. ამიტომ, ყველა დეტალს უნდა მიაქციოთ ყურადღება. მოვლენები რაც ამ პერიოდში ხდება, მომავალზე აისახება და შესაძლოა, ცხოვრებაც სწორედ ამ დროს შეცვალოთ თქვენი შეხედულებისამებრ. ასევე, ამ პერიოდში კარგია თუ გათავისუფლდებით ძველი, უსარგებლო კავშირებისგან და დაიწყებთ ახალს. ასე რომ, სანამ პრობლემა თავს იჩენს, მანამდე დაიწყეთ მოქმედება. მე გასწავლით, ასევე, მარტივ ხერხს, როგორ შეძლებთ იმ მამაკაცის ყურადღების მიპყრობას, ვინც მოგწონთ. მოკლედ, თუ გსურთ, სასურველი მამაკაცის ყურადღება მიიქციოთ და გაარკვიოთ, გიღირთ თუ არა მასთან რომანტიკული ურთიერთობის დაწყება, წითელი ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადში ყოველდღე უნდა აანთოთ წითელი სანთელი და ეს უნდა მოხდეს ზუსტად დილის 9 საათზე. თან, ანთების პროცესში უნდა წარმოთქვათ იმ მამაკაცის სახელი და დააკვირდეთ სანთლის ალს. თუ სანთელი მშვიდად იწვის, კარგის მომასწავებელია, ხოლო თუ ტკაცუნს იწყებს და ნაპერწკლებს ყრის, ესე იგი, ის კაცი თქვენი ბედი არ არის. საერთოდ, ეზოთერიკაში ადამიანის ყველა ქმედებას თავისი შედეგი მოაქვს და არსებობს წესები, რომლებიც ყველამ უნდა იცოდეს, გაითვალისწინოს და ამით თავიდან აიცილოს უარყოფითი მოვლენები ცხოვრებაში.

**– კონკრეტულად, როგორ ავიცილოთ უსიამოვნო მოვლენები თავიდან და ვიცხოვროთ მშვიდად?**

– აი, მაგალითად, სარკე, ცხვირსახოცი და საპონი არ აჩუქოთ საყვარელ ადამიანს, თუ არ გსურთ, რომ მასთან კამათი მოგივიდეთ და ეს თქვენი დაშორების მიზეზი გახდეს. ახალ ბინაში პირველი თეფშზე გახარებული ჯეჯილი შეიტანეთ და ფანჯრის რაფაზე დადგით. ეს ამ სახლში სიმშვიდეს და ბედნიერ ცხოვრებას გპირდებათ. როცა დასაძინებლად ემზადებით და ტანსაცმელს იხდით, მას ოთახში ნუ მიმოფანტავთ.  თუ გინდათ, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იყოს. ხელჩანთას, გასაღებს და ქუდს ნუ დატოვებთ მაგიდაზე, რომ ბედში არ შეგექმნათ პრობლემა და მეტად გაგიმართლოთ. ამ მარტივი წესების დაცვით, შესაძლო უბედურებას, უიღბლობასა და უფულობას აიცილებენ თავიდან. ასევე, გახსოვდეთ, რომ ღამით გასარეცხი ჭურჭლის დატოვებამ სახლში ბოროტების გავრცელება იცის. გაბზარული ან გატეხილი ჭურჭლის შენახვას უბედურება მოაქვს. ღამით მაგიდაზე დანის ან რაიმე მჭრელი საგნის დატოვებას უსიამოვნებები მოსდევს ოჯახის წევრებს შორის. სხვისი ნივთის ან ტანსაცმლის ტარებამ, ბედის შეცვლა იცის. გახსოვდეთ, რომ ჩემი ეს რჩევები მთელი წლის განმავლობაში თქვენს კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.

**– გამიგია, იმ ავი სულების ბინიდან განდევნა ხმაურით ხდებაო, რომლებიც ჩვენს წარმატებებს აფერხებენ. ამაზე რას იტყვით?**

– თუ ეზოთერულ ლიტერატურას გადახედავთ, იქ ამოიკითხავთ, რომ ძველად, ხმაურის საშუალებით, ადვილად აძევებდნენ ბოროტ ძალას და მის ავ საქმეებს ხელს უშლიდნენ. ეს, რასაკვირველია, სახლში უაზრო, ხმამაღალ ყვირილსა და ალიაქოთს არ ნიშნავს. უბრალოდ, კარგია, თუ სახლში ხშირად ისმის ხმამაღალი სიცილი, სიმღერა და განსაკუთრებით ბავშვების ჟრიამული.

**ნონა დათეშიძე**



# როდის იწყებს ქმარი ცოლის გაკონტროლებას განსაკუთრებული სიმკაცრით

**აქვს თუ არა ქალს ბედნიერების უფლება?! რა თქმა უნდა, აქვს, ისევე, როგორც ყველა ადამიანს... და რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში?! ფსიქოლოგები გვეტყვიან, რომ ხელის შემშლელი ფაქტორი ჩვენშია. დიახ, სწორედ ჩვენ განვაწყობთ თავს წარუმატებლობისთვის – ზოგჯერ უნებლიეთ, ზოგჯერ სრულიად გაცნობიერებულად. მაგალითად, ვთმობთ პირად ბედნიერებას, სურვილების დათრგუნვის ხარჯზე და ამას ვამართლებთ იმით, რომ სიყვარული, სხვა ადამიანის კარგად ყოფნა ჩვენგან მსხვერპლს მოითხოვს. რეალურად კი, თავს კარგად არ ვგრძნობთ. ბედნიერებას კი ნაბიჯ-ნაბიჯ ვშორდებით... გვავიწყდება მთავარი, როცა ჩვენ ბედნიერები არ ვართ, ვერავის გავაბედნიერებთ.**

თინიკო *(27 წლის):* არცთუ დიდი ვარ ასაკით, მაგრამ ეს წლებიც ისე გავატარე, საკუთარი თავისთვის არ მიცხოვრია. ასეა, როცა გამუდმებით რაღაცას იკრძალავ და ამას იმით ამართლებ, რომ ვიღაცას ეს ძალიან სჭირდება. თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა მშობლები გარდაიცვალნენ და დეიდამ ითავა ჩემზე ზრუნვა. შეიძლება, სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ჩემი მსხვერპლშეწირვები.

**– რას მიიჩნევთ მსხვერპლშეწირვად?**

– საკუთარ სურვილებზე უარის თქმას. თანაც, ხშირად და მერე უკვე ავტონომიურ რეჟიმში. ეს არის ძალიან ცუდი. მართლა ცუდია. მაგრამ რაღაც ეტაპამდე ამას ვერ აცნობიერებ, სამწუხაროდ. მით უფრო, როცა ხარ ქალი და პატარ-პატარა სურვილების შესრულება შენი ბედნიერების ნაწილია. დაბრძენებულივით ვლაპარაკობ. მაგრამ აქამდე, ამ სიბრძნემდე დიდი ტკივილის ფასად მივედი. მოკლედ, დაიწყო იმით, რომ ბევრ რამეს ვითმენდი დეიდაჩემის მიმართ მადლიერების გამო. ჩემი სურვილები, ჩემი შეხედულებები უკან დავწიე და ვცხოვრობდი ისე, როგორც მას უნდოდა: დეიდაჩემს ჰყავდა მესამე ქმარი. იყო ძალიან საქმიანი, ძლიერი, მიზანმიმართული და ნამდვილი მბრძანებელი. შეუდარებლად ეხერხებოდა კაცის მართვა და მისით მანიპულირება. ათი წელი ვუყურებდი, როგორ ეჭირა ქმარი „ყურებით“ და ისეთი ჩერჩეტი გამოვდექი, ვერაფერი ვისწავლე.

**– კაცის „შებმა“ ვერ ისწავლეთ?**

– სულაც არ არის სასაცილო. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ქალმა იცის თუ არა კაცთან ურთიერთობა, მისი მართვა და თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმა. დამიჯერეთ, ეს სულაც არ არის ეგოიზმი – ეს ორივე ოჯახის კეთილდღეობისთვისაა საჭირო. იქ, სადაც ქალია წარმმართველი, ყველაფერი კარგადაა. კაცები მაგრად ურევენ, როცა ცოლები წინააღმდეგობას ვერ უწევენ. იწყებენ ცოლზე სერიოზულ კონტროლს და ამას ეჭვიანობა სულაც არ იწვევს. საკუთარ თავზე მწარედ გამოვცადე ასეთი ნიუანსების არცოდნა. სამი წლის წინ გავთხოვდი, შეჩვეული ვიყავი მორჩილებას. ჩემი გარემო ინდივიდუალიზმისა და საკუთარი ნების გამოვლენის საშუალებას არ მაძლევდა. ხომ ვხედავდი დეიდაჩემს, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქმართანაც და დანარჩენებთანაც, ვინც მის გარშემო იყო – მბრძანებლური! წარბს აწევდა და იქ მთავრდებოდა ყველაფერი. ამან დამთრგუნა. საერთოდ არ მინდოდა მოდელი გამოვსულიყავი, მაგრამ, როცა სააგენტოში მიმიყვანა, ხმა ვერ ამოვიღე. კიდევ კარგი, რომ ძალიან მალე გავიცანი ჩემი მომავალი ქმარი და ორ წელიწადში გავთხოვდი. თავიდან ყველაფერი კარგად იყო. მომწონდა ის, რომ ჩემი სახლი მქონდა და შემეძლო, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვყოფილიყავი. ქმარიც თითქოს „ჩემიანი“ იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა. ერთ დღეს სრულიად შეიცვალა. ჩემზე კონტროლი გაამკაცრა და გააძლიერა.

**მნიშვნელობა აქვს, ქალმა იცის თუ არა კაცთან ურთიერთობა, მისი მართვა და თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმა. ეს სულაც არ არის ეგოიზმი. ოჯახის კეთილდღეობისთვისაა საჭირო**

კარგა ხანს ვერ ვხვდებოდი, რა მოხდა და რატომ მოხდა. თითქოს არაფერი დამიშავებია – ურთიერთობა სხვა კაცთან არ მქონია. რატომ უნდა იეჭვიანოს-მეთქი, ვფიქრობდი. ვერ ვხვდებოდი, რომ ამას თავისი ღალატის შესანიღბად აკეთებდა. ჩემზე კონტროლის გაძლიერებით თავისი ქმედების თავისუფლებას უზრუნველყოფდა.

**– ანუ, თვითონ რადგან ღალატობდათ, თქვენ გაკონტროლებდათ?**

– დიახ. სწორედ ასეა, მისი ნებართვის გარეშე სახლიდან გასვლის უფლება აღარ მქონდა. ისეთ დაკითხვას მიწყობდა, შეკითხვის დასმა რომც მდომოდა, ვერ ვახერხებდი, რადგან მუდმივად თავდაცვისა და თავის მართლების რეჟიმში ვიყავი, თუმცა ვერ ვიგებდი, რატომ... ცუდი ის არის, რომ თავი მაინც დამნაშავე მეგონა.

**– რატომ?**

– ისევ ჩემი კომპლექსების გამო. ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, ყველაფერში დამნაშავედ საკუთარი თავი მიმაჩნდა. საშინელება იყო. ასე იქამდე გაგრძელდა, სანამ კომპიუტერში, შემთხვევით, მისი საყვარლების წერილებს არ წავაწყდი. ერთის კი არა, ერთდროულად რამდენიმესას. გავგიჟდი. სტრესის მოსახსნელად დავლიე კიდეც. ძალიან ცუდად ვიყავი. ერთი „ხმა“ ჩამძახოდა, დღესვე ყველაფერი უთხარიო. მეორე „ხმა“ – პირიქით, მაფრთხილებდა, მოითმინე, ეს არ გააკეთოო. მოკლედ, ძალიან ცუდ დღეში ვიყავი. საკუთარ თავთან ბრძოლა ძნელი ყოფილა. ისევ ქმარი „დამეხმარა“ – მოვიდა და ჩხუბი დამიწყო, ჩემს უკითხავად სასმელი რატომ აიღე ბარიდანო. ისე გავბრაზდი, უსამართლობის განცდამ აჯობა მორჩილების ხელოვნურ, ნაძალადევ სურვილს. ყველაფარი მივახალე, რაც ვიცოდი და რასაც მასზე ვფიქრობდი. გაშტერებული მისმენდა. აშკარად არ ელოდებოდა ამას და გაოგნებული იყო. ვუთხარი, რომ მივდიოდი მისგან. სად მიდიხარ, ვისთან მიდიხარო... მშობლებისგან ერთოთახიანი ბინა დამრჩა, „ხრუშჩოვკა“, რომელსაც ვაქირავებდი და იქ ვაპირებდი გადასვლას. ჩემი ქმარი მიხვდა, უფრო კი იგრძნო, რომ ძალიან სერიოზულად ვიყავი განწყობილი და ეგრევე უკან დაიხია. ეტყობა, მაინც ვუყვარვარ, სულერთი არ ვარ მისთვის... მკითხა, ძლიერი იყავი თუ ჩემმა ღალატმა გაგხადა ასეთიო? ვუთხარი, უსამართლობამ მაქცია ასეთად-მეთქი. სწორედ მოვიქეცი, რომ მის სურვილს – ებატონა ჩემზე საკუთარი უსინდისობის გადასაფარად, პრინციპულობა და შეუვალობა დავუპირისპირე. გაქრა ამან. ყოველ შემთხვევაში, უკვე რამდენიმე თვეა, რადიკალურად განსხვავებულად იქცევა. ცდილობს, ზედმეტი არ მოუვიდეს. მგონი, იმ ქალებსაც შეეშვა.

**– ანუ, თუ ქმარი ჩვენს გაკონტროლებას ცდილობს და ეჭვიანობს, ეს იმას ნიშნავს, რომ გვღალატობს?!**

– ყველაზე, ალბათ, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, კაცები ღალატისას არაადეკვატურად იქცევიან. დაკვირვებული ცოლი უნდა მიხვდეს ამას და სერიოზული ძალა დაუპირისპიროს, რომელიც ქმარს აგრძნობინებს, რომ ცოლი ნივთი არ არის.

**დალი მიქელაძე**

## ჩამიშალე გეგმები...

რატომ ხდება ისე, რომ ყველა აწყობს გეგმებს, მაგრამ მხოლოდ უმცირესობა ახერხებს მათ სისრულეში მოყვანას. დაგეგმვა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და უამისოდ წინსვლა სერიოზული პრობლემაა, ანუ, გეგმები უნდა გვქონდეს; მთავარია, ისინი დროზე ადრე არ ჩაგვეშალოს და ბოლომდე შევეცადოთ მათ შესრულებას. რა არის ჩაშლილი გეგმების მიზეზები?! მოდი, გავაანალიზოთ ისინი და ამ ახალი წლიდან მაინც წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი გეგმები.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მთავარი ხელის შემშლელი თვითსაბოტაჟია, რასაც ხშირად საერთოდ ვერ ვამჩნევთ და ყველაფერს ვაბრალებთ სხვებს, ძირითადად, კი ახლობელ და საყვარელ ადამიანებს ან ვილაცეებს – ვინც, თითქოსდა, შურით განაპირობებს ჩვენი წარუმატებლობა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. პრობლემა ჩვენშია – საკმარისია, შეგვეშინდეს იმ სიძნელეების, რომლებიც ჩვენ მიერ დასახულ გეგმებს ახლავს, რომ მაშინვე საეჭვო ხდება გეგმების განხორციელების, მათი რეალობად ქცევის ალბათობა. შეუცნობლად ჩვენს გონებაში ისე ვანაწილებთ დროს, რომ ამ გეგმებისთვის ადგილი აღარ დარჩეს. რატომ? იმიტომ, რომ გვეშინია. ეს ქმნის კომპლექსს, რაც მოქმედებას გვიზღუდავს. ყველამ იცის, რომ წარმატებისკენ გადადგმული მთავარი და დიდი ნაბიჯი არის რწმენა იმისა, რომ ყველაფერი გამოვა.

გამოსავალი არსებობს: ამ გეგმებსა და შესასრულებელი საქმეების ჩამონათვალში ჩართეთ ისეთებიც, რომელთა შესრულება სასიამოვნო და ადვილი იქნება – მაშინ აღარავისთვის მოგიწევთ თქმა: ჩამიშალე გეგმები!

## არ დახარჯო ბევრი!

ქალებს ხშირად გვსაყვედურობენ, რომ გვიყვარს ფულის ხარჯვა. ჯერ ერთი, ფული იმისთვის არის, რომ დაიხარჯოს; მეორეც – მთავარია, ისე დავხარჯოთ, რომ სიამოვნება მივიღოთ და ეს ხარჯი მძიმე ტვირთად არ დაგვაწვეს. გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები და ეს წელი დაიწყეთ ისე, რომ ბოლოს საკუთარ თავს არ უსაყვედუროთ მფლანგველობის გამო.

დაიწყეთ იმით, რომ განსაზღვრეთ ყოველთვიური ბიუჯეტი. აიღეთ ფურცელი და დაწერეთ თქვენი კონკრეტული შემოსავლები, გვერდით კი ჩამოწერეთ აუცილებელი ხარჯები, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლით – რაც გადასახდელია, უნდა გადაიხადო; კიდევ, არსებობს გაუთვალისწინებელი ხარჯები და, კარგია, როცა ამ გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის მზად ხართ. რა უნდა გააკეთოთ ამისთვის? ცოტ-ცოტა ფული უნდა დაზოგოთ. ყოველთვის უნდა იცოდეთ, რა ზედმეტი ხარჯის უფლება შეიძლება მისცეთ საკუთარ თავს. ზოგჯერ შეიძლება, ამ ხარჯს გადაამეტოთ, მაგრამ ეს ხშირად არ უნდა მოხდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. სანამ რამეს იყიდდეთ, მაგალითად, ტანსაცმელს ან აქსესუარს, კარგად დაფიქრდით: შეიძლება ნივთი ძალიან ლამაზი იყოს, მოიხიბლოთ და ფული დაუფიქრებლად გადაიხადოთ მასში, მაგრამ სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს – ასეთი რამ ხშირად მოგსვლიათ? მაშინ, ახლა მაინც დაფიქრდით, სანამ საფულეს ჯიბიდან ამოიღებთ. არსებობს ასეთი მეთოდიც: დადექით და რამდენიმე ხანს უყურეთ მოწონებულ ნივთს. მერე ცოტა გაიარეთ და ისევ შეხედეთ – აღტაცება ნელ-ნელა გაივლის და ფულის გაუმართლებელ ხარჯვას გადარჩებით და, შესაბამისად, არც საყვარელი მამაკაცი გეტყვით, რომ მფლანგველი ხართ.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**მე და ჩემს ქმარს ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს, თანაც ყველა საკითხსა და ყველა თემაზე. ჯერჯერობით ეს ურთიერთობაში პრობლემას არ გვიქმნის, მაგრამ მე მაინც ვშიშობ: მომავალში ხომ არ მოხდება ჩვენ შორის გაუცხოება? რა გავაკეთო, რომ ამას გადავრჩეთ, არსებობს რაიმე პრევენცია?**

**გამოხმაურება:** თუ თქვენი ურთიერთობა საინტერესოა, ერთმანეთის გვერდით არ იწყენთ, არ ჩხუბობთ და შეურაცხყოფაზე არ გადადიხართ, პრობლემაც არ არსებობს. ზოგჯერ სწორედ მეუღლეებს შორის აზრთა განსხვავებულობა ხდება მათი კავშირის მყარი საფუძველი. ასე რომ, ამაზე ნუ ინერვიულებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

## მხოლოდ სასიამოვნო...

როგორ მოვახერხოთ, რომ ყოველი ახალი დღისგან მხოლოდ პოზიტივი მივიღოთ? ბუნებრივია, ეს ყველას გვინდა, მაგრამ ცოტას თუ გამოგვდის. არადა, საკმაოდ რეალურია, ვიყოთ ყოველდღე მეტ-ნაკლებად კარგ გუნებაზე და მივიღოთ სიამოვნება იმისგან, რაც გვაქვს. კარგია, თუკი შევძლებთ და ინდივიდუალურ პროგრამას შევიდგენთ. მაგალითად, ზოგიერთი პოზიტივს იქმნის დიდი ხნის უნახავ მეგობართან დარეკვითა და წაჭორავებით. არ არის აუცილებელი, თავს აიძულოთ ის, რაც სტერეოტიპულია და ვიღაცამ გირჩიათ – არავითარ შემთხვევაში! თქვენ თავად უნდა მონახოთ ყველაზე სასიამოვნო, თუნდაც ნაკლებად სასარგებლო მეთოდი ცხოვრების გასახალისებლად.

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც დღის განმავლობაში სულ სასიამოვნო საქმეების კეთება უწევს. არსებობს ვალდებულებები, რომლებზეც მიბმულია ჩვენი პასუხისმგებლობა, თუმცა, ჩვენ გვაქვს არჩევნის თავისუფლებაც და არავინ გვიშლის, ავირჩიოთ ჩვენთვის სასარგებლო საქმე. ხომ შეგიძლიათ მხოლოდ სასიამოვნო რაღაცეებზე ფიქრი? ეს ნამდვილად მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. ნუ გაიფუჭებთ განწყობას უმნიშვნელო წვრილმანების მოგვარებით, თუნდაც დამღლელი და მოსაწყენი ყოფითი პრობლემებით... ხშირად გაუკეთეთ საჩუქარი საკუთარ თავს – ეს მართლაც გესიამოვნებათ. მთავარია, არ იდარდოთ რომელიმე ნივთზე, რომლის შეძენაც გინდოდათ და ვერ მოახერხეთ. თუ ამას შეძლებთ, ხშირად გექნებათ კარგი განწყობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქნებით უფრო პროდუქტიული და, შესაბამისად, შეძლებულიც, მერე კი ნებისმიერი სასიამოვნო ნივთის შეძენასაც მოახერხებთ...

## საჩუქრები სიამოვნებისთვის

ისინი ბევრნაირი შეიძლება იყოს: პრაქტიკულიც და სასარგებლოც; უბრალოც და ძვირფასიც; სრულიად უსარგებლოც და ნაგავში გადასაგდებიც... მაგრამ ერთი რამ მაინც აერთიანებთ – ვიღაცამ იზრუნა, რომ ის თქვენთან აღმოჩენილიყო... დიახ, საჩუქარზე ვსაუბრობთ, ყველაზე რომანტიკული რომ უნდა იყოს და ზოგჯერ ნერვებს გვიშლის. არ არის ადვილი, ადამიანის გემოვნებასა და სურვილებს ჩასწვდე. ფსიქოლოგები ცდილობენ, დაგვეხმარონ. მაგალითად, იცით, რა არ უნდა აჩუქოთ საყვარელ ადამიანს დღესასწაულებზე?! – უბრალოდ, წაიკითხეთ ჩამონათვალი...

* არ უყიდოთ ფეხსაცმელი, მით უმეტეს – ქალს. თუ წაიყვანთ და აარჩევინებთ, ფულს კი თქვენ გადაიხდით, კიდევ არა უშავს, მაგრამ სიურპრიზი აღარ გამოვა.

* ქოლგაც ცუდი საჩუქარია – ჩინელები, მაგალითად, დარწმუნებულები არიან, რომ ქოლგის ჩუქება ცუდის ნიშანია და ეს ურთიერთობის დასასრულს მოასწავებს.

* ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს ხელთათმანის ჩუქებაში ცუდი, მაგრამ, ასე მარტივადაც არ არის საქმე – გაიხსენეთ, არცთუ შორეულ წარსულში ხელთათმანის გადაგდება რისი ნიშანი იყო.

* არ აჩუქოთ მეუღლეს ცარიელი საფულე. მას თუ შემოსავალი შემოაკლდება, არც თქვენ აღმოჩნდებით კარგ მდგომარეობაში. ფიქრობთ, ეს ცრურწმენაა? მაინც არ გირჩევთ...

* სახიფათოა პარფიუმერიის ჩუქება – სუნამო სწორად რომ ვერ შეარჩიოთ, მისი სურნელი თავადვე შეგაწუხებთ, კმაყოფილი კი არც ის დარჩება.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# როგორ „მოკლა“ გალაკტიონმა კაცი მურაბით და ვინ იყო ქალი, რომელმაც ის სიკვდილს გადაარჩინა

*„ახალი წელი დღევანდელ გაზეთებში იხსნება ჩემი ლექსებით... საზოგადოთ ეს წელი ჩემის ტრიუმფით იწყება... უნდა მახსოვდეს, რომ მტერი არ მოისვენებს, მაგრამ მე ჩემი გზა მაქვს... ო, ჩემო დღიურო, ბევრი რამ, ბევრი რამ კარგი უნდა აღნუსხო შენ, რომ წლის დამლევს გადავხედო ჩემს გზას ისეთი სიამაყით, როგორითაც მთავარსარდალი გადახედავს გამარჯვებული ბრძოლის ველს. დიდებული იქნება ეს წელიწადი, გალაკტიონ!“ – ასე იწყებს გალაკტიონი 1939 წლის 1 იანვრით დათარიღებულ თავის დღიურებს.*



„თუ ეს ხვალ განვახორციელე, მეტი არა მინდა-რა”

## 2 იანვარი

„არ მიყვარს, როდესაც ყურადღებას მაქცევენ საზოგადო ადგილას, თითქოს გშინჯავენ, რაღაცას ფიქრობენ; მაგრამ ეს კარგია.

მწერალთა კავშირში შალვა დადიანმა შემომჩივლა: გუშინ ჩამოველი ბაქოდან, ახუნდოვის ხსოვნის დღესასწაულიდანო. ყველას ჭყონდიდელი მე ხომ ვერ ვიქნებიო. შალვა – ჭყონდიდელი!.. ჭყონდიდელი კი არა – კონფერანსიე, არტისტი. ჩვეულებრივად იცინოდა, ისე, რომ ვერ გაიგებდი, თუ რატომ ახსენა ჭყონდიდელი... შემეცოდა. მან ბევრი გადაიტანა და იტანს წმინდა სტოიკური სიდინჯით და არტისტიული ნიღაბით. ფაქტიურად ის უბედური ადამიანია... ლევან ასათიანთან მე და შალვას საუბარი გვქონდა. ლევანმა აიღო თავისთავზე კონსერვატორიაში ჩემი საღამოს მოწყობის მეთაურობა... სასწრაფოდ გავქანდი კონსერვატორიაში და ავიღე დღე... ვესტიბიულში მომესმა ქალის ხმა: „გალაკტიონ! გალაკტიონ!”. მოვიხედე – ელიკო! „აღარსად აღარ გაგიშვებ. ეხლავე ჩემთან უნდა წამოხვიდე, ქეთო მაღალაშვილს შენი პორტრეტის დახატვა უნდა რამდენი ხანია,” – ისე ჩამჭიდა ხელი, რომ პალტოს ჩაცმა ძლივს მოვასწარი. უარი ვინ გათქმევინა, პირდაპირ გამაქანა ბარნოვის ქუჩისკენ... მისი პორტრეტები ყველა მშვენიერია, რომანტიული, ლამაზი... მე დავიჭირე ხანგრძლივი და რაღაც არაჩვეულებრივი თვალის გასწორება; ქეთო უცქეროდა ელიკოს ისე, რომ მე დავფიქრდი. რას ნიშნავდა ეს? მე ძალიან კარგად ვგრძნობ, რომ ელიკოს ვუყვარვარ... ელიკოს მე ვუყვარვარ... და ვუყვარდი ჯერ კიდევ ოცი წლის წინად! ოცი წელი! როგორი წლები! აი, ქეთოსაც სულით და გულით უნდა ჩემი პორტრეტის დახატვა. შევთანხმდით: ხვალ თერთმეტი საათიდან იგი იწყებს პორტრეტის ხატვას...

## 3 იანვარი

დიდი, უზარმაზარი შავი თვალები. თვითონაც შავი (უკეთ, შავგვრემანი), შავი თმა, შავი აბრეშუმის ტანთსაცმელი – ასეთია ქეთო მაღალაშვილი... მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს... მერე მოვიდა ელიკოც... ძალიან დაღლილი სახე აქვს, მაგრამ ძველებურად სიმპატიური. დილის 10 საათიდან 2 საათამდე ვიყავი მათთან... შემდეგ მწერალთა სასახლეში: ლევანს გადავეცი, რომ კონსერვატორიის დარბაზი აღებულია 11 იანვრისათვის... ანდრია ბალანჩივაძესთან საღამოთი ვიყავი ბინაზე. გამაცნო ცოლი, რომელმაც გამოალაგა ტორტი, საცივი, ღვინო. უხერხული კი იყო, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვი. ისინი სახტად დარჩენ. ანდრიუშამ მირჩია, მიმითითა კომპოზიტორთა კავშირზე, რომელსაც ერთადერთს შეუძლია, საღამოსთვის რაიმე დადებითი გააკეთოს ყოველმხრივ. მირჩია აგრეთვე, სრულებით ამომეღო საღამოს ვოკალური ნაწილი, ვინაიდან არ არსებობს ჩემს სიტყვებზე მუსიკა. მაშ ასე: სკრიპკა, ვიოლონჩელი, როიალი, დეკლამაცია და სხვ. ძლიერ მომეწონა. თუ ეს ხვალ განვახორციელე, მეტი არა მინდა-რა.

შემდეგ საპარიკმახერო. თეატრალურ მუზეუმში ხმის ჩასაწერად...

## 4 იანვარი

...მწერალთა კლუბში მერი მიქელაძემ აღელვებით მიამბო: „შეიძლება გეწყინოსთ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ ინციდენტი, რომელიც მომხდარა რკინიგზის შკოლაში. გამოსულა მასწავლებელი მშვენიერაძე და დაუმუშავებიხართ. რა ორგანიზაციაა მწერალთა კავშირიო, რომ კაცმა ლენინის ორდენი დაჰკარგა და იუბილეის უხდიანო. ვერავინ ვერაფერი უთხრა, ვინაიდან ეს სრულიად მოულოდნელი იყო ყველასათვისო“... ეხლავე უნდა წავიდე და მდივანს ვუთხრა, რომ ეს აღმაშფოთებელი ამბავიაო. პოლიკარპე კაკაბაძე ამბობდა: უსათუოდ უნდა უთხრა, გალაკტიონზე კი მშვენიერაძეების ასეთი გამოსვლა გავლენას არ იქონიებსო. მე განვაცხადე, რომ ამ ინციდენტის გახმაურება არა ჰღირს, რომ თავისთავად ცხადია – აქ პროვოკატორია, გამოსვლაც პროვოკაციულია-მეთქი... მართლაც, ვინ არის ეს მშვენიერაძე... აი ახალი მტერიც გაჩნდა. ეჰ, ასეთია ქვეყნად საბრალო პოეტის ცხოვრება... სახლში დამხვდა წერილი იაროსლავლიდან. საღამო ეწყობა, მხოლოდ არა კონსერვატორიაში, არამედ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში...

## 5 იანვარი

...ჩვენი მონნა-ლიზა (ქეთო მაღალაშვილი) ხატვას განაგრძობს: „თუ თავი და სახე კარგად არ დავაყენეთ – ორივენი დავიღუპებითო!“

მაგრამ არაფერსაც არ დავიღუპებით. წინათგრძნობა მეუბნება, რომ პორტრეტი კარგი გამოვა... მოვუყევი ქეთოს ლექსის „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“-ს ისტორია. იგი პაპიროსის კოლოფზე დავსწერე წყალტუბოში, შემდეგ არ მომეწონა, დავხიე და გადავყარე. რომელიღაც ქალს ამ ლექსის ნაგლეჯები ერთმანეთისათვის შეეწებებინა და ეხლა ეს ლექსი პოპულიარული ლექსია... შემდეგ გამახსენდა პ. პეტრენკოს ამბავი „ლურჯა ცხენების“ თარგმანის შესახებ: მან ეს თარგმანი წაიკითხა სოხუმში, სალიტერატურო საღამოზე. იქ მას ჰქონდა სტრიქონი: „Лишь в могиле умиротворение“. რომელიღაც რუსს ასე გაეგონა: Умер от варенья – ნაცვლად „Умиротворение“-სა და იგი ცხაროზდა: როგორ შეიძლება მურაბით კაცი მოკვდესო. მას აუხსნეს, თუ რაში იყო საქმე და ძლივსძლივობით დაამშვიდეს...

## 6 იანვარი.

...საღამოთი ვიყავი ფილარმონიაში კომიტასის სახელობის კვარტეტზე. კომპოზიტორი კომიტასი იყო არხიმანდრიტი (მერე რა, რომ ბერი იყო, საბა-სულხან ორბელიანიც ხომ ბერი იყო). იგი ჰკრებდა ფოლკლორს და შემდეგ ჰარმონიზაციას უკეთებდა როგორც სასულიერო, ისე საერო მოტივებს. თვითონაც მღეროდა, რადგან მშვენიერი ხმა ჰქონდა. კომიტასი რუსეთ-იაპონიის ომამდე აქ იყო, შემდეგ საზღვარ გარედ წავიდა და იქ გარდაიცვალა. 1933 წელს დიდის ამბით ჩამოასვენეს მისი ურნა ამერიკიდან...

## 7 იანვარი

მწერალთა სასახლეში ყინვაა. მხოლოდ ერთ ოთახში გუგუნებს ბუხარი. მას გარს უსხედან მწერლები... საუბარია მუსიკაზე. მე ვუამბობდი კომიტასის გუშინდელი კონცერტის შესახებ... საუბარი გადატანილ იქნა რუსებზე, რომ დაადებენ თავს და მიდიან. ერთი ოჯახი აიყარა თურმე და ხაბაროვსკში ჩავიდა. იქ სამუშაო არ მოეწონათ. დაადვეს თავი კავკასიისკენ. ბაქოში გაქურდეს. ჩამოვიდენ თბილისში. ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი და მოსამსახურედ ავიყვანე. ეხლა მთელი ოჯახი მოწყობილია და აღარც აპირებენ წასვლას ტფილისიდან.

– გურია სავსეა რუსებით, – ამბობს



რატომ „გალაკტიონი“ და არა „გალაქტიონი“?

ვარდოშვილი, – მალე გაგურულებული რიჟა რუსებით აივსება იქაურობაო.

– სამეგრელოში ვიყავი, – უმატებს გაბესკირია, – გამაოცაო ერთმა გარემოებამ. რუსის პატარა ბიჭები ერთმანეთს წმინდა მეგრულით აგინებდნენ...

**8 იანვარი**

...გალაკტიონი უკრაინაში რომ იყოს, სულ ხელის გულზე ატარებენო, - სთქვა საქფილგეთის დირექტორმა (გალაკტიონი! დღეს მთავლიტმა ჩემს აფიშაში ანბანი „კ“ „ქ“-დ გადააკეთა. რა მთავლიტის საქმეა სახელის გამოცვლა?). – ლიტფონდში ჩემს 3.000 მანეთს მთლიანად არ იძლევიან. ნაწილ-ნაწილად და ისიც – როდესაც გვექნებაო. ამ ხალხის იმედი არა



„მე განვაცხადე, რომ ამ ინციდენტის გახმაურება არა ჰღირს“

მაქვს... საქფილგეთი რაღაც წამგლეჯელის შთაბეჭდილებას ახდენს! მას მიაქვს საღამოს შემოსავლიდან - 30% და კიდევ უამრავი ბილეთები...

**9 იანვარი**

მთელი დღე აფიშას მოვუნდი... ნიმუშად მე გამოვიყენე სტილი ჩემი საპაპიროსესი – და ყდა „Enciclopedie France“-სი. მაინც არასგზით არ მოხერხდა სტილის შენახვა... მთავლიტმა როდესაც აფიშას დახედა, სთქვა: – რატომ „გალაკტიონი“ და არა „გალაქტიონი“?

– იმიტომ რომ ბავშობიდანვე ეგრე ვაწერ ხელს. ყველა ჩემი წიგნების ავტორია: გალაკტიონ ტაბიძე.

**10 იანვარი**

დილით უკვე აკრავდენ აფიშებს, რომელსაც ხალხი ეხვეოდა... ლევან ასათიანი აგონებს მწერლებს გამოსვლის შესახებ... ბილეთებიც მზადაა და ნაწილი გაყიდულია... ნაშოვნია კაცი, რომელიც გაჰყიდის წიგნებსა და სურათებს, გამოვა ელენე შერი (ჰონორარი – 2.500 მ. ავიღეო – ამბობს)... სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მწერალთა კავშირს არ ემჩნევა არავითარი დაინტერესება...

**11 იანვარი**

დილით ტელეფონით ველაპარაკე გაზეთების რედაქციებს („მუშა“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ვეჩერნი ტფილისი“)... გულწრფელობით ეპყრობიან ჩემი საღამოს საქმეს. ეს ძალიან კარგია...

**12 იანვარი**

ჩატარდა! გენიალურად!

**14 იანვარი**

დაიწყო რაღაც საშინელება: მე ჩავკეტე სახლის კარები...

**15 იანვრიდან 5 აგვისტომდე**

ეს იყო გრიპის საშინელება. 12 იანვარს ფილარმონიაში რომ საღამო მქონდა, ყველაფერი მას შემდეგ მოჰხდა. საღამო მშვენიერად ჩატარდა, მაგრამ მე დამღალა სასტიკად... მე არ მქონდა საავადმყოფოში დაწოლის საშუალება. ამიტომ იძულებული ვიყავი, ფეხზე გადამეტანა იგი. ცეცხლს ამ ზამთარში ვერ ვანთებდი, შეშა არა მქონდა. ღამღამობით მაძლევდა ოფლს, განუწყვეტლივ საშინლად მახველებდა, გული მერეოდა, მთელი სხეული მიკანკალებდა, ხელში კალამს ძლივს ვიღებდი, მაგრამ მუშაობის თავი სად იყო. ამიძაგძაგდებოდა ხელი და კალამი ძირს ვარდებოდა. ამას დაემატა საშინელი სმა, ღვინო, არაყი, ლუდი, ყოველდღე, განუწყვეტლივ. საშინლად დავეცი... ბინა პირდაპირ საღორეს დაემსგავსა. ვინა მყავდა დამლაგებელი?.. იანვრის დამლევს, როგორც იქნა, მოიტანეს შეშა. შეშის ეზოდან სახლში ამოტანის დროს ხელი გავიფხაჭნე: თითი გასივდა და მთელი ერთი თვე საავადმყოფოში დავდიოდი შესახვევად... არანორმალურად მიდიოდენ დღეები... მწერალთა კავშირს სრულიად ჩამოვშორდი... 25 მაისს. ღამის პირველი საათი იქნებოდა. სავახშმოდ შევედი რომელიღაც ჯერ ისევ ღია რესტორანში. ერთს მაგიდაზე იჯდა ხუთი ახალგაზრდა კაცი.. ყველა მთვრალი. როგორც ჩვეულებრივად ხდება, მიმიწვიეს სუფრაზე. არავითარი უარი არ გამივიდა... სახლში ძლივს მივედი. ეს იყო და ეს. მეორე დღეს ტანგაუხდელს გამომღელვიძა, მაგრამ ფეხზე ველარ ავდექი. ვიგრძენი გვერდის ტკივილი, რაღაც აუტანელი... მეგონა, რომ ჩამტვრეული მაქვს გვერდის ძვლები. დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა საავადმყოფოში მივედი და ექიმს ვენახვე... ექიმმა დიდხანს მსინჯა... გვერდის ნეკნები არ არის დაზიანებულიო, – სთქვა მან და გამომიწერა წამლ-



„მე არ მქონდა საავადმყოფოში დაწოლის საშუალება. ამიტომ იძულებული ვიყავი, ფეხზე გადამეტანა იგი“

ები. მაგრამ გვერდი მაინც საშინლად მტკიოდა, მახველებდა, ოფლში ვიწურებოდი, და ვიყავი მარტო. გადავწყვიტე საავადმყოფოში დაწოლა. და გავეშურე კიდეც. გზაში ოლგა იურიევნა შემხვდა. „ასე და ასეა ჩემი საქმე“-მეთქი – მოვუყევი ყველაფერს. მან კატეგორიულად მირჩია, სახლში დავწოლილიყავი. მეც გამოვბრუნდი გზიდან და ჩავწექი... ოლგა იურიევნამ პირდაპირ გადამარჩინა. მან დაასუფთავა მთელი ბინა, დააკრიალა იატაკი, დარეცხა ყველაფერი, მიალაგა წიგნები, ხელნაწერები. დიდი ხნის შემდეგ პირველად ვიგრძენი თავი სუფთა საწოლში. იურიევნამ „ლეჩკომისიიდან“ დაუძახა ექიმს. ექიმიც მოვიდა... ასე, 29 მაისიდან 15 ივნისამდე ვიწევი საწოლში. გრიპმა გაიარა. იურიევნა მივლიდა თავდადებით... ამნაირ მდგომარეობაში (დაახლოვებით, ყველაფერს არა ვსწერ) გავატარე შვიდი თვე: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი! თანდათან ვერკვევი კოშმარებიდან: ამ დღეებში ცოტა ხნით მინდა მოვშორდე ტფილისს.“

**ეკა პატარაია**



„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“. პაპიროსის კოლოფზე დავსწერე წყალტუბოში, შემდეგ არ მომეწონა, დავხიე და გადავყარე. რომელიღაც ქალს ამ ლექსის ნაგლეჯები ერთმანეთისათვის შეეწებებინა და ეხლა ეს ლექსი პოპულარული ლექსია“

## ქოშინი ჯანმრთელობის სერიოზულ დარღვევაზე მეტყველებს

ქოშინი ვითარდება, როცა ორგანიზმი ცდილობს, სისხლში სასიცოცხლოდ აუცილებელი ჟანგბადის რაოდენობა შეინარჩუნოს. ქოშინის მიზეზი შესაძლოა, იყოს ჭარბი წონა, სისხლში ჰემოგლობინის დონის დაწევა, გულსისხლძარღვთა სისტემისა და ფილტვების დაავადებები. ქოშინი იშემიური დაავადებების, კერძოდ, სტენოკარდიის ან ინფარქტის თანმდევია და სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის ან ფილტვების შეშუპების მანიშნებელია. თუ ქოშინი ადამიანს უეცრად დაეწყება, ეს ჯანმრთელობის სერიოზულ დარღვევაზე მეტყველებს და დროულად უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა. ასევე, ღამით განვითარებული ქოშინი გულის რიტმის დარღვევის, ჰაერის მწვავე უკმარისობის, კარდიალური ან ქრონიკული ასთმის შეტევას უკავშირდება.



შესაძლოა, ქოშინი ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის ან შაქრიანი დიაბეტის დროსაც განვითარდეს და უკონტროლოდ მიღებულმა მედიკამენტებმაც გამოიწვიოს.

## ვაშლი და ოხრახუში ბუნებრივი შარდმდენი პროდუქტია, წიწიბურა კი წნევას არეგულირებს

ვაშლში არსებული ორგანული მჟავები ხელს უწყობს ნაწლავებში მიკროფლორის გაუმჯობესებას, მყარი იმუნური სისტემის შენარჩუნებას. ვაშლი ამცირებს ნაწლავებში დუღილისა და ლპობის პროცესს. ის კარგი შარდმდენი საშუალებაა. სასარგებლოა შეშუპების, დიათეზის, ნიკრისის ქარის დროს. ვაშლი დიდი რაოდენობით შეიცავს ფრუქტოზას. ის დიეტური ხილია, მის ზოგიერთ სახეობას არ აქვს უკუჩვენება შაქრიანი დიაბეტის დროს.

ორგანიზმის შეშუპების შემთხვევაში, კარგია შემდეგი სახის ნაყენის მომზადება:

* გახეხეთ ერთი ვაშლი და გაწურეთ. მიღებულ სითხეს დაუმატეთ იმდენივე რაოდენობის წყალი და დაახლოებით 5 გრამი სტაფილოს დაჩეჩქვილი თესლი. მიიღეთ დილით, რადგან საღამოს ის გახშირებულ შარდვასაც გამოიწვევს. ასევე, შარდმდენი თვისებების გამო, მისი ხშირად გამოყენება სასურველი არ არის.

წიწიბურა ძალიან სასარგებლო და ორგანიზმისთვის საჭირო საკვებია. მას ორგანიზმიდან გამოაქვს რადიონუკლიდები, ამაღლებს პოტენციას, ამაგრებს სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემას, ეხმარება ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს კუჭნაწლავის ტრაქტის განკურნებას. ის აქვეითებს ქოლესტერინის დონეს და არეგულირებს წნევას.

მკურნალობისთვის საჭიროა, დღეში ორჯერ – დილას და საღამოს, მიირთვათ წიწიბურას კისელი, რომელიც ასეთი წესით უნდა მოამზადოთ:

* სამი სადილის კოვზი დაფქული წიწიბურა გახსენით ერთ ჩაის ჭიქა ცივ წყალში. ცალკე ჭურჭელში ადუღეთ ერთი ლიტრი წყალი და ნელ-ნელა ჩაასხით შიგ გამზადებული მასა. ადუღეთ ათი წუთის განმავლობაში და თან, ურიეთ. შეგიძლიათ, ცოტა ნატურალური თაფლი და ნიგოზიც დაამატოთ, თქვენი გემოვნების მიხედვით.

ოხრახუში კი, ეხმარება სისხლის შედედებას. მისი მიღება აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას.

* შეშუპების დროს, 1 ჭიქა ოხრახუშის დაჭრილ ფოთლებსა და ფესვებს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. დააყენეთ თავდახურულ ჭურჭელში მთელი ღამით. დილით კი გადაწურეთ და დაამატეთ 1 ლიმონის წვენი. დალიეთ სადილის კოვზით დღეში 5-6-ჯერ. ორი დღის მერე შეისვენეთ 3 დღით და შემდეგ კვლავ გაიმეორეთ პროცესი.

* ჰემოგლობინის ასამაღლებლად კარგია მიირთვათ ოხრახუშის ქორფა ფოთლები და ფესვები.

ოხრახუშის წვენს რამდენიმე დაავადების დროს იღებენ. მათ შორის: თირკმლის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გასასუფთავებლად.

* 200 გრამ ოხრახუშს დაასხით 2 ბოთლი ბორჯომი და წამოადუღეთ. მიღებული ნახარში დალიეთ ათი დღის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

* ოხრახუშს ჭამენ კენჭოვანი დაავადებების დროს, როგორც შარდმდენ საშუალებას.

* თუ გსურთ, თირკმელები გაიწმინდოთ, 1-2 სადილის კოვზ დაჭრილ ოხრახუშს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ცოტა ხნით. სვით მთელი დღის განმავლობაში, როცა მოგწყურდებათ.

## როგორ მოვიქცეთ საკვებით მოწამვლის დროს

საკვებით ინტოქსიკაცია მწვავე დაავადებაა, რაც ხასიათდება გულისრევით, ღებინებით, ფაღარათით ან ნევროლოგიური სიმპტომებით.

ბაქტერიული კვებითი ინტოქსიკაციის ყველაზე ხშირი გამომწვევია საკვების დაბინძურება ოქროსფერი სტაფილოკოკებით. სტაფილოკოკით საკვები მაშინ ბინძურდება, თუ მისი მომზადების ან შენახვის წესი ირღვევა. განსაკუთრებით ეს ეხება საკონდიტრო ნაწარმს, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე რამდენიმე საათის განმავლობაშია დატოვებული. ასეთ შემთხვევებში, პროდუქტებში იქმნება სტაფილოკოკის გამრავლებისთვის კარგი პირობები და ხდება ენტეროტოქსინის წარმოქმნა. სწორედ ეს არის ის ტოქსინი, რომელიც დაავადების განვითარებას იწვევს.

სტაფილოკოკური დაავადების დროს, პირველი 5-6 საათის განმავლობაში იწყება გულისრევა, მუცლის ტკივილი, ფაღარათი, ხანდახან შოკური მდგომარეობაც კი ვითარდება. ამ დროს ტემპერატურა ოდნავ იმატებს. ადამიანი თავს ცუდად გრძნობს.

განსაკუთრებით რთულია კვერცხით, ხორცით და ისეთი პროდუქტებით მოწამვლა, რომელიც არაჟანს და მაიონეზს შეიცავს. ეს მაშინ ხდება, როცა საკვები სათანადოდ არ არის თერმულად დამუშავებული. ასეთ დროს ხდება მასობრივი ინფიცირების ბევრი შემთხვევა. მოწამლულს აღენიშნება ღებინება, ტემპერატურის მკვეთრი მატება, სისუსტე, თავისა და მუცლის ტკივილი, კანი შრება, მუცელი იბერება. ადამიანს ეწყება ფაღარათი. განავალი თხელია, ქაფიანი და ლორწოვანი. ამ დროს ხშირია გონების დაკარგვა, კრუნჩხვა, კიდურების გაციება. ეს სიმპტომები ვითარდება საკვების მიღებიდან დაახლოებით 6-დან 40 საათის განმავლობაშიც კი.

საკვებით ინტოქსიკაციის დროს უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება ბევრი სითხე ან გაიკეთოთ გადასხმა. ამით შეძლებთ, დაკარგული სითხის ანაზღაურებას. ზოგჯერ კი აუცილებელი ხდება ანტიბიოტიკების მიღებაც.

გახსოვდეთ, დაავადებებს რომ თავი აარიდოთ, აუცილებლად უნდა დაიცვათ საკვების შენახვისა და მომზადების სანიტარული და ჰიგიენური წესები, დაავადების შემთხვევაში კი, დროულად მიიღოთ ზომები.

## ჭარხალი აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას, კვერცხი კი პოტენციას ამაღლებს

ჭარხლის წვენი ძალიან მარგებელია. ის უზრუნველყოფს ერითროციტების წარმოქმნას და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას. ასევე, ჭარხლის წვენი ორგანიზმს ეხმარება კალციუმის ათვისებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები აღენიშნება.

წითელი ჭარხლის წვენი შეიცავს იმდენ კალიუმს, რაც ორგანიზმისა და მისი ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისთვის სრულიად საკმარისია. ის, ასევე, შეიცავს ქლორს, რომელიც ღვიძლს, თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტს წმენდს და ორგანიზმის ლიმფურ სისტემას ასტიმულირებს.

კვერცხი შეიცავს ქოლესტერინს, მაგრამ მასში ბევრია სხვა სასარგებლო ნივთიერებებიც. კვერცხი სისხლში ქოლესტერინის დონეს ამაღლებს, ოღონდ, ძალიან მცირე რაოდენობით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით კომპენსირდება. უმი კვერცხი პოტენციის ამაღლებას უწყობს ხელს. დღეში, შეგიძლიათ, ერთი ან ორი კვერცხი მიირთვათ.

კვერცხის ჭამას უნდა მოერიდონ დიაბეტიანები, რადგან მათ ორგანიზმში ნივთ-

იერებათა ცვლა შეცვლილია და ანტიქოლესტერინის დამცველი მექანიზმი ცუდად მუშაობს.

### საჭმელს ერთი ჭიქა წითელი ღვინო მიაყოლეთ

ჭამის დროს დალეულ ერთ ჭიქა ღვინოს სამკურნალო თვისებები აქვს. კერძოდ, ადამიანს იცავს გულისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისგან. ასევე, ღვინოში არის ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის დაბერების პროცესს.

ღვინო ასევე, შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებსა და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც აადვილებს საჭმლის მონელებას, ზრდის ცალკეული ორგანოს სისხლმომარაგებას და აუმჯობესებს გუნება-განწყობას.

არ გირჩევთ, ღვინო მიაყოლოთ სალათებს, ნედლ ბოსტნეულს, ძმრით მომზადებულ კერძებს. ამ სახის საკვებზე ღვინის მიყოლება იწვევს საჭმლის მონელების დარღვევას.

ღვინო კარგია ხორციან საკვებთან ერთად, რადგან ხორცის შეწვის დროს წარმოიქმნება ორგანიზმისთვის ძნელად ასათვისებელი ნივთიერებები, რომლებიც მთელ რიგ მოშლილობებს იწვევს. ღვინოში შემავალი მთრიმლავი ნივთიერებები კი, შლის ამ ძნელად ასათვისებელ ნაერთებს.

### მიეცით ორგანიზმს დასვენების საშუალება

ცხოვრების არასწორი წესი ქრონიკულ დაღლილობას, შრომის უნარის დაქვეითებასა და ათას დაავადებას იწვევს. მოგაწვდით რჩევებს, როგორ დააღწიოთ თავი ყოველივე ამას და იცხოვროთ ჯანსაღად და ლაღად.

*იძინეთ იმდენი, რამდენსაც ორგანიზმი მოითხოვს. ასე, ნერვულ სისტემას სრულფასოვანი დასვენების საშუალებას აძლევთ. ერთი უძილო ღამე რომ აინაზღაუროთ, ორი ღამე მაინც არის საჭირო, დღის ძილი კი არცთუ კარგია. ის ბიორითმებს ცვლის და ორგანიზმში მიმდინარე პროცესთა დესინქრონიზაციას იწვევს. მოერიდეთ ყველაფერს, რაც დაძინებაში გიშლით ხელს. ვახშამი დაწოლამდე ორი საათით ადრე მიირთვით. საღამოს, ძილის წინ, ნუ მოწევთ სიგარეტს, ნურც ყავას და მაგარ ჩაის დალევთ. საწოლში არ იკითხოთ და არც ტელევიზორს უყუროთ დაწოლილმა. დაწექით დასაძინებლად, როცა ძილი მოგერევათ – ასე, გამოგიმუშავდებათ რეფლექსი და დაწვებით თუ არა, მალევე დაგეძინებათ.

*ამბობენ, დილით, უზმოზე ფინჯანი ყავა კარგია, რადგან კოფეინი გადაღლილობისა და გამოფიტვის საწინააღმდეგო საშუალებაა. ეს არასწორი მოსაზრებაა. კოფეინი ალკალოიდია, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებს და ენერგიის მოზღვავების იმიტაციას იწვევს. ის დაკარგულს კი არ აღადგენს, არამედ დარჩენილ მარაგს კრებს და ორგანიზმს უფრო მეტად ფიტავს. ქრონიკული დაღლილობისა და უძილობის დროს ყავის სმას ნუ მიეძალებით, ეს უარესია. ის კი არ აფხიზლებს ადამიანს, არამედ ძილს უფრთხობს. ამ დროს იწყება თავის ტკივილი და, შესაძლოა, ხანგრძლივი უძილობაც კი დაგჩემდეთ. ნუ დალევთ დღეში ორ ფინჯანზე მეტ ყავას. თუ დაღლილობას თავს ვერ ართმევთ, მიირთვით ლიმონიანი და თაფლიანი ჩაი ან მინერალური წყალი.

*სერიოზული ზიანი მოაქვს სიმსუქნეს. რადგან, ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილი არანაკლებ ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს მოიხმარს, ვიდრე გული და ტვინი. ის გულს აიძულებს, ერთიორად მეტი დატვირთვით იმუშაოს და საკუთარ პრობლემებს გულის, სისხლძარღვების, კუჭის, პანკრეასის, სახსრების ხარჯზე აგვარებს. ამიტომაც არის სიმსუქნე გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების, შაქრიანი დიაბეტის, ოსტეოპოროზისა და სხვა დაავადებების რისკ-ფაქტორი. გირჩევთ, ერიდოთ მაღალკალორიულ საკვებს და მეტი იმოძრაოთ.

*ადამიანები დიდ დროს ატარებენ ავტომობილში, ტელევიზორთან, კომპიუტერთან და ასე შემდეგ. ასეთ მდგომარეობას მოძრაობის უკმარისობა ეწოდება. ის ორგანიზმისთვის ძალიან საშიშია. ამიტომ, სწორად უნდა შეარჩიოთ ფიზიკური ვარჯიშები. ფიზიკური აქტივობა ნებისმიერს სჭირდება, რათა პასიური ცხოვრების წესმა ორგანიზმი არ გამოფიტოს და არ დააავადოს.



ასე რომ, გაითვალისწინეთ ზემოთ მოყვანილი რჩევები და მიეცით თქვენს გადაღლილ ორგანიზმს სწორად გამოძინების და ძალების აღდგენის საშუალება.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: 27 წლის ბიჭს აქვს პოდაგრა. ერთ-ერთ კლინიკაში უთხრეს, რომ სჭირდება ოპერაცია. არ ვიცი, რამდენად აუცილებელია. იქნებ მკურნალობაა საჭირო, ან რა ანალიზები უნდა ჩააბაროს? ვის მიმართოს ტრამვატოლოგს თუ თერაპევტს?**

**პასუხი:** ტერფის დიდი თითის დეფორმაცია ყოველთვის პოდაგრას ან ნიშნავს. აღნიშნული დეფორმაცია ზოგჯერ ტერფის არარაციონალური დატვირთვის შედეგია. ამიტომ, პირველადი შეფასების მიზნით, თქვენ უნდა მიმართოთ ტრავმატოლოგ-ორთოპედს, რომელიც განსაზღვრავს, ეს მდგომარეობა ორთოპედიულ პრობლემებს უკავშირდება თუ პურინების ცვლის დაღვევას. ამ შემთხვევაში, საჭირო იქნება რევმატოლოგის კონსულტაცია.

**კითხვა: ჩემს 20 წლის ბიჭს დაეწყო ფეხისგულების წვა უკვე სამი კვირაა. წვა ძლიერდება ღამის საათებში. ფეხებზე ვენები არ ეტყობა, სისხლის საერთო და შარდის ანალიზი ნორმაშია. რისი ბრალი შეიძლება, იყოს?**

**პასუხი:** ასეთი ჩივილი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტერფის ძვლების დეფორმაციასთან. საკონსულტაციოდ უნდა მიმართოთ ტერფის სპეციალისტს – პოდიატრისტს ან რევმატოლოგს, რათა ზუსტად დადგინდეს თქვენს შემთხვევაში, რა სახის დეფორმაციასთან გვაქვს საქმე, შეირჩეს სპეციალური ჩასაფენები – ლაბაშები, რაც ფეხსაცმელში მოთავსდება და შეამცირებს დისკომფორტს. მანამადე გირჩევთ, გამოიყენოთ მოსახერხებელი ფეხსაცმელი (სქელ ძირზე, ფართო ქუსლზე). თუ წონის მატება გაქვთ უნდა დაიბრუნოთ სხეულის ნორმალური წონა. ძლიერი ტკივილისას გამოიყენოთ ანთების საწინააღმდეგო არაჰორმონული (არასტეროიდული) საშუალებები – ტაბლეტები და მალამოები. პრეპარატების შერჩევაში შეიძლება, ფარმაცევტი დაგეხმაროთ.

**კითხვა: ოთახში მიდგას გაზის „ფეჩი," არც გაწოვა აქვს და არაფერი, ანთებულია უბრალოდ. დიდი დროის გატარება მიწევს სახლში და თითქმის მთელი დღე ჩართული მაქვს. შუალედებით გამოვრთავ, ისე გასანიავებლად, მაგრამ უცებ იხუთება ხოლმე ჰაერი. რაიმე განსაკუთრებულ ზიანს მოუტანს ეს ჩემს ჯანმრთელობას?**

**პასუხი:** ამ ტიპის გამათბობელი, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია. ის ხშირად ხდება ინტოქსიკაციის მიზეზი, რადგან იყენებს ოთახის ჰაერს და წვავს სახლში არსებულ ჟანგბადს. აგრეთვე, წვის პროდუქტები, რომელიც გარეთ უნდა გაედინებოდეს, ოთახში რჩება.

**კითხვა: რამდენ ხანს შეუძლია იმუნოდეფიციტის ვირუსს (აივ) ადამიანის ორგანიზმის გარეთ, წყალში არსებობა? ასევე აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, ეს წყალი გამდინარეა თუ დაგუბებული, მაგალითად აბაზანაში.**

**პასუხი:** შიდსის ვირუსი გარემოში დიდი მდგრადობით არ გამოირჩევა. წყალში მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წუთია.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# როგორ გააცურა მილიციელმა გამოცდილი ქურდი, რომელსაც უნიკალური სამკაულები აღმოაჩნდა



### გადაბირება

„სვანმა“ ცელოფნის ხვეულა ბეტონის ნიშაში შეინახა, შემდეგ ნიშას ფილა მოარგო, ოსტატურად მოუსწორა კიდეები, რომ ეჭვი არავის აელო და ავეჯის საამქროდან გამოვიდა. მერე სიგარეტი გააბოლა და ქურდული ბარაკისკენ გაემართა.

„სვანი“, იგივე დუდუ კვანჭიანი, წონიანი კანონიერი ქურდი იყო და პერმის №6 მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში იხდიდა თხუთმეტწლიან სასჯელს მკვლელობისთვის – მან თბილისში, 1969 წლის 4 მაისს, სასამართლო სხდომის დროს, „ვალტერის“ სისტემის პისტოლეტიდან ოთხი გასროლით მოკლა ავთო ყულუმბეგაშვილი, რის შემდეგაც გაქცევა არც უცდია, ადგილზევე დააკავა მილიციამ. ყულუმბეგაშვილს კანონიერი ქურდის, ვამეხ გულბანის, მეტსახელად „წარბას“ მკვლელობისთვის ასამართლებდნენ და სვანმა თავისი ძმაკაცისა და კოლეგის გამო აიღო სისხლი, რითაც კიდევ უფრო მეტი ავტორიტეტი მოიპოვა ქურდულ სამყაროში და მას ქურდული სალარო ჩააბარეს ზონაში, სადაც ის უკვე ერთი წლის განმავლობაში იხდიდა სასჯელს. სწორედ ქურდული სალაროს 35 ათასი მანეთი დამალა მან ავეჯის საამქროში.

– სვანო, გლუხოვმა გიკითხა და თქვა, ნახევარ საათში ჩემთან ამოვიდესო, – უთხრეს კოლეგებმა ბარაკში დაბრუნებულ სვანს.

გლუხოვი №6 კოლონიის უფროსი იყო და, როდესაც სვანი მის კაბინეტში შევიდა, იქ მას სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი ოცდაათიოდე წლის მამაკაცი დახვდა. გლუხოვი კაბინეტიდან გავიდა, უცნობმა კი სვანს უთხრა:

– მე მაიორი პავლე მგელაძე ვარ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან. მოსკოვიდან სპეციალურად თქვენთან შესახვედრად ჩამოვედი და, იმედია, ჩემს წინადადებაზე უარს არ იტყვით.

– რა გნებავთ? – ჰკითხა სვანმა.

– აქ მე თქვენს გადასაბირებლად ვარ, ჩვენზე უნდა იმუშაოთ.

– სვანის გადაბირება მოგინდათ? – კვანჭიანმა გულიანად გადაიხარხარა.

მგელაძემ მაგიდის უჯრიდან სწორედ ის ცელოფანი ამოიღო, რომელიც დუდუმ ცოტა ხნის წინ დამალა ბეტონის ნიშაში და პატიმარს უთხრა:

– ეს საკმარისი არგუმენტი არაა საიმისოდ, რომ ჩემს წინადადებას დათანხმდეთ? „ობშჩიაკის“ გაფლანგვა როგორ ისჯება, ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით და, თუ გინდათ, რომ ეს ფული უკანვე დავაბრუნოთ, უნდა დამიჯეროთ.

– რას მოითხოვთ ჩემგან? – იკითხა კოპებშეკრულმა სვანმა.

– ბევრს არაფერს. უბრალოდ, ზუსტად ის უნდა შეასრულოთ, რასაც გეტყვით და ჩვენს გაცურებას არ უნდა შეეცადოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დაგინდობთ. ჩვენი სამინისტრო ერთ ოპერაციას ატარებს და უნდა დაგვეხმაროთ. თანახმა ხართ?

სვანმა პაუზა გააკეთა და მგელაძეს მიუგო:

– თანახმა ვარ.

### გაქცევა

– რადგან თანახმა ხართ, მაშინ, მთავარ თემაზე გადავიდეთ, – უთხრა მგელაძემ სვანს და დაამატა: – თქვენთან ერთად სასჯელს იხდის ბადრი ძარია. მას თხუთმეტი წელი აქვს მისჯილი ბანდიტიზმისთვის და თქვენთან ძმაკაცობს. თქვენ და ძარია უნდა გაიქცეთ და დაგვეხმაროთ იმ ორი მილიონი მანეთის პოვნაში, რომელიც მას აქვს გადამალული და არ ტყდება. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ შარშანწინ, 1968 წლის მარტში, სვერდლოვსკის ბანკის ინკასატორებზე თავდასხმისას იქ ძარიაც იმყოფებოდა და გატაცებული თანხა სწორედ მან გადამალა. ხუთიდან ოთხი თავდამსხმელი ინკასატორი იყო, ოთხივე ადგილზევე დაიღუპა და მოწმე არ დარჩა. თუმცა, დარწმუნებულები ვართ, რომ იქ ძარიაც იყო. გასაგებია?

– თუ სწორად მივხვდი, რომ გავიქცევით, ძარია ისე უნდა დავაბოლო, რომ მან ფულის ამბავი გამიმხილოს, მერე კი თქვენ გამოჩნდებით. შედეგად, მე ბოზის სახელი გამივარდება – ეს ერთი, თანაც, რატომ გამიმხელს ძარია იმ ფულის ამბავს? ადგება და დაითესება, იმ ფულს კი შეირგებს, – მიუგო სვანმა მგელაძეს და დაამატა: – არ მაწყობს, გინდათ მომკალით.

– დამშვიდდი, კვანჭიანო, ყველაფერი გათვლილი გვაქვს: რომ გაიქცევით, ერთ ადგილზე დამალულ პისტოლეტებს აიღებთ. მჭიდებში ყალბი ტყვიებია. ჩვენ მილიციასთან შეტაკებას მოგიწყობთ და ისეთ ილუზიას შევქმნით, თითქოსდა ძარიას გასროლილი ტყვიით მილიციელი მოკვდა, ეს კი მას ჩიხში შეიყვანს, რადგან ამისთვის დახვრეტაა. თქვენ კი მას საზღვარგარეთ გაქცევის იდეას მიაწოდებთ და სწორედ ამ დროს გამოაჩენს ის თავის ორ მილიონს. თქვენ ისე სუფთად აგიყვანთ, ძარია ვერც კი აიღებს თქვენზე ეჭვს და, ყველაფერი, ანუ ჩაშვება, სხვა ადამიანს დაბრალდება. ერთ კვირაში კი იმ გვირაბით გაიქცევით, რომლის თხრაც ამ ერთი კვირის წინ დასრულდა.

– ეგეც იცით? – გაოცდა სვანი.

– კი, – გაეცინა მგელაძეს, და დაამატა, – დღეს ოცდაათია, 7 ივლისს გადიხართ. ერთი კვირა კი ძარიას „შესაბმელად“ უნდა გამოიყენო... აქცენტი დიდ სროკზე გააკეთეთ. ვფიქრობ, დაგეთანხმებათ. თქვენ დიდი ავტორიტეტი გაქვთ და დაგიჯერებთ. თანაც, არ არსებობს, რომ ამდენი ფულის პატრონი გაქცევაზე არ ფიქრობდეს.

**სასამართლო დარბაზში ჩადენილი მკვლელობისთვის „სვანს“ 15 წელი ჰქონდა მისჯილი**

– იქნებ, მართლა არ ყოფილა ძარია იმ ძარცვაზე და გეშლებათ?

– არ გვეშლება. მართალია, სამინისტროში მაგარ პრესებში გავატარეთ და ეს სხეულზეც ეტყობა, მაგრამ, მაინც არაფერი გვითხრა, თუმცა, ვიცი, რომ არ გვეშლება. გაუძლო პრესებს – ორმა მილიონმა გააძლებინა და ამიტომ ჩავიფიქრეთ ეს ოპერაცია.

1970 წლის 7 ივლისს სვანი და ბადრი ძარია პერმის №6 კოლონიიდან გვირაბით გაიქცნენ...

### მოულოდნელი ეპილოგი

კვანჭიანი და ძარია რომ გაიქცნენ, პისტოლეტებიც აიღეს და უკვე სამშვიდობოზე რომ იყვნენ, ბადრიმ სვანს უთხრა:

– თუ ჩაგვავლეს, ციხეში ამოგვალპობენ და ველარ გამოვალთ. ამიტომ, ამ იარაღებით ერთი პატარა საქმე მაინც გავაკეთოთ, რომ ფული გვქონდეს და პაბეგში თავი შევინახოთ. ყველა ჩვენს ახლობელთან ზასადები იქნება და აგვყრიან. ამიტომ, პატარა ინკასაცია დავბომბოთ მოსკოვში და იქვე დავრჩეთ. ერთი საიმედო ხატა ვიცი, სადაც არ მოგვძებნიან, – ძარიამ პაუზა გააკეთა და დაამატა: – „ძაღლებს“ ჰგონიათ, რომ ორი მილიონი მანეთი მაქვს შენახული და ამიტომაც მაწამეს ასე სასტიკად. ნეტავ მართლა ასე ყოფილიყო. მოკლედ, თუ გვინდა, რომ ისევ ვიგულაოთ სვაბოდაზე, ერთხელ კიდევ უნდა გავრისკოთ და კასა წავიღოთ, მერე კი ვნახოთ.

ძარიას რომ მოუსმინა, სვანმა მას ყველაფერი დაწვრილებით უამბო და უთხრა:

– აი, ძმაო, ასეა საქმე და იმიტომ მოვატყუე „ძაღლები“, რომ გამოვსულიყავით.

– „ძაღლების“ მოტყუებას, ისევე, როგორც მათ მკვლელობას, არავინ გვაპატიებს. ამიტომ, უფრო მსხვილი საქმე უნდა გავაკეთოთ, რომ დიდი კუში ავიღოთ და მართლა საზღვარგარეთ მოვტყდეთ. მე ერთგან ავტომატები მაქვს დაზაგაჟნიკებული და გამოგვადგება. მოკლედ, ყველა ვარიანტში ფული გვჭირდება, დიდი ფული, – თქვა ძარიამ.

– არა, ძმაო, ავტომატები და სველი საქმე შორს ჩვენგან. ყულუმბეგაშვილის მკვლელობა სხვა იყო, მაგრამ, სისტემას რომ შევეხოთ, უკვე „კაგებე“ ჩაერთვება საქმეში.

– აბა, რა ვქნათ? რა ციხეში ამოვულპივართ და რა დავუხვრეტივართ, უფულოდ კი „ზა კარდონ“ ვერ გავაღწევთ, – თქვა ძარიამ.

– არის ფული, თანაც იმდენი, რომ გვეყოფა. მთავარია, თბილისამდე ჩავაღწიოთ და, ორმოცდაათი ათასი ჩემზე იყოს – ერთ კაცს ჩემი ვალი აქვს და გამოვართმევ, – მიუგო კვანჭიანმა ძარიას.

გაქცეულები 16 ივლისს უკვე თბილისში იმყოფებოდნენ და სვანის ძველ საყვარელთან დაბინავდნენ ვერაზე; 18 ივლისს კი, საღამოს 10 საათზე, სვანი ფულის მოსატანად წავიდა და დაიბარა, რომ მალე მოვიდოდა.

დუდუ კვანჭიანი სინამდვილეში დიღმის მასივში გაემართა და ფრთხილად შეიპარა ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში, ათიოდე წუთის შემდეგ კი ერთ-ერთი ნიშიდან უხეში ტილოსგან შეკერილი საშუალო ზომის ტომარა ამოიღო, რომელშიც ძვირფასი საიუველირო ნივთები და 50 ათასი მანეთი იყო გახვეული – ეს ფული და ნივთები სვანმა და ყულუმბეგაშვილის მიერ მოკლულმა ვამეხ გულბანმა – „წარბამ“ – ერთ ებრაელ სტომატოლოგს წაართვეს, რომელიც ორი წლის წინ ისრაელში გაემგზავრა. სვანი ფრთხილად გამოვიდა სახლის სადარბაზოდან და ორიოდე ნაბიჯის გადადგმისთანავე ის ოთხმა ადამიანმა გაკოჭა. უცებ გაჩერდა მანქანა, იქიდან ბადრი ძარია გადმოვიდა და სვანს სვანურად უთხრა:

– მოტყუვდი. წააგე და ნუ გეწყინება...

სინამდვილეში ბადრი ძარია მილიციის კაპიტანი ვალტერ გასვიანი აღმოჩნდა და მთელი ეს კომბინაცია მან და მგელაძემ მოიფიქრეს. მილიციამ კი ეს ისტორია სწორედ ისრაელში გამგზავრებული და შემდეგ საჯაშუშოდ უკან დაბრუნებული იმ ებრაელისგან შეიტყო, რომელიც კონტრდაზვერვამ აიყვანა და ინფორმაცია მილიციას გადაუგზავნა.

სვანი ციხეში დააბრუნეს. მან ბოლომდე მოიხადა სასჯელი და „პერესტროიკის“ დროს გათავისუფლდა. მიუხედავად ასაკისა, დუდუ კვანჭიანი ეგრეთ წოდებულ „სვანური დაჯგუფების“ თავკაცი გახდა და 90-იან წლებში სიბერით გარდაიცვალა.

**ნიკა ლაშაური**

# თაღლითმა შვილმა ახალი წლის ღამეს ცოლისძმას დედა დააყაჩაღებინა



56 წლის ჟანა ბ-ძე და 61 წლის ნათელა შ-შვილი მეზობლებმა ნათელა შ-შვილის ბინაში უგონო მდგომარეობაში აღმოაჩინეს. სახლის მეპატრონე, ფეხმოტეხილი ქალი, საწოლიდან ცოტა მოშორებით, იატაკზე იწვა და პირი სკოჩით ჰქონდა აკრული, ჟანა ბ-ძეს კი თავის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებები აღენიშნებოდა. მეზობელმა სასწრაფო სამედიცინო სამსახური და პოლიცია გამოიძახა, რომლებმაც დაზარალებული ქალები საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამოძიებას პირველი ჩვენება მისცა ქალბატონმა, რომელიც შემთხვევის ადგილზე, ნათელა შ-შვილის ბინაში, პირველად მოხვდა. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „ნათელასთან ახლომეზობლური ურთიერთობა მაქვს. 31 დეკემბერს, საღამოს ვნახე და გამაფრთხილა, ხვალ ჩემს ოჯახში პირველი შენ შემოდი, შენი ფეხი კარგად გვაქვს დაცდილიო. ნათელა ყოფილი პედაგოგია. მეზობლებს ძალიან გვიყვარს. უფროსი შვილი ცნობილი ქირურგი ჰყავს, უცხოეთში მუშაობს და ცხოვრობს. ქმარი სამი წლის წინ გარდაეცვალა და მას შემდეგ უფროსმა შვილმა მომვლელი ქალი აუყვანა. ჟანა დღისითაც და ღამეც ნათელასთან იყო. ექვსი თვის წინ ნათელამ ფეხი მოიტეხა და მას შემდეგ ერთი საათითაც არ მიუტოვებია. ნათელას მეორე შვილი, 25 წლის კოტე, დედასთან ცხოვრობდა, მაგრამ, რაც დაოჯახდა, ცოლის ბინაში გადავიდა. ნათელა სულ წუხდა, რომ უმცროს შვილში არ გაუმართლა – ის ჯერ ხულიგნობისთვის დააკავეს, შემდეგ კი თაღლითობისთვის. ცოტა ხანს ის ცოლთან ერთად დედასთან გადმოვიდა საცხოვრებლად, მაგრამ მათ შორის რაღაც მოხდა და კონფლიქტით დაშორდნენ. ნათელა ამაზე არაფერს ამბობდა, მაგრამ, სამეზობლოში ხმა გავრცელდა, კოტემ დედისა და ძმის სახლი გაქურდაო. მას შემდეგ კოტე იშვიათად, ერთი საათით თუ მოინახულებდა ხოლმე დედას. როგორც ვიცი, ახალი წლის დადგომამდეც ინახულა. ჟანა ყვებოდა, რომ შვილი ნათელას წაეკამათა – შენთვის მთავარია, უფროსი შვილი გყავდეს კარგად, ჩემი ცხოვრება არ გაინტერესებსო. პირველ იანვარს, დილის 9 საათი იქნებოდა, ნათელასთან რომ გადავედი. გარედან დავუძახე, პასუხი რომ ვერ მივიღე, სახლში დავბრუნდი. ერთ საათში ხელმეორედ გადავედი და კიდევ რომ არ გამომეპასუხა, ბინაში შევედი. დერეფნიდანვე დავინახე, რომ ნათელა საწოლიდან მოშორებით იატაკზე ეგდო, იქვე იწვა ჟანაც. ჯერ ნათელას მივვარდი და სკოჩისგან გავათავისუფლე. მერე ჟანას მოსულიერება ვცადე, სახლში ყველაფერი აყრილ-დაყრილი იყო. საშველად მეზობლებს დავუძახე და სასწრაფო გამოვიძახეთ. მათ მოსვლამდე მომიყვა ნათელა, რომ ღამით ერთი ნიღბიანი მამაკაცი დაესხა თავს, რომელმაც 500 დოლარი და ოქროს სამკაულები გაიტაცა, ნათელას პირი აუკრა, ჟანას კი თავში რკინის ჯოხი ჩაარტყა და გათიშა."

სამართალდამცველებმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, დაიწყო გამოძიება. გადამოწმდა ყველა საეჭვო ვერსია, დაიკითხნენ დაზარალებული ქალბატონები, რომელთა ჩვენების მიხედვით, მათზე თავდასხმა ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღბულმა მამაკაცმა, რომელსაც სახე ნიღბით ჰქონდა დაფარული.

ამონაწერი ნათელა შ-შვილის ჩვენებიდან: „ღამის 11 საათი იქნებოდა, როცა სამზარეულოდან ხმაური შემომესმა. მე სასტუმრო ოთახში, საწოლში ვიწექი და ტელევიზორს ვუყურებდი. რაც ფეხი და მენჯი მოვიტეხე, საწოლს ვარ მიჯაჭვული და ძალიან მიჭირს წამოდგომა. იმ დროს სამზარეულოში ჟანა იყო და გავძახე, მაგრამ არ გამომეპასუხა. უცებ დავინახე, რომ ჩემთვის უცნობმა ადამიანმა ის სასტუმრო ოთახში გამოათრია – ერთი ხელი ჟანას თმაში ჰქონდა ჩაჭიდებული, მეორეში კი პისტოლეტი ეჭირა. მამაკაცს სახეზე ნიღაბი ეკეთა, მაგრამ, ჩაცმულობაზე და აღნაგობაზე მივხვდი, რომ ახალგაზრდა იყო. ძალიან შევშინდი. თავდამსხმელმა მითხრა, ამ ქალს თვალწინ მოგიკლავ, ფულსა და ოქროს თუ არ მომცემთო. მე ვუთხარი – არც ფული მაქვს და არც ოქრო-მეთქი. ამის თქმა იყო და, ჟანას რაღაც ჩაარტყა თავში – რკინის ჯოხი იყო, რომელიც უბიდან ამოიღო. ჟანა ძირს დავარდა, ახალგაზრდამ ჯოხი კიდევ ჩაარტყა, ჟანა კარისკენ მიათრია და ახლა მე

## ორივე ქალი, პირაკრული და გონდაკარგული, იატაკზე იწვა

მომვარდა პისტოლეტით, თან მეუბნებოდა – ბებერო, იცოდე, შუბლს გაგიხვრეტო. სახლში 500 დოლარი მქონდა, რომელიც შვილმა გამომიგზავნა. ვუთხარი თავდასხმელს, სადაც იდო ფული, ოქროს სამკაულების ადგილიც მივუთითე. ოქროც აიღო, ფულიც და კვლავ განაგრძო ფულის მოთხოვნა. მერე სასტუმრო ოთახში კარადებიდან ყველაფერი ძირს გადმოყარა. ჟანა იატაკზე იწვა. შემეშინდა, ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი და საწოლიდან წამოდგომა ვცადე, მაგრამ თავდამსხმელი მომვარდა და პირი სკოჩით ამიკრა. ვთხოვე, ჰაერის უკმარისობა მაქვს და პირს ნუ ამიკრავ-მეთქი, მაგრამ ამის თქმაზე ხელებიც შემიკრა სკოჩით. ბინა კარიდან დატოვა. მისი წასვლის შემდეგ საწოლიდან გადმოსვლა და ჟანამდე მისვლა ვცადე და გადმოვვარდი. მთელი ღამე იატაკზე გავატარე, ვერც კარამდე მივედი, რომ ვინმესთვის საშველად დამეძახა. დილით მეზობელს რომ არ აღმოვეჩინეთ, ალბათ, ვერც ერთი ვერ გადავრჩებოდით."

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გამოძიებამ დააკავა 27 წლის მამუკა მ-შვილი, რომელიც ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი პიროვნება აღმოჩნდა. დაკავებული თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს და ამბობდა, რომ ჰქონდა ალიბი – ახალი წლის ღამეს ოჯახში, დასთან და მის ქმართან ერთად შევხვდიო, თუმცა მოგვიანებით აღიარა დანაშაული, რის შემდეგაც სამარათალდამცველებმა მისი ბინიდან ამოიღეს ნათელა შ-შვილისგან გატაცებული თანხის ნაწილი, ოქროს სამკაულები და იარაღი – სათამაშო პისტოლეტი, რომლითაც მამუკა მ-შვილმა ორი მარტოხელა ქალის შეშინება შეძლო. საქმის მასალების მიხედვით, მამუკა მ-შვილმა ქალბატონები დის ქმრის, კოტე შ-შვილის მითითებით დააყაჩაღა – ამის შესახებ მან გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღიარა. სამართალდამცველებმა დააკავეს ნათელა შ-შვილის უმცროსი ვაჟი, კოტე შ-შვილი, რომელმაც დედისა და მისი მომვლელი ქალის დაყაჩაღება დაგეგმა. ვინაიდან ნათელა შ-შვილი რძლის ძმას კარგად იცნობდა, ახალგაზრდამ შენიღბვის მიზნით სახე ნიღბით დაიფარა.

იმის მიუხედავად, რომ კოტე შ-შვილი არ ცნობდა თავს დამნაშავედ და ამბობდა, რომ მამუკა მ-შვილმა დანაშაული მასთან შეუთანხმებლად ჩაიდინა, სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ასევე 8 წლით პატიმრობა შეეფარდა მამუკა მ-შვილს, რომელიც საბრალდებო სკამზე გამოცდილი კრიმინალური წარსულის მქონე სიძის წყალობით მოხვდა.

**ეკა ბარაბაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ი | | | რ | ი | ი |
| | | | | ნ | ი | კ | ა | ლ | ა |
| | | | | ა | ვ | | უ | ა | რ |
| პ | ა | ტ | ა | რ | ძ | ა | ლ | ი | |
| ე | | რ | | ი | ა | ლ | ი | რ | ა |
| ტ | ი | უ | მ | ე | ნ | ი | | | |
| ე | | მ | | თ | | ა | ბ | რ | ა |
| ფ | რ | ე | ს | კ | ა | | | ა | დ |
| ი | | ნ | ო | | | ს | ა | ბ | ო |
| | კ | ი | ლ | ტ | ი | | ტ | ი | |
| | ა | | ი | | ა | ტ | ი | ნ | უ |
| | კ | ი | ტ | რ | ი | | ლ | ი | |
| მ | ა | ნ | ე | | ა | ლ | ა | | ი |
| ო | დ | ე | რ | კ | | ი | | ო | მ |
| ტ | უ | რ | ი | ნ | ი | | ე | | ი |
| | | კ | | | ბ | უ | რ | დ | ა |
| | კ | ო | რ | ს | ა | რ | ი | | ტ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | 8 | 9 | 3 | 7 | 1 | 5 | 6 |
| 5 | 1 | 7 | 2 | 6 | 8 | 3 | 4 | 9 |
| 6 | 9 | 3 | 4 | 5 | 1 | 7 | 2 | 8 |
| 2 | 5 | 4 | 6 | 1 | 3 | 8 | 9 | 7 |
| 8 | 3 | 9 | 5 | 7 | 4 | 2 | 6 | 1 |
| 1 | 7 | 6 | 8 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 |
| 7 | 6 | 2 | 3 | 8 | 5 | 9 | 1 | 4 |
| 3 | 8 | 5 | 1 | 4 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 9 | 4 | 1 | 7 | 2 | 6 | 5 | 8 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 4 | 1 | 5 | 3 | 6 | 2 |
| 1 | 4 | 2 | 3 | 7 | 6 | 9 | 5 | 8 |
| 5 | 6 | 3 | 2 | 8 | 9 | 7 | 1 | 4 |
| 4 | 8 | 1 | 9 | 5 | 7 | 2 | 3 | 6 |
| 9 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 | 4 | 8 | 1 |
| 3 | 2 | 6 | 1 | 4 | 8 | 5 | 9 | 7 |
| 6 | 5 | 8 | 7 | 3 | 4 | 1 | 2 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 5 | 6 | 2 | 8 | 4 | 3 |
| 2 | 3 | 4 | 8 | 9 | 1 | 6 | 7 | 5 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. სახელმწიფო მეთაურის დაბადების დღეს. 2. ფეხი (ორატორები ცალ ფეხზე იდგნენ). 3. მღერიან სახელმწიფო ჰიმნს, რომლის მუსიკა ძველი ბრიტანული სუფრული სიმღერიდან მოდის. 4. მზეზე. 5. შეუცდომელი მხოლოდ ალაჰია და მისი მიბაძვა ცოდვააო. 6. ხიშტი (მათ მუშკეტებს დაამაგრეს ხანჯლები). 7. ელემენტთა პერიოდულ სისტემაზე. 8. დუმილი. 9. მის დროს მონეტებს სპილენძისგან ამზადებდნენ და ვერცხლში ავლებდნენ. ხმარებისას ამობურცული ჰენრიხის გამოსახულების ცხვირს ვერცხლი სცილდებოდა. 10. რუდოლფ დიზელი.**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გვენეტაძე-გვეტაძე

გვარში ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **გვენე** (დაფიქსირებულია სვანეთში).

ქართული გვარების „საშენ მასალად“ ხშირადაა გამოყენებული ასო **ტ**. **გვენე**-ს დაემატა ასო **ტ** და მიღებული იქნა **გვენეტაძე**, ამავე ძირისაა გვარი **გვეტაძე**.

„ხუცია **გვენეტაძე** მოწმეა კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ კანდელაკ ქავთარისათვის მიცემული ბიჭის წყალობის წიგნისა“ (1673-1696 წლები).

1840-იან წლებში იმერეთში **გვენეტაძეები** ცხოვრობენ სოფლებში: დაბაძველი, ეწერი, მუხაყრუა, სუფოთი, სიმონეთი.

**გვენეტაძეები** სასულიერო პირები და საეკლესიო გლეხები იყვნენ.

25 000 გვარს შორის **გვენეტაძეებს** 253-ე ადგილი უჭირავთ.

საქართველოში 2 750 **გვენეტაძე** ცხოვრობს: ქუთაისში – 817, ტყიბულში – 671, თერჯოლაში – 557. არიან სხვაგანაც.

### ზარაფიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზარაფა**.

დაახლოებით 1700-იან წლებში, ქიზიყში, კერძოდ, სოფელ ზემო მაჩხაანში, დასახლებულა სარგის **ზარაფიშვილი**. მას თან ჩამოუტანია საქსოვი დანადგარები და ოჯახს დაუწყია პირველი მოხმარების ფართლეულის ქსოვა, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას აკმაყოფილებდნენ. თვითონ სარგისი და მისი ვაჟიშვილი – იოთამი, თბილისში დაბრუნებულან და სამეფო ზარაფხანაში ფულის მოჭრა გაუგრძელებიათ. იოთამის ვაჟიშვილები – სტეფანე, მიხეილი და ნიკოლა – განთქმული მშენებლები, კალატოზები ყოფილან და მთელ საქართველოში ეკლესიებსა და სახლებს აშენებდნენ.

**ზარაფიშვილების** საგვარეულო გამორჩეული იყო. მათ გარეშე, სოფლებში – ქვემო და ზემო მაჩხაანში, ოჯახების შექმნა და სადავო საკითხები არ წყდებოდა. ისინი, ასევე, ვენახების დაგეგმარებასა და მიწათმოწყობაში სთავაზობდნენ ხალხს დახმარებას.




საქართველოში 74 **ზარაფიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 34, დედოფლისწყაროში – 19, დუშეთში – 10. არიან სხვაგანაც.

### ჩაკაშვილი

აზნაურ **ჩაკაშვილების** წინაპრები კახეთიდან გადმოსულები არიან თეიმურაზ მეფის დროს, 1629 წელს: „საციციანოს გერდის წინ მოსახლენი, ძველად **ჩოკაშვილთაგანნი**, მდაბალნი აზნაურნი და ცნობილნი დროსა ვახტანგ მეფისასა, რომელთაცა **ჩოკას** მაგიერ გაუგვარდათ **ჩოკაშვილობა** და არიან მოხსენიებულ ტრაქტატსა შინა“.

ისტორიულ წყაროებში **ჩაკაშვილი** გვხვდება ასევე თავად ციციშვილის აზნაურად.

„თავად ჯანდიერისშვილს მეფემან მისცა ჯილდოდ თავადობა გვარად ჯანდიერობისა წელსა ქრისტეს აქეთ 1628-სა და სახასოთაგან კახეთსა შინა მამული და ყმა და არიან აწ მცხოვრებნი კალაურსა შინა; ხოლო ახმეტას მცხოვრებნი იწოდებიან **ჩაკაშვილებად** და არიან აზნაურნი“.

საქართველოში 452 **ჩაკაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 240, თბილისში – 106, გურჯაანში – 71. არიან სხვაგანაც.

### ამბროსაშვილი

**ამბროსაშვილი** შერმაზანა მოიხსენიება მეთხუთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილ ამილაბარ გოსტაბაშვილის ყმების ნუსხაში.

გვარის შესახებ ისტორიულ საბუთებში, სამწუხაროდ, ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება.

საქართველოში 47 **ამბროსაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 21, გორში – 13, კასპში – 10. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

11-12-13 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი-ოთხშაბათი** 14.00, 18.00 - **„კონკია"** - (ბილეთის ფასი - 7 - 15 ლარი), (დიდი სცენა) - მუსიკალური ზღაპარი. რეჟისორები: რობერტ სტურუა, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, ლელა ახალაია, თენგიზ გიორგაძე, დავით გოცირიძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, მარინა კახიანი, ნათია კვაშალი, კახა კუპატაძე, ბაჩი ლეჟავა, ნინო მაყაშვილი, რუსუდან მაყაშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„არაბეთის სურნელოვანი ბალახები"** - (ბილეთის ფასი - 10, 12 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ნანა ფაჩუაშვილი, ნანუკა ხუსკივაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ;***

17 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„წეროს ფრთები"** - (ბილეთის ფასი - 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი და ქორეოგრაფი - გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ანდრია თავბერიძე, ნათია კვაშალი, მამუკა ლორია, სანდრო მიკუჩაძე-ღლონიძე, ირაკლი სანაია, ქეთი სვანიძე, გაგი სვანიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ.***

## მარჯანიშვილის თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8. ტელ.: 2 955-966.**

12-13 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„საშობაო სიმღერა"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

15 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 12 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

15 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„ვიხსენებთ ოთარ მეღვინეთუხუცესს"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: ლევან წულაძე, ირაკლი გოგია. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ზურა ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა 2სთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„წასვლა"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები - ლევან წულაძე, დათო ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: დათო დვალიშვილი, ქეთი გეგეშიძე, ეკა მჟავანაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ანა გრიგოლია, ირმა ბერიანიძე, ნინო გაჩეჩილაძე, ზაზა გოგუაძე, კონსტანტინე როინიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ზაზა სალია; ***ხანგრძლივობა 2სთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„ლისისტრატე"** - (ბილეთის ფასი - 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ლაშა შეროზია. მონაწილეობენ: ქეთი ჩხეიძე, ლიკა ქობულაძე, ნათია გუბენკო, ლილე ფილფანი, ანა სანაია, გვანცა კორშია, ბექა გოდერძიშვილი, თემურ კილაძე, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე ქურასბედიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

17 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„ათვინიერებენ მიმინოს"** - (ბილეთის ფასი - 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: პეტრე ჩარგეიშვილი. მონაწილეობენ: ვალერი კორშია, ზაზა იაქაშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, ლილე ფილფანი, ნათია ნიკოლაიშვილი, გიორგი ტატიშვილი, თენგიზ პაპიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;***

17 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.***

### *ახალი სცენა*

12 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14, 16 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ;***

15 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„შეცდომათა კომედია"** - (ბილეთის ფასი - 14, 16 ლარი), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ზურა ინგოროყვა, ონისე ონიანი, დათო ხახიძე, ზაზა იაქაშვილი, ჯაბა კილაძე, ნათია არბოლიშვილი, ანა სანაია, ქეთი კანტიძე, ეკა ნიჟარაძე, ირმა ბერიანიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„ეჭვი"** - (ბილეთის ფასი - 14, 16 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

17 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„დაანებე ჩემს ცოლს თავი!"** - (ბილეთის ფასი - 16 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ვასიკო ოდიშვილი, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, დონარა გვრიტიშვილი, ქეთი ცხაკაია, ზურა ბერიკაშვილი, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15წთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

12 იანვარი, **სამშაბათი** 19.00 - **„მატყუარები"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: ირაკლი გრძელიშვილი, რატი ყულოშვილი, ნინი სოსელია, ეთო ალექსაშვილი, გუგა კალანდაძე, კობა ჭყადუა, ლაშა გუჯაბიძე, იურა ჩიტაშვილი, ქეთი ტატიშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;***

13 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45წთ;***

15 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ჯაბა კილაძე, სალომე ჭულუხაძე, მამუკა მუმლაძე, ანი ალადაშვილი, ლაშა გურგენიძე, ოთო ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, გიორგი ზანგური, ქეთა ლორთქიფანიძე, გიორგი ჯიქია, თიკო კორძაძე, მაია დობორჯგინიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.***

17 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

15 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„უდღეური დღეობა"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნინი ჩაკვეტაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„ტრამვაი-სურვილი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

17 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„ჭირვეულის მორჯულება"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ჰილარი ვუდი (დიდი ბრიტანეთი). ***ხანგრძლივობა 2სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

12-13, 16-17 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი, შაბათი-კვირა** 14.00 - **„მაკნატუნა"** - (ბილეთის ფასი - 9, 12 ლარი), რეჟისორი: ირაკლი გოგია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15წთ;***

14-15 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 14.00 - **„თოვლის დედოფალი"** - (ბილეთის ფასი - 9, 12 ლარი), რეჟისორი: ლაშა გოგნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ.***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

15 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„არ დამივიწყო"** - (ბილეთის ფასი - 8, 10, 12, 14 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 12.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 13.00 - **„სალამურა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10, 12, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 16.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

16 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„ჩვენ გველის დიდება"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

17 იანვარი, **კვირა** 12.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;***

17 იანვარი, **კვირა** 13.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2 სთ;***

17 იანვარი, **კვირა** 16.00 - **„პრინცესა, ბაყაყი, ჰენზელი და გრეტელი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ;***

17 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„ბაში-აჩუკი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.***

## ორშაბათი 11 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "საშობაო ნათურების შემოსევა-ევროპა" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერი: დიდი ბრიტანეთი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" 21.30 ევროპის საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონია. (პ/ციურიხიდან.) 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**მაკარტური**" (გ.პეკი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ქ.მხ/ფ. "**კრიმინალები**" - პრემიერა 23.30 კონცერტი "ბუბა" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 3.30 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუზეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**ეკატერინა**" 23.30 "კონტაქტი" 0.00 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 2.00 "კონტაქტი".

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 9 სერ. 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ**" 7-8 სერ. 02.10 მხ/ფ "**მეოთხე მეფე**" (მ.გ.კუჩინოტა) 03.45 ერთხელ საქართველოში 04.35 მხ/ფ "**კოდი**"(ჯ. ქიუსაკი).

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი-"ნეტარი პიმენი" 06.45 ქართული ალბომი 07.10 მოკ.მხ/ფ "**ქვევრი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**არდადეგებზე**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართ. ან/ფ 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს ქალაქები-ქუთაისი 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ "ჩიჩილაკი" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 12 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "გურმანია" (გ/ჩვ) 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 მხ/ფ "**სასახლის არომატები**" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 22.55 "ეპოქის ფრაგმენტები" 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ბორნის იდენტიფიკაცია**" (მ.დეიმონი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 მხ/ფ. "**სიყვარული აქცენტით - 2**"-პრემიერა 23.30 კონცერტი"ინტროსპექცია -ნ.მეტონიძე" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 3.30 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.00 "კონტაქტი" 11.05 სერ. "**ქუზეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. "**ტატიანა** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.05, 17.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**ეკატერინა**".

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 WOICE - საქართველო 00.00 ქ.მხ/ფ "**მიდიოდა მატარებელი**" (ზ.ყიფშიძე) 01.40 მხ/ფ "**მელიებზე მონადირე**" (ვ.რედგრეივი) 03.50 ერთხელ საქართველოში 04.25 მხ/ფ "**მეოთხე მეფე**".

06.10 სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 საქართველოს ქალაქები-ქუთაისი II ნაწ. 11.10 თაობა ზეტი 11.30 გამოყენებითი ხელოვნება 12.10 მხ/ფ "**ცისკარა**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართ. ან/ფ 15.40 კონცერტი "საშობაო" ბოჩელი 16.30 მგზავრები წუთისოფლისა "თიანეთი" 17.10 მოკ. მხ/ფ "**ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა**" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სიმღერის კვალდაკვალ "სამედიცინო" 20.00 ღია აუდიტორია "მარიკა ლორთქიფანიძე" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 39-ე გვერდზე

## კ ი ნ ო თ ე ა ტ რ ე ბ ი

### კინოთეატრი „რუსთაველი“
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**11 – 17 იანვარი**

*დარბაზი 1*

11.30, 13.35 - **„აუტანელი არდადეგები“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*
15.40, 19.00 - **„რევენანტი“**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*
22.30 - **„მძულვარე რვა“**; *ხანგრძლივობა: 3სთ. 10წთ;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.30 - **„მხიარული კუპერები“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;*
17.00 - **„კრამპუსის წყევლა“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*
19.30 - **„აუტანელი არდადეგები“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*
22.00 - **„ჯაშუშთა ხიდი“**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ;*

*დარბაზი 3*

12.30 - **„რევენანტი“**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*
16.00 - **„კეთილი დინოზავრი“** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*
18.15 - **„სნუპის ახალი წელი“** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*
20.30 - **„მხიარული კუპერები“** ქართულად; *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;*
22.30 - **„კრამპუსის წყევლა“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*

*დარბაზი 4*

12.00 - **„კეთილი დინოზავრი“** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*
14.10 - **„ვარსკვლავური ომები: ძალის გამოღვიძება“** 3D; *ქართულად ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;*
17.00, 22.15 - **„ტალღის ქიმზე: ექსტრემალები“** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ;*
19.30 - **„ვარსკვლავური ომები: ძალის გამოღვიძება“** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;*

*დარბაზი 5*

11.30, 13.30 - **„სნუპის ახალი წელი“** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*
15.30, 18.50 - **„მძულვარე რვა“**; *ხანგრძლივობა: 3სთ. 10წთ;*
22.40 - **„რევენანტი“**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

(ბილეთის ფასი: 8 - 14 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი“
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00 - **„სნუპის ახალი წელი“** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*
17.15 - **„აუტანელი არდადეგები“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*
19.15, 22.45 - **„რევენანტი“**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„აუტანელი არდადეგები“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*
15.30, 19.00 - **„მძულვარე რვა“** (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 3სთ. 10წთ;*
22.35 - **„სტივ ჯობსი“**; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ტალღის ქიმზე: ექსტრემალები“** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ;*
14.30 - **„ჯაშუშთა ხიდი“**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ;*
17.15 - **„კრამპუსის წყევლა“**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*
19.30 - **„რევენანტი“** (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*
22.40 - **„მძულვარე რვა“**; *ხანგრძლივობა: 3სთ. 10წთ;*

(ბილეთის ფასი: 8 - 14 ლარი).

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ფარშირებული რულეტი ღორის ხორცით

      



**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი გრძელმარცვლიანი ბრინჯი, 1 მოზრდილი ნაჭერი ღორის ხორცის რბილი, უძვლო ფილე (1,5 კილოგრამი) ან ბარკალი, 100 გრამი ბოსტნეული: სტაფილო, წითელი ბულგარული წიწაკა, ცოტა მწვანე ბარდა; 1 სადილის კოვზი მდოგვი, ცოტა ცხარე წიწაკა, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, მარილი, 1 კბილი ნიორი, პილპილი.

**მომზადების წესი:** ღორის ხორცი გარეცხეთ და შეაშრეთ. თუ ბარკალი გაქვთ, ბასრი დანით ძვალი ისე ამოაჭერით, რომ ბარკლის მთლიანობა არ დაარღვიოთ.

**მოამზადეთ მარინადი:** ერთმანეთში შეურიეთ ლიმონის წვენი, მდოგვი, ცხარე წიწაკა, დანაყილი ნიორი და მარილი, წაუსვით ბარკალს შიგნიდან და გარედან და შედგით მაცივარში მინიმუმ ერთი საათით.

ბრინჯს დაასხით წყალი (ორი წილი ერთ წილზე) უყავით მარილი და ხარშეთ 15 წუთი. გადაწურეთ და გააცივეთ. ბოსტეული დაჭერით კუბიკებად (შეგიძლიათ, სიმინდი და წვრილი მწვანე ლობიოც გამოიყენოთ). ეს ყველაფერი შეურიეთ ბრინჯს, უყავით ცოტა მარილი და პილპილი და ამ ფარშით ამოავსეთ ბარკალი (ან, თუ ბრტყელი ნაჭერი გაქვთ, გადაახვიეთ ფარშთან ერთად და შეკარით ხის ჩხირით), შეფუთეთ ფოლგაში და გამოაცხვეთ 200 გრადუსზე, 1,5 საათის განმავლობაში. მიირთვით ცხელივე. უგემრიელესი კერძია.

# ბოსტნეული ნაღებისა და სოიის სოუსში

    



**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი კარტოფილი, 4 თავი მწვანე ხახვი, 3 ცალი პომიდორი, 1 ცალი ყაბაყი, 3 ცალი სხვადასხვა ფერის ბულგარული წიწაკა, 200 გრამი ქამა სოკო, 30 მილილიტრი ზეთი, 50 გრამი სოიის სოუსი, 100 მილილიტრი 25-პროცენტიანი ნაღები, 100 გრამი რბილი ყველი.

**მომზადების წესი:** ფორმას წაუსვით ზეთი. აირღუმელი 200 გრადუსზე ჩართეთ. ბოსტნეული და სოკო მსხვილად დაჭერით. ერთმანეთში შეურიეთ ნაღები და სოიის სოუსი. მოასხით ბოსტნეულს და აცხვეთ 25 წუთის განმავლობაში. ბოლოს მოაყარეთ გახეხილი ყველი და ათი წუთის შემდეგ მზად იქნება.

ძალიან უხდება ზემოდან მოყრილი წვრილად დაჭრილი კამა.





# ვაშლის ვახშამი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი მომჟავო ვაშლი, 250 გრამი ბრინჯი, 300 გრამი ქათმის ფილე, 100 მილილიტრი ბულიონი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით, 1 სადილის კოვზი ზეთი.

**მომზადების წესი:** ბრინჯი მოხარშეთ და გადაწურეთ. ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად და შუშეთ 2 წუთის განმავლობაში ზეთში. დაუმატეთ გახეხილი სტაფილო და შუშეთ კიდევ 5 წუთი.

ოდნავ გაცივებული ბოსტნეული შეურიეთ წინასწარ მოხარშულ და დაქუცმაცებულ ქათმის ფილეს, უყავით მარილი და შავი პილპილი და კარგად ამოურიეთ.

ვაშლებს გადააჭერით თავები და აკურატულად ამოაჭერით შუაგული და რბილობის ნაწილი. ვაშლის რბილობი დაჭერით კუბიკებად, ჩაუმატეთ ფარშს და ამ ფარშით ამოავსეთ ვაშლები. დაასხით ბულიონი, როცა გამოსაცხობ ტაფაზე დააწყობთ, ძირში გაუფინეთ ფოლგა. დაახურეთ ვაშლისვე „თავსახური“ და აცხვეთ 190 გრადუსზე, 40 წუთის განმავლობაში. თუ ფოლგაში შეფუთავთ, მომზადების დასრულებამდე 15 წუთით ადრე ფოლგა მოხსენით. ძალიან არომატული და გემრიელი კერძია.

# გამომცხვარი კარტოფილი წიწაკაში





**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი ბულგარული წიწაკა, 150 გრამი ბრინჯი, 250 გრამი ნებისმიერი ხორცის ფარში, 1 თავი ხახვი, მარილი, შავი პილპილი, 1 კვერცხი, 350 გრამი კარტოფილი, 2 სადილის კოვზი არაჟანი.

**მომზადების წესი:** მოხარშეთ ბრინჯი ისე, რომ ცოტა მაგარი დარჩეს. ფარშში შეურიეთ ბრინჯი, დაქუცმაცებული ხახვი, მარილი, პილპილი და კვერცხი. კარგად ამოურიეთ და შედგით მაცივარში.

ბულგარულ წიწაკას მოაჭერით ყუნწი, სიგრძეზე ჩაჭერით და 1-2 წუთით მოათავსეთ მდუღარე წყალში. გააცივეთ. გადაშლილ ბულგარულზე მოათავსეთ ფარში. გადაახვიეთ და შუაზე გაჭერით.

უმი კარტოფილი დაჭერით თხელ ფირფიტებად. ფორმას წაუსვით ზეთი, ძირში ერთ ფენად დააწყვეთ კარტოფილი და ცოტა მარილი მოაყარეთ.

**მოსართავი კარტოფილის „ვარდისთვის”:** კარტოფილის ძალიან თხელი ფენები დააწყვეთ ერთმანეთზე სიგრძეზე და გადაახვიეთ რულეტივით. ფარშიანი ბულგარულები და კარტოფილის „ვარდი” მოათავსეთ გამოსაცხობ ფორმაზე და გამოაცხვეთ აირღუმელში. არაჟანი წინასწარ წაუსვით კარტოფილსა და ბულგარულს. აცხვეთ 170 გრადუსზე, 35 წუთის განმავლობაში.

# როდის ტირის ადვოკატი ლედი ტუკვაძე და რას ელოდება 2016 წელს თოვლის ბაბუისგან

**ქალბატონ ლედი ტუკვაძეს ქართული საზოგადოების წინაშე წარდგენა აღარც სჭირდება. აღიარებული ადვოკატი არაერთ გახმაურებულ საქმეშია ჩართული და მისი მონაწილეობით ბევრი საინტერესო პროცესი გვინახავს. სწორედ ამიტომაც, ის 2015 წლის 8 წამყვანი ადვოკატის რეიტინგშია შესული, ხოლო ჩვენი მკითხველების გამოკითხვებითაც კვლავ აქტუალური და რეიტინგულია. თუმცა, ამჯერად ცნობილ ადვოკატს სულ სხვა რაკურსით გაგაცნობთ.**

**– ქალბატონო ლედი, 2016 წელი დაიწყო, ახალ წელს როგორ ხვდებით?**

– ვგიჟდები ახალ წელზე. ახალი წლის ღამე ჩემთვის ჯადოსნურია. დღემდე მჯერა თოვლის ბაბუის არსებობის და საოცარი წინასაახალწლო განწყობა მაქვს ყოველთვის. რამდენიმე წელი არ ვიყავი საქართველოში და სულ შურის თვალით ვუყურებდი, როგორ დებდნენ ჩემი „ფეისბუქის" მეგობრები ოჯახურ გარემოში გადაღებულ სურათებს. შობა-ახალი წელი ჩემთვის ასოცირდება სახლთან, სითბოსა და ახლობლებთან. ამიტომ, წელს უარი ვთქვი უცხოეთში გატარებულ ზაფხულსა და ახალ წელზე და შევეცადე, ჩემს ოჯახთან, ახლო მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად, გამეტარებინა ეს დღესასწაული.

**– ახლა საქართველოში ხართ. 2016 წელს რას ელოდებით და როგორ შეაფასებთ გასულ წელს?**



– 2016 წლიდან ძალიან ბევრ რამეს ველოდები. ეს უნდა იყოს რადიკალური ცვლილებების პერიოდი. მე ვფიქრობ, ამ წელს მივიღებ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც რადიკალურად შეცვლის ჩემს ცხოვრებას. ეს ყველაფერი არ უკავშირდება პირად ცხოვრებას. პირად ცხოვრებაში საინტერესო არაფერი ხდება და არც მოხდება. სურათი ძალიან შავ-თეთრია. პროფესიული საქმიანობა იქნება აქტიური. ვერც იმას ვიტყვი, რომ გასული წელი უნაყოფო იყო. იყო ბევრი წარმატებული ქეისი, ბევრი ნაყოფიერი პროექტი და მოგებული საქმე. ძალიან კმაყოფილი ვარ ქართული ემიგრაციის ცენტრის პროექტით, რომელიც ცნობილმა ქართველმა ექიმმა და მეცენატმა, ამერიკელმა ქართველმა დიმიტრი ტვილდიანმა დაიწყო და რომლის შესახებ დეტალურ ინფორმაციას უახლოეს პერიოდში გაიგებს ქართველი საზოგადოება. რაც შეეხება წარუმატებელს, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე წარუმატებელი პროექტი იყო ალტერნატიული გამოძიების სამსახური. ეს იყო ჩემი ყველაზე ფუჭი ინვესტიცია.



**– ქალბატონო ლედი, წლის 8 საუკეთესო ადვოკატს შორის მოხვდით, პლუს, დააარსეთ საერთაშორისო საემიგრაციო საკონსულტაციო სამსახური... როგორ ასწრებთ ამდენს? როგორ ახერხებთ ოჯახის გაძღოლასა და საქმის ბრწყინვალედ შესრულებას?**

– ძალიან დიდი მადლობა ხალხს ამ რეიტინგისთვის. რომელიმე ჩინოვნიკის ან ორგანოს გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო ეს საქმე, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად ვერ მოვხვდებოდი ამ რეიტინგში. მიუხედავად იმისა, რომ მაქვს ურთულესი ქეისები, ერთადერთი ადვოკატი ვიყავი, რომლის მანქანაც აფეთქეს. ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს, სხვადასხვა დროს, შეხვდა ურთულესი პრობლემა და იმის გამო, რომ მე ამ თემებზე საერთოდ არ ვსაუბრობ, ამ დროს კი ვუყურებ, რომ სხვას ყვირილისთვის, ყურის აწევისთვის, შეგინებისთვის, ღამის ეროვნულ გმირად გამოიყვანენ, ცოტა უხერხულია. მაგრამ, ესეც მოწესრიგდება დროთა განმავლობაში, იმედია. მე მინდა, რომ კვლავ დიდი მადლობა ვუთხრა ხალხს ჩემი წვლილის დაფასებისთვის. რაც შეეხება, როგორ ვახერხებ ოჯახის გაძღოლას, გაცილებით წარმატებული ვიქნებოდი პროფესიულ საქმიანობაში, რომ არ მქონდეს ის უზარმაზარი ტვირთი, რასაც ოჯახის მარტო გაძღოლა ჰქვია, როცა ერთდროულად, შეთავსებული გაქვს ძალიან ბევრი ფუნქცია. ეს ყოველდღიური რუტინა არაა მხოლოდ, ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობაა და მით უმეტეს, ჩემთვის, რადგან საოცრად პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი ვარ.

**– ქალბატონო ლედი, საზოგადოებაში რატომღაც სულ არსებობს მოსაზრება, რომ ქალი სუსტი არსებაა. თქვენ რას იტყოდით? თქვენ ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ, სინამდვილეში – კულისებში, ავანსცენის მიღმა, როგორია ლედი ტუკვაძე როგორც ქალი?**

– ზოგჯერ კიდეც მავიწყდება, რომ ქალი ვარ. ძალიან ძნელია ერთი ადამიანისთვის ამდენი პასუხისმგებლობის, ქალისა და მამაკაცის ფუნქციების შეთავსება. რთულია, როცა შვილისთვის ერთდროულად ხარ დედაც და მამაც; უნდა იზრუნო მოხუცებზე, რომელთაც შენ გარდა, არავინ ჰყავთ და მხოლოდ შენზე არიან დამოკიდებულნი; შეითავსო სხვადასხვა, მათ შორის ხელოსნის ფუნქციაც კი; ურთიერთობა გქონდეს უამრავ, სხვადასხვა და მძიმე პრობლემის მქონე ადამიანთან; იმგზავრო ყოველ მესამე, მეოთხე დღეს ქალაქიდან ქალაქში და სახელმწიფოდან სახელმწიფოში. ზოგჯერ ძალიან ვიღლები იმიტომ, რომ არ არსებობს ადამიანი ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც ელემენტარულად, დაველაპარაკები ან წავეწუწუნები. მაგრამ, ღმერთის წყალობით, ბედნიერი ვარ, რომ მაქვს სამუშაო. არ მიყვარს დღესასწაულები, როცა სახლში მარტო ვარ. ყველაზე მეტად ამ დროს ვარ დარდიანი, ქალური და ცრემლიანი.

**– შვილი ყველა ქალისთვის შეუცვლელია. როგორი დედა ხართ?**

– ჩემი შვილი ჩემთვის ყველაფერია. ერთადერთი, ჩემი ყველაზე დიდი პლუსია ის, რომ ვარ გიჟი დედა. ჩემი რეჟიმისა და იმისდა მიუხედავად, რომ მეგობრები დამცინიან (ჩემი ამბები უკვე ანეკდოტებად დადის), როდესაც ვერ ვახერხებ, შვილთან თბილისში ვიყო, ვცდილობ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი შევუძინო, რაც იმერეთში, თბილისისგან განსხვავებით, უფრო შესაძლებელია. ვცდილობ, ჩემი ხელით გავუმზადო სადილები და ისე გამოვუგზავნო თბილისში. ეს ისე ავადმყოფურ აკვიატებად მექცა, რომ ძალიან ხშირად, დაცინვის ობიექტი ვხდები. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაგარი ქალის იმიჯი მაქვს, როგორც დედა, ძალიან სუსტი ვარ.

**– როცა განტვირთვა გსურთ, რას აკეთებთ... ქუთაისში ცნობილი ხართ, როგორც კოლორიტული და ტრადიციული ქართული სუფრის მოყვარული იმერელი...**



– ძალიან დაღლილი რომ ვარ, ერთადერთი, რასაც ვცდილობ, არის ის, რომ მოვიდე სახლში, გამოვრთო ყველა ტელეფონი, მოვეწყო კომფორტულად, გადავიფარო საბანი თავზე და ვუყურო ფილმებს, თან ვიტირო. ამ ბოლო დროს, ძირითადად, ვტირი. შემიძლია, მულტფილმებზეც ვიტირო. ასე, შეიძლება, გავჩერდე, მაქსიმუმ, ორი დღე – მომსახურების ზონიდან გასული და მერე მივხვდე, შევუძახო თავს, რომ დეპრესია მდიდრების დაავადებაა. მე კი არ მაქვს იმის საშუალება, დეპრესიაში ვიყო. ამის შემდეგ დგება ლედი და უბრუნდება სამუშაო რეჟიმს.

**– რას ელოდებით 2016 წელს?**

– რას ველოდები 2016 წლიდან? ძალიან ბევრ რამეს ველოდები... მთელი ცხოვრება რომ თოვლის ბაბუას ჩემთვის ლიმონი მოაქვს, მე კიდევ მთელი წელი მისგან ლიმონათს ვაკეთებ-მეთქი. არც თოვლის ბაბუა იღლება და არც მე



ვნებდები. ამიტომ, წელს, ამ წლის თოვლის ბაბუაც ვაიძულე, რომ ლიმონათები მოეტანა.

**ანა თაბაგარი**

# ვინ არის ექიმი-მანუალისტი, რომელმაც ქვედა კიდურებით პარალიზებული პაციენტი ფეხზე დააყენა

**დღეს, საყოველთაო გლობალური კომპიუტერიზაციის პირობებში, როცა ადამიანი მიჯაჭვულია კომპიუტერს, სავარძელს, ტელევიზორს და ხშირ შემთხვევაში სტატიკურია, აუცილებელია მანუალისტის როლის გაზრდა. ბოლო პერიოდში ხერხემლის დაავადებები ძალიან გაახალგაზრდავდა, მოზრდილების ჰიპოდინამიამ იმატა, რაც იწვევს ახალგაზრდებში გახშირებულ სქოლიოზებსა და მოხრილობებს, შემდგომში კი ოსტეოქონდროზის ნაადრევ ნიშნებს. ამიტომაც, უნდა მიმართოთ განათლებით ექიმ-მანუალისტს, რომელიც მსოფლიო გაიდლაინებისა და მსოფლიო მანუალისტური პრაქტიკული გამოცდილებით დანერგილი მეთოდოლოგიით გიმკურნალებთ. ასეთი ახალგაზრდა ექიმი-მანულისტი გახლავთ გიორგი თვალიაშვილი.**

*გიორგი თვალიაშვილი (მინი-დოსიე): დაიბადა 1981 წლის 22 ნოემბერს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, სპეციალობით – მანუალური თერაპია – სამკურნალო მასაჟი. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მანუალური თერაპიის მიმართულებით აქვს მაღალი კვალიფიკაცია და დიდი გამოცდილება. სხვადასხვა დროს მუშაობდა „ლეჩკომბინატის“, ეგრეთ წოდებული „არამიანცის“ საავადმყოფოსა და „ენმედიცის“ კლინიკების ბაზაზე არსებულ სამედიცინო კაბინეტებში. ჩვენ ექიმ-მანუალისტს აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრეთ.*

**– დღეს მნიშვნელოვანი და სერიოზული პრობლემა გახდა ხერხემლის პათოლოგიები. რომელ დაავადებებს მკურნალობთ თქვენს სამედიცინო კაბინეტში?**

– ჩვენ ვმკურნალობთ ხერხემლის ისეთ პათოლოგიებს, როგორიც არის: დისკოპათია, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი და, ბავშვებში – სქოლიოზი. ბოლო პერიოდში ხერხემლის დაავადებები ძალიან გაახალგაზრდავდა, მოზრდილების ჰიპოდინამიამ იმატა, რაც იწვევს ახალგაზრდებში გახშირებულ სქოლიოზებსა და მოხრილობებს, შემდგომში კი – ოსტეოქონდროზის ნაადრევ ნიშნებს. ჩემთან ხშირად მოდიან პაციენტები კიდურების ტკივილით, რაც ხშირად გამოწვეულია ხერხემლის თიაქრით და ახდენს შესაბამისი ნერვის კომპრესიას. ამის დაზუსტებით დასადგენად აუცილებელია კომპიუტერული ტომოგრაფია, რათა მივიღოთ ზუსტი დიაგნოზი, თიაქრის არსებობის შემთხვევაში კი, მისი ზომისა და მდებარეობის შესახებ მივიღოთ ზუსტი ინფორმაცია. თუ თიაქრის ზომა და ადგილმდებარეობა გვაძლევს საშუალებას, შესაძლებელია ოპერაციის გვერდის ავლით მისი რემისიაში გადაყვანა. რადგან ეს დაავადება ქრონიკულია, პროფილაქტიკის მიზნით აღნიშნული პროცედურების ჩატარება აუცილებელია წელიწადში 2-ჯერ, რათა შემდგომ თიაქარი არ გავრცელდეს ხერხემლის მომდევნო მალაზე.

**– დღესდღეობით ძალიან გავრცელებულია ბავშვებში სქოლიოზი, როგორ უნდა ვებრძოლოთ მას?**

– გეთანხმებით, დღეს ძალიან გავრცელებულია ხერხმლის გამრუდება ბავშვებში ანუ სქოლიოზი; ასევე, უფროს ასაკში დისკოპათიები (დისკოზად ცნობილი), ოსტეოქონდროზი, ხერხემლის თიაქარი, დისკოგენური რადიკულიტები, სხვადასხვა ხარისხის ართროზები და კოკსართროზები. ამ დაავადებებს რომ ვებრძოლოთ, აუცილებელია: დროული დიაგნოსტირება, ასაკის შესაბამისი მკურნალობის ჩატარება არსებული გაიდლაინების მიხედვით, სამკურნალო მასაჟითა და მანუალური თერაპიით. ეს დაავადებები რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია: წელიწადში ორჯერ მაინც სამკურნალო მასაჟის სრული კურსის ჩატარება და, რა თქმა უნდა,



აქტიური, სპორტული, ჯანსაღი წესით ცხოვრება. აუცილებლად უნდა მოვერიდოთ ზედმეტი სიმძიმეების აწევას და ჯდომითი სამუშაოების შესრულებას.

ასევე, დღევანდელი მოცემულობის პირობებში მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა მიმართოს განათლებით ექიმ-მანუალისტს, რომელიც მსოფლიო გაიდლაინებისა და მსოფლიო მანუალისტური პრაქტიკული გამოცდილებით დანერგილი მეთოდოლოგიით უმკურნალებს მას, და არა რაღაც გაუგონარი ხერხებით: ეგრეთ წოდებული „ბანკებით", კალმახებით, ნერვის ჭყლეტითა და ასე შემდეგ, რაც ხშირად ფატალური და უეფექტო შედეგებით მთავრდება.

**– თქვენს კაბინეტში რა მეთოდებით ხდება პაციენტების მკურნალობა?**

– ჩვენთან ამ დაავადებების მკურნალობა ხდება კომპლექსურად: მწვავე პერიოდში აუცილებელია მედიკამენტური მკურნალობა, სამკურნალო მასაჟი, მანუალური თერაპია, ხერხემლის დაჭიმვები (რა თქმა უნდა, კომპიუტერული ტომოგრაფია თუ გვაძლევს ამის საშუალებას) და ფიზიოპროცედურები.

**– თქვენი პროცედურების ეფექტიანობაზე თბილისში ბევრს საუბრობენ...**

– ჩემი საქმის დასტური ჩემივე კმაყოფილი პაციენტები არიან. პრაქტიკაში გვაქვს არაერთი მაგალითი, როგორ განიკურნენ ჩვენთან მკურნალობის შემდეგ ამ დაავადებებით შეწუხებული ადამიანები. მაგალითად, ახალგაზრდა კაცს წელის მეოთხე-მეხუთე მალებზე 6-მილილიტრიანი თიაქარი ჰქონდა, ქვედა კიდურები კი – თითქმის პარალიზირებული და ჩვენმა პროცედურებმა ის ფეხზე დააყენა (პროცედურების კურსი მოიცავს 10 სეანსს). ეს ახალგაზრდა წელიწადში ორჯერ მოდის ხოლმე და განმეორებით იტარებს პროცედურებს, რადგან ეს დაავადება ქრონიკულია და მუდმივ პროფილაქტიკას საჭიროებს.

ჩვენს მოქალაქეებს ვურჩევ, აუცილებლად იზრუნონ ხერხემალზე, რადგან ის ჩვენი საყრდენ-მამოძრავებელია, სხეულის დედაღერძია და აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მას. ხშირად მისგან წარმოიშობა ხერხემლის ურთულესი დაავადებები, რომლებმაც შეიძლება ინვალიდად გვაქციოს. ამიტომაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი და ვიზიტი მანუალისტთან გადაუდებელი წინაპირობა უნდა იყოს თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის!

**საკონტაქტო ტელეფონი:
558 24-36-16, ექიმი-მანუალისტი
გიორგი თვალიაშვილი**

**ნინო კიკვაძე**



# თევზი ავოკადოთი და ბულგარული წიწაკით – თამთა ჭელიძისგან



*სამზარეულოში ტრიალი და კერძების კეთება ნაკლებად მიწევს, თუმცა, ვცდილობ, შვილისთვის გემრიელი საჭმელები მოვამზადო. ყველაზე კარგად სუპები გამომდის, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, კარგი კულინარი ვარ-მეთქი. მე თვითონ გურმანი ვარ და ყველაზე მეტად ჩინური სამზარეულო მომწონს, გემოდან კი – ცხარესა და ტკბილის შეხამება. ახალი წელი მოდის და, მინდა, შემოგთავაზოთ თევზი ავოკადოთი და ბულგარული წიწაკით, რომელიც საზეიმო სუფრას ძალიან უხდება.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ყვითელი და 1 ცალი მწვანე ბულგარული წიწაკა, 200 გრამი პომიდორი „ჩერი," 0,5 ჩაის კოვზი ხმელი შაშკვლავი, 1 ცალი ავოკადო, 3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 კილოგრამი თევზის ფილე, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბულგარული წიწაკა კუბიკებად დაჭერით, პომიდვრები – შუა-შუა. ავოკადო გაფცქვენით, ამოაცალეთ კურკა და რბილობი თხლად დაჭერით. ლიმონის წვენი, მარილი, წიწაკა და 1 სადილის კოვზი ზეთი ერთ ჯამში მოათავსეთ, შეურიეთ ავოკადო, ბულგარული წიწაკა და პომიდორი. თევზის ფილე ოთხად გაჭერით, მოაყარეთ მარილი და წიწაკა და ტაფაზე გაცხელებულ ზეთში შებრაწეთ ყველა მხრიდან. შემწვარი თევზის ნაჭრები დააწყვეთ უკვე მომზადებულ სალათაზე და ზემოდან შაშკვლავი მოაყარეთ. შეგიძლიათ, გააფორმოთ ცოცხალი სალათის ფურცლებით.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# თევზი ბროკოლით

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი კარტოფილი, 300 გრამი თევზის ფილე, 4 ფენა ბეკონი, 500 გრამი ბროკოლი, 8 სადილის კოვზი უცხიმო რძე, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ტოტი როზმარინი, მარილი, წიწაკა და ჯავზი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გაფცქვენით, საშუალო ზომაზე დაჭერით და მდუღარე მარილიან წყალში მოხარშეთ. ღუმელი 220 გრადუსზე გაახურეთ. ფორმაში ჩააფინეთ საცხობი ქაღალდი. როზმარინი დაკეპეთ, დაუმატეთ ზეთი და მარილი. თევზის ფილე 4 ნაწილად გაჭერით, წაუსვით როზმარინიანი ზეთი და თითო ნაჭერი თევზი თითო ფენა ბეკონში რულეტივით გადაახვიეთ. თევზის ნაჭრები მოათავსეთ ფორმაში და 12-15 წუთი აცხვეთ. ამასობაში ბროკოლი დაანაწევრეთ და 5 წუთის განმავლობაში მდუღარე მარილიან წყალში მოხარშეთ. გადაწურეთ და დაუმატეთ წიწაკა. კარტოფილი გადაწურეთ, დაასხით რძე, დაუმატეთ ჯავზი, მარილი და გააკეთეთ პიურე. თეფშზე ერთად მოათავსეთ თევზის ნაჭერი, ბროკოლი და კარტოფილის პიურე.



# შოკოლადის ტორტი გარგარის ჯემით

**საჭირო ინგრედიენტები:** ცომისთვის – 150 გრამი მწარე შოკოლადი, 6 კვერცხი, მწიკვი მარილი, 200 გრამი შაქარი, 120 გრამი დარბილებული კარაქი, ვანილი, 130 გრამი ფქვილი. გულსართისთვის – 200 გრამი გარგარის ჯემი, ცოტა რძე და შოკოლადი – მინანქრისთვის.

**მომზადების წესი:** ცომისთვის განკუთვნილი შოკოლადი ორთქლის აბაზანაზე გაადნეთ. საცხობ ფორმას ცხიმი წაუსვით. კვერცხის ცილა და გული გააცალკევეთ. ცილა და მწიკვი მარილი კარგად ათქვიფეთ, სანამ ბეზეს მასას არ მიიღებთ. დაუმატეთ ნახევარი შაქარი. კარაქი გათეთრებამდე ათქვიფეთ, დაამატეთ დანარჩენი შაქარი და ვანილი. შეურიეთ კვერცხის გულები, შემდეგ დამდნარი შოკოლადი და ბოლოს ფქვილი. ფქვილიან მასას შეათქვიფეთ ბეზეს მასა, გადაიტანეთ ფორმაში და 170 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელში, დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში აცხვეთ, სანამ ბისკვიტის კიდეები ფორმას არ მოშორდება. მზა ბისკვიტი ცოტა ხნით ღუმელში დატოვეთ, შემდეგ გამოიღეთ და გააგრილეთ. ტორტის ბისკვიტი სიბრტყეზე გაჭერით და შუაში ჯემი წაუსვით. შოკოლადი გაადნეთ რძესთან ერთად და მოასხით ნამცხვარს.



ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები





## კრეატიული შარფი

გინდათ, თქვენს სამოსს ახლებური იერი მიანიჭოთ?

ერთი მარტივი აქსესუარი და – მთლიანად შეცვლით მის ვიზუალს.

დახედეთ სურათებს. გამოგადგებათ ნებისმიერი მაქმანი და ძველი შარფი. მხოლოდ უნდა ჩააკეროთ შარფში მაქმანი და – მოდური აქსესუარი მზადაა.








## სადღესასწაულო ქუდი

ეს აქსესუარი წელს ძალიან მოდურია და წამყვანი ბრენდები გვთავაზობენ. შეგიძლიათ, მარტივად და იაფად მოიწონოთ თავი მოდის ახალი ტენდენციით.

აიღეთ ნაქსოვი, სადა ქუდი (ნახეთ სურათები).

გამოგადგებათ ყველაფერი – მძივები, ძველი საყურეები, ფერადი თვლები. რამდენიმე წუთში ქუდი მზად იქნება.

სხვადასხვანაირი ვარიანტია წარმოდგენილი და თავადვე აარჩევთ, როგორი ქუდით დაიმშვენებთ თავს.

30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 13 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "XX საუკუნე" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "შობის დღესასწაული ჯეიმი ოლივერთან ერთად" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" 21.30 "წლის საუკეთესო..." 22.30 ქართ. ტ/ფ "**კოჯრის ტყის სიზმრები**" 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ჩემი მშვენიერი ლედი**" (ო.ჰეპბერნი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ნიჭიერი პირდაპირი (ფინალი) 00.30 მხ/ფ. "**ფოქსქეჩერი**" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 3.30 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. "**ტატიანა 15.00**" "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 16.05, 17.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**ეკატერინა**".

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4**" 00.00 კონცერტი: ერისიონი 02.20 მხ/ფ "**შიშველი პისტოლეტი - 2**" (ლ.ნილსენი) 03.50 მხ/ფ "**მელიებზე მონადირე**" (ჩ. ტატუმი).

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ბავშვები მუზეუმში 11.30 დ/ფ "იმედითა შენითა-შობის დღესასწაული, ალილო" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართ. ან/ფ 15.40 დ/ფ "ახალი წლის მიგებება ძველად" 16.20 კონცერტი 17.00 მოკ. მხ/ფ "**ღვინის ქურდები**" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ "**ჩარირამა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 14 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ტრანსმისია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკალოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "შობის დღესასწაული ჯეიმი ოლივერთან ერთად" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ქართ. მხ/ფ "**შერეკილები**" 21.45 "ეპოქის ფრაგმენტი" 21.50 კონცერტი: სულხან ცინცაძის კინომუსიკა 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**გრაფინია ჰონკონგიდან**" (მ.ბრანდო).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**აღთქმა**" 22.00 კომედის კონცერტი 2016 00.00 კონცერტი "შვიდკაცა" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 3.30 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. "**ტატიანა 14.05** სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**ეკატერინა**".

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 11.20 სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 1 სერ. 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 ილო ბეროშვილის შოუ (02.01.2016) 01.00 მხ/ფ "**სნაიპერი**" (ტ.ბერენჯერი) 03.10 ერთხელ საქართველოში 04.30 მხ/ფ "**შიშველი პისტოლეტი - 2**" (ლ.ნილსენი).

06.15 ჩვენი ფონდი 06.40 პატერიკი-"რატომ აღიკვეცა ბერად ერთი ქრისტიანი" 06.50 დეკორატიული ფლორა 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**ზაზუნას დღე**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართ. ან/ფ 15.50 ჩვენი ფონდი "წმ. ბასილ დიდი, წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. ათანასე დიდი 16.20 კონცერტი 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 სიმღერის კვალდაკვალ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.25 მოკ.მხ/ფ "**ქვევრი**" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## პარასკევი 15 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" (პ/ე) 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუზეუმები" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის სადღესასწაულო სუფრა" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 მხ/ფ "**ცოფიანი ძაღლი და გლორი**" (რ.დე ნირო) 22.00 "კომუნიკატორი" 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.10 მხ/ფ "**თამაში**" (მ.დუგლასი) 02.15 მხ/ფ "**კარი იატაკში**" (კ.ბესინჯერი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 39 22.30 კონცერტი "კინომუსიკა - მემანიშვილი" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 4.00 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.00 სერ. "**ტატიანა 15.00**" "კონტაქტი სამზე" 15.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.05, 17.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 3.00 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" 21.30

თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ეკატერინა**".

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **2** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ასწლეულის მეჯლისი **00.00** მხ/ფ "**გაიცანით ფოკერები**" (რ. დე ნირო) **02.10** მხ/ფ "**ბრონქსის ისტორია**" (რ. დე ნირო) **04.10** ერთხელ საქართველოში **04.45** მხ/ფ "**სნაიპერი**".

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** მოკ. მხ/ფ "**სუფთა დაფა**" **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ. ან/ფ **15.40** კონცერტი **16.10** დ/ფ "ნამოხვარ ჰესი" **16.35** მიწათმოქმედი **17.00** მოკ. მხ/ფ "**მეზობლები**" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სიმღერის კვალდაკვალ **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები "ჩოხოსნების მისია" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა შუამთისა" I ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები **00.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 16 იანვარი

**08.00** "პირადი ექიმი" **09.00** ან/ფ "მახინჯი იხვის ჭუკი არდადეგებზე" **10.30** საბ./ფ "**მეთევზე და მისი ცოლი**" **12.00, 14.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.15** "გურმანია" **12.45** ქართ. მხ/ფ "**სიყვარული, ხანჯარი და პომპიერო**" **14.05** მხ/ფ "**შარადა**" (ო.ჰეპბერნი) **16.10** დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" **17.10** "მუსიკალოგოსი" **17.40** კონცერტი: საახალწლო მილოცვები **19.30** "წიგნის თარო" **20.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **21.00** "ფოტოგრაფები" **21.30** "ტრანსმისია" **22.00** "ბრაუზერი" **22.15** "წითელი ზონა" **23.15** მხ/ფ "**გაზეთი**" (მ.კიტონი) **01.10** მხ/ფ "**მერკური საფრთხეშია**" (ბ.უილისი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **"STUART LITTLE 3"** **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** კომედი შოუ (საუკეთესო) **15.30** ნიჭიერი ფინალი **18.30** იღბლიანი ბორბალი **19.30** გააცინე და მოიგე **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **40** **23.00** მხ/ფ.**"AMAZING SPIDER MAN 2012"** **02.00** კონცერტი "რამიშვილები **2014**" **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **8.30** დოკ/სერ "ბარტ ვულფი" **9.30** სერ. "**სახლი შროშანებით**" **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 3.30** სერ. "**ცოდვილი სისხლი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** ან/ფ "ბუშტუკები" **16.00** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **18.30** დოკ/სერ "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **19.05, 2.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.40** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** თოქ-შოუ "SWOT-ანალიზი" **22.30** მინი/სერ. "**მახინჯი იხვის ჭუჭული**" **0.30** სერ. "**სახლი შროშანებით**" **1.30** დოკ/სერ "მსოფლიო საუკეთესო სახლები".

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **08.00** სერ. "**სინდბადი**" **09.00** ქ.მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 02.00** ქრონიკა **11.15** ერთხელ საქართველოში **11.40** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **13.00** კულინარიული დუელი **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.00** ქრონიკის სტუდია **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4**" **00.00 2016** წლის "ოქროს გლობუსის" დაჯილდოების ცერემონია **02.00** მხ/ფ "**ხავერდოვანი ხელები**" (ა. ჩელენტანო) **03.40** ერთხელ საქართველოში **04.30** მხ/ფ "**ბრონქსის ისტორია**".

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ღვთის სახლი **06.40** თბილისის ტაძრები **06.50** ეპოქის სახელები **07.20** მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა შუამთისა" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.35** სიახლენი **10.35** დ/ფ "ქართული ზარები" **10.50** კვირიაკე **11.00** გამოყენებითი ხელოვნება **12.10** მხ/ფ "**ზოლიანი დოლი**" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ. ან/ფ **15.40** თაობა ზეტი **16.40** კონცერტი **17.20** გაცოცხლებული წარსული **18.10** დ/ფ **18.35** საქართველოს სამართლის ისტორია **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დეკორატიული ფლორა **19.35** ქართული ალბომი **20.00** ქრისტიანული ხელოვნება **20.50** სიბრძნისმეტყველება **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების სალონი **22.20** შუადღის სტუმარი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "კინოს შვილები" **00.05** დროის ჩანაწერები **01.45** მხ/ფ "**ოქროს ციებცხელება**".

## კვირა 17 იანვარი

**08.00** "პირადი ექიმი" **09.00** ან/ფ "წითელქუდა" **10.00** საბ./ფ"**როგორ მოიპარა გრინჩმა შობა**" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.10** "გურმანია" **12.40** "ფერმა" **13.10** ქართ. მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" **15.00** "მუზეუმები" **15.30** "სიტყვების თამაში" **16.10** "ვაშინგტონი დღეს" **16.30** დ/ფ "თოფ გიარი" **17.30** მხ/ფ "**ცისფერთვალება მიკი**" (ჰ.გრანტი) **19.30** "წიგნის თარო" **20.00** კვირის შემაჯამებელი **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – "მატუშკა" **21.40** "უცნობი მუსიკა" **23.10** "ბრაუზერი" **23.40** მხ/ფ "**თარგმანში დაკარგულნი**" (ს.იოჰანსონი) **01.10** მხ/ფ "**ვითომ მაგარი პოლიციელები**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **09.30** ქ.მხ/ფ."**ჭრიჭინა**" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** მხ/ფ. **"ASTERIX ET OBELIX CONTRE CESAR"** **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქ.მხ/ფ. "**კრიმინალები**" **18.30** ექიმები **20.00** კომედი შოუ (ბესტი) **21.00** P.S. **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **41** **23.30** მხ/ფ. **"PIRATES OF THE CARIBBEAN: THE CURSE OF THE BLACK PEARL"** **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.00, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **8.30** დოკ/სერ "ბარტ ვულფი" **9.30** სერ. "**სახლი შროშანებით**" **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** სერ. "**ცოდვილი სისხლი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** ან/ფ "ბუშტუკები" **16.00** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **18.30** დოკუმენტური ფილმი "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **19.00, 23.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.30** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** მინი სერ. "**მახინჯი იხვის ჭუჭული**" **0.30** დოკ/ფ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **1.00** სერ. "**სახლი შროშანებით**" **2.30** სერ. "ცოდვილი სისხლი" **3.30** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**".

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **08.00** სერ. "**სინდბადი**" **11** სერ. **09.00** მხ/ფ "**ხავერდოვანი ხელები**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** მხ/ფ "**ჩვენ ანგელოზები არ ვართ**" **17.35** WOICE - საქართველო **19.30** რისკ ფაქტორი **20.30** ილო ბეროშვილის შოუ **21.30** ერთხელ საქართველოში **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4**" **00.00** ქ.მხ/ფ "**დაგუგლე ზაზუ**" **01.25** მხ/ფ "**საძაგელი გოგონები**" (ლ.ლოჰანი) **03.00** ერთხელ საქართველოში **04.15** მხ/ფ "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**" (ა.ბოლდუინი) (ტიტ.).

**06.10** მუს.პაუზა **06.20** მოკ. მხ/ფ "**კეთილი კაცი**" **07.30** მულტ. ფილმი "**ჯუნგლის წიგნი**" **1** **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** სიახლენი **10.25** ივერიის ეკლესია **10.40** შუადღის სტუმარი **11.20** სიბრძნისმეტყველება **11.30** ქართული ალბომი **12.15** მხ/ფ "**დიდი ქალაქის ჩირაღდნები**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** ქართ. ან/ფ **15.40** მუს.პაუზა **15.55** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.40** ბავშვები მუზეუმში **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** დ/ფ "თენგიზ ჩანტლაძე" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.05** საქართველოს სამართლის ისტორია **23.15** მოკ.მხ/ფ "**ბურთი და მოედანი**" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ "**გამტაცებელთა კლუბი**".

# როგორ ვიკვებოთ ისე, რომ წონაში არ მოვიმატოთ და ჯანმრთელობაც შევინარჩუნოთ

*კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანისთვის, არსებობს პროდუქტების ნაკრები, რომელიც აუცილებელი და სასარგებლოა ორგანიზმისთვის. თითოეული ჩვენგანის სასიცოცხლო პოტენციალი და ორგანიზმის მდგომარეობა ინდივიდუალურია და ის კოსმოსთანაა კავშირში. ამიტომ, საჭიროა, ზუსტად იცოდეთ რომელი პროდუქტი უნდა მიაწოდოთ თქვენს ორგანიზმს, კოსმოსთან ჰარმონიაში რომ იყოთ. ასე ზედმეტ წონასაც აიცილებთ თავიდან და ჯანმრთელადაც იქნებით.*

**ვერძი**

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი არ ფიქრობს შედეგზე, როცა გემრიელ საკვებს ხედავს. თქვენთვის სასარგებლოა საათობრივი დიეტის დაცვა. ბევრი იმოძრავეთ და იარეთ ფეხით. არ მიიღოთ დღეში 1 500 კილოკალორიაზე მეტი. მოერიდეთ ფუნთუშების, ბრინჯის, ყველის, ბანანის, ქიშმიშის, ცხიმიანი ხორცისა და ტკბილეულის ჭამას. მიირთვით ნუში, თევზი, მოხარშული მჭლე საქონლის ხორცი და ხშირად სვით მინერალური წყალი.

**კურო**

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი გურმანია. ხშირად ისე იკვებება, რომ ზომას აჭარბებს, რაც მისი ზედმეტი წონის მიზეზი ხდება. გირჩევთ, იკვებოთ ზომიერად. ხშირად ჭამეთ ქარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, კომში, ატამი, ქლიავი. რაციონში შეიტანეთ უცხიმო რძის ნაწარმი და ნატურალური უშაქრო ხილის წვენები. ეს ზედმეტი წონისგანაც დაგიცავთ და ენერგიასაც შეგმატებთ.

**ტყუპები**

ტყუპებს არ უყვართ ერთფეროვანი საკვები, ამიტომ ცდილობენ, ყველაფერი გასინჯონ, ეს კი მათთვის ყოველდღიურად მიღებული ზედმეტი კალორიები და, შესაბამისად, წონაში მომატების მიზეზია. აკონტროლეთ მადა და თუ დიეტის დაცვა გადაწყვიტეთ, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ ის. მიიღეთ ნაკლებკალორიული საკვები: ხილი, ბოსტნეული, იოგურტი, მოხარშული თევზი. მოერიდეთ ბევრ პურს. კვირაში ერთხელ მოიწყვეთ განტვირთვის დღე და მიიღეთ მხოლოდ 2 ცალი ვაშლი და 3 ლიტრი მინერალური წყალი.

**კირჩხიბი**

კირჩხიბებს არ უჭირთ საკუთარი წონის კონტროლი. მთავარია, მონდომონ და ფორმაში ადვილად ჩადგებიან. ნუ მიიღებთ საკვებს, როცა ემოციურად გადაღლილი ხართ, თორემ, ზომას ვერ გააკონტროლებთ და ზედმეტ კალორიებს დააგროვებთ. თქვენთვის დღეში მხოლოდ 1 300 კილოკალორიაა ნებადართული. ჭამეთ ბევრი სალათა, ორთქლზე მოხარშული თევზი, ხორციანი წვნიანები და ფხალეული – ეს უფრო სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის, ვიდრე შემწვარი ხორცი და ცხიმიანი საკვები.

**ლომი**

ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები საკვებთან მიმართებაში ზედმეტის უფლებას აძლევენ თავს. ამიტომ, საჭიროა, წონას თვალყური ადევნოთ. კარგია, თუ მენიუში ხშირად ჩართავთ ოხრახუშს, ზეთისხილს, ნუშს, ხილსა და ფხალეულს. ხშირად არ ჭამოთ მსუყე საკვები და დაიცავით კვების საათები. რაციონიდან საერთოდ გამოიცხეთ მწარე და ცხარე საკვები, ცხიმიანი კერძები. კვირაში ერთხელ მოიწყვეთ განტვირთვის დღე – ეს თქვენს ორგანიზმს წიდებისგან გაწმენდს და ზედმეტ წონასაც მოგაშორებთ.

**ქალწული**

სწორი კვება აუცილებლად გჭირდებათ. საჭმლის მომნელებელი სისტემა სუსტი გაქვთ და, თუ სწორად არ იკვებეთ, ეს თქვენს ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება. ორგანიზმი მომარაგეთ ჯანსაღი პროდუქტებით. ეცადეთ, ყველაფერი ნატურალური მიირთვათ და ხშირად ჩართეთ საკვებ რაციონში ფაფები და ბურღულეული, დილა კი ასკილის ჩაით დაიწყეთ. მოერიდეთ ცხოველური წარმოშობის ცხიმებს, შებოლილ პროდუქტებსა და ტკბილეულს.

**სასწორი**

მერყევი ხასიათის გამო, არ არის გამორიცხული, დაარღვიოთ კვების რეჟიმი და წონაში მომატებაც ამან გამოიწვიოს. თქვენი ორგანიზმისთვის აუცილებელია დღეში 1 700 კილოკალორია და არა მეტი. გონივრულად გადაანაწილეთ საუზმის, სადილისა და ვახშმის დრო. შეავსეთ ორგანიზმი საჭირო ვიტამინებით და ყოველდღიურად ივარჯიშეთ. იკვებეთ ზღვის პროდუქტებით და ხშირად სვით ბალახეული ნაყენები.

**მორიელი**

თუ მოინდომეთ, ადვილად შეძლებთ მადის კონტროლს და დაიკლებთ წონაში. შეგიძლიათ, დღიურად მხოლოდ 1 200 კალორია მიიღოთ და ეს საკმარისი აღმოჩნდება. ასე, ადვილად შეძლებთ მოიშოროთ ზედმეტი წონა და ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდეთ. ხშირად მიირთვით თევზი, უმი ბოსტნეული, ზეთისხილი და საქონლის ღვიძლი.

**მშვილდოსანი**

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი ხშირად ვერ იცავს დიეტას. მართალია, ეს მის წონაზე ნაკლებად აისახება, მაგრამ მაინც საჭიროა, დროდადრო საკვები რაციონის გადახედვა და კორექტივების შეტანა. არ მიიღოთ დღეში 1 500 კილოკალორიაზე მეტი. ხშირად ჭამეთ ხბოს ღვიძლი, უმი კომბოსტო, ბოლოკი, ვაშლი. მინიმუმამდე დაიყვანეთ მარილისა და შაქრის მოხმარება.

**თხის რქა**

ეცადეთ, ყოველდღიურად ივარჯიშოთ და სათანადო ყურადღება დაუთმოთ კვებას. პროდუქტების სწორად შერჩევის წყალობით, არ გაგიჭირდებათ დიეტის დაცვა და სასურველი წონის შენარჩუნება. ნუ მიიღებთ საკვებს საღამოს 7-8 საათის შემდეგ. ჭამეთ მოხარშული მჭლე ხორცი, ახალი ბოსტნეული, სეზონური ხილი, კენკროვანები. მიიღეთ პოლივიტამინები, თვეში ორჯერ კი დაიცავით გაზგასული მინერალური წყლის დიეტა.

**მერწყული**

ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანს უყვარს გემრიელი საკვები, რაც მის წონაზეც ხშირად აისახება. თუმცა, თუ შეძლო და მადა მოთოკა, არც სასურველ წონამდე უჭირს ორგანიზმის დაყვანა. გირჩევთ, ნაკლებად მიირთვათ ტკბილეული, ღვეზელები, ფუნთუშები, გაზიანი სასმელი. მეტი რაოდენობით მიიღეთ რძის ნაწარმი, რათა ორგანიზმი არ გამოიფიტოს. თქვენი დღიური ნორმაა 1 250-1 300 კილოკალორია. შაქარი შეცვალეთ თაფლით, მოერიდეთ ზედმეტად მარილიანი კერძების მიღებას. ბევრი ისეირნეთ ფეხით სუფთა ჰაერზე – ასე სასიცოცხლო პოტენციალსაც აიმაღლებთ და წონაშიც დაიკლებთ.

**თევზები**

ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანებს არ ჰყოფნით ნებისყოფა, დაიცვან სწორი კვების რეჟიმი და თავს უფლებას აძლევენ, გემრიელად დანაყრდნენ, რის გამოც ადვილად ახერხებენ ზედმეტი წონის აკრეფას, დაკლება კი უჭირთ. გირჩევთ, კვირაში ერთხელ მოხარშული ბრინჯის დიეტა დაიცვათ. თქვენთვის ასევე სასარგებლოა თევზი, ისპანახი, მწვანილეულობა და სეზონური ხილი. არ დაგავიწყდეთ, რომ დღეში 1 600-1 700 კილოკალორიაზე მეტი არ უნდა მიიღოთ.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 2000 წლის 23 ნოემბერს, ღამის საათებში. უცხოეთის რომელი ქვეყანაა მისთვის კარგი და რომელ პროფესიაში მიაღწევს ის მეტ წარმატებებს?**

**პასუხი:** მისთვის მისაღები ქვეყნებია: პოლონეთი, რუსეთი, შვედეთი, სამხრეთ აფრიკა, სლოვაკეთი, კანადა, ახალი ზელანდია, ფინეთი, უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდოვა, ბულგარეთი, ისრაელი და ლატვია. რაც შეეხება წარმატებების მომტან პროფესიებს, მისთვის სასურველია: კომპიუტერული ტექნოლოგიები, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, არქიტექტურა, დიზაინი, მოდელირება, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, საიუველირო საქმე, სცენარისტობა, დრამატურგია, სოციოლოგიის ფართო სპექტრი, ავიაციის ბიზნესი.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2001 წლის 17 აპრილს. გთხოვთ, გვითხრათ, რა არის მისი კარმული მისია და რომელ პროფესიებში ელის წარმატებები?**

**პასუხი:** რაც შეეხება კარმულ-კოსმიურ მისიას, მისთვის აუცილებელია ხასიათში ისეთი თვისებების გამოვლენა, როგორებიცაა: აქტიურობა, ინიციატივიანობა, ენერგიულობა. უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭი; ამავდროულად, უნდა იყოს უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთების ადამიანი; ეყრდნობოდეს კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს. ასევე, შეეძლოს შუამავლის როლის შესრულება ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს შორის. მისი კარმული მისია უცხოეთია. ამიტომ, იქ გამგზავრება და ცოდნის, კაპიტალისა და გამოცდილების დაგროვება დაეხმარება, სამშობლოში მაღლიონის წარმატებებს. პროფესიებიდან კი მისთვის მისაღებია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან შემოქმედება, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, სარეკლამო-საგამომცემლო ინდუსტრია, ავიაციის ბიზნესი, ქორეოგრაფია და იურისპრუდენცია.

### ვერძი
მეტი ყურადღება მაიქციეთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. რთულ სიტუაციებში დახმარება სთხოვეთ მეგობრებს. კარგია იმიჯის შეცვლა, დიეტის დაწყება და პირადი პრობლემების მოგვარება. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### კურო
თავი შეიკავეთ რისკისგან და ეცადეთ, არ აჰყვეთ ცდუნებებს. სასიყვარულო ურთიერთობაში მეტი სიფრთხილე გმართებთ, რათა თქვენს რჩეულს არ გაუჩნდეს თქვენთან განშორების სურვილი. მეგობრებთან დაშორების მიზეზი კი გულისტკენა გახდება.

### ტყუპები
გაგიადვილდებათ შემოქმედებითი მუშაობა. მოსალოდნელია ოჯახის წევრებთან უთანხმოება. ნებისმიერი ინფორმაცია აუცილებლად გადაამოწმეთ, სანამ მას გამოიყენებთ. ასევე, მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. საყვარელი ადამიანი კი ყველაფერში გვერდში დაგიდგებათ.

### კირჩხიბი
მოერიდეთ რისკსა და საეჭვო ადამიანებთან კონტაქტს. რეალურად შეაფასეთ მოვლენები და ისე გააკეთეთ არჩევანი. დაისახეთ სამომავლო გეგმები. პირად ურთიერთობებში კი პრეტენზიები დროულად მოთოკეთ. ერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას.

### ლომი
ნუ გადადებთ საქმეებს. თანამოაზრეებს ხშირად ჰკითხეთ რჩევები. ეცადეთ, არ გაიფუჭოთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. კარგია დიეტის დაწყება ან გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება.

### ქალწული
დიდი დრო გაატარეთ მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან. ფინანსებთან დაკავშირებული ყველა საქმე გადადეთ. კარგია გამოცდების ჩაბარება. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### სასწორი
ფრთხილად იმოქმედეთ, რათა არ დაშავდეთ. შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული პრობლემების გადაჭრა. კარგად გააანალიზეთ წარსული და ისე გადადგით ნაბიჯები მომავალში. სანამ ახალ სასიყვარულო კავშირს დაიწყებთ, დაასრულეთ ძველი.

### მორიელი
ნუ გაერთობით ზედმეტად რომანტიკული ურთიერთობებით. გაატარეთ დრო, მაგრამ საქმეც აკეთეთ. ხშირად დაისვენეთ, რათა ორგანიზმი არ გადაღალოთ. კარგია ხანმოკლე მოგზაურობა და უძრავი ქონების შეძენა.

### მშვილდოსანი
ეცადეთ, დასახული მიზნის მისაღწევად კომპრომისული გზები გამონახოთ. მოსალოდნელია საყვარელ ადამიანთან სიტუაციის დაძაბვა. ნუ ჩაუღრმავდებით პრობლემებს, რათა არ ჩავარდეთ დეპრესიაში. პრობლემები მეგობრებს გაუმხილეთ და ისინი დაგეხმარებიან.

### თხის რქა
თავს ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. ერიდეთ რადიკალურ ცვლილებებს. ასევე, არ გირჩევთ მოგზაურობას. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ყველა პრობლემას დაგავიწყებთ და რომანტიკულ განწყობას დაგიბრუნებთ.

### მერწყული
არ აჰყვეთ გარშემო მყოფებს და არ დაკარგოთ საკუთარი თავი. დამოუკიდებლად მოქმედება მეტ შემოსავალს გპირდებათ. კარგია მეგობრებთან დროის გატარება. პერიოდულად დაისვენეთ. ეცადეთ, არ აღმოჩნდეთ გაუგებარ სიტუაციაში.

### თევზები
კარგია გავლენიან პირებთან კავშირის დამყარება. ოჯახის წევრები ყველაფერში დაგეხმარებიან. ფრთხილად იყავით საბუთებთან დაკავშირებით. ყველაფერი ზედმიწევნით გათვალეთ და ისე იმოქმედეთ.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 8 თებერვალი, 14 : 35 სთ.**

### ორშაბათი
**გეომაგნიტური დღე**

გამოავლინეთ მეტი პასუხისმგებლობა. კარგია ფინანსური ოპერაციები, სამკურნალო პროცედურების ჩატარება, ვაჭრობა, მშენებლობა, ადგილსამყოფელის შეცვლა, ოჯახური ურთიერთობები. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი, ყვითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, ძოწი ან ციტრონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

### სამშაბათი
სასიამოვნო სიურპრიზების, რომანტიკული შეხვედრებისა და პაემნების დროა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ვარდისფერი, ცისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, ავანტიურინი, აკვამარინი, ძოწი ან ცირკონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, სამეცნიერო კვლევა, ელექტროაპარატურის შეძენა, დიეტის დაწყება. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### ოთხშაბათი
**გეომაგნიტური დღე**

კარგია მეგობრული კონტაქტები, მასაჟი, კაპიტალდაბანდება. ნუ მიიღებთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ მწვანე, ფიროუზისფერი, იისფერი, ლურჯი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ალექსანდრიტი, მარგალიტი, შავი გიაცინტი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებსა და სასიყვარულო კავშირებს. სუსტდება კანი, ლიმფური და ნერვული სისტემები, ტერფები.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.*

### ხუთშაბათი
სიყვარულისა და პატიების დღეა. კარგია შოპინგი, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, ახალი ნაცნობობა, კაპიტალდაბანდება, კონტაქტები, შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ ფიროუზისფერი, ყვითელი, მწვანე, ვერცხლისფერი, ლურჯი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიაცინტი, ამეთვისტო ან მარჯანი. ნურავის მოუყვებით სიზმრებს. სუსტდება ტერფები, ლიმფური და ნერვული სისტემები.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### პარასკევი
კარგია ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა, იდეების რეალიზება, სწავლა, მოგზაურობა, ვაჭრობა, სამეცნიერო კვლევა. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – წითელი იასპი, იაგუნდი, ლალი, ძოწი ან ფიროუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, სასიყვარულო კონტაქტებს, საფინანსო ოპერაციებს, წესების დარღვევას. სუსტდება სისხლძარღვები, თავი, გრძნობათა ორგანოები, თვალები, ცხვირი.

*პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

### შაბათი
**გეომაგნიტური დღე**

კარგია სამკურნალო პროცედურების ჩატარება. ნუ გასცემთ დაპირებებს. აკონტროლეთ ეგოიზმი და სულსწრაფობა. დაიცავით სხვათა უფლებები. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან ფიროუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### კვირა
**გეომაგნიტური დღე**

ერიდეთ აგრესიული ემოციების გამოხატვას, პროვოკაციებს, კონფლიქტებს, სულსწრაფობას. კარგია კოსმეტიკური პროცედურები, შემოქმედებითი მუშაობა, გართობა, ვაჭრობა, მეგობრული კონტაქტები. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებსა და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, მარგალიტი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# ჯიუტი ცოლი



**პატრიცია ჰაისმიტი**

როცა სტივ მაკენზი ჯეინს ცოლად ირთავდა, აზრადაც არ მოსვლია, მასში უამრავი ამოუცნობი ტალანტი თუ იმალებოდა. ჯეინი ჩვეულებრივი ქალი იყო – საშუალო სიმაღლის, ფუმფულა და სასიამოვნო გარეგნობის, კომუნიკაბელურიც და ზომიერად მხიარულიც; შეეძლო, სწრაფად აედუღებინა ჩაიდანი, გამოეცხო ბლინები და... ხელოვნური სუნთქვა ჩაეტარებინა გულწასული ადამიანისთვის. გათხოვებამდე ჯეინი დანტისტის ასისტენტად მუშაობდა. როცა სტივის ცოლი გახდა, ჯერ სამსახურს დაანება თავი – გამოაცხადა, ოჯახში საქმიანობისთვის მეტი დრო მჭირდებაო; მერე კი ერთბაშად აღმოაჩინა, რომ მისი მოწოდება ხელოვნების თაყვანისცემა იყო და... სწორედ აქედან დაიწყო. თავიდან ჯეინმა გადაწყვიტა, რომ მისი გატაცება მხატვრობა იყო – ეს ქორწინების მეორე წელს მოხდა. ეს საქმიანობა ჯეინს უქმეებზე მთელ თავისუფალ დროს ართმევდა: გაკვეთილებზე ხომ დადიოდა ორ-ორი საათი, სახლშიც მოატანინა სტივს მოლბერტი და ახლობლების პორტრეტების ხატვა დაიწყო. ამ უნიჭო ნახატებისთვის სტივი ჩარჩოებსაც ყიდულობდა და ფიქრობდა, რომ ჯეინი საშინლად ურევდა ერთმანეთში ფერებს. საყიდლებზეც სტივი დადიოდა, რადგან ჯეინს არ ეცალა და, იმ სტუმრებსაც თავად მასპინძლობდა, რომლებიც ჯეინთან პოზირებისთვის დადიოდნენ... ბოლოს და ბოლოს, ჯეინმა იპოვა საკუთარ თავში ძალა, გამომტყდარიყო, რომ მისგან მხატვარი არ დადგებოდა. შედეგად, მან თავი მიანება ხატვას და ცეკვაზე გადაერთო. სტივი არც ამჯერად ჩარეულა ცოლის არჩევანში; არც დაუცინია, როცა საგანგებოდ შეძენილ პრიალა „ტრიკოში“ გამოწყობილი, სარკის წინ ვარჯიშობდა ცეკვაში. სპეცკოსტიუმმა ვერ უშველა – ჯეინს ცეკვაც ისევე გამოსდიოდა, როგორც ხატვა, თუმცა სტივი ითმენდა, ისევ დადიოდა საყიდლებზე და საჭმელსაც კი ამზადებდა. ბალეტის ხელოვნების შესწავლამ წელიწადზე მეტი დრო წაიღო... სტივი უკვე ფიქრობდა, რომ ხელოვნების სკოლა ადამიანებს, რბილად რომ ვთქვათ, აწამებდა და ფულს სძალავდა, თორემ, აბა, რა ბალერინა უნდა გამოსულიყო პუტკუნა ჯეინისგან, რომელიც არათუ ვერ იფარფატებდა, მსუბუქი ნაბიჯით ორ მეტრსაც კი ვერ გაივლიდა... მაგრამ სტივი მაინც ითმენდა. შეიძლება, ცოლი უყვარდა? ვინ იცის – ამას ხმამაღლა არ ამბობდა. ის საღამოობით მორჩილად აკითხავდა ცოლს ხელოვნების სკოლაში, რომ სახლში წამოეყვანა, რადგან, ის რაიონი, სადაც ეს სკოლა მდებარეობდა, უსაფრთხო არ იყო. როცა საცეკვაოდ საგანგებოდ ნაყიდ, განსაკუთრებულ ფეხსაცმელებს ძირი ოდნავ გაუცვდა, ჯეინმა გადაწყვიტა, ცეკვა ჩემი საქმე არ არისო. იმ დღეს, როცა გონება გაუნათდა, სტივმა ჩვეულებრივად გადაყარა ნაგავი და, როცა სახლში შემოვიდა, ჯეინმა სახეგაბრწყინებულმა აუწყა:

– გესმის, სტივ, ცხოვრება უნდა იყოს მშვენიერი და ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია. ძნელი სულაც არ არის, თუკი შენს წვლილს შეიტან სამყაროს სილამაზის პოეზიაში.

სტივმა ცოლს შეხედა და ამოიოხრა:

– ახლა ლექსების წერა უნდა დაიწყო? ბალეტი მოგბეზრდა?

– არა, საქმე ამაში არ არის. ბალეტში საკუთარი შესაძლებლობები ამოვწურე, აი, სიმღერა კი ისეთი ამოუწურავია... მელოდიის ჰარმონიულობა... ო, სტივ, პიანინო უნდა ვიყიდოთ!..

– წავალ, ვნახავ, კარტოფილი ხომ არ გაგვითავდა.

სტივს მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ ჯეინს მისი თანხმობა განსაკუთრებულად არც სჭირდებოდა – რამდენიმე დღეში მუშებმა მათ პაწაწინა, მოცუცქნულ სასტუმრო ოთახში გაჭირვებით შეტენეს პიანინო. ეს რომ დაინახა, სტივ მაკენზიმ თავისთვის ჩაილაპარაკა:

– მე ამ ყუთისა და მისგან წამოსული ჰარმონიის გარეშეც ბედნიერი ვარ... ცხოვრება ხომ ისედაც მშვენიერია, ზედმეტი დანამატების გარეშეც...

სტივ მაკენზის მშვიდ ხასიათში „ვულკანური ამოფრქვევა“ მაშინ მოხდა, როცა ჯეინმა რაღაც მიზეზით სიმღერას თავი დაანება და ქანდაკებას მოჰკიდა ხელი. აი, აქ სტივის მოთმინების ფიალა საბოლოოდ აივსო... ჯეინი მარტო თაბაშირით კი არა, ხეზეც მუშაობდა. ამ „საინტერესო“ საქმიანობისგან მისაღები ოთახის იატაკი საბოლოოდ ნახდა – ერთიანად თიხის, თაბაშირისა და ხის ბურბუშელებისგან დაიფარა; მტვერსასრუტსაც კი არ შეეძლო მთლიანად აელო ეს სისაძაგლე. იატაკის მოწმენდა, რა თქმა უნდა, სტივს უწევდა... ჯეინი ისევ დაუბრუნდა სამსახურს – დანტისტის კაბინეტს, არ უნდოდა, მის განათლებაში ფული სტივს გადაეხადა, საღამოებს კი ხელოვნების სკოლაში ატარებდა... სტივს ნელ-ნელა საშინლად შესძულდა ხელოვნების სკოლა და მის მიმართ აგრესია გაუჩნდა. იქ ადამიანებს ამასხარავებდნენ და თავს სისულელეებით უტენიდნენ, რომელ სულიერებაზე და აღმაფრენაზე იყო საუბარი...

ერთ საღამოს კი მოხდა ის, რაზეც სტივ მაკენზი ბოლო რამდენიმე თვე ოცნებობდა – ხელოვნების სკოლა აფეთქდა. ვიღაცამ სარდაფში მექანიზმიანი ბომბი ჩადო და მთელი შენობა ჰაერში აფრინდა. აფეთქებამდე ორი საათით ადრე ბომბის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, მაგრამ არავინ დაიჯერა, არც ჯეინმა, რა თქმა უნდა. სტივი იქვე ახლოს იყო. ხუთი საათი იქნებოდა, ნახევარ საათში ჯეინი ქანდაკების გაკვეთილს ამთავრებდა – ამ დროს ხვდებოდა ხოლმე ცოლს. სტივმა კეთილგონიერება გამოიჩინა და ქუჩის გადაღმა დადგა – ყოველი შემთხვევისთვის.. პიანინო პირდაპირ სახურავიდან ამოფრინდა საცოდავ მოსწავლესთან ერთად – ის ისევ ტაბურეტზე იჯდა და ხელებიც ისე ჰქონდა გაშვერილი, თითქოს ახლაც პიანინოზე უკრავსო; მხატვრობის ჯგუფის მოსწავლემ კედელი გამოანგრია, მის კვალდაკვალ კი წყალგაყვანილობის მილები გამოფრინდა; ჯეინიც გამოჩნდა: მესამე სართულის ფანჯრიდან მოფრინავდა, ერთ ხელში ჩაქუჩი ეჭირა, მეორეში – სატეხი... სახეზე გაოცება და აღფრთოვანება აღბეჭდვოდა. სტივმა შეხედა და იფიქრა, რომ ის უკვე მკვდარი იყო... ისე მოშორდა იქაურობას, ცოლის მიწაზე დაშვება არ დაუნახავს, აღარ აინტერესებდა. ჯეინმა ის სამუდამოდ მიატოვა – ამაზე ფიქრმა მთლიანად გადაფარა თავის ახალ ჰობიზე ფიქრი – ბოლო დროს ძალიან გაიტაცა მექანიზმიანმა ასაფეთქებლებმა...

თარგმნა
**ნინო წულუკიძე**



**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# ცოლები და საყვარლები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №49-1(783)

ლევანი გულაღმა იწვა საწოლზე და ჭერს შესცქეროდა. ფიქრობდა. ძილი გაუკრთა და ახლა გათენებამდე დარჩენილი დროის გაყვანას ცდილობდა. ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც წარმოედგინა. მართალია, ნანა არაფერს დაჰპირებია და თვითონაც თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ჯიბის ფულს თავადაც იშოვიდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც სჯეროდა, რომ ამერიკაში უზრუნველი ცხოვრება გარანტირებული ჰქონდა. თავიდან, პირველი თვეების განმავლობაში, თავს იმით იმშვიდებდა, რომ აკლიმატიზაციის გასავლელად დრო სჭირდებოდა. ნანაც აგულიანებდა: შენ მე მჭირდები. აქ იმისთვის ჩამოგიყვანე, რომ, როცა შენთან ალერსი მომინდება, გვერდით მყავდეო. ლევანიც ხალისითა და დიდი ენთუზიაზმით უსრულებდა კაპრიზს. თავისუფალ დროს კი, მაგალითად, როცა ნანა ქმართან ან საქმეებზე მიდიოდა, ქალაქში დახეტიალობდა. მერე ქალმა შესთავაზა, ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსებზე ჩაეწერეო, მაგრამ ლევანმა იუარა – ჯერ კარგად უნდა გავერკვე, რა მჭირდება და ნანასაც აღარ დაუძალებია.

ლევანს ხელი დაუბუჟდა – გაბრიელას მის მკლავზე ეძინა და, ეს ლამაზი, ხუჭუჭა თავი ნელ-ნელა ისე დამძიმდა, კაცს მოეჩვენა, რომ ძარღვებში სისხლმა შეწყვიტა მოძრაობა. შეეცადა, მკლავი ისე გაეთავისუფლებინა, რომ გოგოს არ გაღვიძებოდა. გაბრიელა შეიშმუშნა და თვალები გაახილა.

– არ მინდოდა, გაგღვიძებოდა, – შეწუხდა ლევანი.

– არა უშავს, ადრე გაღვიძება ჩემთვის პრობლემა არ არის. თუ ძილი მომერევა, დღისითაც დავიძინებ, – გაბრიელამ გაიცინა და მკლავზე დაყრდნობილი ისე მიაშტერდა, ლევანი უსიტყვოდაც მიხვდა, რას ელოდებოდა გოგო მისგან.

– შენ რა გაუმაძღარი ვინმე ხარ. ორი საათის წინ მაგ საქმით არ ვიყავით დაკავებული?

– ორი საათის წინ? მე კი მგონია, რომ მთელი საუკუნე გავიდა, – გაიცინა გაბრიელამ, – რა ხდება? მეგონა, შენც იზიარებდი ჩემს ენთუზიაზმს. იცოდე, შეთანხმება შეთანხმებაა. მე უფლებას გაძლევ, ჩემს ბინაში იცხოვრო და ზედმეტ შეკითხვებს არ დაგისვამ, შენ კი ამ ყველაფერს ამინაზღაურებ იმით, რაც მართლაც კარგად გამოგდის.

– ძალიან უცნაური გოგო ხარ, შენნაირი მართლა არავინ შემხვედრია.

– დავიჯერო, მართლა ამდენ ქალთან გქონდა ურთიერთობა? თუმცა, გეთანხმები, ჩემნაირები მართლაც ცოტანი არიან. მე განსაკუთრებული ვარ, ერთადერთი და განუმეორებელი. ჩემს დავიწყებას ვერავინ ახერხებს. თან, კაცებს ყოველთვის მე ვტოვებ, გაითვალისწინე.

ლევანმა ამოიოხრა:

– რა ხდება, ბევრჯერ მიგატოვეს?

– არა. მე მივატოვე.

გაბიმ თვალები მოჭუტა. ისეთი საყვარელი იყო, რომ ლევანს ყველაფერი გადაავიწყდა და მოეხვია.

* * *

რობერტო, მიუხედავად თავისი ზედმეტად მუქი კანისა, საკმაოდ სიმპათიური იქნებოდა, კარგად რომ მოევლო ვინმეს მისთვის და ტანზე მორგებული სამოსი ჩაეცმია.

ნანამ სიგარეტს მოუკიდა და ახალგაზრდა კაცი ალმაცერად შეათვალიერა:

– რობერტო, იცი შენ, რომ ტყუილებს ვერ ვიტან, ამიტომ, სიმართლე უნდა მითხრა.

– დიახ, გისმენთ. რა გაინტერესებთ? – რობერტო ცოტათი გაოცებული ჩანდა და ამას არ მალავდა.

– ალბათ, მიხვდი რომ ამჯერად მაღაზიაში ღვინის ბოთლების რაოდენობა არ მაინტერესებს. ლევანზე მინდა გკითხო: აღარ აპირებს სახლში დაბრუნებას?

რობერტომ პირი დააღო.

– მე... მე საიდან უნდა ვიცოდე? ლევანი ორ კვირაზე მეტია, არ მინახავს; მგონი, იმ ღამის მერე, რომელიც ბარში გაატარა.

ნანამ ნერვიულად დასრისა სიგარეტი საფერფლეზე.

– მარტო იყო?

– რა?! – ვერ მიხვდა რობერტო.

– ბარში მარტო იყო-მეთქი?

– არა, ჩემთან ერთად. – მიამიტურად გაიღიმა რობერტომ და ქალი მიხვდა, რომ მისგან ღირებულს ვერაფერს შეიტყობდა, მაგრამ, მაინც მოსინჯა და ჩაეკითხა:

– ესე იგი, ლევანი შენთან არ არის?

– ბარში იყო ჩემთან ერთად, – დაიბნა რობერტო, – ხომ გითხარით უკვე?

– კარგი, წადი. წადი, ჰო, წადი! – ნანას ხმაში გაღიზიანება დაეტყო. დაელოდა, სანამ რობერტო წავიდოდა და გამწარებული მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას.

„საზიზღარი! უყურე, რას აკეთებს?! მეჯიბრება და მეჯიუტება! სულელი... რას გააკეთებს ამ სიჯიუტით, უნდა ვუყურო. ფულიც არ ჰქონდა. შეიძლება, ფიქრობს, რომ საათსა და მანქანას გაყიდის და ეყოფა, მაგრამ, როდემდე? გაუჭირდება და მომადგება. რატომ არიან კაცები ასეთი სულელები?!“

...თეონამ უხმოდ გაუღო კარი კაცს და გზიდან ჩამოეცალა – თითქოს ეუბნებოდა, შემოდიო.

კახა შევიდა და დივანზე ჩამოჯდა. თეონა შორიახლოს გაჩერდა. გულხელდაკრეფილი იდგა. წამოზრდილი მუცელი ოდნავ ეტყობოდა. კაცმა სევდიანად შეხედა:

– როგორ ხარ?

– ძალიან კარგად, – გამომწვევი ტონით მიუგო ქალმა.

– რატომ მეჩხუბები, მე ხომ არაფერი დამიშავებია?

– ჰო?! მე კი პირიქით მგონია.

– რა გგონია პირიქით, თეონა, მე რა შუაში ვარ? ლევანი მეც მიმალავდა თავის გადაწყვეტილებას. ბოლოს გავიგე და, ვუთხარი კიდეც, არ წასულიყო, გეფიცები. მით უმეტეს, ვერ წარმოვიდგენდი, ამ მდგომარეობაში თუ გტოვებდა. არ დაურეკავს?

– ლევანმა არ იცის ჩემი ამბავი – წამოენთო თეონა, – და არც მინდა, იცოდეს. გაფრთხილებ, თუ დაგირეკავს, სიტყვა არ დაგცდეს. გირეკავს? ხომ გირეკავს?

– ერთხელ დამირეკა – კარგად ჩავედიო და ეგ იყო. დედას გეფიცები, არ გატყუებ.

თეონამ მხრები აიჩეჩა:

– არ მაინტერესებს. თუ გინდა, ყოველდღე ელაპარაკეთ ერთმანეთს. მთავარია, რაც გითხარი, ის გააკეთო და სიტყვა არ დაგცდეს.

– არ აპირებ, უთხრა, რომ ფეხმძიმედ ხარ?

– არა.

– კი მაგრამ, თეონა... უფლება აქვს, იცოდეს...

– მოდი, უფლებებზე ნუ ვილაპარაკებთ, – უკმეხად შეაწყვეტინა თეონამ, – ეს არ არის შენი საქმე და ნუ ჩაერევი, ძალიან გთხოვ.

– ჰო, მესმის, თუმცა...

– არავითარი „თუმცა.“ არ ვუნდოდი და წავიდა. ამიტომ მას აღარ შეეკითხები, როგორ ვიცხოვრო. არც ბავშვის ამბავს ვეტ-

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

ყვი. ეს ჩემი ბავშვია და მასზე პასუხს მე ვაგებ.

– გაგიჭირდება მარტოს.

– ნუ მაცინებ. თუ ვეტყვი, რომ ფეხმძიმედ ვარ მარტო აღარ ვიქნები? მაინც, როგორი სულელები ხართ კაცები...

კახა გაწითლდა, უხერხულად შეიშმუშნა და წამოდგა.

– წავალ ახლა და კიდევ შემოგივლი. თუ ნებას მომცემ. მინდა, დაგეხმარო.

თეონას ირონიულად გაეღიმა:

– ვალდებული არ ხარ. ან, იქნებ, რაღაცის გამო მიგაჩნია თავი ვალდებულად?

– რას გულისხმობ? – დაიბნა კახა, – მართლა გგონია, რომ ლევანს ამერიკაში წასვლაში შევუწყვე ხელი? თეონა, დაგავიწყდა, სამსახური მე რომ დავაწყებინე? ხელს ვუწყობდი... რა ვიცი, მგონი, კარგის გაკეთება მინდოდა. რა მექნა? რესტორანი ჩემი არ არის, ლევანს კი მეტი უნდოდა და მე მესმის მისი – შანსი გამოუჩნდა და ხელიდან არ გაუშვა.

– ჰო, შანსი გაუჩნდა... შენც იმავეს მეუბნები, მაგრამ, კონკრეტულად რა იყო ეგ შანსი ან თუ ვინ იყო, ამაზე არ ლაპარაკობ.

კახა უხერხულად შეიშმუშნა, პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და თემის შეცვლა სცადა.

– თუ რამე დაგჭირდება, ნებისმიერ დროს დამირეკე, კარგი?

– რა უნდა დამჭირდეს? – გაეღიმა თეონას.

– რა ვიცი, თუნდაც ექიმთან წასვლა, ან კიდევ რამე...

– ექიმთან მე თვითონ წავალ. „ან კიდევ რამესთვის" კი დაგირეკავ. ისე, შენი ძმაკაცი მპირდებოდა, მანქანის ფულს გამოგიგზავნიო. ღმერთო, კიდევ კარგი, რომ მისი ერთი სიტყვაც არ დავიჯერე.

– ცოტა ფულს იშოვის და ჩამოვა, – ჩაილაპარაკა კახამ.

– ჰმ, ნუ ჩამოვა, ეგ აღარაა ჩვენი პრობლემა, მოჩვენებითი გულგრილობით აიჩეჩა მხრები თეონამ და მუცელზე ამაყად დაიდო ხელი.

კახამ ამოიოხრა.

...ლევანი დარწმუნებული იყო, რომ ამერიკაში ყოფნისას თეონაზე არ იფიქრებდა. თავიდან გეგმაში ჰქონდა, დაერეკა, ხოლმე მისთვის და ფულიც გაეგზავნა. მაგრამ ერთის გაკეთებასაც დებდა და მეორისაც. თავს კი იმით იმართლებდა, რომ ნანა თითქმის სულ მის გვერდით იყო და არც საკუთარი ფული ჰქონდა. სანაპიროზე მანამდე იხეტიალა, სანამ მზემ ძალიან არ შეაწუხა და გახურებულ ქვიშაზე ფეხისგულები არ აეწვა. გაბის პატარა კოტეჯს ადვილად მიაგნო – მხოლოდ ეს კოტეჯი იყო შეღებილი იასამნისფრად, დანარჩენები ერთნაირად რუხ, მოსაწყენ კოლოფებს ჰგავდნენ და არაფრით გამოირჩეოდნენ ერთმანეთისგან.

– მე გადავღებე იასამნისფრად, – სიამაყით განუცხადა გაბრიელამ, – მთვრალი რომ ვბრუნდებოდი, ხან ერთ კოტეჯს მივადგებოდი ხოლმე, ხან მეორეს და გასაღებს დიდხანს ვაწვალებდი საკეტში. ვიღაც-ვიღაცეებს ეს არ მოსწონდათ – თურმე, ძილს ვუფრთხობდი. საქმე ისაა, რომ ნასვამს ხმამაღლა სიმღერა მიყვარს, სმენა კი არც ისე კარგი მაქვს. მოკლედ, ერთი ყუთი საღებავით გადავჭერი ეს პრობლემა.



– მერე, მეპატრონე დაგთანხმდა ამაზე?

– სიმართლე გითხრა, არ მიკითხავს. არა მგონია, საწინააღმდეგო ჰქონდეს რამე. მე ხომ ყოველთვის კეთილსინდისიერად ვიხდი ბინის ქირას, – მხრები აიჩეჩა გაბრიელამ.

– რატომ მაინცდამაინც იასამნისფერი?

– ყველაზე იაფად ეს საღებავი ვიშოვე და იმიტომ.

ლევანმა გოგოს შეხედა:

– შენში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა.

– არ გირჩევ მათზე თავის მტვრევას. მე ხომ არაფერს გეკითხები?

– იცი? ეს ამბავი ცოტა არ მომწონს.

გაბიმ მხრები აიჩეჩა:

– ჯერ არ ვარ ლაპარაკის გუნებაზე. შეიძლება დავდგე, შეიძლება – არა. მე ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც მომწონს და მინდა. ამიტომ ვცხოვრობ მარტო.

– ესე იგი, ოჯახი გაქვს.

– გააჩნია, ოჯახს რას ეძახი. ამ მონაცემებით – არა.

– მოიცა, ვერ გავიგე. რას ნიშნავს – „ამ მონაცემებით"? ოჯახი ან გაქვს, ან – არა.

– მაშინ, მაქვს, მაგრამ, რადგან ღირსშესანიშნავ თარიღებს მათთან ერთად არ ვატარებ, იმიტომ გითხარი, არ მაქვს-მეთქი.

– მაგ ლოგიკით, არც მე მქონია ოჯახი.

გაბრიელამ ხმამაღლა გაიცინა:

– რა თქმა უნდა, მაშინ ჩემ გვერდითაც არ იქნებოდი. გაწუხებს ეს ამბავი?

– არ ვიცი. შეიძლება, მაწუხებს კიდეც. მოკლედ, ახლა ძალიან არეული ვარ და მიჭირს პასუხის გაცემა.

– ჩემსავით მოიქეცი – მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე იფიქრე – მე ხომ ასე ვიქცევი.

– შენ მაგარი გოგო ხარ, – ლევანმა მკლავზე მოჰკიდა ხელი და კალთაში ჩაისვა, – მოდი ჩემთან. მგონი, არ უნდა შეგეკამათო და მხოლოდ მოგეფერო – აშკარად უკეთეს მდგომარეობაში ვიქნები.

გაბრიელამ თავი უკან გადახარა და აკისკისდა. ყელზე ამობურცული ცისფერი ძარღვი ისე ვნებიანად უფეთქავდა, ლევანმა იფიქრა, მართლა ტყუილუბრალოდ ვკარგავ ძვირფას დროსო, გოგო საწოლზე დააწვინა და პერანგის ღილები შეუხსნა.

...კახას რაღაც ძალა ეწეოდა თეონასკენ. თავიდან ამას იმით ხსნიდა, რომ ეცოდებოდა ქალი და მის მიმართ რაღაც მოვალეობის მსგავსი გრძნობა ჰქონდა. ჯერ ერთი, თეონასთვის არ უთქვამს ის, რომ ლევანი ნანასთან ერთად გაემგზავრა. მაგრამ ქალი აშკარად გრძნობდა რაღაცას და ყოველი ნახვისას ისეთ შეკითხვებს უსვამდა, თითქოს ამის მოსმენა სურდა. მერე, როცა თეონას ფეხმძიმობის ამბავი გაიგო, უცნაური გრძნობა გაუჩნდა: თითქოს ეწყინა და გული დასწყდა; მერე სინდისმა შეაწუხა. ამ გაურკვევლობამ დაღალა. ხვდებოდა, რომ თეონას ნახვის სურვილი გამართლებული არ იყო, მაგრამ ფეხებს თავისით მიჰყავდა მასთან. მივიდოდა, დაჯდებოდა, მერე დგებოდა და მოდიოდა. ხოლო იქ, სადაც იჯდა, ცოტა ფულს ტოვებდა. ქალიც მდუმარედ იღებდა ამ ყველაფერს. ერთ საღამოს ჩაი შესთავაზა და კახასაც გაუხარდა, თუმცა ძალიან არ უნდოდა საკუთარ თავს ამაში გამოსტყდომოდა.

...საღამოს გაბრიელამ ტანსაცმელი გამოიცვალა და სახეზე მკვეთრი მაკიაჟი გაიკეთა. საწოლზე წამოწოლილი ლევანი ჩუმად ადევნებდა თვალს, მერე ველარ მოითმინა:

– სად მიდიხარ?

– ცოტა უნდა გავერთო, მომწყინდა სახლში ყოფნა.

– მე არ მიგყავარ?

– ზრდასრული კაცი ხარ, ჩემი წაყვანა რად გინდა?

– არაფერს მეუბნები. მეჩვენება, რომ ჩემთან ერთად გამოჩენა არ გინდა.

– სისულელეა. საიდან მოიტანე? უბრალოდ, არჩევნის თავისუფლებას ვცემ პატივს. ასე რომ, თუ გინდა, წამოდი.

– სახლში რომ დავრჩეთ?

– მე არ მინდა სახლში დარჩენა. ხომ გითხარი, მომწყინდა-მეთქი. ცოტას დავლევ, ვიცეკვებ... მოსაწევზეც არ ვიტყოდი უარს.

ლევანს შეშფოთება დაეტყო:

– ნარკომანი ხარ?

გაბიმ ხმამაღლა გადაიხარხარა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# გზა იდეალური სხეულისკენ

*თუ ფიტნეს-კლუბისთვის არ გყოფნით არც დრო და არც ფული, ცოტა ძალა დაატანეთ ნებისყოფას და ასეთი კლუბი სახლში მოიწყვეთ. მთავარია, არ დაგეზაროთ და ვარჯიშები შეასრულოთ რეგულარულად და ხარისხიანად, შედეგი კი თვითონ მოგაკითხავთ.*

**„სახაზავი“**

უნივერსალური „სახაზავი“ დღეს მუცლის პრესის ყველაზე პოპულარულ ვარჯიშად ითვლება. ის ავარჯიშებს არა მხოლოდ მუცლის, არამედ მთელი სხეულის კუნთებს. თქვენ მოგეთხოვებათ ერთადერთი რამ: დააფიქსიროთ ტანი სწორ მდგომარეობაში და ამ პოზაში გაჩერდეთ რამდენიმე წამის განმავლობაში (დაიწყეთ 10-15 წამით და თანდათან ადით 2 წუთამდე).

დაწექით იატაკზე გულდაღმა. ხელები იდაყვებში მოხარეთ (მართი კუთხე უნდა გაკეთდეს) და იდაყვიდან მტევნამდე მონაკვეთით დაეყრდენით იატაკს. ფეხსაცმელი გაიხადეთ და ასე დაწოლილ მდგომარეობაში „დადექით“ ფეხის თითებზე (ვითომ ფეხის წვერებზე აიწიეთ). ტანი ისე გაასწორეთ, რომ კეფიდან ქუსლებამდე სახაზავივით სწორი ხაზი გამოგივიდეთ. დაეყრდენით მხოლოდ წინამხარსა და ფეხების თითებს. შეეცადეთ, შეინარჩუნოთ მაქსიმალურად სწორი ხაზი და დაჭიმული გეჭიროთ მუცლის კუნთები. არ მოხაროთ ფეხები მუხლებში. ძალიან რომ დაიღლებით, მოეშვით, ჩვეულებრივად დაწექით იატაკზე და 1-2 წუთი დაისვენეთ, შემდეგ კი ვარჯიში რამდენჯერმე გაიმეორეთ.

**წრიული ვარჯიშები**

წრიული ვარჯიშები ნიშნავს, თანმიმდევრულად, წრიულად აბრუნოთ ხელები, ფეხები და ტანი. მათი შესრულების დროს ერთ დღეში ხდება მთელი სხეულის კუნთების დამუშავება. ვარჯიშების ამ ციკლში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის კარდიო და ძალისმიერი დატვირთვები, რომლებიც შეგიძლიათ შეასრულოთ ჩვეულებრივი ჰანტელებით. არ არის საჭირო მძიმე აღჭურვილობის გამოყენება, რადგან, წრიული ვარჯიშები არ არის გამიზნული კუნთოვანი მასის ფორმირებისთვის და მაღალი ინტენსივობით სრულდება. სავარჯიშო იარაღის წონა უნდა იყოს ნახევარი კილოგრამიდან 1,5 კილოგრამამდე. შეარჩიეთ ისინი თქვენი გემოვნებით და თანმიმდევრულად შეასრულეთ 10-12 ვარჯიში, რომლებიც სხეულის ყველა მონაკვეთზე იქნება ორიენტირებული. თითოეული წრიული ვარჯიში მეორდება 2-3-ჯერ, თითოეულს შორის 30-წამიანი შესვენებით. თუ ვარჯიშის ინტენსიურობას ძალიან გაზრდით, შესვენებების ხანგრძლივობაც 1 წუთამდე გაზარდეთ.



ეს ვარჯიშები ძალიან დაგეხმარებათ ახალი წლის დღეებში დაგროვილი კილოგრამების გასაქრობად.

# მსუბუქი ვახშამი

პრაქტიკულად, ჯერ კიდევ ძალაშია ეგრეთ წოდებული „საახალწლო-სადღესასწაულო დღეები“ და, სავარაუდოდ, ასე გაგრძელდება ნათლისღების დღესასწაულის ჩათვლით, ანუ, 20 იანვრამდე აქტუალურობას არ დაკარგავს ფრაზა – „გადაილე, მიირთვი“, რისი შედეგიც მკაფიოდ აისახება როგორც სასწორის ციფერბლატზე, ისე სარკეში (ვიზუალურად), რაც გამოიწვევს დეპრესიას, ნევროზს, გუნება-განწყობის დაქვეითებას. ეს რომ არ მოხდეს, იმ დღეებში მაინც, როცა წვეულებაზე არ აპირებთ წასვლას და არც განსაკუთრებულ სტუმრებს ელით სახლში, ყურადღება მიაქციეთ როგორც მთელი დღის განმავლობაში კვებას, ისე ვახშამს – ეს აუცილებელია საახალწლო დღეებში საკვებით გადატვირთული ორგანიზმის განსატვირთავად; მთავარი კი მაინც ვახშამია.



ზოგიერთი დიეტოლოგის აზრით, თუ ცხოვრების წესად შემოიღებთ დღის რეჟიმიდან ვახშმის ამოღებას, წონაში მომატების პრობლემა არასდროს შეგაწუხებთ, მაგრამ, დიეტოლოგებისა და გასტროენტეროლოგების ნაწილის აზრით, ვახშამზე უარის თქმა არცთუ სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ვახშამი აუცილებელია, უბრალოდ, საჭიროა, დავიცვათ რამდენიმე მარტივი წესი:

1. ვახშამი მიირთვით არაუგვიანეს 20 საათისა;
2. ვახშმამდე 3 საათით ადრე მსუბუქად წაიხემსეთ, მაგალითად, მიირთვით ერთი ცალი ვაშლი, ერთი კიტრი ან ერთი მუჭა თხილი – ეს პროდუქტები ჩაგიცხრობთ მადას და ვახშამზე ნაკლებს შეჭამთ;
3. ვახშმისთვის მოამზადეთ პატარა ულუფა. თეფში წარმოსახვით გაყავით 4 ნაწილად, რომლის ერთ მეოთხედს დაიკავებს ცილოვანი პროდუქტი (ხორცი, თევზი, ხაჭო); ერთ მეოთხედს – ნახშირწყლები (ერთი ნაჭერი პური ან 1 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი); დანარჩენ ორ მეოთხედს კი – ცოცხალი ან მოშუშული ბოსტნეული.
4. ვახშმის შემდეგ აუცილებელია მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა, მაგალითად, ნახევარსაათიანი გასეირნება.
5. ვახშმისთვის შეარჩიეთ ის პროდუქტები, რომლებსაც ორგანიზმი ადვილად ინელებს: საქონლის, ინდაურის ან ქათმის მოხარშული მჭლე ხორცი; მოხარშული უცხიმო თევზი; მოხარშული ან მოშუშული ბოსტნეული; უშაქრო იოგურტი, არატკბილი ხილი, უცხიმო ყველი; წიწიბურას ან „ჰერკულესის“ უცხიმო ფაფა ან ხაჭო.
6. განსაკუთრებით სასურველია, ვახშმად მიირთვათ ნატურალური ხაჭო კონსერვანტებისა და სტაბილიზატორების გარეშე. ცილებით მდიდარ ხაჭოს ორგანიზმი ადვილად ითვისებს, მასში შემავალი ამინომჟავები კი ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. გარდა ამისა, ხაჭო ცნობილია როგორც კალციუმის წყარო. ამ პროდუქტის ეს ღირსებები ჩვენმა წინაპრებმაც იცოდნენ და ამიტომ მიირთმევდნენ მას ყოველდღე.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა**: **ხშირად მისივდება ქუთუთოები. თირკმელები წესრიგში მაქვს და არც ბევრ წყალს ვსვამ. რისი ბრალი შეიძლება იყოს და როგორ მივხედო ამ პრობლემას?**

**პასუხი**: თირკმელების პრობლემებისა და ბევრი წყლის დალევის გარდა, ქუთუთოების შეშუპება ბევრმა რამემ შეიძლება გამოიწვიოს: თვალების გადაღლამ, ალერგიამ, უძილობამ, მარილიანმა საკვებმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზედმეტი რაოდენობით მკვებავი ან სხვა სახის კრემის წასმამ ქვედა ქუთუთოზე, თანაც, უშუალოდ დაძინების წინ. ეს რომ არ მოხდეს, თვალების გარშემო წაისვით მხოლოდ თვალის გელი (და არა სახის კანის მკვებავი), მსუბუქი მასაჟითა და დაძინებამდე ერთი-ორი საათით ადრე. გარდა ამისა, მოერიდეთ დღის განმავლობაში მარილიან კერძებს და გვიან საღამოს საათებში ზედმეტი სითხისა და მძიმე საკვების მიღებას.

**კითხვა**: **ყოველთვის, როცა ღამით არასაკმარისად მძინავს, დილაობით თვალები ჩალურჯებულივით მაქვს. რით უნდა შევნიღბო ეს სილურჯე?**



**პასუხი**: სილურჯის შესანიღბავად გამოიყენეთ კონსილერი სინათლის ამრეკლავი ნაწილაკებით – ეს ნაწილაკები ქმნის ნათელი კანის ოპტიკურ ეფექტს. კონსილერი წაისვით მხოლოდ ჩალურჯებულ უბანზე, მთელ ქვედა ქუთუთოზე წასმის შემთხვევაში სასურველ შედეგს ვერ მიიღებთ.

**კითხვა**: **მაინტერესებს, რა მონაცემების საფუძველზეა თვალების გარშემო კანი სახის დანარჩენ მონაკვეთზე უფრო მგრძნობიარე?**

**პასუხი**: ზედა და ქვედა ქუთუთოების კანი 5-ჯერ უფრო თხელია, ვიდრე კანი ლოყებსა და ნიკაპზე; გარდა ამისა, ქუთუთოების ზონაში თავს იყრის 50 პროცენტით მეტი ნერვული დაბოლოებებისა, ვიდრე მთელ სახეზე. ამიტომაც არის, რომ ქუთუთოების კანი უფრო ნაზია, მეტადაა მიდრეკილი ალერგიის, შეშუპებისა და სიწითლისკენ; ასევე, უფრო ადრე იფარება წვრილი ნაოჭების ბადით. სახის კანის ეს უბანი ბუნებრივად არის უფრო მშრალი (სახის დანარჩენ ნაწილთან შედარებით), რადგან პრაქტიკულად არ გააჩნია ცხიმოვანი ჯირკვლები. თუ არ გსურთ, რომ ნაადრევად გაგიჩნდეთ თვალების გარშემო ეგრეთ წოდებული „ბატის თათები“, 20 წლის ასაკიდან რეგულარულად გამოიყენეთ კანის დამატენიანებელი საშუალებები.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

## ქმარმა სიცოცხლის ხალისი დამიკარგა

ძალიან დიდი შეცდომა მაქვს ცხოვრებაში დაშვებული და არ მინდა, მსგავსი შეცდომა დაუშვან გულუბრყვილო, გამოუცდელმა და გულწრფელმა გოგოებმა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ზრუნვით, სიკეთითა და მხარში დგომით შესაძლებელია კაცის გულის მონადირება, მათთვის თავის შეყვარება და, მით უფრო მათი გამოსწორება. ეს გამორიცხულია, რადგან არ არსებობს დედამიწის ზურგზე მამაკაცი, რომელიც შეძლებს არათუ ამის გამო შეყვარებას, არამედ ამ ყველაფრის დანახვას, გამოსწორებაზე ალარაფერს ვამბობ. ალბათ მკითხველი ვერ მიხვდა, რა შეყვარებაზე და რა გამოსწორებაზეა ლაპარაკი. ყველაფერი უფრო გასაგები რომ იყოს, ცოტა შორიდან დავიწყებ: ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ მართლა ძალიან მაგარი გოგო ვიყავი – გარეგნობითაც გამოვირჩეოდი, ინტელექტითაც, უკვე 21 წლის ასაკში პროფესიაც მქონდა, კარგი სამსახურიც და საკმაოდ ძლიერი ოჯახიც. მილიონერები არ ვიყავით, მაგრამ არც არაფერი გვაკლდა. ერთადერთი, რაც არ მქონდა, იყო ეშმაკობა, რადგან ეს არ უსწავლებიათ მშობლებს ჩემთვის და სწორედ ამან დამინგრია ცხოვრება.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემებიდან გამომდინარე, მართლა უამრავი თაყვანისმცემელი და ხელის მთხოვნელი მყავდა, რომელთაგან ბევრი იყო ქალაქში ყველა პარამეტრით სასურველი საქმრო, მაგრამ, მე სულელი, რაღაც არარსებულ რომანტიკას ვეძებდი, შუა საუკუნეების რაინდს, მეხივით თავს დატეხილ და ყველაფრის წამლეკავ სიყვარულს და ამიტომ ყველას თავიდან ვიშორებდი, თუმცა მათი საერთო რაოდენობა არ მცირდებოდა, რადგან სულ ახალი და ახალი თაყვანისმცემლები ჩნდებოდნენ.



ერთ დღეს კი გამოჩნდა ყველასგან ყველაფრით განსხვავებული ბიჭი, რომელიც პირველივე დღეს ჯიქურ მოვიდა ჩემთან, თავისი სახელი მითხრა და, საკუთარ თავში დარწმუნებულმა, საკმაოდ რიხიანად მითხრა, ცოლად უნდა გამომყვეო. მე ჯერ მოულოდნელობისგან გავშეშდი, მერე კი, ცოტა გონს რომ მოვედი, გამეცინა და ვუთხარი, შენისთანა ტიპი ქმარი კი არა, ნაცნობიც კი არ მინდა რომ მყავდეს-მეთქი, ანუ, პრაქტიკულად, დავცინე, რადგან ასეთ უშნო ბიჭს ნამდვილად არავის ვიცნობდი. იმიტომაც ვთქვი, ყველასგან ყველაფრით განსხვავებული იყო-მეთქი, რომ ჰქონდა შესამჩნევად მოკლე ხელები და ფეხები (ოჯონდ, ჯუჯა არ იყო), ძალიან უშნო კბილები, შეთხელებული თმა და ცოტა არასასიამოვნო ღიმილი. ასეთი ბიჭი როგორ მომეწონებოდა, თან, მისმა თავხედურმა ხელის თხოვნამაც გამაღიზიანა და ამიტომაც მივმართე ცოტა ქედმაღლურად და დაცინვით, ჰოდა, სწორედ ამიტომაც დამსაჯა ღმერთმა.

ჩემი პასუხი რომ გაიგონა, უცებ მუხლებზე დაეცა, ცრემლიანი თვალებით შემომხედა და მითხრა, თუ არ გამომყვები, თავს მოვიკლავო. მე ამაზეც გამეცინა და ვუთხარი, მოიკალი-მეთქი. მან კი უცებ ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო და ვენაზე გადაისვა. სისხლმა რომ იფეთქა მისი მაჯიდან, მაშინ მოვედი აზრზე, რაც ჩაიდინა და კივილი დავიწყე. მერე ვილაცამ სასწრაფო დახმარება გამოიძახა და ის წაიყვანეს. მერე იყო ჩემს ფანჯრებთან და სადარბაზოსთან ღამის თენებები, სიყვარულისა და ერთგულების ფიცები და ასე შემდეგ და, მე სულელმაც, ვიფიქრე, რა უჭირს, დაბალი და შეუხედავი თუ არის, სამაგიეროდ, ისე ძალიან ვუყვარვარ, მეც მალე შემიყვარდება და მასთან ძალიან ბედნიერი ვიქნები-მეთქი; თან სიმართლე გითხრათ, შემეცოდა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მწარედ მოვტყუვდი, რადგან, შეყვარებული რომეოს ნაცვლად, ხელში შემრჩა დაკომპლექსებული, ეჭვიანი, თავისი მდგომარეობით გაბოროტებული (თანაც, ძალიან შეუხედავი) ბიჭი, რომელიც, ამ ყველაფერთან ერთად, არც სწავლობდა და არც მუშაობდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თამაშობდა, ანუ „იგროკი" იყო და მეც იმიტომ დამადგა თვალი, ეგონა, რომ ძალიან მდიდრები იყვნენ ჩემი მშობლები და კაზინოში სათამაშო ფული არასდროს შემოელეოდა.

მისი ამ გატაცების შესახებ ცოტა გვიან გავიგე, რადგან ამას თავიდან გულმოდგინედ მალავდა მთელი მისი ოჯახი, მერე კი, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა ყველაფერი, აღარც კი გვერიდებოდა, ისე გვძალავდა ფულს სათამაშოდ.

რა აღარ ვცადე, რა არ მოვიმოქმედე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე მასთან – მოთამაშეებს ხომ ტვინიც ეცვლებათ და ფსიქიკაც აღარ აქვთ წესრიგში. ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ ვეყრებოდი, რადგან, მეცოდებოდა, სულ მთლად არ გაუბედურდეს-მეთქი, თუმცა ბოლოს მაინც იძულებული გავხდი, ეს ნაბიჯი გადამედგა. კი გავეყარე და ცოტა კი დავისვენე, მაგრამ ისე მაქვს ნერვები დაგლეჯილი, კაცისკენ გახედვა აღარ მინდა, არადა, ვოცნებობდი შვილებზე და თბილ ოჯახზე, მან კი ამის სურვილიც კი მომისპო.

**თამთა, 24 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ვინ იქნებოდით წინა ცხოვრებაში?

*საინტერესო ტესტია და სერიოზულად მიუდექით. შეიძლება გაგელიმოთ, მაგრამ ჭეშმარიტების მარცვლები მასში ნამდვილად არის. იყავით გულახდილი.*



**1. ამჟამად რამდენი ადამიანია თქვენ გვერდით?**

ა) ბევრი – მშობლები, ოჯახის წევრები, ნაცნობ-მეგობრები. მათთვის დრო მყოფნის – 10 ქულა;

ბ) ბევრნი არიან და ეს მაწუხებს – 5 ქულა;

გ) მხოლოდ 2-3 უახლოესი ადამიანი – 0 ქულა.

**2. მეგობრებთან ერთად ხართ. ერთ-ერთი გთავაზობთ თავის ნაცნობთან წასვლას. რას იზამთ?**

ა) იქ დავრჩები, სადაც თავს შინაურ გარემოში ვიგრძნობ – 0 ქულა;

ბ) გავყვები მეგობარს – 5 ქულა;

გ) მთავარია, კარგად ვიყო, გულის კარნახით ვიმოქმედებ – 10 ლარი.

**3. როგორ იცვამთ?**

ა) მოდურად, მაგრამ არა შოკის მომგვრელად – 5 ქულა;

ბ) როგორც ყველა, ჩვეულებრივად – 10 ქულა;;

გ) არ ვაქცევ ყურადღებას – 0 ქულა.

**4. სურნელი თქვენთვის არის:**

ა) ძალიან მნიშვნელოვანი – 5 ქულა;

ბ) განსაკუთრებული არაფერი – 0 ქულა;

გ) სასიამოვნო ფიქრების სიმყუდროვის მომგვრელი – 10 ქულა.

**5. ახლა სიამოვნებით შეჭამდით:**

ა) დელიკატესს – 5 ქულა;

ბ) საჭმელს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს – 10 ქულა;

გ) მთავარია, დავნაყრდე – 0 ქულა.

**6. რა ასოციაცია გაქვთ სიტყვაზე – „მეგობარი"?**

ა) მე და ჩემი ოჯახი – 10 ქულა;

ბ) მე და ჩემი საუკეთესო მეგობარი – 5 ქულა;

გ) არანაირი. სიტყვებს არ ვანიჭებ მნიშვნელობას – 0 ქულა.

**ნახეთ შედეგები:**

***0-15 ქულა – „ჩიტი"***

*სავარაუდოდ, თქვენ ჩიტი იქნებოდით. სწორედ ამიტომ, ახლა თქვენში შერწყმულია ინდივიდუალიზმი და უნარი, ფართო პერსპექტივები დაინახოთ. თქვენი თვისებები სხვებს ზიანს არ აყენებს, მაგრამ მათ არ უყვარხართ. მარტო ფრენა კი ძალიან გაგიჭირდებათ.*

***16-34 ქულა – „ერთგული ძაღლი"***

*წინა ცხოვრებაში ძაღლი იქნებოდით, ერთგული, ძლიერი, ნებისყოფიანი და ჭკვიანი... თუმცა, ზედმეტმა ერთგულებამ, მით უფრო – არასათანადო იდეალებისა და ადამიანებისადმი, შეიძლება, გზას აგაცდინოთ და გული გატკინოთ. ზედმეტი არც ერთგულება ვარგა.*

***35-60 ქულა – „კოლექტიური მწერი"***

*აშკარად რომელიმე მწერი იქნებოდით, თანაც კოლექტიური, მაგალითად, ფუტკარი ან ჭიანჭველა. სწორედ აქედან მოდის თქვენი კომუნიკაბელურობა და შრომისმოყვარეობა. მარტოს არაფერი გამოგდით, ძლიერი მხოლოდ მეგობრებთან ერთად ხართ.*

**ელენე წულუკიძე**

# დედაქალაქის გადასარჩენად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №50-1(483)**

კაკუბავა ჩამონგრეული კარის ჩარჩოსთან მივიდა. ჯაფარიძე მიიხმო და უთხრა:

– აი, სოსო, დააკვირდი ამ ერთადერთ გამოშვერილ ლურსმანს, როგორი სისხლიანია... აი, სისხლის წვეთებიც...



– მაგარი ხარ, ძმაო, სალოლ, – თავი გააქნია ჯაფარიძემ. კაკუბავამ კი უთხრა:

– დარწმუნებული ვარ, რომ ლურსმანზე არსებული სისხლი და აბრეზას სისხლი ერთმანეთს დაემთხვევა. ჭრილობების მიმართულება კი იმ ფაქტს დაამტკიცებს, რომ ოთახში ის ძალით შემოიყვანეს. გარდა ამისა, შეიძლება, არც ტროსზე აღმოჩნდეს აბრეზას თითების ანაბეჭდები, რაც იმისი დასტურია, რომ ტროსი სხვამ ან სხვებმა დაკიდეს. გარდა ამ ნიუანსებისა, შეიძლება, სხვა სამხილებიც გამოიკვეთოს. ერთი სიტყვით, ახლა აქ საუკეთესო ექსპერტ-კრიმინალისტმა უნდა იმუშაოს. გვამი კი გამოცდილმა პათანატომმა გამოიკვლიოს... და კიდევ ერთი, ჩემი აზრით, აბრეზას მკვლელობაში, მინიმუმ, სამი ადამიანი მონაწილეობდა. ორი, ვინც ის აქ ძალით შემოათრია და ერთი – ვინც აქაურობას ანათებდა. თუმცა, შეიძლება, მეტნიც კი იყვნენ. აი, სულ ესაა. ახლა კი აქედან ძალიან ფრთხილად უნდა გავიდეთ, რომ კვალი არ წავშალოთ და ექსპერტ-კრიმინალისტები შევუშვათ.

კაკუბავამ რომ ლაპარაკი დაასრულა, აბრეზას ბარაკთან ხმები გაისმა და რატიმ თქვა:

– მე მგონი, საბურთალოს პოლიცია მოვიდა თავიანთ პროჟექტორიანებიანად.

– რატი, ფრთხილად გადი და უთხარი, რომ არ შემოვიდნენ. ახლავე გამოვალ და საქმის კურსში ჩავაყენებ, – უთხრა კაკუბავამ რატის, რომელიც ფრთხილად, მაგრამ ჩქარი ნაბიჯებით გავიდა აბრეზას ბარაკიდან.

***

ჯაფარიძე და კაკუბავა რომ გარეთ გავიდნენ, პოლკოვნიკმა ბუხუტი ბაქრაძემ ცოტა არ იყოს გაბრაზებით ჰკითხა კაკუბავას:

– გამაგებინე ერთი, რა ხდება ვარლამ, რატომ არ უნდა შევიდეთ შიგნით?

კაკუბავამ მხარზე მოუთათუნა ხელი პოლიციის უფროსს და დაამშვიდა:

– ნუ ბრაზობ, ბუხუტი, იქ კვალია და ამდენი ადამიანი რომ ერთდროულად შევიდეს, წაიშლება, მნიშვნელოვანი სამხილები გამოგვეცლება ხელიდან.

– რა სამხილები, კაცო, აბრეზამ თავი არ მოიკლა?! – თქვა ბაქრაძემ და რატის გადახედა, რომლისგანაც ეს ამბავი შეიტყო.

ჯაფარიძემ ხელკავი გამოსდო პოლიციის უფროსს, ვარლამთან ერთად ათიოდე ნაბიჯით განზე გაიწია და ხმადაბლა, სხვებს რომ არ გაეგოთ, უთხრა:

– თავიდან ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა და სავარაუდოდ, აბრეზა მოკლულია.

– მოკლული? – გაიმეორა ბაქრაძემ, – კი მაგრამ, ვის უნდა დასჭირვებოდა ამ საცოდავი ბომჟის მოკვლა?

– ჯერ არ ვიცით და სწორედ ამიტომ გამოგიყვანეთ ცალკე, რომ გაგაფრთხილოთ: ამ ვერსიის გაჟღერება არ შეიძლება. ნურც თქვენს თანამშრომლებს ეტყვით. თუ ჩვენი ვარაუდი დადასტურდა, მაშინ ამ საქმესაც ჩვენი უწყება წაიღებს.

– კი ბატონო, არავის ვეტყვი, – მიუგო პოლიციის უფროსმა ანტიტერორისტული დეპარტამენტის თავმჯდომარეს. კაკუბავამ კი მოშორებით მდგომი ექსპერტ-კრიმინალისტი, გამოცდილი ვანო გურგენიძე მოიხმო და უთხრა:

– ვანიჩკა, შენი პროფესიონალიზმის იმედი გვაქვს, თანაც ენას კბილი უნდა დააჭირო. ხომ გაიგე?

გურგენიძეს გაეცინა და უთხრა:

– ჯერ მხოლოდ ის გავიგე, ვარლამს ვენაცვალე, რომ საგულდაგულო მოკვლევა უნდა ჩავატარო და არ ვილაყბო. მაგრამ, ერთი ეს მითხარი, ოდესმე თუ გინახავს ჩემი ზერელე ნამუშევარი ან ენის ჭარტალი თუ შეგიმჩნევია?

– კარგი, კარგი, ნუ ბრაზობ. არაა ახლა ამის დრო. მოკლედ, ასეა საქმე – ჩამომხრჩვალს მარჯვენა მკლავსა და ბარძაყზე ლურსმანზე გამოდებული ორი ჭრილობა აქვს. ერთადერთი ლურსმანი, შესასვლელში, ჩამონგრეული კარის ჩარჩოს მარცხენა მხარეზეა იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე. ამან დამაეჭვა და ამ ორიენტიროვკას გაძლევ. დანარჩენი კი შენ იცი.

– გასაგებია, – ჩაეცინა გურგენიძეს, – ან მიცვალებული უკუღმა შეფრინდა ოთახში, ლურსმანს წამოედო და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო. ან ის, მინიმუმ, ორმა კაცმა ჰაერში ატაცებული შეათრია შიგნით და ჩამოახრჩვეს.

კაკუბავამ ხელები გაშალა და ჯაფარიძეს უთხრა:

– აი, ექსპერტიც ასეთი უნდა. ზეპირად იცის ყველაფერი.

– რა ცოდნა უნდა, ბიჭო, რა ინფორმაციაც მომაწოდე, ასეთი სურათი იხატება და რა ძნელი მისახვედრია, – მიუგო გურგენიძემ.

– მიდი, მიდი, დროს ნუ კარგავ. შედი და თვითონ გაარკვიე ყველაფერი. ვფიქრობ, სხვა ფაქტებსაც აღმოაჩენ, – გაეცინა ვარლამს. ჯაფარიძემ კი დაამატა:

– ბატონო ვანო, ჩვენ აქ დაგელოდებით და თუკი რამე დაგჭირდებათ, გვიხმეთ.

გურგენიძემ ჯაფარიძეს ხელით ანიშნა, კარგიო. შემდეგ თავის თანაშემწე გოგონას უთხრა:

– ქეთი, წავიდეთ. უკან მომყევი და ყურადღებით იყავი.

რატიმ ყურადღებით გააყოლა თვალი ტანწერწეტა ექსპერტ-კრიმინალისტ გოგონას, რომელიც ფრთხილი ნაბიჯებით გაჰყვა უკან თავის უფროსს და აბრეზას ბარაკის ეზოში შევიდა.

ვარლამ კაკუბავას არ გამოჰპარვია რატის ყურადღება ლამაზი ექსპერტ-კრიმინალისტი გოგონას მიმართ და ჰკითხა:

– შეყვარებული თუ გყავს, ბიჭო?

– არა, ბატონო ვარლამ, – ჩაეცინა რატის.

– მალე გეყოლება, – მრავალმნიშვნელოვნად მიუგო კაკუბავამ. შემდეგ ბაქრაძეს მიუბრუნდა:

– ბუხუტი, ძმაო, ჩემზე ნაწყენი ხარ, ხომ?

– ჩიტოც რომ წამართვი, იმას გულისხმობ? – შეუღრინა პოლიციის უფროსმა და შემდეგ ჯაფარიძეს შეხედა, – ბატონ სოსოს უმადლოდე. მან დამარწმუნა, რომ ასე იყო საჭირო, თორემ ჩიტოს ისევე ვერ იხილავდი, როგორც საკუთარ ყურებს.

– კარგი, კარგი, ნუ ბრაზობ. ერთი კარგი რესტორანი ჩემზეა, – უთხრა ვარლამმა. ბუხუტი ბაქრაძემ კი მიუგო:

– ეგ თავისთავად. ბატონი სოსოც უნდა დაპატიჟო.

ჯაფარიძეს გაეღიმა. ამ დროს მისმა ტელეფონმა დარეკა და პოლკოვნიკმა უპასუხა.

– გისმენ, ზურაბ. კარგი, დაგველოდეთ. მე და პეტრიაშვილი რომ მოვალთ, მერე დავიწყოთ. უჩვენოდ არავინ დაკითხოთ. ჩვენ აბრეზას ბარაკთან ვართ. ჩეპეა და რომ მოვალთ, მერე გეტყვი.

სოსო ჯაფარიძემ ტელეფონი გათიშა. შემდეგ საათს დახედა, ღამის ორი საათი ხდებოდა და რატის ჰკითხა:

– სახლში თუ შეატყობინე, რომ შეგაგვიანდება? უფრო სწორად, რომ ვერ მიხვალ. ალბათ, ღამის გათენება მოგვიწევს.

– დიახ, შევატყობინე, ბატონო სოსო, – მიუგო რატიმ.

ჯაფარიძის ტელეფონმა კვლავ დარეკა და პოლკოვნიკმა უპასუხა:

– გისმენ, დონალდ. კარგი. გასაგებია. მე ქალაქში ვარ რატი პეტრიაშვილთან ერთად. ეგენი ოფისში მიიყვანე და ვფიქრობ, მაქსიმუმ ერთ საათში მოვალთ.

***

რატი პოლკოვნიკის მისაღებში რომ შევიდა, მორიგე ოფიცერმა ჰკითხა:

– რატი პეტრიაშვილი თქვენ ხართ?

– დიახ, – მიუგო რატიმ.

– ბატონმა სოსომ თქვა, რომ მოვა, შემოვიდესო. შებრძანდით.

რატიმ ჯაფარიძის კაბინეტის კარზე დააკაკუნა, შეაღო და შეჩერდა. ოთახში ჯაფარ-

იძისა და ონილის გარდა, ვაშინგტონიდან სპეციალურად ჩამოფრენილი ეფბეერელების ოთხეულიც დახვდა. პეტრიაშვილი ასეთ წარმომადგენლობით შეკრებას არ ელოდა და ამიტომ შეყოვნდა. ჯაფარიძემ კი მას უთხრა:

– შემოდი, შემოდი. რას დგახარ.

რატი კაბინეტში შევიდა და ამერიკელებს მიესალმა. მათ სალმითვე უპასუხეს და ის მაგიდას მიუჯდა. ონილმა კი თანამემამულეებს ღიმილით უთხრა:

– ამ ყმაწვილზე შეიძლება ითქვას, რომ გემიდან პირდაპირ მეჯლისზე მოხვდა. სწორედ რატიმ ამოიცნო მოკლულში აბდულ-აზიზ ქემალი და, საერთოდ, ძალიან საზრიანი, პროფესიონალი მუშაკია. ვფიქრობ, კოლეგებო, რომ მას ჩვენი უწყების აკადემიაში სასწავლებლად საუკეთესო რეკომენდაცია მივცე.

საუბარი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა და რატიმ ონილს მის მშობლიურ ენაზე უთხრა:

– გმადლობთ, მისტერ ონილ.

ერთ-ერთმა ჩამოსულმა ეფბეერელმა კი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ოთხეულში უფროსი იყო, რატის მიმართა:

– იმედია, იმის შეხსენება არ გჭირდებათ, მისტერ რატი, რომ ქემალის სიკვდილის ამბავი საიდუმლოდ უნდა შეინახოთ და არავისთან არაფერი თქვათ ამის შესახებ.

– დიახ, მისტერ... – მიუგო ამერიკელს პეტრიაშვილმა და ეგონა, რომ „მისტერის“ შემდეგ ამერიკელი მას თავის სახელს ეტყოდა და პეტრიაშვილი მას გაიმეორებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ამერიკელმა რატის უპასუხა:

– კარგი, შევთანხმდით. თავისუფალი ბრძანდებით.

– რატი, ქვემოთ ჩადი და გურგენიძეს უთხარი, რომ, თუ დასკვნა მზად აქვს, ამომიტანოს. შემდეგ კი ზურაბ გეგეშიძე ნახე და ის გეტყვის, თუ რა გააკეთო, – ინგლისურად უთხრა ჯაფარიძემ პეტრიაშვილს.

რატი ამერიკელებს დაემშვიდობა და ჯაფარიძის კაბინეტიდან გამოვიდა. პეტრიაშვილი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული იყო და გაიფიქრა: „ნუთუ, მხოლოდ იმიტომ დამიბარა ჯაფარიძემ კაბინეტში, რომ იმ უცნობ ამერიკელს ჩემთვის ეთქვა – ენას კბილი დააჭირეო? უცნაურია...“

რატი ერთ-ერთ დასაკითხ ოთახში შევიდა, სადაც გურგენიძე დასკვნას წერდა და ექსპერტ-კრიმინალისტმა მას მიაყარა:

– ოჰ, კავალერ, მოხვედი? ხომ მშვიდობიანად მიიყვანე ჩემი თანაშემწე სახლში?

– დიახ, – მიუგო რატიმ და ჯაფარიძის დანაბარების თქმა დააპირა, მაგრამ გურგენიძემ არ აცალა:

– მოგეწონა, ხომ, ქეთი? ნამდვილად მშვენიერი გოგოა. მაგრამ არ იფიქრო, რომ ისეთივე კარგი ხასიათი აქვს, როგორც გარეგნობა. ქორია, ნამდვილი ქორი, ტყუილად კი არაა გვარად ქორიძე. თავიდან ყველას მოსწონს, მაგრამ შემდეგ ყველა ერიდება. თუკი გულს გაუწყალებენ, მტრისას, ქორივით იცის თავზე დაცხრომა. ჩვენთან რომ დაიწყო მუშაობა, ახალგაზრდა ბიჭები ბუზებივით დაეხვივნენ, მაგრამ ქეთიმ ყველა დააფრთხო. მეტსაც გეტყვი, მისი მობილურის ნომერი მხოლოდ მე და ბიუროს უფროსმა ვიცით, სხვებმა კი – არა. ან, რა ჯანდაბად უნდათ, როდესაც ქეთის მაინც ვერ დაურეკავენ და, რომც გაბედონ, კარგს ვერაფერს მოისმენენ მისგან. ამიტომ, გირჩევ, თავი არ შეირცხვინო. შენ იმიტომ წაგაყვანინა თავი, რომ მე ვთხოვე.

რატის გაეღიმა, ჯიბიდან ქეთის სავიზიტო ბარათი ამოიღო და გურგენიძეს დაანახვა.

– რა არის, ბიჭო, ეს? – ჰკითხა გურგენიძემ.

– ქეთის სავიზიტო ბარათია, – მიუგო რატიმ.

– მანქანაში დაუვარდა? – თქვა ექსპერტ-კრიმინალისტმა.

– არა, ბატონო ვანო, ქეთიმ მომცა.

– უყურე ამას შენ?! ყოჩაღ, ბიჭო! თვალებს არ ვუჯერებ... – თქვა გურგენიძემ და რატი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

პეტრიაშვილმა პაუზით ისარგებლა და გურგენიძეს უთხრა:

– ბატონო ვანო, ბატონმა სოსომ თქვა, დასკვნა თუ მზად აქვს, ამომიტანოსო.

– ხუთ წუთში მზად მექნება და ავუტან, – მიუგო გურგენიძემ და კარისკენ მიმავალი რატი შეაჩერა: – მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ, რა ხდება?

– რას გულისხმობთ, ბატონო ვანო? – კითხვითვე მიუგო რატიმ.

– გასაგებია, გასაგები. უშიშროება ხართ და ბევრი ლაპარაკი არ გიყვართ, – თქვა გურგენიძემ. რატიმ კი მხრები აიჩეჩა და უთხრა:

– აქ არცაა ბევრი სალაპარაკო.

– კარგი, ბიძიკო, გასაგებია. ხუთ წუთში ავუტან დასკვნას, – თქვა გურგენიძემ და წერა განაგრძო. რატი კი ოთახიდან გავიდა, მაიორ ზურაბ გეგეშიძეს ეახლა და უთხრა:

– ბატონო ზურაბ, ბატონმა სოსომ თქვენთან გამომგზავნა და მითხრა – მაიორი გეტყვის, რაც უნდა გააკეთოო.

– დაიღალე, რატი? – ჰკითხა გეგეშიძემ.

– არც ისე, ბატონო ზურაბ.

მაიორმა რატის ფურცელზე დაწერილი მობილური ტელეფონის ნომერი მისცა და უთხრა:

– ეს ლიდა გავაშელის, ბინის მეპატრონის მობილურის ნომერია. მას, 14 იანვარს და 14 მაისს ამ ნომერზე იმ სავარაუდოდ თურქმა გოგონამ, ზუხრამ დაურეკა. შენ უნდა გამოთვალო ზუხრას ნომერი და კვალს გაჰყვე, გასაგებია?



– გასაგებია, ბატონო ზურაბ, – მიუგო რატიმ და დაამატა: – ასეთი დავალება ჯერ კიდევ ბატონმა ვარლამ კაკუბავამ მომცა გუშინ, მაგრამ თქვენს უწყებაში გადმოვედი და შესრულება ვერ მოვასწარი.

– ძალიან კარგი... ახლა შეასრულებ, – გაუღიმა რატის გეგეშიძემ.

– ახლავე წავალ მობილურ კომპანიაში და ლიდა გავაშელთან დარეკილ ნომრებს ამოვაყრევინებ. სამსახურებრივი მანქანით სარგებლობა ხომ შეიძლება?

– რა თქმა უნდა, რატი, – მიუგო გეგეშიძემ. შემდეგ საათს დახედა და თქვა: – დილის ხუთის ნახევარია. ამ დროს რომ დაადგები თავზე, გაგიჟდებიან. მაგრამ, არ გაცხარდე და აუხსენი, საიდან ხარ და რომ სასწრაფო საქმეა. უშიშროების საბუთს რომ ნახავენ, ყველაფერს სწრაფად მოგიმზადებენ.

– გასაგებია, ბატონო ზურაბ, წავედი. ნახვამდის.

– ნახვამდის, რატი. აბა, შენ იცი. რომ მოხვალ, შემომიარე, აქ ვიქნები, – უთხრა გეგეშიძემ რატის და ოთახიდან გაისტუმრა.

***

მობილურ კომპანიაში მისულ რატის მორიგე ოპერატორი გოგონა მტრულად შეხვდა, დაამთქნარა და ნამძინარევი ხმით შეუღრინა:

– მოგეცადა და დილით მოსულიყავი. ათზე უფროსი მოვა და ის წყვეტს ყველაფერს.

– ათამდე ვერ მოვიცდი, – მიუგო რატიმ და „ქოფაკს“ უშიშროების საბუთი უჩვენა.

„რკინისმჭრელი ქსივის“ დანახვაზე „ქოფაკმა“ ტონი შეცვალა და მოლბა. შემდეგ რატის გაუღიმა და ლიდა გავაშელის მობილურ ტელეფონზე დარეკილი ყველა ნომერი ამოუბეჭდა და მისცა, თან ღიმილით დააყოლა:

– აი, ინებეთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ვლადიმერ (ლადო) სინჯარაძის გახსენება



უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც ამქვეყნიდან წახვედი და დააკლდი შენს ოჯახსა და ახლობლებს. გარდაცვალება ყოველთვის სევდას, მონატრებასა და უსასობის შეგრძნებას ბადებს. მიუხედავად იმისა, რომ 91 წლის ასაკში დაგვტოვე, სიკვდილისთვის არ გვემეტებოდი. ყოველთვის გამორჩეული იყავი შენი საქმიანობითა და კაიკაცობით. მხოლოდ სიკეთეს თესავდი და სწორედ ეს სიკეთე გაგინათებს უფლისკენ მიმავალ გზას. ღმერთმა დაგიმკვიდროთ ადგილი შენ და შენს მეუღლეს – ნაზი სალიაშვილს ცათა სასუფეველში, არ მოაკლოს თქვენს სულებს მფარველობა. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა. ძალიან გვენატრებით და გვაკლიხართ.

**ოჯახი**

# რატომ მოინდომეს ერთმორწმუნე ბიზანტიელებმა ვახტანგ გორგასლის მოტყუება და რისთვის გაუჩეხა თავი ქართველმა ხელმწიფემ იმპერატორის დისშვილს

ვახტანგ გორგასალმა ისარგებლა სპარსეთისა და ბიზანტიის დაპირისპირებით, მიემხრო სპარსელებს და მათთან ერთად ილაშქრა ბიზანტიაში, რათა ოკუპირებული ტერიტორიები დაებრუნებინა. სპარსელებმა, ქართველებთან და სხვა კავკასიელებთან ერთად, არაერთი მარცხი აწნიეს ბიზანტიას აღმოსავლეთში. ბიზანტიის კეისარი ლეონ პირველი იძულებული გახდა ფარულად დაეწყო მოლაპარაკება ერთმორწმუნე ქართველ მეფესთან და შეჰპირდა, რომ მის ყოველ მოთხოვნას შეასრულებდა – თანასწორად სცნობდა ქართველ მეფეს, დააბრუნებდა ოკუპირებულ ტერიტორიებს, აღიარებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას და მიათხოვებდა თავის ასულს.

კეისარმა დამატებითი ძალები შეკრიბა, კონსტანტინოპოლიდან გამოაგზავნა 500 დრომონი (გემი), თითოეულზე 500-500 მეომარი ისხდა. უბრძანა, მიახლებოდნენ ვახტანგის ჯარს, ოღონდ არ შებრძოლებოდნენ. თვითონ კი ხმელეთის გზით წამოიყვანა 800 000 მეომარი (ალბათ, რიცხვი გადაჭარბებულია). როცა ბერძენთა ნაწილები მოახლოვდნენ და გადმოსხდნენ გემებიდან, სპარსელებს უნდოდათ შებრძოლება, მაგრამ გორგასალმა არ დაანება.

ამასობაში პეტრე მღვდელი, ქართლის მომავალი პირველი კათალიკოსი, რომელიც გორგასალსა და კეისარს შორის ელჩად იყო გამწესებული, დაბრუნდა ჩვენს მეფესთან და საიდუმლოდ საჩუქრები მიართვა – ჯვარი შუამდგომლად, საიმპერატორო გვირგვინი და შესამოსელი, როგორც თანაბრად აღიარების სიმბოლოები და საიდუმლოდ გადმოსცა ბიზანტიის კეისრის დანაბარები:

„ნუ გაგვერიდებით, დადექით ჩვენს მოსვლამდე. ის სპარსელები კი, რომლებიც შენთან არიან, დავხოცოთ, სანამ სპარსეთში შეგვასწრებენ. დაგიბრუნებ თუხარისს და ქართულ ტერიტორიებს“.

ვახტანგ მეფემ ყველას გასაგონად უპასუხა: „აქ მოვედით შენთან საბრძოლველად, თუ თქვენ არ შემოგვებმებით, ჩვენ მოვალთ კონსტანტინოპოლთან“.

ფარულად კი შეუთვალა დამოყვრების მოსურნე იმპერატორს:

„რაც არ შეშვენის ღვთისმოყვარებას, სხვას ნუ შესთავაზებ, რადგან დაუნდობლობა არ შვენის პატიოსან კაცს. ახლა შენ რომ ჩაგიგდო ხელში სპარსული ჯარი და დაგახოცვინო, სახელი გამიტყდება. მათ უმეტეს, მათ ჯარისკაცების დიდ ნაწილს აქვთ პატივისცემა ქრისტესი, მაგრამ შიშით ვერ აცხადებენ. ეს საქმე მშვიდობიანად მოვაგვაროთ, როგორც ადრე იმპერატორმა ივბიმიანოსმა (იოვიანემ) და სპარსელებმა. როცა საბოლოოდ შეასრულებ ჩემს მოთხოვნებს, ყველაფერს მოვაგვარებ. ოღონდ ნუ ჩაიდენთ რაიმე ცუდ საქმეს, ნურც ომს მოისურვებთ, ნუ დაღვრით სისხლს, რათა არ დაეცეს მახვილისგან თქვენი ხალხიც. თქვენი ჯარი გალაღებული იყო სპარსებზე გამარჯვებით. სპარსები შეშინებული კი არ არიან, არამედ შურისძიება უნდათ, თქვენთან ბრძოლა სწყურიათ. ამიტომ, მოკვდებიან ან შურს იძიებენ და სისხლს აიღებენ. მაგრამ, თუ შენი ჯარები შეებრძოლებიან, მე არაფერ შუაში არ ვიქნები“.

გააგზავნა ელჩად თავისი მამამძუძის ძმა, ვარაზ-მიჰრი და სამოელ მონაზონი, მომავალი მეორე კათალიკოსი მცხეთისა.

კეისარი ამასობაში ქალაქ ტრაპიზონს (თუ სინოპს) მოდგომოდა. ქალაქის მცხოვრებლები მიეგებნენ, აქებდნენ და მადლობას უხდიდნენ ვახტანგ მეფეს, რომელმაც დაინდო ქალაქი და არ დაახოცვინა მოსახლეობა. როცა გორგასლის ელჩები ქალაქში შევიდნენ, მოქალაქეებმა ძღვნად მიართვეს უამრავი უძვირფასესი სურნელი, ათასი შუშა მუშკი, ხუთასი ამბარი, ათასი ლიტრა ალვა.



სპარსულ-კავკასიური კოალიციური ნაწილები საალაფოდ იყვნენ გასულები. მათთან საბრძოლველად ქალაქის მკვიდრებთან ერთად, გაემართნენ ბიზანტიელები და შეუკრეს ხეობები. გორგასალი აიძულებდა კოალიციის მეომრებს არ ეძარცვათ ქვეყანა. ამ დროს მოვიდა ვახტანგის დედის ძმა, რანის (ბარდავის) მმართველ ვარაზ-ბაკური და რისხვით მიმართა გორგასალს:

„ჰოი, გველო და ასპიტის ნათესავო! მამაშენის დედა ბერძენი იყო, ნათესავი ივბიმიანოსის (იმპერატორ იოვიანესი). გძლია შენ ბებიაშენის ჯიშმა და გაქვს სიყვარული ჯვარცმული კაცისა, რომელიც მოკვდა და გინდა, ჩაგვაგდო ბერძნების ხელში!“

გაბრაზებულმა გორგასალმა უპასუხა:

„აჰა, შენ და ბერძნები! იხილავ მომკვდარი და მკვდრეთით აღმდგარი კაცის ძალას“.

სცეს საყვირები და მოემზადნენ საბრძოლველად სომხები, სპარსები და დარუბანდის მეფე. ქართველები არ გავიდნენ საომრად. გორგასალი დაჯდა თეთრ სპილოზე და ერთ-ერთი გორაკიდან უყურებდა შეტაკებას. ბრძოლა გაიმართა ზღვისა და მდინარის შესართავთან.

ბერძნებმა მოკლეს 27 000 მეომარი და მათ შორის ვახტანგის ბიძა, ასევე ლეკთა მეფე იპაჯაჯი და ბევრი ერისმთავარი. აღმოსავლელები დამარცხდნენ. ბიზანტიის ჯარს ხელმძღვანელობდა პალეკარპოს ლოლოთელი (პოლიკარპე ლოგოთეტი), იმპერატორის დისწული, რომელმაც მოკლა არა ერთი სპარსთა დიდებული, მათ შორის გორგასლის ბიძა.

**კეისარმა დამატებითი ძალები შეკრიბა, კონსტანტინოპოლიდან გამოაგზავნა 500 დრომონი (გემი), თითოეულზე 500-500 მეომარი ისხდა. უბრძანა, მიახლებოდნენ ვახტანგის ჯარს, ოღონდ არ შებრძოლებოდნენ**

ვახტანგ მეფემ შესძახა:

„ჩვენ მშვიდობა გვინდოდა, მაგრამ სპარსთა თავაშვებულობამ შეურაცხჰყო ღმერთი. და ღმერთმა მიაგო შესაბამისად. მოკლეს ერისთავი რანისა, რომელსაც იგლოვს ყოველი სპარსი. დამდაბლდა თავკერძობა სპარსელებისა, მოაბრძანეთ ჯვარი და წარვიმძღვაროთ. რითაც გვძლევდნენ, იმითვე ვძლიოთ! იქმენით მეომარნო ძედ ძლიერებისა“.

მოაბრძანა პეტრე მღვდელმა წმიდა ჯვარი. მეფემ უთხრა: დადექი მტრისა და ჩვენი ხალხის წინაშე და უთხარი ყველას: „თაყვანი ეცით ჯვარს და დავამარცხებთ მტერს“, რომელიც არ სცემს თაყვანს, მოკალითო.

მეფემ უბრძანა დემეტრეს, თავის ერისთავს და სპასპეტ ჯუანშერს, რათა გაყოლოდნენ ჯვარს. ქადაგი ხმამაღლა აცხადებდა: „რომელიც არ სცემს თაყვანს ჯვარს, მოკვდება“. მეომრები ეთაყვანებოდნენ ჯვარს. მაგრამ, მეფე ბორზო მოვაკნელმა უარი განაცხადა. სცა ლახვარი მას ჯუანშერ სპასპეტმა და მოკლა. აღარავის უკადრია ჯვრის გმობა.

მეფემაც თაყვანი სცა ჯვარს.

ბერძნები, სპარსული ნაწილების დამარცხების შემდეგ, ქართველი მეფის ქვეშევრდომ ქართულ-კავკასიურ ნაწილებს მიეტევნენ.

როგორც ჩანს, ბიზანტიელებმა ვერაგულად იფიქრეს: რადგან დაამარცხეს ქართველების მოკავშირე სპარსები, მოვაკნელები და სომხები, ბარემ ქართველებსაც დავამარცხებთ, მათ მეფესთან დადებული ხელშეკრულებაც გაუქმდება და არ დაგვჭირდება დავუბრუნოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და აფხაზეთიო. გადაწყვიტეს, ერთი დარტყმით ქართული პრობლემაც მოეხსნათ იმპერიისთვის.

წინ მოუძღოდათ პოლიკარპოსი, როგორც მგელი. სისხლში მოსვრილი, გამძვინვარებული ლომივით იძახდა და შეურაცხყოფდა ჩვენს მეომრებს.

გორგასალმა ბრძანა, რომელიც შეებრძოლება, ჩემი მეფობის სწორად გამოვაცხადებო. ქადაგმა ორჯერ შემოიარა ჯარი, მაგრამ, ხმა არავის ამოუღია. მაშინ ვახტანგ მეფემ თქვა: „მივენდობი შენს ძალას უფალო, როგორც დავით მეფე გოლიათის წინააღმდეგ ბრძოლისას. რადგან ესეც იგინება და შეურაცხყოფას აყენებს ჯვარს. დაინახა, ჯვარი მაქვს აღმართული და კი არ გაგვანება თავი და მიბრუნდა. ჯვრის იმედით გავალ საბრძოლველად“.

ილოცა გორგასალმა, ამოიღო ხმალი, ეამბორა ჯვარს, გავიდა ჯარებს შორის და მიაძახა პოლიკარპოსს:

„ლომი არ ბაძავს ხარს, მე მეფე ვარ და შენ მონა, მაგრამ დავდებ სიმდაბლით თავს ჩემი ხალხისთვის, რათა ირწმუნონ ჯვრის ძალა!“

სწრაფად შემოუტია ბერძენთა უძლეველმა სარდალმა, ვახტანგი ნელ-ნელა მიიწევდა წინ. ორივეს ყვირილი ქუხილივით ისმოდა და შეიძრა ქვეყანა. მოუქნია ლახვარი პოლიკარპოსმა ქართველ მეფეს და დაასო ვიგრის (ნინაგის) ტყავის ფარზე. მაჯის სიმსხო ლახვარმა გაიარა ვიგრის ტყავი. ვახტანგმა მიანება ფარი, ხმალი ჩასცხო ბიზანტიელს ჩაბალახზე და ბეჭებამდე გააპო ორად. გადმოხტა ცხენიდან, აიღო პოლიკარპოსის გახეთქილი თავის ნახევარი, მიიტანა ჯვრის წინაშე და თქვა: შენგან ყოველი განდგომილი ასე ნაწილად იქცევაო!

ვახტანგის ჯარებმა შეუტიეს ბიზანტიელთა არმიას, მიამწყვდიეს ზღვასთან და მხოლოდ მათ შეძლეს გაქცევა, ვინც ნავით გაცურა. იმ დღეს ვახტანგ მეფეს 43 000 ჯარისკაცი დაეღუპა. ბერძნებიდან კი მოიკლა 72 000. ტყვედ აიყვანეს 124 000 ბერძენი მეომარი (ალბათ ცნობები გადაჭარბებულია). შემდეგ მოძებნეს ვარაზ-ბაკურის გვამი, იგლოვეს, შემურეს საბრით (ერთგვარი ბალახით) და მურით (სურნელოვანი ზეთით) და ბარდავს გააგზავნეს.

**გიორგი მახოზაშვილი**

**„მის საქართველომ“ და მოდელმა თამთა შედანიამ, რომელსაც წლების განმავლობაში უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებული სამოდელო კარიერა ჰქონდა, შვილის გაჩენის შემდეგ, გარკვეული პერიოდით, პაუზა აიღო. თუმცა, ცოტა ხნის წინ ის ჩინეთში იმყოფებოდა და თავის სამოდელო კარიერას კიდევ ერთი წარმატებული სამი თვე შეჰმატა.**

# რის მერე დასერიოზულდა და დალვინდა თამთა შედანია და რა გამოცდა ჩაუტარა მან ჩინეთში საკუთარ თავს

**თამთა შედანია**: ბავშვის გაჩენის შემდეგ რომის „ფეშენ-ვიქზე“ ვიყავი ერთი კვირის განმავლობაში. მერე კი გარკვეული პაუზა ავიღე. ახლა მია წამოიზარდა და შემიძლია, უცხოეთში ვიმუშაო. ამ ეტაპზე სამი ქვეყნიდან მქონდა შემოთავაზება და რადგან ევროპაში კრიზისია, ამიტომ აზიაზე გავაკეთე არჩევანი. შვილი მყავს, სამსახურის გამო კი გარკვეული პერიოდი მომიწევს მისი დატოვება, ამიტომ ჩემთვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, წავიდე იქ, სადაც უფრო მეტს გადამიხდიან.

**– პროფესიონალი, გამოცდილი მოდელი ხარ და შესაბამისად, უკვე გექნება შენი მოთხოვნებიც.**

– რა თქმა უნდა, მაქვს ჩემი მოთხოვნები. არ ვარ დამწყები მოდელი, რომელმაც ყველა შანსი უნდა გამოიყენოს მომავალი წარმატებისთვის. ასეთი შანსი ბევრი გამოვიყენე – 10 წელია, ვმოგზაურობ, ვმუშაობ და ახლა ჩემთვის ფინანსური საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე ცნობილ ჟურნალში დაბეჭდვა. ამდენი ხნით მია არასდროს დამიტოვებია და ძალიან გამიჭირდა. პირველი, რისგანაც სტრესი მივიღე, ეს იყო იმის წარმოდგენა, რომ მიას გარეშე მომიწევდა ამდენი ხნით ყოფნა. ეს სტრესი იქნებოდა როგორც ჩემთვის, ისე ბავშვისთვისაც. თავიდან რომ ჩავედი და სკაიპში ველაპარაკებოდი მიას, ძალიან ნერვიულობდა. ამიტომ, დედაჩემს ვუთხარი: ისე მესაუბრე, ბავშვმა არ დამინახოს-მეთქი. თუმცა, მერე შეეგუა და დღეში სამ საათს „სკაიპში“ მასთან ერთად ვატარებდი. იქიდან გამომდინარე, რომ მარტოხელა დედა ვარ, არ მინდა, შვილს რაიმე მოაკლდეს. ამიტომ, უნდა ვიმუშაო, რადგან ჩემ გარდა მას სხვა ვერავინ მიხედავს. შანხაიში საკმაოდ დაკავებული ვიყავი, რადგან დატვირთული სეზონიც იყო და კარგი შემოთავაზებებიც მქონდა. ძირითადად, კატალოგებზე მიწევდა მუშაობა. ასევე, ერთ-ერთი ჟურნალის, „მატროს“ წინა ყდისთვის მქონდა გადაღებები და ჩემი ფოტოები დაიბეჭდა ყდაზეც და შიგნითაც. ეს იყო ჩემი პორტფოლიოსთვის კიდევ ერთი შენამატი. გარდა ამისა, მქონდა ორიგინალი „გესის“ ჩანთების რეკლამის გადაღება და ასევე, „ზარას“ ახალი კოლექციის ვებ-საიტის მოდელად გადამიღეს. კიდევ იყო – რეკლამები, „ფეშენ-შოუები.”

**– რის რეკლამებში გადაგიღეს?**

– სატელევიზიო რეკლამებში გადამიღეს. ერთ-ერთი იყო სახის კრემის რეკლამა, რომელიც მალე გამოვა. ჩინური ბრენდის ნაწარმია, რომელიც მთელ ჩინეთში იყიდება და თითქმის ყველგან, მონიტორებზე ამ რეკლამას აჩვენებენ. გარდა ამისა, ფილმში გადამიღეს. ფილმი პეკინში გამოვა, მასში ცნობილი ჩინელი მსახიობები მონაწილეობენ. მთავარი გმირის, ფოტოგრაფის როლს ასევე, ცნობილი მსახიობი ასრულებდა. ჩვენ კი ვიყავით მისი მოდელები და ფოტოებს გვიღებდა. ნახევარსაათიან ეპიზოდში ვმონაწილეობდით. რთული იყო, თუმცა კამერებთან მუშაობას მიჩვეული ვარ, ემოციებისა და ხასიათის შეცვლა არ მიჭირს. დებიუტი შედგა ფილმში, თან ჩინეთში. საკმაოდ საინტერესო ფილმია. ეს არის გოგონაზე, რომელსაც მკერდის სიმსივნე აქვს და გარკვეული მესიჯები დევს. ამიტომ, სურთ, კანის ფესტივალზე გააგზავნონ. საფესტივალო ფილმია. სულ მინდოდა, საკუთარი თავი მსახიობის ამპლუაში გამომეცადა. მინდოდა გამეგო – შევძლებ? ასე რომ, პასუხი გავეცი საკუთარ თავს – არ გამჭირვებია და თუ შემომთავაზებენ ისეთ ფილმში გადაღებას, რომელიც ჩემს მოთხოვნებთან და პრინციპებთან თანხვედრაში იქნება – რატომაც არა.



დღეს საქართველოში ტენდენცია გახდა – ვინც იხდის, პოპულარობის მიღწევის მარტივ გზას ირჩევს. ჩემთვის, რაც მარტივია, ის არ არის საინტერესო

**– რა მოთხოვნები და პრინციპები გაქვს?**

– არასდროს გავიხდი ფილმში და არასდროს მივიღებ მონაწილეობას სექსუალურ სცენებში. 10 წელია, მოდელი ვარ, არაერთხელ მქონია შემოთავაზება, გამეხადა, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი. შანხაიშიც უნდოდათ თხელი კოლგოტის რეკლამაში გადაღება – ჩემი ფეხის მოყვანილობა, სიგრძე მოეწონათ. მაგრამ, უარი ვუთხარი, არ მინდა და არ მიღირს გავაკეთო ისეთი რამ, რაც დისკომფორტს შემიქმნის. ამიტომ, იყო სამუშაოები, რომლებზეც სიშიშვლის გამო უარი ვთქვი. თუმცა, შეიძლება, ეს ბევრისთვის არაფერს ნიშნავს. დღეს საქართველოში ტენდენციაა – ვინც იხდის, პოპულარობის მიღწევის მარტივ გზას ირჩევს. ჩემთვის, რაც მარტივია, ის არ არის საინტერესო. პირიქით, სირთულეები მიყვარს.

შანხაიდან წამოსვლამდე შემეხმიანია სინგაპურელი ფოტოგრაფი, რომელიც ხანჯოუში იყო. ჩვენ 3 წლის წინ ვთანამშრომლობდით, მაშინაც კრეატიული იდეები ჰქონდა და გადავწყვიტეთ, ახლაც გვეთანამშრომლა. ინდონეზიელი დამწყები დიზაინერის ახალი კოლექციიდან სამ კაბაში გადავიღეთ ფოტოები. შანხაიში ცნობილი მეიქაფ არტისტი გვყავდა, საკმაოდ საინტერესო ფოტოები გამოვიდა. მეც ჩემი პორტფოლიო განვაახლე კრეატიული ფოტოებით.

**– მაინც ხანგრძლივი პაუზა გქონდა, ხომ არ გაგიჭირდა მუშაობის თავიდან დაწყება?**

– პირველი ერთი კვირა ძალიან გამიჭირდა მოდელის ცხოვრებასთან შეგუება. თან, ვილაცაზე ხარ დამოკიდებული, ამ შემთხვევაში – სააგენტოზე. მაგრამ, ზოგადად, ადვილად შემიძლია ადაპტირება და თან, ჩემს საქმეში ყოველთვის მაქსიმუმს ვდებ – ბოლომდე, მაქსიმალურად ვიხარჯები. ამიტომ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. როდესაც საქმეს ვიწყებ, მასში მთელ ჩემს ენერგიას ვდებ და შედეგიც ყოველთვის კარგია.

**– ძალიან კარგ ფორმაში ხარ. როგორი ემოცია ჰქონდათ, როცა იგებდნენ, რომ შვილი გყავს?**

– იცოდნენ შვილი რომ მყავდა, მაგრამ მაინც გაუკვირდათ. სააგენტოს უფროსი მეუბნებოდა, ყველაზე ახალგაზრდად შენ გამოიყურებიო, არადა 16-17 წლის მოდელები ჰყავდათ. კომპლიმენტებს ვიღებდი. ხალხს, ძირითადად, არ სჯეროდა, რომ შვილი მყავდა და მერე ფოტოებს ვაჩვენებდი. ჩამოიყვანე, ისიც მოდელი იქნებაო. ამ ასაკის გოგონებმა არ იციან პოდიუმზე სიარული. ჩემი იქ ყოფნის პერიოდში შანხაიში და ხანჯოუში „ფეშენ-ვიქები“ იყო. ამიტომ, სააგენტოში მთხოვეს, მათთვის სიარული მესწავლებინა. მეც ასეთი ვიყავი მათ ასაკში. პროფესიონალ მოდელად არ დავბადებულვარ. ასე რომ, კარგად მესმოდა მათი.

**– პატარა გოგონებს რომ უყურებდი, არ გახსენდებოდა 16-17 წლის თამთა?**

– როგორ არ მახსენდებოდა. ვუყურებდი პატარა, ლაღ ბავშვებს... მე უკვე ძალიან დავსერიოზულდი, გავიზარდე, დავლვინდი. სანამ შანხაიში წავიდოდი, საკუთარ თავში არ ვიყავი გარკვეული – რომ არ იცი, რა გინდა, თითქოს დაკარგული ვიყავი. რომ წავედი, ბევრ რამეზე დავფიქრდი, მოვდუნდი, დავალაგე აზრები, ფიქრები და უკვე ვიცი, რა მინდა. ბევრი რამ მინდა, მაგრამ მთავარი ის არის, ვიცი, რა რის მერე მინდა. დავალაგე გეგმები. იმედია, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა. ამის მერე შინაგანად ძალიან დავმშვიდდი, კარგად ვარ.

**– ამ გეგმებში პირადი ცხოვრების მოგვარებაც შედის?**

– მარტოობა, ალბათ, ყველასთვის რთულია. ჩემ გვერდით კარგ ადამიანს ვისურვებდი, თუმცა არავის ვეძებ. ერთ რამეს მივხვდი: არავინ არ უნდა ეძებო. ზოგადად, როცა რაღაცას დიდ ყურადღებას არ აქცევ, ის თავისით ხდება. ოდესმე ხომ მოვა და თუ არ მოვა, არც მაგაზე ვიდარდებ.

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ არ მოუწონა სტალინმა მარშალ ჟუკოვს ბერლინის აღების გეგმა



ფაშისტური არმიის სტალინგრადთან განადგურების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო და საბჭოეთის გამარჯვებაში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი. თუმცა, ჰიტლერული არმიები დანებებას არ აპირებდნენ და ჩვენს ჯარებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. მსხვერპლი ორივე მხარეს ძალიან დიდი იყო და ერთ-ერთ სხდომაზე დიდმა ბელადმა სამხედროებს უთხრა:

– ამხანაგო გენერლებო, მაქვს ცნობები, რომ მიუხედავად ჩვენი დიდი გამარჯვებებისა, ჩვენი მხრიდან უამრავი ჯარისკაცი იღუპება ბრძოლებში და გთხოვთ, ისე დაგეგმოთ სამხედრო ოპერაციები, გაუმართლებელი მსხვერპლი არ იყოს. ჩვენმა ხალხმა ისედაც დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში და ზედმეტად ნუ დავაობლებთ ოჯახებს, – სტალინმა ოთახში გაიარ-გამოიარა და მარშალ ჟუკოვს მიმართა:

– ამხანაგო ჟუკოვ, მე თქვენ დიდად გაფასებთ და თქვენი როლი ჩვენს წარმატებაში მნიშვნელოვანია. თუმცა, როდესაც თქვენ მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციები გავაანალიზე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ არაერთ შემთხვევაში, ფაშისტებმა იმიტომ წააგეს ბრძოლები, რომ თქვენ მათ უამრავი ჯარისკაცი შეაწყვიტეთ. მარტივად რომ ვთქვათ, მათ ტყვიები გაუთავდათ ჩვენების დასახოცად. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს მომენტი და უფრო აკურატულად მოეკიდოთ საქმეს. გასაგებია?

– გასაგებია, ამხანაგო სტალინ, – მიუგო სახეწამოჭარხლებულმა მარშალმა უმაღლეს მთავარსარდალს და ცივად დატოვა მისი კაბინეტი, რადგან სტალინის სიტყვები მის პროფესიონალიზმს აკნინებდა. ასეთი რამ კი საქვეყნოდ ცნობილი მარშლისთვის დიდი შეურაცხყოფა და თავზე ლაფის დასხმა იყო.

ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სტალინის კაბინეტში კვლავ შეიკრიბნენ სამხედროები, რომლებიც უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში ეთათბირებოდნენ უმაღლეს მთავარსარდალს ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის, ბერლინის აღების შესახებ. წარმოდგენილი იყო ამ ოპერაციის ჩატარების ორი გეგმა. პირველი გეგმის ავტორი გახლდათ მარშალი ჟუკოვი, მეორის კი – ჯერ კიდევ არმიის გენერალი კონსტანტინე როკოსოვსკი. ჟუკოვის გეგმის მიხედვით, საბჭოთა არმიას ისეთი მასირებული იერიში უნდა მიეტანა ბერლინზე, რომ ის მაქსიმუმ ორ კვირაში დაეცემოდა. ოპერაცია 15 აპრილს უნდა დაწყებულიყო და თვის ბოლოს დასრულებულიყო. თუმცა, ჟუკოვის ოპერაციას 450-500 ათასი საბჭოთა ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირებოდა. სამაგიეროდ, ნაკლებმსხვერპლიანი გეგმა წარმოადგინა კონსტანტინე როკოსოვსკიმ. ამ გეგმის მიხედვით, არმიის გენერალი შემოვლით მანევრს სთავაზობდა უმაღლეს მთავარსარდალს. შემდეგ ფაშისტების ალყაში მოქცევას და მათთვის უსიტყვო კაპიტულაციის შეთავაზებას. მართალია, ეს ოპერაცია ორმოც დღეზე იყო გათვლილი და ივნისის პირველ დეკადაში დასრულდებოდა, სამაგიეროდ, ბევრად ნაკლებ მსხვერპლს, მაქსიმუმ 50 ათასი ჯარისკაცის სიცოცხლეს შეიწირავდა, ანუ – 10-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ჟუკოვის გეგმით იყო მოსალოდნელი.

სტალინმა ჯერ ჟუკოვს მოუსმინა, შემდეგ როკოსოვსკის და პაუზის მერე თქვა:

– ბერლინის სწრაფი აღება მაცდური წინადადებაა, თუმცა არ გვილირს ასეთ მსხვერპლად და ვფიქრობ, გენერალ როკოსოვსკის გეგმა უნდა მივიღოთ.

ჟუკოვი და როკოსოვსკი ორი გამორჩეული სარდალი იყო. ამის გამო მათ ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობები ჰქონდათ. მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ ვინც ბერლინს აიღებდა, მეორე მსოფლიო ომის მთავარ გმირადაც, სტალინის შემდეგ, მას შერაცხავდნენ. ჟუკოვი ძალიან ამბიციური იყო და სტალინის სიტყვები რომ მოისმინა, გაკადნიერდა და დიდ ბელადს უთხრა:

– ამხანაგო სტალინ, ვფიქრობ, რომ თუკი როკოსოვსკის გეგმას მივიღებთ, ძალიან დიდ შეცდომას დავუშვებთ.

– რატომ ფიქრობთ მასე? – დინჯად ჰკითხა ბელადმა ამბიციურ მარშალს.

– იმიტომ, ამხანაგო სტალინ, რომ როგორც სამხედრო დაზვერვის რამდენიმე ძალიან სანდო წყარო მატყობინებს, ანგლო-ამერიკულ ძალებს ბერლინის აღების ელვისებური გეგმა უკვე შემუშავებული აქვთ და დიდი ძალებიც ჰყავთ გამზადებული. ისინი არც უზარმაზარ მსხვერპლს მოერიდებიან. ფაშისტურ ციტადელს ჩვენზე ადრე ჩაიგდებენ ხელში და ჩვენ კი პირში ჩალაგამოვლებულს დაგვტოვებენ. მით უმეტეს, რომ ფაშისტები მათ დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევენ და სიამოვნებით გაუღებენ ბერლინის კარს.

## ნაპოლეონი ბოლოს იმპერატორი გახდა და პოლიტიკას მოჰკიდა ხელი. არ გირჩევთ ამის გაკეთებას, – უთხრა სტალინმა ჟუკოვს

სხდომას ბერიაც ესწრებოდა, რომელმაც სტალინს დაუდასტურა, რომ ანგლო-ამერიკელები საბჭოთა კავშირის ზურგსუკან სეპარატულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ფაშისტებთან.

ბერიას სიტყვებმა დიდი ბელადი დააფიქრა და პაუზის შემდერ როკოსოვსკის ჰკითხა:

– თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

როკოსოვსკი ფეხზე წამოდგა და სტალინს მიუგო:

– ამხანაგო სტალინ, ვფიქრობ, ისინი დაჰყვებიან ჩვენს ნებას. ამასობაში კი ჩვენ ნაკლებმსხვერპლიან ოპერაციას ჩავატარებთ და გავიმარჯვებთ.

სტალინს ჩაეცინა და როკოსოვსკის უთხრა:

– დიპლომატებს, რა თქმა უნდა, ჩავრთავთ, მაგრამ რისკი დიდია. რუზველტი კიდევ ჰო, ალბათ, ხელს აიღებს ამ სიბინძურეზე, მაგრამ აი, ჩერჩილი კი – მეეჭვება. ეს ბრიტანელი გამოუსწორებელი მატყუარაა. ერთს ამბობს, მეორეს ფიქრობს და მესამეს აკეთებს. მისი ნდობა არ შეიძლება და გამორიცხული არაა, რუზველტიც დაარწმუნოს იმაში, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მოგვატყუოს. მაშინ რაღა უნდა ვქნათ?

– ბოლო სიტყვა თქვენზეა, ამხანაგო სტალინ! – თქვა როკოსოვსკიმ და დაჯდა.

სტალინმა ჩიბუხი გააბოლა და თქვა:

– მე ახლა გავალ და ჩერჩილსა და რუზველტს პირადად დაველაპარაკები. თქვენ კი, ამხანაგო ჟუკოვ და ამხანაგო როკოსოვსკი, კიდევ ერთხელ გადახედეთ თქვენს გეგმებს და იქნებ შეჯერდეთ იმაზე, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით და სწრაფად აიღოთ ბერლინი.

სტალინი პატარა ოთახისკენ გაემართა და კაბინეტიდან რომ გავიდა, ჟუკოვმა ნიშნისმოგებით უთხრა როკოსოვსკის:

– არმიის გენერალი, ჯარისკაცი ხართ და ასეთ მძიმე სიტუაციაში სენტიმენტალიზმი არ გამკობთ. გამარჯვებისთვის დიდი მსხვერპლიც კი გამართლებულია. ბოლო-ბოლო, უმაღლესმა (სტალინმა) ეს ხალხი თვლით ხომ არ ჩაიბარა ნიკოლოზ მეორისგან?

როკოსოვსკის პასუხი არ გაუცია ჟუკოვისთვის და როგორც სტალინმა დაუბარა, მათ შეჯერებული მოქმედებების გეგმაზე დაიწყეს მსჯელობა. ერთი საათის შემდეგ სტალინი დაბრუნდა და იკითხა:

– რა ჰქენით, შეაჯერეთ გეგმები?

სარდლებმა ბელადს შეჯერებული გეგმა გააცნეს, რომლის მიხედვითაც, ბერლინი მაისის პირველ დეკადაში დაეცემოდა და 300-350 ათასი ჯარისკაცი დაიღუპებოდა. სტალინმა გეგმა გააანალიზა და თქვა:

– ეს გეგმა იდეალური არაა, მაგრამ ძველებს ჯობია, – მან ჟუკოვზე შეაჩერა მზერა და დააყოლა:

– ამხანაგო ჟუკოვ, და მაინც, თქვენ მოგიწევთ ბერლინის აღება. გეგმით ასეა გათვლილი.

ჟუკოვი ეიფორიაში იყო და სტალინს მიუგო:

– ამხანაგო სტალინ, ბერლინს საბჭოთა ჯარისკაცები აიღებენ. მე კი, უბრალოდ, მათი მეთაური ვარ.

სტალინს ჩაეცინა და ჟუკოვს უთხრა:

– იმ ადამიანების მეთაური, ვინც იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს ჩემთვის თვლით არ ჩაუბარებია და ამიტომ სწირავთ ასე იოლად მათ სიცოცხლეს, ხომ?

– სტალინის სიტყვებზე ყველა გაშრა. არავის ეგონა, თუ დიდმა ბელადმა მოისმინა ჟუკოვის ეს უკმეხი ფრაზა, რადგან ფიქრობდნენ, რომ სტალინი სხვა ოთახში იყო. სტალინს კი ძალიან მახვილი სმენა ჰქონდა – აბა, ჟუკოვი ამას როგორ წარმოიდგენდა? ბელადმა გააბოლა და ჟუკოვს ჰკითხა:

– მარშალო, ნაპოლეონზე რა აზრის ხართ?

– უდიდესი სარდალი იყო, – მიუგო გაფითრებულმა ჟუკოვმა.

– ჰოდა, ამ უდიდესი სარდლის სიტყვებია – სანაგვეზე უნდა გადააგდო ის გენერალი, ვინც თავისი ჯარისკაცების სიცოცხლეს არ აფასებსო, – სტალინმა პაუზა გააკეთა და დაამატა, – სხვათა შორის, ნაპოლეონი შემდეგ იმპერატორიც გახდა და პოლიტიკით იყო დაკავებული. აი, ამას კი არ გირჩევთ. სხდომა დასრულდა. თავისუფლები ხართ.

გაფითრებულმა ჟუკოვმა პირველმა დატოვა სტალინის კაბინეტი.

**მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

# რატომ ჩასვა ლავრენტი ბერიამ ჰაუპტვახტში შვილის მეგობრის მაიორი მამა

ლავრენტი ბერიას სექსუალური თავგადასავლები გაზვიადებული რომ იყო, ადვილად დაამტკიცეს ისტორიკოსებმა და მისი ბიოგრაფიის მკვლევრებმა; ანუ, მას არც დრო და არც ენერგია არ ეყოფოდა საიმისოდ, რასაც მიაწერენ. თუკი ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ ბერიას დღეში ექვსი საათი განუწყვეტელ სექსში უნდა გაეტარებინა, რაც აბსურდია... სექსუალური მანიაკის იარლიყი ბერიას მხოლოდ იმიტომ მიაკერეს მისმა მკვლელებმა, რომ მის წინააღმდეგ შეთითხნილი შავი პიარი კიდევ უფრო საშინელი და ამაზრზენი ყოფილიყო მილიონობით ადამიანის თვალში... ბერია, რა თქმა უნდა, არ იყო ანგელოზი და არც გულჩვილი ადამიანი, მაგრამ, მისი მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ, რომ ის სანიმუშო მეოჯახე, ცოლ-შვილზე უზომოდ შეყვარებული და მზრუნველი კაცი იყო. ნიშანდობლივია ამ კუთხით ბერიას მეუღლის, ნინო გეგეჭკორის ფრაზა. როდესაც ბერიას ვერაგული მკვლელობის შემდეგ გამომძიებელმა მას ბერიას „სექსუალური დანაშაულების" ბრალდება გააცნო, ბერიას ქვრივმა მიუგო: მე და ლავრენტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყოველღამე ერთად ვიყავით და, არ ვიცი, როდის ახერხებდა ის სხვა ქალებთან, თანაც ასეთ ინტენსიურ ურთიერთობებსო... სისულელეა ისიც, რომ, თითქოს ბერიას ბრძანებით, ნორჩ გოგონებს პირდაპირ ქუჩებიდან იტაცებდნენ და მის ასობნიაკში მიჰყავდათ, შემდეგ კი მათ ბერია აუპატიურებდა, კლავდა და თავისი სახლის სარდაფში მარხავდა... ბერიას სარდაფი საგულდაგულოდ გადათხარეს სპეციალისტებმა, მაგრამ იქ ქათმის ძვალიც კი ვერ აღმოაჩინეს...

ლავრენტი ბერიამ ნორჩი და ულამაზესი გოგონა ნინო თეიმურაზის ასული გეგეჭკორი, რევოლუციონერ საშა გეგეჭკორის სახლში გაიცნო. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და მალევე დაქორწინდნენ. 1924 წლის 24 ნოემბერს კი მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც სერგო დაარქვეს. ისტორიკოსი ივანე ხმელნიცკი წერს: „სერგო რომ გაჩნდა, ლავრენტი ბერია მაშინ 25 წლის იყო. ახალგაზრდობის მიუხედავად, საქართველოს „ჩეკაში" მაღალი თანამდებობა ეკავა – ის ოპერატიული სამმართველოს უფროსი იყო და უპერსპექტიულეს თანამშრომლად ითვლებოდა. ნინოს 23 ნოემბრის დილას, გიორგობის დღესასწაულზე ასტკივდა მუცელი და ის თავად ლავრენტიმ წაიყვანა სამშობიაროში. ბერია იმ დღეს პირადად მართავდა თავის სამსახურებრივ მანქანას, მძღოლი კი სამსახურში გაუშვა და დაიბარა:

– ჩემ მაგივრად მოიბოდიშე და უთხარი, რა დღეშიც ვარ.

სამშობიაროს პალატაშიც თავად აჰყვა ბერია მეუღლეს, იქ ორიოდე საათი დაყო და, ექიმის რჩევით, სამსახურში დაბრუნდა. თუმცა, ყოველ ნახევარ საათში რეკავდა ამბის გასაგებად. სამშობიაროს მორიგემ, რომელსაც, როგორც ჩანს, ყელში ამოუვიდა ბერიას ზარები, მიახალა:

– რა შეგვაწუხეთ, ამხანაგო! თქვენი მეუღლის გარდა კიდევ ოცი ქალი მშობიარობს; ყველას ქმარმა რომ ასე ხშირად რეკოს, ხაზი დაკავდება და, შეიძლება, სასწრაფო გამოძახებაზე რეაგირება ვერ მოვახერხოთ.

მაშინ ბერიას ასე ფართოდ არ იცნობდნენ, თუმცა მისი სახელი და გვარი თითქმის ყველამ იცოდა. ამ სიტყვებზე ბერიას ჩაეცინა და უპასუხა:

– ბოდიშს გიხდით. მართალი ხართ. თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს: ჩემი ცოლი რომ იმშობიარებს, დამირეკეთ, – მერე თავისი კაბინეტის ნომერი უკარნახა და დაამატა: – კომუტატორზე რომ მოხვდებით, უთხარით, ბერიასთან დამაკავშირეთ, მისი ცოლის ამბავი უნდა გავაგებინო-თქო.



ამ სიტყვების გაგონებაზე სამშობიაროს მორიგე მიხვდა, ვისაც ელაპარაკებოდა და აკანკალებული ხმით ბოდიშების მოხდა და თავის მართლება დაიწყო, ბერიამ კი უთხრა:

– საბოდიშო არაფერი გაქვთ, თქვენ მართალი ხართ. როგორც შევთანხმდით, დამირეკეთ.

ვაჟის დაბადების ამბავი ლავრენტი ბერიას დედამისმა, მართამ შეატყობინა მეორე დღეს, 24 ნოემბერს. მან სამსახურში დაურეკა შვილს, ვაჟის დაბადება მიულოცა და სთხოვა:

– ლავრენტი, შვილო, ეკლესიაში ჩაირბინე, დიდი სანთელი დაანთე და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ვაჟი მოგცა.

ბერიას დედა ღრმად მორწმუნე ქალი იყო და შვილს ასეთი რამ იმიტომ ურჩია. შეასრულა თუ არა ბერიამ დედის თხოვნა, უცნობია, თუმცა, პატარა სერგოს პატიოსნად ზრდიდა, სიკეთესა და წესიერებას ასწავლიდა და, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ძალაუფლება ჰქონდა, არ ანებივრებდა.

**თუ ბერიას სექსუალური თავგადასავლები მართალია, მაშინ მას ყოველდღიურად 6 საათი განუწყვეტელ სექსში უნდა გაეტარებინა**

პატარა სერგო ბერია, სტალინისა და კრემლის სხვა მესვეურების შვილების მსგავსად, თბილისის რიგით სკოლაში სწავლობდა. სტალინის ვაჟის, პატარა ვასილისგან განსხვავებით, სერგო წყნარი და დამჯერი ბავშვი იყო, ფრიადებზე სწავლობდა და განსაკუთრებულ ნიჭს ტექნიკურ საგნებში ამჟღავნებდა. ვასილისგანვე განსხვავებით, რომელიც კარგა ხანს ინკოგნიტოდ სწავლობდა სკოლაში, სერგოს პედაგოგებმა მშვენივრად უწყობდნენ, თუ ვისი ვაჟი იყო ის. ერთხელ სკოლაში თავად ლავრენტი ბერია მივიდა და დირექტორს სერგოს ამბავი გამოჰკითხა, რაზეც ყოველმხრივ დადებითი პასუხი მიიღო.

– ნუთუ საერთოდ არაფერს აშავებს? – გაუკვირდა ცეკას პირველ მდივანს.

– აბსოლუტურად არაფერს, ამხანაგო ლავრენტი, ყოველმხრივ სანიმუშოა, – მიუგო დირექტორმა, ვარლამ გოგიბერიძემ ბერიას და დაამატა: – ბავშვს აშკარად ეტყობა, რომ მისი აღზრდით სერიოზულად ხართ დაკავებული.

– არა, – თავი გააქნია ბერიამ, – სერგოს ჩემი მეუღლე, ნინო ზრდის, მე კი საამისოდ თითქმის არ მრჩება დრო.

ზემოთქმულის მიუხედავად, ლავრენტი ბერია მაინც ახერხებდა სერგოსთან ურთიერთობას და მისთვის სასარგებლო რჩევა-დარიგებების მიცემას.

ერთ კვირა დილით, 10 წლის სერგო ბერია თავის ამხანაგებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა სახლის წინ, ქუჩაში. იმ დღეს ლავრენტი პავლოვიჩი მხოლოდ შუადღისთვის უნდა გასულიყო სახლიდან და ამიტომ შინ იყო. მას ფანჯარაში გაუხედავს და დაუნახავს, როგორ მოხვდა მის შვილს მალხაზ იაშვილის მიერ მთელი ძალით დარტყმული ბურთი სახეში და ცხვირიდან სისხლი წასკდა. სერგოს არ უტირია, თუმცა ძალიან ეტკინა. იქვე მალხაზის მამა იმყოფებოდა, რომელიც მილიციაში მუშაობდა, მაგრამ იმ დღეს ისვენებდა და ბავშვების ფეხბურთის თამაშს ადევნებდა თვალს. გამწარებული სერგო რომ დაუნახავს, ჯერ მისთვის აღმოუჩენია პირველადი დახმარება, შემდეგ კი შვილის ცემა დაუწყია. ამის შემსწრე ლავრენტი ბერია ღამის პიჟამით ჩაჭრილა ეზოში და ჯერ მალხაზი გამოუგლეჯია მამამისისთვის ხელიდან, შემდეგ, მისივე ბრძანებით, მილიციელი სამი დღით ჩაუსვამთ ჰაუპტვახტში და მაიორისთვის საყვედური გამოუცხადებიათ. სამი დღის შემდეგ ჰაუპტვახტიდან გათავისუფლებული მაიორი ბერიამ კაბინეტში დაიბარა და დაემუქრა:

– მაიორო, თუ „პუსტა-პუსტობა," ან, უარესი – ციხე არ გინდა, მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ახლა კი წადი და წესიერად იმუშავეო.

**მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

**რეჟისორი ლევან ციქურიშვილი უკვე 15 წელია, რაც საქართველოდან გაემგზავრა და კარიერას შვედეთში განაგრძობს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უკვე წლებია, მისი სახელი შვედეთსაც გასცდა და უამრავ საინტერესო პროექტზე უმუშავია. გადაღებული აქვს 70-მდე ვიდეოკლიპი და მსოფლიო დონის არაერთი ვარსკვლავი მოხვედრილა მის ობიექტივში. ბოლო 5 წელია მუშაობს ავიჩისთან, რომელიც ჩვენი დროის მაიკლ ჯეკსონადაც კი მიაჩნიათ. ლევანი საქართველოში 7 წელია არ ყოფილა და როგორც საუბრისას აღნიშნა, ძალიან უხარია, რომ ამდენი რამ შეიცვალა.**

# როგორ აღმოჩნდა ლევან ციქურიშვილის ფილმში მადონა და რამ გააოგნა წლების შემდეგ სამშობლოში სტუმრად დაბრუნებული რეჟისორი

**ლევან ციქურიშვილი:** საქართველოდან 15 წლის წინ წავედი და მას მერე მხოლოდ ორჯერ ვიყავი ჩამოსული. ძირითადად, გადაღების დროს მიწევს ჩამოსვლა და ამიტომ, ვერც ვერავის ვნახულობ და ვერც – ვერაფერს. სულ გადარბენაზე ვარ. ამჯერად რამდენიმე დღით ვარ ჩამოსული, ჩემს კოლეგებთან ერთად, ფილმის გადაღებისთვის ვარკვევთ რაღაცეებს. აქ შესაძლებელია ევროპული ან ამერიკული ფილმის გადაღება, რაც ძალიან საინტერესოა. ფილმთან დაკავშირებით ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით.

**– მახსოვს, ბოლოს რომ ჩაგწერეთ, ავიჩის შესახებ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობდით. ამჯერად რა ხდება?**

– ფილმის გადაღებები დასრულდა და 12 ქვეყანაში გავიდა. ამჯერად ავიჩის ახალ ფილმს ვაკეთებ „ბიბისი ვორლდვაიდთან“ ერთად, რომელიც 2016 წელს უნდა გამოვიდეს. ეს უკვე სხვა დონის ფილმია, რომელსაც დაახლოებით სამი წელია ვიღებთ. ავიჩი ძალიან საინტერესო ბიჭია. ასაკით პატარაა და რამხელა ვარსკვლავი გახდა. ფილმში ასახული იქნება ისეთი ისტორიები, რომელიც ხალხმა არ იცის და, ასეთ უცნობ ისტორიებს ნახავს ფილმში მაყურებელი. ეს იქნება 90-წუთიანი დოკუმენტური ფილმი. სიმართლე გითხრათ, ეს ფილმი ჩემთვის გულთან ძალიან ახლოსაა, რადგან ავიჩის უკვე 5 წელია, ვიცნობ, ანუ თავისი კარიერის დაწყების პირველივე დღიდან – დღემდე. ამ დროის განმავლობაში მან დიდი გამოცდილება მიიღო. ბევრი რამ შეიცვალა მის პიროვნებაში, „ვარსკვლავობაში“ და საერთოდ, ცხოვრებაში. ძალიან საინტერესო საფეხურები გაიარა. ასე რომ, ამ ფილმს საკმაოდ საინტერესო მომავალი აქვს.



ავიჩისთან ერთად მთელი ზაფხული იბიცაზე ვცხოვრობდი და ორი კლიპიც გადავიღეთ. ბილბორდმა დაგვიწერა ძალიან კარგი რეცენზია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ყველა არტისტისთვის. ჩვენი კლიპები შეადარეს სერჯიო ლეონეს ცნობილ ფილმს „კარგი, ცუდი, ბოროტი“

**– ავიჩის ფილმში მადონაც გადაიღეთ, როგორც ვიცი.**

– კი, მადონა ავიჩის წინა ფილმშია. კონცერტის დროს ავიდა ის მასთან სცენაზე და გვერდით დაუდგა. მაყურებლისთვის ეს დიდი სიურპრიზი იყო. მეორე ფილმში კი, ძალიან ბევრი ცნობილი არტისტი გამოჩნდება. მაგალითად, ალო ბლექ, ქოლდფლეი, ქრის მარტინი და ასე შემდეგ. სულ 17-18 მსოფლიო დონის არტისტი იქნება, რომლებთანაც ავიჩის აქვს ნამუშევარი. ავიჩი ხალხს დიჯეი ჰგონია. ის უკვე დიჯეი კი არა, არტისტია. ბოლო 10 წელიწადში ეს მუსიკა ძალიან გაიზარდა. რაც შეეხება ავიჩის, ის ჩვენი დროის მაიკლ ჯეკონია. თუ კარგი არტისტი არ ხარ, მადონა თავისი ინიციატივით არ ამოვა შენს კონცერტზე სცენაზე და გვერდით არ დაგიდგება.

**– ანუ, ფილმი ავიჩის რეალურ ცხოვრებას ასახავს.**

– კი, ასეა. ავიჩი ძალიან გადაღალა ცხოვრების დაძაბულმა რეჟიმმა. მისი ორგანიზმიც აღარ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემები შეექმნა. ამიტომ, ყველა დაგეგმილი კონცერტი, რაც ახალ წლამდე უნდა ჰქონოდა, ზაფხულშივე გააუქმა.

**– 5 წელია, რაც მისი კარიერა დაიწყო. გამოდის, რომ ავიჩი თქვენს ხელში გავარსკვლავდა. შეიძლება, ძალიან კარგი მუსიკალური პროგრამა ჰქონდეს მუსიკოსს, მაგრამ თუ გვერდში პროფესიონალი და კარგად მოაზროვნე ადამიანი არ უდგას, ვერაფერს იზამს. ასე რომ, საკმაოდ დიდი წვლილი მიგიძღვით.**

– გეთანხმები. ავიჩის რეჟისორი ვარ. სხვა არანაირ საქმეში არ ვერევი. ავიჩის 50-კაციანი კონცერტიც მაქვს ნანახი. ახლა კი ეს რიცხვი გაასმაგებულია. მის გვერდში მდგომი ადამიანების რიცხვი ვხედავთ როგორ იზრდება – 50 მსმენელიდან 50 000-კაციან კონცერტამდე ძალიან დიდი სხვაობაა. ფაქტობრივად, თვითმფრინავში ვცხოვრობთ. ერთი ქალაქიდან მეორეში მივფრინავთ და ასე შემდეგ. სულ გაუჩერებელი ტურნეა, რაც ადვილი ნამდვილად არ არის. თავიდან მატარებლით დავდიოდით,

**მსოფლიო დონის არაერთ ვარსკვლავთან მიმუშავია და ამჯერად ახალ ფილმს ვაკეთებ „ბიბისი ვორლდვაიდთან“ ერთად, რომელიც 2016 წელს უნდა გამოვიდეს. ეს უკვე სხვა დონის ფილმია, რომელსაც დაახლოებით სამი წელია, ვიღებთ**

მერე – თვითმფრინავით, მერე კი – კერძო თვითმფრინავით. ისევე, როგორც სასტუმროს პატარა ნომრით რომ დავიწყეთ და ახლა დიდ ვილაში ვბინავდებით ხოლმე. მართლა ძალიან საინტერესო საფეხურებია, რომელიც, ასე ვთქვათ, ყველა ადამიანის ცხოვრებას ინსპირაციას მისცემს.

მთელი ზაფხული იბიცაზე ერთად ვცხოვრობდით და ორი კლიპიც გადავიღეთ. სხვათა შორის, ბილბორდმა დაგვიწერა ძალიან კარგი რეცენზია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ყველა არტისტისთვის. ჩვენი კლიპები შეადარეს სერჯო ლეონეს ცნობილ ფილმს, „კარგი, ცუდი, ბოროტი“. ერთი კლიპის გადაღებას თებერვალში ვგეგმავთ.

**– საერთო ჯამში, 50 კლიპს გადასცდით უკვე...**

– მგონი, უკვე 65 კლიპზე მეტი მაქვს სულ გადაღებული. ადრე გიჟი რობოტივით ვცხოვრობდი. ვინც მიკვეთავდა, ყველას ვუღებდი კლიპს, რადგან ძალიან მიყვარს ეს საქმე. ამჯერად მხოლოდ დიდ არტისტებთან ვმუშაობ და ყველას აღარ ვთანხმდები. მინდა, დრო საკუთარი თავისთვისაც დამრჩეს და მართლა რობოტივით არ ვიყო.

**– ავიჩის გარდა, რომელი ცნობილი მუსიკოსის კლიპი გაქვთ გადაღებული?**

– გააჩნია, თქვენ რომელი იცით აქ... მაგალითად, დევიდ გეტა, მობი და ასე შემდეგ.

**– ძალიან ბევრი საქმე გაქვთ. ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი აღნიშნეთ, რომ დღე-ღამეში 24 საათი არ გყოფნით.**

– რომ არ მოგატყუოთ, ახლა ძალიან დაღლილი ვარ, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრებაა და არა – მხოლოდ სამსახური. ჩემს გოგოსთან ერთად დასასვენებლად რომ მივდივარ, პანიკა მაქვს, სულ ტელეფონი მიჭირავს ხელში.

**– როგორ ეგუება მერე ასეთ გრაფიკს? არის მომენტი, როცა ქალი საყვარელი მამაკაცის სამსახურზეც კი ეჭვიანობს, რადგან ამის გამო, ყურადღება აკლდება.**

– შეჩვეულია უკვე. ჩვენ ერთმანეთს ვუჯერებთ და სხვადასხვა ცხოვრება გვაქვს. სახლიც კი ოფისის წინ მაქვს, გზაში რომ დრო არ დავკარგო და ჩემს გოგოსთან ყოფნისთვისაც დამრჩეს. მოკლედ, სულ ვმუშაობ, სულ ხაზზე ვარ. ვისაც ჩემი პოვნა უნდა, მპოულობს.

**– საქართველოში 7 წელია არ ყოფილხართ. როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?**

– რომ არ მოგატყუოთ, რაც ვნახე, ჩემთვის საოცრებაა. ძალიან შეცვლილია ყველაფერი, როგორც შავსა და თეთრს შორის ზუსტად ისეთი განსხვავებაა. ძალიან ბევრი რამ ვნახე, რაც მართლა არ ვიცოდი, რომ საქართველოში განვითარდა. პოლიციის მანქანა პოლიციის მანქანას ჰგავს და ასე შემდეგ. მე რომ აქედან წავედი, მაშინ შუქიც კი არ იყო და ქვეყნის პრეზიდენტი შევარდნაძე გახლდათ. ხომ ხვდებით რამდენი ხნის წინ გავემგზავრე. მიხარია, რომ ამდენი რამ შეიცვალა საქართველოში.

**მარიკა ხიდურელი**

**რეპერი გიორგი პავლიაშვილი, იგივე მასტერი, ერთ წელზე მეტია, რაც მოსკოვშია. რუსულ შოუ-ბიზნესში ახალი სახელით – „აქცენტით“ შევიდა. თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას სახელი არ შეუცვლია და მასტერი ქართველებისთვის ისევ დარჩა. ქართულ და რუსულ პროექტზე ერთდროულად მუშაობა მარტივი არაა, მაგრამ, როგორც ყველა ვხედავთ, ამ საქმეს რეპერი თავს მშვენივრად ართმევს – 11 ქართული და ერთი რუსული კლიპი გადაიღო, რომელიც RU-TV-ზე 10 საუკეთესო სიმღერას შორის მოხვდა. როგორია ქართველი რეპერის მოსკოვური ცხოვრება და რა სიახლეები აქვს მას, თავად მოგიყვებათ.**

# რატომ ჰგონია ხალხს მასტერი სოსო პავლიაშვილის ნათესავი და მისი რომელი კლიპი მოხვდა RU-TV-ს ათეულში

**გიორგი პავლიაშვილი**: წელიწადზე მეტია, რაც მოსკოვში ვაგრძელებ კარიერას. დამატებითი პროექტი დავიწყე, სადაც სხვა სახელით ვარ, ანუ რუსი მსმენელი მიცნობს „აქცენტის“ სახელით. თუმცა, არ შემიჩერებია ქართული სიმღერების ჩაწერა. ჩემს ქართველ მსმენელებს ვანებივრებ და ხშირად ვაწვდი მათ ახალ პროდუქტს, როგორც მასტერი. სახელის დამატება, ეს აპრობირებული მეთოდია. არაერთი რეპერია, რომელსაც მსგავსი პროექტი აქვს. ძალიან რთულია ორენოვან სიმღერებზე იმუშაო. შემიძლია, ვიამაყო იმით, რომ ერთადერთი ვარ, ვინც ქვეყნიდან წავიდა და ქართული სიმღერების ჩაწერას აგრძელებს. რაც მოსკოვში ვარ, ამ პერიოდის განმავლობაში 11 ქართული კლიპი გამოვუშვი. ჩემი მსმენელი მასტერის თბილისში არყოფნას ნამდვილად ვერ გრძნობს.

**– რატომ „აქცენტი“? ბევრისთვის გაუგებარია, რატომ არ გააგრძელე რუსულ შოუ-ბიზნესში „მასტერის“ სახელით მოღვაწეობა.**

– უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ სახელი არ შემიცვლია, უბრალოდ სახელი დავიმატე. როგორც გიორგი პავლიაშვილი ვიქნები სულ, ასევე, მასტერიც. რუსეთში სიტყვა მასტერს ხმარობენ როგორც ხელოსანს. ანუ, მას სხვა დატვირთვა აქვს. როგორც არარუსი ვრეპავ აქცენტით და ბევრად კარგად მოვირგე ეს ახალი სახელი. არ მინდოდა, მსმენელს ეს არეოდა, ამიტომ ორივე ერთმანეთისგან გავმიჯნე. შევქმენი ახალი „ფეისბუქი,“ „იუთუბის“ ექაუნთი და ასე შემდეგ. ყველასთვის გასაგები რომ იყოს, აქცენტის სახელით ვწერ რუსულ სიმღერებს, მასტერით კი – ქართულს. ისე გამოვიდა, რომ ის, რასაც ცამეტი წელი საქართველოში ვაკეთებდი, მოსკოვში ნულიდან დავიწყე.

**– რუსულ შოუ-ბიზნესში გარკვეულ წარმატებას მიაღწიე, ეს მარტივი არ იქნებოდა.**

– ვერ ვიტყვი, რომ წარმატებას მივაღწიე, მაგრამ ღმერთის წყალობით, წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ვდგავარ. სოსო პავლიაშვილთან ერთად გადავიღე კლიპი. ეს ჩემი პირველი რუსულენოვანი ნამუშევარია, რომელიც მაშინვე მოხვდა ყველაზე მაღალ რეიტინგულ ტელეარხზე, RU-TV-ზე, 10 საუკეთესო სიმღერას შორის. უკვე ორი კვირაა, რაც ათეულში ვართ. პირველად გავედით მეცხრეზე, მეათეზე ტრიატი იყო; მეორედ კი ერთი პოზიციით წინ წავიწიეთ. აქ ძალიან რთულია, სხვა მენტალობის ხალხი ცხოვრობს, მაგრამ როგორც ქართველს, არანაირი დაბრკოლება არ შემხვედრია.

**– ირაკლი ფირცხალავასთან ერთადაც ჩაწერე დუეტი. სოსო პავლიაშვილი შენი ნათესავი ხომ არ არის?**

– არა, სოსო არ არის ჩემი ნათესავი. ერთმანეთთან ჩემმა პროდიუსერმა დაგვაკავშირა. ეს იყო მეგობრობა მუსიკალურ ჩარჩოში. სოსოს გადავუგზავნეთ სიმღერის საცდელი ვერსია. მოეწონა, დაგვიბარა სტუდიაში და დაგვთანხმდა ჩაწერაზე. მისი ძალიან დიდი მადლობელი ვარ. რაც შეეხება ირაკლი ფირცხალავას, ეს არის მასტერის პროექტი, ქართული სიმღერაა. კლიპიც საქართველოშია გადაღებული, უბრალოდ, მონტაჟი გაიწელა და ჯერ არ გამოსულა. ირაკლისთან დაახლოება სულ სხვაგვარად მოხდა. ჯერ მეგობრულად დავახლოვდით და მერე გადავწყვიტეთ დუეტის ჩაწერა.




**მამა ახლაც აპირებს დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას და ვფიქრობ, ერთმანეთს ხელს არ შევუშლით**

**– სამომავლო გეგმები დიდი გაქვს. საქართველოში დაბრუნებას არ გეგმავ?**

– საქართველოში ხშირად ჩამოვდივარ, ისე არ ვარ, რომ გადაიხვეწებიან ხოლმე. არ შემიძლია ჩემი ქვეყნისგან, მსმენელისგან სულ შორს ყოფნა. რომ მეკითხებიან, მასტერ, მოგვენატრე, როდის ჩამოხვალო, სულ ვეუბნები, ჩემი ქართული სიმღერები ყოველდღე იდება, „ფეისბუქზე“ შეხება სისტემატურად მაქვს და ჩემი მანდ ყოფნა რა აუცილებელია-მეთქი. როცა მინდა დავბრუნდები, მაგრამ ჯერჯერობით, აქეთ ვაპირებ ყოფნას, უფრო მეტი პერსპექტივა მაქვს. ბაზარია აქ დიდი, თორემ ჩემს ქვეყანაში ბევრად კომფორტულად ვგრძნობ თავს.

**– მამა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორია. სულ თავიდან, როგორ შეხვდა შენს რეპერობას?**

– რეპერობა რომ გადავწყვიტე, მაშინ მამა ქონების მართვის მინისტრი და პარლამენტის წევრი იყო. თავიდან მაინც ისე შეხვდა – დიდად არ მოსწონდა. 13 წლის წინ დავიწყე რეპი და იმ პერიოდის საქართველოსთვის ეს უცხო ხილი იყო. მამას მაინც უნდოდა, კაბინეტში დავმჯდარიყავი და პიჯაკი მცმოდა. მაგრამ, რომ ნახა, კარგად გამომდიოდა, თავის მეგობრებსაც მოსწონდათ, მერე დიდი მხარდაჭერა გამიწია. თვითონ მეუბნებოდა ხოლმე, ჩაწერე ახალი სიმღერა, ჩაწერეო *(იცინის).* ვერ ვიტყვი, რომ მამისგან „პადერჟკა“ არ მქონია. დედაც კარგად შეხვდა ამ ამბავს, თვითონაც მუსიკოსია. საერთოდ, რეპერებს მშობლებთან აქვთ პრობლემები, მე ამ საკითხში გამიმართლა. მამა ახლაც აპირებს დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას და ვფიქრობ, ერთმანეთს ხელს არ შევუშლით *(იცინის).*

**– როგორია შენი მოსკოვური ცხოვრება?**

– მარტო ვცხოვრობ ოროთახიან ბინაში და საჭმელსაც თავად ვიმზადებ *(იცინის).* ეს არის ქალაქი, რომელიც არ ჩერდება, სულ მოძრაობაშია. ეს არის ქალაქი, სადაც პარასკევს ყველა ეთიშება სამსახურს და იწყება მასობრივი გართობა. თბილისსა და მოსკოვს შორის, რა თქმა უნდა, განსხვავებაა. აქ სულ სხვა მენტალიტეტია, გოგონებიც უფრო თავისუფლები არიან. ეს ზოგჯერ კარგია, ზოგჯერ – არა. მაინც ქართველი ბიჭი სხვანაირად უყურებს ამას *(იცინის).* როცა მეუბნებოდნენ, რუს გოგონებს ქართველი ბიჭები მოსწონთო, ყოველთვის მეგონა, რომ ეს იყო მამაჩემის თაობის თემა, მაგრამ არა. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ რუსი გოგონები მეტი პატივისცემით ეპყრობიან ქართველ ბიჭებს.

**– რა ხდება პირად ურთიერთობებში?**

– როგორც ყოველთვის, არაფერს ვმალავ. ჩემი სიმღერებიდანაც მიხვდებით, როცა შეყვარებული ვარ *(იცინის).* ალბათ, ერთადერთი ვარ, ვინც სიმღერა ჩავწერე და იმ გოგოს სახელი დავარქვი, რომელზეც ვფიქრობდი. ახლა არაფერი ხდება. 27 წლის გავხდი და პირადში სერიოზული არაფერია. მგონი, რაც უფრო მეტი არჩევანია, უფრო რთულია გადაწყვეტილების მიღება. არ ვარ შეყვარებული. ამას პიარის გამო არ ვამბობ, თაყვანისმცემელი რომ არ მომაკლდეს ან რამე.

**– როგორც ვიცი, შეფასების საკუთარი კრიტერიუმები გაქვს გოგონებთან დაკავშირებით.**

*(ინტერვიუს პროცესში მასტერის მამა, ბატონი სოლომონ პავლიაშვილი ჩაერთო).*

– მამას და დედას უნდა შეუთანხმოს ეს საკითხი, მამამ 60 პროცენტი უნდა გადაწყვიტოს, დედამ – 40 *(იცინის).*

**მასტერი**: *(იცინის)* ყველას თავისი კრიტერიუმები აქვს. არავინ იფიქროს, რომ ქასთინგს ვუწყობ გოგონებს. უბრალოდ, რაღაც მომწონს, რაღაც – არა. არ მსიამოვნებს, როცა გოგო სიგარეტს ეწევა, იმიტომ კი არა, რომ მწეველი გოგო ცუდად ცხოვრობს, ან რაიმეს აშავებს, უბრალოდ, ფიზიკურად არ მომწონს. ასევე, არ მომწონს, როცა გოგო ბილწსიტყვაობს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, დედას როგორ ესაუბრება. ამას რომ ვამბობ, ბევრს ჰგონია, ძალიან წესიერი ბიჭი ვარ და არაფერი დამიშავებია ცხოვრებაში. არა, არ ვარ ანგელოზი, უბრალოდ, გოგოსთან ერთად რომ ვარ, ამ დროს დედა დაურეკავს და ის იტყვის, რა წაილო ამ ქალმა ტვინიო, ან „ქალოთი“ მიმართავს, ნამდვილად არ მომეწონება. არაფერს ვეტყვი, მაგრამ შემეცვლება მისდამი დამოკიდებულება. თუ გოგო გემრიელ სადილსაც ამზადებს, ეგ უკვე ბრწყინვალეა.

**– გეტყობა, რომ მამასთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა გაქვს.**

– კი, ძალიან მეგობრული და ძმაკაცური, როგორც მამასთან, ასევე დედასთან.

**ეთო ხურციძე**

# ისწავლეთ ხატვა ზაალისთან ერთად



1. თვალებით დაიწყეთ ანიმაციური გმირის ხატვა



2. მიახატეთ ლოყები და ცხვირ-პირი



3. შემდეგ – ტანი



4. მიეცით ტანს ჰოთდოგის ფორმა



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამუკაშვილის №36



5. მიახატეთ ხელები



6. შემდეგ – ფეხები



7. დაასრულეთ ნახატი

# იპოვეთ 10 განსხვავება





## დაეხმარეთ გზის გაკვლევაში



## ქოხები ჯუჯებისთვის






დახედეთ სურათებს – აი, ასეთი ლამაზი ქოხების გაკეთება შეგიძლიათ თქვენს პატარასთან ერთად და არც გაგიჭირდებათ. აიღეთ ის მუყაო, რომელზეც ტუალეტის ქაღალდია ხოლმე დახვეული და თავი ისე ჩაუკეცეთ, როგორც სურათზეა ნაჩვენები. დაგჭირდებათ მაკრატელი, ქაღალდის წებო და ფერადი ფურცლები. ფერადი ფლომასტერები კი ფანჯრებისა და კარის დასახატავად გამოგადგებათ.

კარგად დააკვირდით სურათებს და იმოქმედეთ მათ შესაბამისად. ძალიან ლამაზი ქოხები გამოგივათ, მთავარია, სახურავი დაკეცოთ კარგად და სწორად.

## იპოვეთ შესაბამისი ჩრდილი






## რიცხვრებუსი

10,, ,,,,13, 10,, ,,3



**როგორც აღმოჩნდა, ყველასათვის საყვარელი კერძი – საცივი, რომელიც ახალ წელთან ასოცირდება, გარდა იმისა, რომ უგემრიელესია და უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს, ორგანიზმისთვის სამკურნალო საშუალებაც ყოფილა, რომელიც ადამიანს უამრავი დაავადებისგან იცავს. მისი რეცეპტი ტიბეტელი ბერების მიერაა შედგენილი.**

# როგორ მზადდება ტიბეტელი ბერების რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საცივი და რა დაავადებებს კურნავს ის

**თინათინ თოფურია** ***(ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტი, ევროკავშირის ჰომეოპათიის კომიტეტის წევრი, ნობელის პრემიის ლაურეატ ჯორჯ ვიტულკასის მოწაფე და პირადი წარმომადგენელი საქართველოში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი):*** თავის დროზე, ტიბეტელი მასწავლებელი მყავდა, რომელმაც მთხოვა, თარგმანში დავხმარებოდი. ერთდროულად რამდენიმე ენაზე ითარგმნებოდა ძველი ტიბეტურიდან ტრაქტატი. სჭირდებოდათ სპეციალისტი, რომელიც ექიმი იყო და, თან, რამდენიმე ენას ფლობდა. მე ორივე მოთხოვნას ვაკმაყოფილებდი და ამიტომ ამ საქმეში ჩავერთე. ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო მათი თეორია და რეცეპტურა. როგორც გადმოცემით ვიცოდი, არსებობდა შვიდი საიდუმლო რეცეპტი. დავიწყე მათი კანონზომიერებების შესწავლა და, აღმოჩნდა, რომ ამ რეცეპტებიდან სამი სრულიად შემთხვევით შევადგინე. როცა მათ ჩემი აღმოჩენის შესახებ ვუთხარი, საქმეს ჩამომაშორეს, რადგან, როგორც მითხრეს, უკვე ძალიან ღრმად შევტოპე და ამის იქით ჩემი წასვლა აღარ შეიძლებოდა. ასე რომ, ოთხი კიდევ გაუშიფრავი დამრჩა. ამის შემდეგ მოსკოვში ლექციებს ვკითხულობდი და ამ რეცეპტს სტუდენტებს ვაძლევდი როგორც იმუნიტეტის გამაძლიერებელს და, ზოგადად, ორგანიზმის გამაჯანსაღებელს. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მსმენელი ქართველი იყო და მან მითხრა: თინა გიორგიევნა, ეს ხომ საცივის რეცეპტიაო. მაშინ საცივი და ბაჟე ერთი და იგივე მეგონა, მისი მომზადება არ ვიცოდი. აღმოჩნდა, რომ მათ სრულიად სხვადასხვა შემადგენლობა აქვთ. ეს წამალი ზუსტად მაშინ შევქმენი, ჩემს მოწაფეებსაც ვაძლევდი და საკმაოდ სერიოზულად დავნერგე მოსკოვსა და ციმბირის რამდენიმე ქალაქში. წლების შემდეგ, როცა ისევ იქ მომიწია ჩასვლა, ეს ყველაფერი დავიწყებული მქონდა. იქ იგივე მსმენელები და კოლეგები დამხვდნენ. მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, თუ რა შესანიშნავი შედეგები აქვთ ჩემი წამლის მიღების შემდეგ: გრიპი აღარ ხვდებათ, სიმსივნეების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია და ასე შემდეგ. ამის შემდეგ მისი მოხმარება ინტენსიურად დავიწყე. როცა შედეგები გავაცნობიერე, მივხვდი, რომ საცივი კულინარიულ და სამკურნალო ხელოვნებათა შედევრი და შესანიშნავი შერწყმაა. როცა ახალ წელს მივირთმევთ სამკურნალო ინგრედიენტებისგან შემდგარ საცივს, იმაზე არ ვფიქრობთ, რომ ეს წამალია, უბრალოდ, გემრიელობას ვიღებთ. მასში შემავალი კომპონენტები კი სხვადასხვა სისტემასა და ორგანოებზე დადებითად მოქმედებენ. დღეს ბევრს საუბრობენ ანტიოქსიდანტების მნიშვნელობაზე, ამიტომ მათ ძალიან დიდი როლი მიენიჭა. აღმოჩნდა, რომ ანტიოქსიდანტებში საკვებ პროდუქტებს შორის პირველ ადგილზეა საცივის ერთ-ერთი ინგრედიენტი – მიხაკი, მეორეზე კი – დარიჩინი. ესე იგი, საცივი ორ უძლიერეს ანტიოქსიდანტს შეიცავს და, მხოლოდ ამიტომაც, უკვე ძალიან ძლიერი წამალია. სანელებელი ზემოქმედებს თირკმელებზე, შარდსაწვეთ სისტემაზე; ბევრი მათგანი აფროდიზიაკი, ანუ ენდოკრინულ სისტემაზე მოქმედია, რომელიც სექსუალურ ლტოლვას იწვევს და მამაკაცისა და ქალის სეკრეციის ჯირკვლებს აძლიერებს. ის სექსუალური ლტოლვის აღმგზნებია. მიხაკს აქვს წნევის აწევის, დარიჩინს კი წნევის დაწევის ფუნქცია და ისინი ერთმანეთს აბალანსებენ. დარიჩინი ძალიან კარგად მოქმედებს დიაბეტიანებზე, რადგან ის შაქრის დამწევი საშუალებაა, ორგანიზმიდან გამოაქვს არასასურველი ქოლესტერინი და ათხელებს სისხლს, ანუ პროთრომბინს დაბლა სწევს; ასევე, სწრაფად იწვევს დანაყრების შეგრძნებას და ამიტომ მისი გამოყენება დიეტების დროს მიზანშეწონილია. შემიძლია, კონკრეტულად გასახდომი რეცეპტიც მოგცეთ: 1 ჩაის კოვზი დარიჩინი და 2 სადილის კოვზი თაფლის ნაზავიდან ყოველ დილით 1 ჩაის კოვზი აიღეთ, თბილ წყალში გახსენით და დალიეთ ერთი თვის განმავლობაში – ასე საგრძნობ ეფექტს მიიღებთ. დარიჩინი აძლიერებს ინსულინზე რეაგირებას, უხდება სისხლძარღვთა სისტემას, აუმჯობესებს მეხსიერებასა და გუნება-განწყობას, რადგან ძალიან კარგი ანტიდეპრესანტია; ასევე, აქვს ანტივირუსული და ანტიმიკრობული მოქმედება და, შესაბამისად, გამოიყენება გაციებისა და გრიპის დროს. მიხაკსაც იმდენად ძლიერი ანტიმიკრობული თვისებები აქვს, რომ ძველ ჩინეთსა და შუა საუკუნეების ინგლისში მეფისა და იმპერატორის კარზე მათთან დაახლოებულ პირებს პირში დაუფქველი მიხაკი უნდა ჰქონოდათ და ეღეჭათ, რათა რამე ინფექცია არ მიეტანათ მბრძანებლისათვის. ის, ასევე, შეიცავს A, B, $B_1$, $B_6$, PP ვიტამინებს; ასევე შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, რკინასა და ნატრიუმს. ის არის სოკოს საწინააღმდეგო საპროფილაქტიკო საშუალება; მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, უხდება მუცლის შებერილობას, ხსნის სპაზმებს, მოუნელებლობას, გულძმარვას, ღებინებას, თავის ტკივილებს და არაჩვეულებრივი ეფექტი აქვს ნაბახუსევზე. თავის ტკივილის დროს 1 გრამი მიხაკი და 5 გრამი ქაფურის ზეთი, რომელიც აფთიაქში იყიდება, შეურიეთ ერთმანეთს და დაიზილეთ მტკივანი ადგილები. გამოიყენება ამოსახველებელ საშუალებადაც: ხველების დროს ნახევარი ჩაის კოვზი ჯანჯაფილი, 1/4 ჩაის კოვზი დაფქული მიხაკი, 1 სადილის კოვზი თაფლი და 1 ჭიქა მდუღარე წყალი ერთმანეთში აურიეთ და დალიეთ. ძალიან კარგი ეფექტი აქვს, განსაკუთრებით – ძილის წინ.



დარიჩინი აძლიერებს ინსულინზე რეაგირებას, უხდება სისხლძარღვთა სისტემას და აუმჯობესებს მეხსიერებასა და გუნება-განწყობას, რადგან, ძალიან კარგი ანტიდეპრესანტია

**– საცივის დანარჩენ ინგრედიენტებზე რას იტყვით?**

– მე საცივის დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ წელს მას ჩვეული გემო ვერ მივეცი, რადგან ნამდვილი დარიჩინი ვერ ვიშოვე. მაღაზიებში ფალსიფიცირებული ჩინური დარიჩინი იყიდება, რომელსაც ისეთი ეფექტი არ აქვს. ნამდვილი დარიჩინი ღია ყავისფერია და ოქროსფერში გადადის, ფალსიფიცირებული კი – უფრო მუქი ყავისფერია. ასევე, ძალიან უხარისხოა წელს შემოტანილი მიხაკიც და ეს საცივის ხარისხზეც აისახება. საცივის შემდეგი კომპონენტია წიწაკა, რომელიც ენდორფინების გამოყოფას უწყობს ხელს, რითაც ხსნის სტრესს და ბედნიერების შეგრძნებას იწვევს; გარდა ამისა, დადებითად მოქმედებს ენდოკრინულ სისტემაზე, აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს ძილს, კუჭ-ნაწლავზე აქვს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, აძლიერებს სექსუალურ ფუნქციას, ესეც კლავს ბაქტერიებს და უხდება სახსრებს. კიდევ ერთი ინგრედიენტია – ზაფრანა, რომელსაც სასწაული თვისებები აქვს, თუმცა მათ არ ჩამოვთვლი, რადგან ზაფრანას ბაზარზე ოქროს ფასი აქვს და ჩვენთან არ შემოდის. მსოფლიოში სულ სამასი ტონა იწარმოება, რადგან რთული მოსაპოვებელია და ამიტომ ძალიან ძვირი ღირს. ჩვენ რასაც ვიყენებთ, ის სულ სხვაა.

რაც შეეხება ნიგოზს, ის, როგორც ვიცით, ძალიან სასარგებლოა, თუმცა, შედარებით მავნე ხდება, როცა მას ძმარი ერევა. მაგრამ ამ კომპლექტაციაში დიდი მავნებლობა არ მოაქვს, უბრალოდ, ის დიდხანს არ უნდა იხარშოს. ზოგიერთი საცივს ძალიან დიდხანს ხარშავს და ერთ ან ნახევარ კილოგრამ ნიგოზს უშვრება. ამდენი ნამდვილად არაა საჭირო. შესქელება მოხალული ჭადის ფქვილით უნდა მოხდეს, ბოლოს უნდა დავუმატოთ ნიგოზი, წამოვადუღოთ და გამოვრთოთ. ძმარს, როცა გაცივდება, მერე შევურევთ. იმისთვის, რომ ამ წამლის რეცეპტმა მაქსიმალური ეფექტი იქონიოს, მას აუცილებლად სჭირდება ცხოველური ცილა. ამიტომ უნდა მომზადდეს არა წყალზე, არამედ აუცილებლად ნახარშზე. ამ შემთხვევაში ყველაზე კარგია ინდაურის ნახარში და თვითონ ინდაურის ხორციც ყველაზე სასარგებლოა.

**– წლის განმავლობაში რამდენჯერაა საცივის ჭამა მიზანშეწონილი?**

– საცივის რეგულარულად ჭამა არ არის მიზანშეწონილი, რადგან მასში შემავალი კომპონენტები საკმაოდ ძლიერია და, გარდა ჩამოთვლილი თვისებებისა, ისინი ცალკეულ სისტემებსა და ჰიპოფიზის ფუნქციებზეც მოქმედებენ. ჰიპოფიზი თავის ტვინში მოთავსებული პატარა ჯირკვალია, რომელიც მართავს ყველაფერს: ზრდას, კიდურების სიგრძეს, მხე-

# მაღალი ხარისხი, საიმედოობა, მისაღები ფასები – ეს GERMANY CLINIC-ის პრიორიტეტებია

გერმანული კლინიკის შექმნის მიზანია პაციენტებისთვის უახლესი აპ-




არატურის გამოყენებით, სრულყოფილი გამოკვლევების მაღალპროფესიული და კომპლექსური მკურნალობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები:

1) ოფთალმოლოგია, 2) სტომატოლოგია, 3) გინეკოლოგია, 4) ექოსკოპია, 5) ლაბორატორია.

ოფთალმოლოგიაში გამოკვლევები უახლესი აპარატურით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტარდება. გამოკვლევებს ატარებენ უცხოეთიდან მოწვეული ექიმები, გერმანული კლინიკის დამფუძნებელ პროფესორ ბატონ **რამაზან აქთაშის** ხელმძღვანელობით.

კლინიკაში ტარდება შემდეგი სახის ოფთალმოლოგიური ოპერაციები: კატარაქტის, გლაუკომის, სიელმის, ბადურის ჩამოშლის




(ვიტრექტომია) დროს.

სტომატოლოგიურ განყოფილებაში ყველა პაციენტისთვის სტომატოლოგიური კონსულტაცია უფასოა. ტარდება თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული მკურნალობა. იმპლანტაცია ხდება გერმანული იმპლანტის გამოყენებით, რომელსაც ატარებს ყბა-სახის ქირურგი, პროფესორი **მამუკა გოგიბერიძე.**







გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელია პროფესორი **ელგუჯა ჭაბაშვილი**. გინეკოლოგიურ განყოფილებაში ქალბატონებს შეუძლიათ, შეარჩიონ სასურველი და მათთვის უსაფრთხო კონტრაცეფციის მეთოდი. ჩვენი პრიორიტეტია, მოვიპოვოთ პაციენტის ნდობა და ვცდილობთ, რთული პასუხი გავცეთ ყველა კითხვას მისი დაავადების შესახებ.

**გერმანულ კლინიკაში სეზონური ფასდაკლებებია. ასევე, აქციის ფარგლებში უფასოა სტომატოლოგიური კონსულტაცია**

**მის.: გორგასლის №51;**
**ტელეფონები: 275-34-34, 577 43-75-48.**

---

დველობას, მომწიფებას, გამრავლებასა და დაბერებას. საცივის დაკომპლექტებული წამლით ხდებოდა ჰიპოფისზე ნაწილობრივი გავლენის მოხდენა. მნიშვნელოვანია, რატომ ხდებოდა მისი მაინცდამაინც ახალ წელს ჭამა. ახალ წელთან ერთად იწყება ჩვენი ფიზიოლოგიური განახლებაც (ისევე, როგორც ბუნების). ეს ერთ დღეში არ ხდება, ესაა პროცესი, რომელსაც თავიდანვე გაძლიერება სჭირდება, რადგან ამ დროს მთელი მარაგი დახარჯულია და, როგორც მატერიალური მარაგის შევსებას იწყებ თავიდან, ისე ორგანიზმის სტიმულაციაა საჭირო, რასაც უზრუნველყოფს საცივში შემავალი წამლები, ანუ მისი კომპონენტები. ის მაღალი ენერგეტიკის მქონე წამალია და მისი ჭამა სავსებით საკმარისია წელიწადში ერთხელ, ორი-სამი დღის განმავლობაში; შედეგად, სისტემები იქოქება და მიშველება აღარ სჭირდება.

გეტყვით, რომ ამერიკის „დაბერების ინსტიტუტმა" გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებული „ახალგაზრდობის რეცეპტი", რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: ერთ-ნახევარი ჩაის კოვზი ორეგანო, ამდენივე მიხაკი და ნიორი, 1 ჩაის კოვზი წიწაკა, ნახევარი ჩაის კოვზი ჯინჯერი, ამდენივე მარილი და შავი პილპილი. ეს რეცეპტი ძალიან ჰგავს ჩემ მიერ შედგენილ საცივის რეცეპტს, რომელსაც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, სამკურნალო ეფექტი აქვს. გთავაზობთ მისი მომზადების წესს, რომელიც ტიბეტური რეცეპტითაა შექმნილი: 1 თავი დანაყილი ხახვი და 3 კბილი ნიორი, შავი პილპილი (ან მარცვალი), 7 ცალი მიხაკი, დარიჩინი და ზაფრანა დანის წვერზე, ხმელი წიწაკის წვერი, 1 ჩაის კოვზი შაქარი, 70 გრამი არაყი თავსდება ქილაში, ინჯღრევა და დგას 48 საათი ბნელ, თბილ ადგილას. გადმოვწუროთ ერთი ჩაის კოვზი ნაყენი, დავამატოთ 10 ჩაის კოვზი გადადუღებული ცივი წყალი და 100-ჯერ ავანჯღრიოთ. გამოვიყენოთ: პროფილაქტიკისთვის – 1 წვეთი დღეში სამჯერ; გაციების ან გრიპის ეპიდემიის დროს – 3 წვეთი, დღეში 5-ჯერ; თუ უკვე ავად ხართ – ყოველ 1 საათში 3 წვეთი. ზამთრის დასაწყისში ერთი კურსის ჩატარების შემდეგ ვერავითარი ინფექცია ვერ მოგეკარებათ.

**ქეთი კაპანაძე**



ზაფხულის თვე

ბილიარდის ჯოხი

ინდიელთა ტომი

... ნოლტი

გრძელ დისტანციებზე მორბენალი

შეუდრეკელი ანუ ...

ჩაროზი, ანუ ...

ტროპიკული ხილი

დამუხტული ნაწილაკი

ადვოკატი, ანუ ...

რუსი მწერალი

ქვეყანა აფრიკაში

შავი ზღვის ზვიგენი

საფეხბურთო მოედანი

ჟორჟ სიმენონის ნაწარმოების პერსონაჟი

თალი, ანუ ...

... ტაილერი

ფალიაშვილის ოპერა

ჭური, ანუ ...

კრეტინი, დებილი

დაბა ხაშურის რაიონში

ჩრდილოეთის ირმის სახეობა

ზღვის დიდი კბო

ცეცხლის „ენა“

იტალიელი კინორეჟისორი

ქალაქი იტალიაში

ეგვიპტის ექსპრეზიდენტი

ქალაქი იემენში

ჯენიფერ ...

ამერიკული მომღერალი ... აბდული

ძვ. ფრანგული ხურდა

კომში, ანუ ...

ცეილონის ...

სამკუთხა ბანქო

ალოე, ანუ ...

სითხის საზომი ერთეული

Column clues (top to bottom, columns 1–25):

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 2 |
| 2 | 2 |
| 3 | 19 |
| 4 | 20 |
| 5 | 21 |
| 6 | 22 |
| 7 | 7 15 |
| 8 | 8 15 2 |
| 9 | 9 4 6 4 |
| 10 | 10 3 17 |
| 11 | 6 5 4 4 |
| 12 | 6 5 1 4 2 |
| 13 | 5 5 6 4 |
| 14 | 6 5 2 4 |
| 15 | 6 5 1 1 4 2 |
| 16 | 10 3 1 5 4 |
| 17 | 9 4 13 |
| 18 | 11 15 4 |
| 19 | 11 15 2 |
| 20 | 27 |
| 21 | 27 |
| 22 | 27 |
| 23 | 19 |
| 24 | 2 |
| 25 | 2 |

Row clues (left to right, rows 1–40):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 3 |
| 2 | 5 5 |
| 3 | 7 5 |
| 4 | 14 |
| 5 | 15 |
| 6 | 6 9 |
| 7 | 6 8 |
| 8 | 6 7 |
| 9 | 7 7 |
| 10 | 8 8 |
| 11 | 23 |
| 12 | 25 |
| 13 | 1 4 5 4 1 |
| 14 | 21 |
| 15 | 21 |
| 16 | 8 8 |
| 17 | 7 1 7 |
| 18 | 6 1 6 |
| 19 | 6 1 1 6 |
| 20 | 6 2 6 |
| 21 | 6 5 6 |
| 22 | 6 1 6 |
| 23 | 7 7 |
| 24 | 8 8 |
| 25 | 21 |
| 26 | 21 |
| 27 | 21 |
| 28 | 21 |
| 29 | 1 1 |
| 30 | 1 1 |
| 31 | 1 3 |
| 32 | 1 5 |
| 33 | 1 5 |
| 34 | 1 3 |
| 35 | 1 1 |
| 36 | 3 |
| 37 | 5 |
| 38 | 5 |
| 39 | 3 |
| 40 | 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 1 | | | | 5 | 7 | 8 |
| 3 | 6 | 5 | | 8 | | | | 9 |
| | | | 1 | | | 6 | 3 | 2 |
| 1 | 4 | 9 | | 3 | | | | |
| | | 8 | 2 | | | 9 | 6 | |
| | 2 | | 5 | | 9 | | 4 | |
| | 1 | | 3 | | 4 | | 8 | |
| | 3 | | 9 | | 7 | 1 | | 4 |
| | 5 | 2 | | 1 | 8 | 3 | 9 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | | | | 7 | | | |
| | | | 4 | | | | 7 | 5 |
| 5 | 7 | | | 6 | | | | |
| | 8 | | | | | 5 | | 1 |
| | | 6 | | | 8 | | 2 | 4 |
| 2 | 9 | | 1 | | | 8 | | |
| | 5 | | | | | 4 | 9 | 3 |
| 6 | | 9 | | | | 7 | | 2 |
| | | | 9 | 4 | | | | |

**მეოთხე წელია, რაც ვაჟა მანია ბოსტონში, „ბერკლის“ სამუსიკო კოლეჯში სწავლობს. რადგან სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით მას თითქმის ყოველი სემესტრის შემდეგ ექმნება პრობლემები, ამ საკითხის გასარკვევად და მოსაგვარებლად ხშირად დიდი ხნით უწევს საქართველოში ჩამოსვლა და ამიტომაც მისი სწავლა „ბერკლიში“ საკმაოდ გახანგრძლივდა.**

# რა იღო ვაჟა მანიას ცხოვრებაში სასწორზე და რისი გემო ვერ გაიგო მან ამერიკაში

**ვაჟა მანია:** მაისის მერე თბილისში ვარ. ხვალ მივდივარ ამერიკაში ***(ინტერვიუ ჩაწერილია 6 იანვარს, – ავტორი).*** მინდა, ყველას, თითოეულ ადამიანს, მადლობა გადავუხადო იმისთვის, ვინც ამ ყველაფრის გაგრძელებაში დამეხმარა. პერიოდულად, ყოველთვის დგება ის მომენტი, ისე ცუდად იხატება ყველაფერი, რომ ჩემი წასვლის ამბავი გაურკვეველია. ბევრი ხალხი ვაწვალე და, საბოლოოდ, ყველამ ერთად მოვახერხეთ ის, რომ ვაგრძელებ სწავლას. რაც უფრო გადის წლები, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ აუცილებლად უნდა გავაგრძელო სწავლა. ფარ-ხმალი არასდროს დამიყრია, უბრალოდ, ბევრ დროს ვკარგავ. თუმცა, მთავარი მაინც შედეგია და ამიტომ ამ დროსაც ფუჭად კი არა, წვალებაში ვკარგავ. ზოგს ცხოვრებაში ყველაფერი მარტივად გამოსდის, ზოგს – რთულად. მთავარია, რომ შედეგის მჯერა და ამიტომ ეს ჩავარდნები ბევრ დაბრკოლებას არ მიქმნის, ჩემი ოპტიმიზმი, საქმისადმი სიყვარული მეხმარება. რომ მომკლა, ვერ დავნებდები. ამდენმა წელმა გაიარა და, მივხვდი, რომ ზომაზე მეტად ოპტიმისტი ვარ. ამ წლის მეორე ნახევარი საკმაოდ რთული იყო, მაგრამ მომავალი შედეგი მაინც მამხნევებს და იმედიანად მივდივარ. აქ ყოფნის მთელი 7 თვე მაინც ამ საკითხის მოგვარებას დავუთმე. რთული იყო, სანერვიულო, სასწორზეც იდო, მაგრამ, ბევრი ადამიანის დახმარებით ყველაფერი კარგად დამთავრდა.



**მოთმენა ძალიან დიდი დოზით მაქვს, აქამდე ბევრი ვითმინე და კიდევ ბევრის მოთმენა შემიძლია**

**– ეს ერთ-ერთი რთული ეტაპი იყო შენს ცხოვრებაში?**

– შეიძლება ითქვას, ყველაფერი ერთად მოხდა. თუმცა, ჩემს განწყობას არასდროს არ გადავდებ სხვებს. ის, რაც ჩემია, მირჩევნია, ჩემთვის ერთად მოვუკრა თავი. ორივე მხარე ჩემია: ცოტა – მოწყენილობა, ცოტა – მხიარულება და ორივე მომწონს, განსაკუთრებით – მუსიკაში. მძიმე და ღრმა მუსიკაც მიყვარს, ასე რომ, ორივე მხარე მაქვს: კარგიც და მძიმეც. ან, რომ მომენტრება, ისე მოვქოქავ თავს, რომ მძიმე ხასიათზე გადავიდე. სიღრმეები საჭიროა ჩემს საქმეში, თან, ყველაფერი ცხოვრებას მოაქვს, შენით ვერ დაგეგმავ ამას. ამიტომ, ის მხარეც უნდა შეიყვარო და ეს მხარეც. ძალიან დიდი არ ვარ, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი რამ გამოვცადე და გამოცდილების ხარჯზე გამიკეთებია ბევრი რამ. ცხოვრება ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით, ჩემი – ცუდიც და კარგიც. ცუდმა რაღაცეებმა არ უნდა გაგაბოროტოს. თუ სხვა კუთხით, უფრო აზრიანად შეხედავ, მერე უფრო საინტერესო ხდება ცხოვრება და უფრო მეტ სტიმულს გაძლევს. ცოტა ფანტაზიორიც უნდა იყო, ოღონდ, საკუთარ თავთან კი არა, მეგობრებთან ერთად. თან, მაიმუნის წელია და მიყვარს მაიმუნობები. ეს ყველაფერი კი ჩემს ბავშვურობაში, ბავშვურ ხასიათში გამოიხატება – ასაკის მომატების მიუხედავად, ეტყობა, შემომრჩა ეს ყველაფერი.

**– ახლა ჩახვალ ამერიკაში და ყველაფერს თავიდან ახალი შემართებით დაიწყებ.**

– რამდენჯერაც წავედი, ისეთი განწყობა მქონდა, თითქოს თავიდან ვიწყებდი ყველაფერს. არ მაქვს იმის უფლება, რომ ასე არ მოვიქცე, რადგან, იმდენი შრომა მაქვს ამაში ჩადებული... პირიქით, სწავლასთან ერთად, რაღაც განსაკუთრებულს ველოდები, ეს ისეთი რამ არის, შეიძლება, 1 წუთში აფეთქდეს. მეც მზად ვარ ამისთვის, მჯერა საკუთარი თავის და, ვიცი, რომ ის განსაკუთრებული აუცილებლად იქნება. მთავარია ნებისყოფა, ზოგადად კი წარმატების საწინდარი მოთმენა, შრომა და პოზიტიური განწყობაა. მთავარია მოითმინო, სისულელე არ ჩაიდინო და არ გააფუჭო. მოთმენა ძალიან დიდი დოზით მაქვს. აქამდე ბევრი ვითმინე და კიდევ ბევრის მოთმენა შემიძლია, ოღონდ, გზადაგზა შედეგები უნდა იყოს.

**– რის უფლებას არ აძლევ საკუთარ თავს?**

– საკუთარ თავს არასდროს ვანებივრებ. არაფრის უფლებას არ ვაძლევ, პირიქით: როზგი, იმეცადინე, იმეცადინე!.. ახლა რომ ჩავალ, მთელი დრო სწავლას უნდა დავუთმო. მაიმუნის წელია და მაიმუნობას ერთ დღეს დავუთმობ, სხვა რამის დრო არ არის: მწარე როზგი 2016 წელს! სხვა ადამიანები უფრო მანებივრებენ და ეს მეხმარება. აქ რომ ვრჩები ხოლმე 5-6 თვე, მერე სულ სხვა განწყობით ვიწყებ სწავლას. მინდა, რომ გადავაბა სემესტრები, მაგრამ ეს არ გამოდის, ჯერ ამის გემო ვერ გავიგე. კარგი იქნება, თუ გავიგებ, რადგან ეს ისევ ჩემს საქმეს, წინსვლას აკლდება, რადგან აუცილებელია იქ ყოფნა, საქმის ბოლომდე მიყვანა.

**– რამდენი წელია, „ბერკლიში“ სწავლობ?**

– 2012 წლიდან ვსწავლობ. ალბათ, ასე ნელა უნდა მივიდე იქამდე. იმედგაცრუება რაღაც მომენტში მაქვს. დასაწყისში კვირა-ნახევრის განმავლობაში, ვიკეტები, მაგრამ მერე ავტოპილოტი მერთვება და თავიდან, შემართებით ვიწყებ ყველაფერს. თორემ ეს ყველაფერი ხასიათზეც მოქმედებს და ურთიერთობაშიც ცუდი ტიპი ვხდები: მოწყენილი, ცუდ ხასიათზე, ვილაცას რაღაცას ვერ „გაფუსწორებ.“ ასეთი არც საკუთარ თავს სჭირდები და არც არავის. ეს კვირა-ნახევარი გრძელდება და მერე უკვე ვიქოქები. პირად ცხოვრებაში უფრო დიდხანს გრძელდება ხოლმე ეს ეტაპი, რადგან, საქმეში ყველაფერი მაინც შენზეა დამოკიდებული, პირადში კი, როცა რაღაცა ორ ადამიანზეა დამოკიდებული, მარტო შენ ვერ გადაწყვეტ.

**– რას გამოარჩევდი „ბერკლიში“ გატარებული 4 წლიდან? არაერთი წარმატება, წინსვლა და დადებითი შეფასებები გქონდა...**

– ცუდი მხარე ყოველთვის მაძლევდა სტიმულს, რომ არ გავჩერებულიყავი; კარგი მხარე კი მახსენებდა ყველაფერს. თან, ის გარემო, დამოკიდებულება რაც „ბერკლიშია“, ენით აუწერელია და თითქმის ყველაფერზე მათქმევინებს უარს. მიხარია, როდესაც კარგს ამბობენ, კარგად მაფასებენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ მყოფნის, რადგან, ძალიან თვითკრიტიკული ვარ. თუმცა, შედეგს ვხედავ და, დარწმუნებული ვარ, იქ თუ ვიქნები, წარმატებას აუცილებლად მივაღწევ და ჩემს გასაკეთებელს გავაკეთებ; გეგმებიც კი მაქვს დაწერილი: რა რის მერე იქნება. კოლეჯში რომ ვსწავლობდი, დილის 7 საათიდან ღამის 11 საათამდე ვმეცადინეობდი, შედეგი კი არ ჩანდა. სახლშიც უკვირდათ: დედის, დედის და შედეგი არ არისო. მაგრამ, საკუთარ თავში იმდენად ვიყავი დარწმუნებული, იმდენად მჯეროდა შედეგის, რომ მექნებოდა, ვშრომობდი, ვწვალობდი. მოთმენა შემეძლო, ნერვები არ მეშლებოდა. სხვებს უშლიდა ეს ცოტა ნერვებს: ერთ ოთახში ჩაკეტილი, მუსიკას მეცადინეობ და, შედეგს რომ ვერ ხედავდნენ, ნერვიულობდნენ. ზაქარია ფალიაშვილის მეორე სამუსიკო სასწავლებელში ვსწავლობდი 2003 წლიდან და ყოველთვის ვოცნებობდი, ოდესმე „ბერკლიში“ მესწავლა. მასწავლებელი მყავდა, რომელმაც იცოდა, როგორი იყო „ბერკლიში“ სწავლება და, ისეთ (ოღონდ, მცირე ფორმით) გარემოს გვიქმნიდა. ეს კიდევ უფრო მეტად მქოქავდა. ერთ დღესაც, რომ ვკითხე: რა უნდა ჩავაბარო გამოცდაზე-მეთქი. ამიხსნა და ვიფიქრე: ამ პროგრამას თუ მოვერევი-მეთქი. მარტივი აღმოჩნდა ჩემთვის და უფრო მეტად მოვიქოქე. ფაქტის წინაშე რომ დავდექი, ეს იყო საოცარი შეგრძნება, არც კი მჯეროდა. „ბერკლიში“ რომ მივედი, გამახსენდა ის წვალება, დილის 7 საათზე მეგობრები რომ მივდიოდით სამეცადინოდ, თან, ზოგჯერ დენიც არ იყო და გაყინული გვქონდა ხელები. გამართლებაც არის ცხოვრებაში, ოღონდ, ეს დიდი შრომის შედეგად მოდის. ახლა კიდევ ერთი ოცნება მაქვს: ამ ყველაფრის რეალიზება ამერიკაში, მაღალ დონეზე, სერიოზულ ეტაპზე გადასვლა. არ მინდა, ჩემს ცხოვრებაში ფუჭად გავიდეს დრო. 10 წლის შემდეგ რომ გამოვიხედავ, მინდა, დავტკბე შედეგებით. ვიცი, ეს ჩემს მეგობრებსაც უხარიათ. მეც ყველაზე მეტად მაშინ ვივსები, როცა მათ ვასიამოვნებ და იმედებს არ ვუცრუებ მათ, ვისაც ჩემი სჯერა და ჩემზე დიდი აზრი აქვს.

**ნათია უტიაშვილი**

**ცოტა ხნის წინ ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თამო ვაშალომიძე ავტოკატასტროფას გადაურჩა. როგორც თავად მოდელმა აღნიშნა, ეს იყო სპეციალურად მოწყობილი ოინი მის წინააღმდეგ. ვისზე აქვს თამოს ეჭვი და რა ცვლილებებია მის ცხოვრებაში, სტატიიდან შეიტყობთ.**

# როდის ჰბანდა თამო ვაშალომიძეს ოთხი კაცი და ვისზე არ უფიქრია მას არასდროს როგორც მამაკაცზე

**თამო ვაშალომიძე**: ახალი წელი თოვლის გარეშე ვერ წარმომიდგენია, ამიტომ მეგობრებთან ერთად ორი დღით ბაკურიანში წავედი და იქ შევხვდით. ბევრი საჩუქარი მივიღე, თუმცა, გამორჩეული ადამიანი არ მყავს და ამიტომ საჩუქარსაც ვერ გამოვარჩევ. მართალია, ბევრი თაყვანისმცემელია ჩემ გარშემო, მაგრამ, სამი წელია, არავინ მყოლია. მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ, კარგად გავერთეთ. ძველით ახალ წელს შეიძლება დუბაიში წავიდე – ესეც ერთ-ერთი საჩუქარია, დამპატიჟეს.

**– თამო, ცოტა ხნის წინ ავტოსაგზაო შემთხვევას გადაურჩი. როგორც თავად აღნიშნე, ვიღაცამ შენი მანქანის საბურავებს ხრახნები დახსნა. ეჭვი გაქვს ვინმეზე?**

– საერთოდ მოულოდნელობა იყო ეს ჩემთვის. დილით წავედი სალონში, შემდეგ „იმედში" ჩაწერა მქონდა. ზოგადად, ჩქარა სიარული მიყვარს, მაგრამ რაც 100-ქულიანი კანონი შემოიღეს, წესებს ვიცავ *(იცინის)*. დილით არაფერი შემიმჩნევია. „იმედიდან" რომ წამოვედი, მივხვდი, საბურავები რაღაც კარგად ვერ იყო და ვიფიქრე, ალბათ, „კალოტკები" გაცხელდა, ჩქარა რომ დავდივარ-მეთქი. მანქანაში ჩემი მენეჯერი და მოდელები მესხდნენ, სანაპიროზე რომ გავედი, მანქანა თავისით წავიდა. გვერდითა მანქანიდან ვიღაც ბიჭი მიყვირის – საბურავი სძვრება მანქანას, გააჩერეო. გავაჩერე, ჩამოვედით და – რას ვხედავთ: უკანა საბურავიდან ერთზე ერთი შურუპი იყო დარჩენილი, მეორეზე – ორი, წინებზე კი თითო-თითო აკლდა. არ მინდოდა, ვინმესთვის ცილი დამეწამა და ისევ საკუთარი თავი დავიდანაშაულე, თუმცა, რაც არ უნდა ჩქარა მევლო, ასე ერთდროულად ყველა შურუპი როგორ დასძვრებოდა?! ასე გადავურჩი უბედურ შემთხვევას. კონკრეტულად არავისზე არ მაქვს ეჭვი, არავინ მყავს გადამტერებული. ძალიან ბევრი დაბოლმილი ქალი მწერს, მაგრამ, ვერავისზე ვიფიქრებ.

**– ალბათ, ამ შემთხვევის შემდეგ უფრო ფრთხილობ.**

– ყოველდღე ვამოწმებ საბურავებს *(იცინის)*. ბაკურიანიდან თბილისში რომ ვბრუნდებოდით, ჩემმა მენეჯერმა, ვიდრე მანქანაში ჩავსხდებოდით, ყველა საბურავს სათითაოდ მოაშორა თოვლი და საგულდაგულოდ შეამოწმა, იყო თუ არა ყველაფერი წესრიგში *(იცინის)*. ამის შემდეგ განსაკუთრებით ვფრთხილობ. ჩემს სადარბაზოსთან არ არის კამერები. თუ კიდევ იქნება მსგავსი შემთხვევა, აუცილებლად მივმართავ შესაბამის ზომებს, მაგრამ, ამ ეტაპზე ამის გამოძიებას ან რაიმე მსგავსს არ ვაპირებ. არიან ადამიანები, რომლებიც მწერენ, მწერენ და არ ვპასუხობ, მერე კი მიგზავნიან ჩემს სადარბაზოსთან და მანქანასთან გადაღებულ ფოტოებს სხვადასხვა სათაურით, მაგალითად – „მანქანა გასარეცხი გყოლია, თამო". ვერავის დავადებ ხელს, თუმცა კაცის ნამოქმედარი მაინც არ მგონია. კაცს საბაბი უნდა მისცე, რაღაც ცუდი რომ გაგიკეთოს და მე არავის ვაძლევ საბაბს. არავინ გამომიყენებია და გული არავისთვის მიტკენია. რატომღაც, ქალი მგონია, რომელსაც ვიღაცა დაეხმარა.



ვერავის დავადებ ხელს, თუმცა, კაცის ნამოქმედარი მაინც არ მგონია

**– რამდენიმე დღის წინ ხელი გთხოვეს. რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ეს ადამიანი იყო ჩემი უახლოესი მეგობარი. 19 წლიდან ვმეგობრობთ, ერთი თვის, ან ერთი წლის გაცნობილი არ მყავს. საქართველოში ერთ-ერთი ცნობადი სახე და თანამდებობის პირია, ყველა ძალიან დიდი პატივს სცემს. საერთო მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავით და, მითხრა – ცოლად გამომყვებიო?! თავიდან მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ შემდეგ სერიოზულად რომ დამიწყო ლაპარაკი, ვუპასუხე – რა სისულელეა, როგორც მეგობარს, ისე გიყურებ-მეთქი. არასდროს მიფიქრია მასზე, როგორც მამაკაცზე. არ მოელოდა ჩემგან უარს, ეწყინა. იმდენად გათამამებულია გოგონებისგან, რატომღაც, ეგონა, დავთანხმდებოდი. არ ყოფილა არანაირი ბეჭდები, ყვავილები და მსგავსი ცერემონიალები, 40 წლის სერიოზული კაცია და, მსგავსი რაღაც რომ გაეკეთებინა, უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება. არ მინდა, ვინმემ ხელი შემიშალოს, ძალიან კარიერისტი ვარ. პატარ-პატარა რაღაცეები არის, მაგრამ სერიოზულად არავისზე ვფიქრობ. დიდი გეგმები მაქვს და, ვინმე რომ ჩაერიოს, არ მინდა, მით უმეტეს – მამაკაცი.

**– უცხოეთიდან მიწვევები აღარ გაქვს?**

– კი, სტამბულში ვიყავი ახლახან, ჟურნალ „კოსმოპოლიტენის" კონტრაქტზე ვმუშაობთ. ჯერ ვერ შევთანხმდით რაღაცეებზე და, ვნახოთ, რა იქნება; ასევე, მაქვს ჩემი პროექტი – საკუთარი რეალითი შოუ. ველაპარაკე რამდენიმე ტელეკომპანიის დირექტორებს. მსგავსი შოუ მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს უცხოეთში, არ არის მასობრივი. გადაცემა იქნება მთლიანად ჩემს ცხოვრებაზე: როგორ მძინავს, ვბანაობ, ვიხეხავ კბილებს, სად დავდივარ, დავფრინავ და ასე შემდეგ. როგორც კიმ კარდაშიანის ცხოვრებაზეა შოუ, ანალოგიური იქნება ჩემზეც.

**– შენი აზრით, როგორ მიიღებს ქართველი მაყურებელი ამ შოუს?**

– ვფიქრობ, დადებითად. ყველას აინტერესებს „ყვითელი". თმა შევიღებე და, ფოტო რომ დავდე, უამრავმა ადამიანმა მომწერა და, წარმოიდგინეთ, ამ გადაცემას რამხელა გამოხმაურება ექნება. მსგავსი პროექტი რომ იყოს დღეს ტელესივრცეში, მეც დიდი სიამოვნებით ვუყურებდი. თან, მადარებენ ამ კიმ კარდაშიანს და, ბარემ ბოლომდე შემადარონ *(იცინის)*. ისე, ქართველმა ხალხმა გაითავისა ის, რომ მოდელი ვარ და, შეიძლება, გახდილიც ვიყო, ჩაცმულიც და მონაზვნის ფორმაც მეცვას. წელს შედარებით დადებითად განეწყო ხალხი ჩემ მიმართ, წინა წლებში უფრო იგრძნობოდა აგრესია.

**– როგორ ფიქრობ, რით გამსგავსებენ კიმ კარდაშიანს?**

– არ ვიცი, ჩაცმულობით, ან, უკანალი რომ მაქვს დიდი. კიმი თითქმის გაკეთებულია: უკანალი, წელი, მკერდი – ყველაფერში პლასტიკური ქირურგია აქვს ჩარეული, მე კი არაფერი გამიკეთებია ტუჩის კონტურის გარდა. ხანდახან მწყინს, რომ მადარებენ. წარმოიდგინეთ, თოჯინა ორიგინალს რომ შეადაროთ.

**– ახალი ექსპერიმენტი გამოსცადე საკუთარ თავზე – სრულიად შიშველმა, შეღებილმა, ქანდაკების მსგავსად გადაიღე ფოტოები. როგორი იყო ფოტოსესია?**

– ეს ფოტოსესია ერთ-ერთმა ფოტოგრაფმა შემომთავაზა – ფოტო გამომიგზავნა, რომელიც ძალიან ლამაზი იყო. ჩემთვის რაც ახალია და საინტერესოა, ყოველთვის მისაღებია. ბოლოს, როგორც აღმოჩნდა, თურმე, შემღებეს ჩვეულებრივი საღებავით, რომლითაც კედლებს ღებავენ. საღებავი ვერ მოვიშორე, თან, იმ საღამოს ბებო გამიხდა ცუდად და საავადმყოფოში გადაიყვანეს, მე კიდევ, სულ შეღებილი ვიყავი, ვყვიროდი, ვწიოდი, ოთხი კაცი მბანდა. დაახლოებით 2 000 ფოტომდე გადამიღეს და სულ ყველა წავშალე. ერთადერთი, სელფით რაც გადავიღე, ეგ დამრჩა. არ იყო ის, რაც მე მინდოდა, ამიტომ, ჯობდა, არ გავრცელებულიყო.

**ეთო ხურციძე**

# ბრძნული აზრები

**ცვაიგი**: ადამიანის შესაძლებლობის სწორი საზომი მხოლოდ გადალახულ დაბრკოლებათა ჯამია.

**კონფუცი**: პატიოსნის წკიპურტიც უფრო მწარეა, ვიდრე ხეპრის კომბალი.

**მარკესი**: მამაკაცის უმაღლესი ღირსება საიდუმლოს შენახვაა.

**დეკარტი**: მშიშრობა ცუდია, ის ნებას აკავებს სასარგებლო მოქმედებისთვის.

**საადი**: იმაზე დიდი სისულელე არ არსებობს, ვცდილობდეთ, რომ ყველაზე გონიერი ვიყოთ.

**მონტესკიე**: ბევრი უნდა ვისწავლოთ, რომ ცოტა მაინც ვიცოდეთ.

**დალამბერი**: ჭკვიანი ადამიანი თავის ქების გარეშე ფლობს სიბრძნეს, მას კი აქებენ ისინი, ვინც ვერ ფლობენ ასეთ სიმდიდრეს.

**ბალზაკი**: დრო – გონებრივი სამუშაოთი დაკავებული ადამიანის კაპიტალია.

**ჰელვეციუსი**: სისასტიკე ყოველთვის შედეგია შიშის, სისუსტისა და სიმხდალის.

**ეზოპე**: ნუ დაუმეგობრდები მას, ვისაც ახალი მეგობარი ურჩევნია ძველს – იცოდე, შენც ასევე გიღალატებს.

**გოეთე**: ადამიანის ცხოვრების საუკეთესო ნაწილი, სიყვარულითა და სიკეთით გამოწვეული, მცირე, ყველასგან მივიწყებული და უსახელო ქმედებანია.

**ლაროშფუკო**: ჩვენ მხოლოდ იმიტომ გვაცოფებს ის, ვინც ჩვენს მოტყუებას ცდილობს, რომ ჩვენზე ჭკვიანი ჰგონია თავი.

**კუნდერა**: სამი ფუნდამენტური სიტუაცია ჩამოყალიბდა ომის შემდგომ ევროპაში: დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა და, ყველაზე რთული, გეოგრაფიულ ცენტრში მოქცეული ევროპა, რომელიც კულტურულად დასავლეთის ნაწილია, პოლიტიკურად კი – აღმოსავლეთის.

**პითაგორა**: მიუხედავად იმისა, რომ „კი“ და „არა“ ძალზე მოკლე სიტყვებია, ყველაზე სერიოზულ გააზრებას სწორედ ისინი მოითხოვენ.

**რონი**: ბედნიერება არც შემთხვევითაა და არც რაღაც შეუძლებელი; ბედნიერება – ეს არის ის, რასაც თქვენ საკუთარი ხელებით ქმნით.

**გოგებაშვილი**: პედაგოგიური აქსიომაა, რომ საგანი იმდენად ადვილად შეითვისება და უფრო მკვიდრს შთაბეჭდილებას მოახდენს, რამდენადაც უფრო მომატებული ორგანოების შუამავლობით ჩაისახება კაცის გონებაში.

**ციცერონი**: ყველაზე მთავარია, სათნოებისა და მანკიერებათა მიხვედრა გვქონდეს. თუ ეს მიხვედრა არ გვაქვს, ყველაფერი მერყევი ხდება.

**პოუპი**: ქალების უმრავლესობას ხასიათი არ გააჩნია. ისინი ან ქერები არიან, ან მუქთმიანები – ეს კარგი საშუალებაა მათ გადასარჩევად.

**ლაროშფუკო**: ქალების უმანკოება ხშირ შემთხვევაში სხვა არა არის რა, თუ არა სახელისა და სიმშვიდისთვის ზრუნვა.

# თუ გაქვთ ცოდნა

1. ახალი წელი ყველაზე გავრცელებული დღესასწაულია მსოფლიოში. მას ოფიციალურად 189 ქვეყანაში აღნიშნავენ. ბევრი ქვეყანა აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს, რესპუბლიკის დღეს, მშობელთა დღეს და სხვა. არის კიდევ ერთი გამოსასვლელი, არასამუშაო დღე, რომელიც 37 ქვეყანაშია დამკვიდრებული. **რას აღნიშნავენ ამ დღეს?**

2. თურმე ძველ ბაშკირებსაც ჰქონიათ სახალხო შეკრებებზე ყბედ მომხსენებელთა პრობლემა და სიტყვაში გამოსულთათვის რეგლამენტიც ჰქონიათ დაწესებული. თუმცა, მაშინ მათ საათი არ ჰქონდათ. მომხსენებელს შეეძლო ელაპარაკა, სანამ არ დაღლილიყო ან... ენა, არამედ... **რა?**

3. ბრიტანელები ამას სუფრასთან მსხდომნი აკეთებენ. მერე ამერიკელებმა ამის კეთება ფეხზე მდგომელებმა დაიწყეს. **რას აკეთებენ ფეხზე მდგომი ამერიკელები?**

4. მდინარე პენეფაზერის მიდამოებში მობინადრე ველური ტომები მიიჩნევენ, რომ ეს არის ქალი, რომელსაც ღმერთმა არ მისცა ორი ფეხი, სამაგიეროდ, ბევრი ხელი უბოძა, რომლებიც ჩანს, როცა ეს ქალი დგება ან დასაძინებლად მიდის. სალამოობით მას შია და მიწაში ჩადის, სადაც ფესვებით იკვებება. **რაზეა ლაპარაკი?**

5. შუა აზიის მუსლიმურ ქვეყნებში ხელით ნაქსოვ ხალიჩებზე აუცილებლად აღმოაჩენთ არასწორად ამოყვანილ ნაყშს, შეცდომას. **რატომ?**

6. ეს მეჩვიდმეტე საუკუნეში მოხდა. ბასკებისგან შემდგარი ბაიონის პოლკი ესპანელებისგან იცავდა რიუნის მაღლობს პირენეებში. მათ გაუთავდათ ტყვიები და მუშკეტები გამოუსადეგარი გახდა. მდგომარეობა გამოუვალი იყო, მაგრამ ბასკებმა იპოვეს გამოსავალი. სპონტანურად გამოიგონეს ახალი იარაღი – მუშკეტებისა და ხანჯლების დახმარებით. **რა იარაღი?**

7. „ამ მეტად კანონზომიერ და მოწესრიგებულ სისტემაში საოცარი ქაოსი და უწესრიგობაა: ბერძნული, არაბული, ინდური, სპარსული, ლათინური, სლავური ფუძეები, ღმერთები, ქალღმერთები, პლანეტები, ქალაქები, ქვეყნები, გვარები – თანაც ყოველგვარი წესრიგისა და ღრმა აზრის გარეშე“, – **რაზე ამბობდა ამას აკადემიკოსი ფერსმანი?**

8. ძველ საბერძნეთში სადილის დროს, სხვა გართობებთან ერთად, მიღებული იყო თამაში: კითხვა-პასუხი. ერთ-ერთი იმდროინდელი კითხვა: არაფერი თქვა და შენ ამით გამოხატავ ჩემს სახელს, თუ შენ იტყვი ჩემს სახელს, ვერ გამომხატავ. **ვინ ვარ?**

9. ყველასთვის ცნობილია მეფეთა და იმპერატორთა უამრავი მეტსახელი: დიდი, ლამაზი, მრისხანე... ინგლისის მეფე ჰენრიხ მერვემ (1491-1547) კი მეტსახელად არჩია „ძველი, სპილენძის ცხვირი“. ამ სახელით მას დღესაც ხშირად მოიხსენიებენ ნუმიზმატები. **რატომ?**

10. 1897 წელს მორიგი გამოცდის დროს გამომგონებელს მოწყობილობა აუფეთქდა, რამაც სწორედ მისი იდეის განხორციელების შესაძლებლობა დაამტკიცა. ეს მოწყობილობა, ანუ ძრავა დღესაც ფართოდ გამოიყენება. **დაასახელეთ გამომგონებელი.**

***პასუხები იხილეთ 27-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

### 11 იანვარი

1963 – ლოს-ანჯელესში გაიხსნა პირველი დისკოთეკა მსოფლიოში – Whisky-A-Go-Go.

1984 – პირველად მუსიკის ისტორიაში ალბომის გაყიდვამ გადააჭარბა 10 მილიონ ეგზემპლარს – ეს იყო მაიკლ ჯექსონის „The Triller“.

### 12 იანვარი

1928 – რუს სანიდერი გახდა პირველი ქალი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ელექტროსკამზე.

1932 – არკანზასელი ჰეტი კარაუეი იყო პირველი ქალი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრი გახდა.

### 13 იანვარი

1906 – მალაზიებში გასაყიდად გამოიტანეს პირველი რადიომიმღები.

1917 – პარიზში საფრანგეთის კონტრდაზვერვამ დააპატიმრა მოცეკვავე ჯაშუში – მატა ჰარი.

### 14 იანვარი

1119 – იერუსალიმში დაარსდა ტამპლიერთა რაინდული ორდენი.

1900 – რომში შედგა ჯაკომო პუჩინის ოპერის, „ტოსკას“ პრემიერა.

### 15 იანვარი

1797 – ლონდონში ჯონ ეტერინგტონი ქუჩაში გამოვიდა სრულიად ახალი ქუდით – ცილინდრით.

1880 – ლონდონის სატელეფონო კომპანიამ გამოუშვა პირველი სატელეფონო ცნობარი – 255 ნომრის შემცველობით.

### 16 იანვარი

1920 – ამოქმედდა ამერიკის კონსტიტუციის მე-18 შესწორება – ქვეყანაში ძალაში შევიდა „მშრალი კანონი“.

1963 – ხრუშჩოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს 100-მეგატონიანი წყალბადის ბომბი.

### 17 იანვარი

1475 – რუმინეთის ქალაქ ვასლუისთან მოხდა ბრძოლა მოლდავეთის ჯარებსა და ოსმალეთის იმპერიის ჯარებს შორის. მოლდავეთის მეფის, სტეფანე მესამის 47 000-იანმა არმიამ გაანადგურა სულეიმან ფაშას 120 000-იანი თურქული არმია.

1718 – შვეიცარიის სოფელ ლეიკერშადში თოვლის ზვავმა გაანადგურა თითქმის ყველა შენობა. დაიღუპა მოსახლეობის ნახევარი.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. მb4; მფe4. 2. ლg4≠**

**1. ...; მფe6. 2. ლg6≠**




### ვლად არამოვის ანეკდოტები

ძმაკაცი ეკითხება ძმაკაცს:
– რა არის ეგ, რომ ორივე ნეკი თითი თაბაშირში გაქვს?
– მოვიტეხე, რა!
– ორივე ერთად?
– ხო, რა, ყურებს ვიფხანდი და დამაცემინა...

***

მიხომ შესჩივლა ექიმს:
– ექიმო, რა ვქნა, სიგარეტს თავი ვერ დავანებე...
– ხომ გითხარი, კანფეტით ჩაანაცვლე-მეთქი!
– ვცადე, ექიმო, მაგრამ, კანფეტს ცეცხლი რო არ ეკიდება?

***

გურული ანკეტას ავსებს.
სახელი: ზურიკელა.
გვარი: შევარდნაძე.
ოჯახური მდგომარეობა: მეტად ჩახლართული.

***

ბიჭი მობილურით შეტყობინებას სწერს გოგოს: დილით ვერ ვსაუზმობ – იმიტომ, რომ შენზე ვფიქრობ; შუადღეს ვერ ვსადილობ – იმიტომ, რომ შენზე ვფიქრობ; საღამოს ვერ ვვახშმობ – იმიტომ რომ შენზე ვფიქრობ; ღამით ვერ ვიძინებ – იმიტომ, რომ მშია!

***

მიხოს ბიჭი დგას კიბეზე და ალუბალს კრეფს. უცებ აყვირდა:
– მამიიი... ნახე, ღრუბლები რა სწრაფად მიდიან!
– ღრუბლები კი არა, კიბე გექცევა, შენი დედაც!..

***

მომაკვდავი ქმარი ეკითხება ცოლს:
– ძვირფასო, რომ მოვკვდები, ხომ მიტირებ?
– რა თქმა უნდა, საყვარელო, ხომ იცი, უბრალო რამეებზე როგორ ადვილად ვტირი ხოლმე.

***

ერთი გურული მეზობელი მეორე მეზობელს შეხვდა:
– რავაა, ძამა, შენი სიდედრი?
– მიდის ნელ-ნელა ზალისკენ.
ერთი კვირის მერე ისევ შეხვდებიან ერთმანეთს და ისევ ჰკითხავს მეზობელი:
– რავაა, ძამა, შენი სიდედრი?
– მიდის ნელ-ნელა ზალისკენ.
– რაია, ძამა, ამდენი სიარული? მეორე სოფელში გაქ მაი ზალა?!

***

ჭიჭიკამ სახლში წასვლის წინ შენიშნა, რომ საყვარლის ნაკოცნი ყელზე წითლად დამჩნეოდა. სახლში მისულს მხიარულად გამოეგება ძაღლი და შეახტა. მიხოს კარგი აზრი მოუვიდა – დაიწყო ძაღლთან თამაში, ხტუნვა და ყირაზე გადავიდა. ხუთ წუთში, ტანსაცმელშემოხეული სახლში შევიდა.
– ჩვენი ბომბორა სულ გაგიჟდა, ნახე, რა მიყო, – ეუბნება ცოლს.
– ეგ მოუკვდა პატრონს, ნახე, მეც რა მიქნა, – და ცოლმა ჩალურჯებული მკერდი აჩვენა.

***

ერთ დღეს ბიჭიკამ შეამჩნია, რომ ჭიჭიკიას საყურე ეკეთა.
– რაია, პედერასტების სიაში ჩეეწერე?
– მეიცა, თუ ძმა ხარ. ეს საყურე ჩემი ცოლის გამო გევიკეთე.
– რაია, შენს ცოლს ევასება, სიმონ, პედერასტები?
– პედერასტები კი არა, ეს საყურე ჩვენს ლოგინში იპოვა და, აბა, რა მექნა?!

### ონისე ონიანის ანეკდოტები

სამი სვანი დამალობანას თამაშობდა და სამივე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

***



ბოტანიკის გაკვეთილი გურიაში:
– აბა, ბაღნებო, რა შედის ბოსტნეულში?
– ბოსტნის კარები თუ ღიაა, მასწ – ღორი, ძროხა, თხაი და ყოლიფერი.

***

მეგრელი ტრაბახობს:
– რასაც თავში ჩავიდებ, აღარასოდეს მავიწყდება, სულ მახსოვს.
– ჩემი ვალი რომ გაქვს, ის რატომ არ გახსოვს, ძმაო?
– ის თავში კი არა, ჯიბეში ჩავიდე!

## როგორ იხსნა შობამ დედამიწა მესამე მსოფლიო ომისგან

დემოკრატიული გერმანიის პატარა დაბა აიზენახი, სადაც მე ვმსახურობდი, ფედერაციული გერმანიის საზღვართან მდებარეობდა. ნაწილში ვერტმფრენების ასაფრენ-დასაფრენი ზოლი გვქონდა და შეიარაღებას სწორედ იქ ვიღებდით. 1970 წლის 25 დეკემბერია, ანუ დღე, როდესაც მთელი მსოფლიოს კათოლიკეები შობას ზეიმობენ და ყველანი უგონოდ თვრებიან. სწორედ იმ დღეს მივიღეთ დიდძალი შეიარაღება. სანამ გადმოვტვირთეთ, დაღამდა კიდეც. შემდეგ პილოტებს სუფრა გავუშალეთ და სმა დავიწყეთ. შუა ქეიფის დროს სასმელი გაგვითავდა.



– ვასილიჩ, არ გრცხვენია, ქართველ კაცს სასმელი არ გაქვს? – მისაყვედურა ვერტმფრენის შტურმანმა, მაიორმა ტუაევმა, რომელიც ცხინვალელი იყო და ვმეგობრობდით.
– სასმელი არა, ქალები, – ვუპასუხე პარმენ ტუაევს, – იკმარე, რაც დალიე. დაწექით და დაიძინეთ. დილით ადრე ხართ ასადგომები და გასაფრენები.
მე ისე ვიყავი დაღლილი, რომ, დავწექი თუ არა, ჩამეძინა.
– ვასილიჩ, ადე, გაიღვიძე, – ჩამესმა ძილში და თვალი რომ გავახილე, ხელში პარმენა შემრჩა.
– რა მოხდა, უკვე გათენდა? – ვკითხე პარმენას.
– არა, რა გათენდა. წამო. სასმელი მოვიტანე და ქალებიც მოვაყოლე, – მომიგო პარმენამ.
– წადი, დაიძინე! – ვუღრიალე პარმენ ტუაევს და მეორე გვერდზე გადავბრუნდი.

ცხინვალელმა შტურმანმა კი, სანამ არ წამომაგდო, არ მოისვენა. ქვევით ჩავედით და, რას ვხედავ – სუფრაა გაშლილი და ზედ სამი ბოთლი მშრალი „მარტინი“ დგას, სუფრას კი ოთხი გერმანელი ქალბატონი უზის...

პარმენ ტუაევს, თურმე, ვერტმფრენი დაუქოქავს, ფედერაციული გერმანიის ტერიტორიაზე გადაფრენილა და, გარდა იმისა, რომ ადგილობრივ ბარში სასმელი უყიდია, ოთხი მეძავიც „წამოუყოლებია“ ხელს... შობამ გვიშველა, რომ მესამე მსოფლიო ომი არ ატყდა, რადგან, გერმანელი სამხედროები მთვრალები იყვნენ.

**კოტე რევიშვილის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

### ძებნას ნუ დაუწყებთ!

ახალი წლის წინა ღამეს მოურავმა უთხრა აკაკის: – თქვენი ცხენი მოუპარავთ, მაგრამ იმედია, ვიპოვით.
– თუ ღმერთი გწამს, ძებნას ნუ დაუწყებთ. დაიკარგოს... – მიუგო აკაკიმ, – ეს ძველი წელიწადი მთელი თორმეტი თვე უბედური იყო ჩემთვის, ახლა ეტყობა, ჩემს ცხენზე შემჯდარა და ისე მიდის, ნუ გამოუდგები: აღარც მისი დაბრუნება მინდა და აღარც ჩემი ცხენის.

# როგორ გადაიქცა თეკლა დათებაშვილი ლევან სუხიტაშვილის შვილიდან ცოლად და რამდენჯერ გადაურჩა ის ლონდონში სიკვდილს

***სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალ სეზონზე რამდენიმე ახალი პერსონაჟი გამოჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი „ჩაქუჩას“ ცოლი ხათოა, რომლის როლსაც მსახიობი თეკლა დათებაშვილი ასრულებს. თეკლა პროფესიით მსახიობია, თუმცა წლების განმავლობაში მერიაში მუშაობდა და პარალელურად, მხოლოდ რამდენიმე როლი აქვს შესრულებული.***

**თეკლა დათებაშვილი**: პროფესიით მსახიობი ვარ. ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ სერგო ზაქარიაძის სახელობის კოლეჯში ვსწავლობდი. თავიდან ძალიან მინდოდა, რეჟისურა შემესწავლა, სცენარებსაც „ვჯღაბნიდი“ ჩემი ჭკუით ***(იცინის)***. თუმცა, ასეთი ფაკულტეტი რომ არ იყო, ჩავაბარე სამსახიობოზე იმ პერსპექტივით, რომ მოგვიანებით, სარეჟისოროზე გადავიდოდი. ისე მოხდა, რომ პირველივე კურსზევე დამაკავეს სადიპლომო სპექტაკლში და იქიდან დაიწყო ჩემი მსახიობობისადმი სიყვარული. ამიტომ, გადავწყვიტე, სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში გამეგრძელებინა სამსახიობო ფაკულტეტზე. სწავლის პროცესში, როგორც წესი, როლები თვითონ მოდის შენთან, მაგრამ, როცა დავამთავრე და უკვე მე უნდა მივსულიყავი როლებთან, მაშინ ცოტა ვიზარმაცე ***(იცინის).*** არ მიყვარს სინჯებზე სიარული, სულ ალბათ 5 ქასთინგზე ვარ ნამყოფი და იმასაც საკუთარ თავს ვაიძულებდი ***(იცინის).*** საკმაოდ დიდი ხანი მერიის საორგანიზაციო სამსახურში ვმუშაობდი, დაახლოებით რვა წელი და ამ პერიოდში სულ სამი როლი შევასრულე.

**– „ჩემი ცოლის დაქალებში“ როგორ მოხვდი?**

– სერიალში ჩვეულებრივად, ქასთინგის საშუალებით მოვხვდი და ასე გავხდი „ქალბატონი ჩაქუჩა“ ***(იცინის).*** მე და „ჩაქუჩა“, ანუ ლევან სუხიტაშვილი ჯგუფელები და დიდი ხმის მეგობრები ვართ. სწავლის პერიოდში მამაჩემის როლს თამაშობდა „ღია შუშაბანდში“. ახლა ქმრის როლს თამაშობს და იმედია, მომავალში ისე არ მოვტყდები, რომ ჩემი შვილი ათამაშონ ***(იცინის).*** მსახიობებს თავისი გმირები უყვართ და არც მე ვაღიარებ ბოლომდე, რომ ეს ცუდი გოგონაა და ცუდად მოიქცა. არ ჩანს, რომ ქმარს უღალატა. თვითონ ხომ ამბობს, სერიოზული არაფერი ყოფილაო ***(იცინის).*** მიუხედავად დიდი პაუზისა, გადაღებისას განსაკუთრებული სირთულეები არ შემქმნია, თუმცა, კამერასთან მუშაობის გამოცდილება ნაკლებად მაქვს. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ეპიზოდურ როლს და ლონდონის კინოაკადემიაში „კამერასთან მუშაობის“ რამდენიმეთვიან კურსს.

**– როგორ გახსენდება იქ ყოფნის პერიოდი?**

– ზოგადად, რადიკალური ცვლილებები არ მიყვარს და ამიტომ, გადაბმულად ოთხი თვე უცხო გარემოში ყოფნა, ცოტა გამიჭირდა. თუმცა, ის პერიოდი მაინც კარგად მახსენდება – მნიშვნელოვანი რაღაცეები შემძინა. სხვათა შორის, ძალიან კარგი თურქი ჯგუფელები მყავდნენ და ამიტომ ეს ხალხი შემიყვარდა. მახსოვს, ერთხელ სახლში წვეულება მოაწყვეს. ყველას რაღაც უნდა მიგვეტანა და მე რატომღაც გადავწყვიტე, რომ ამ თურქებში ღორის ხორცი წამეღო. სუპერმარკეტში მისი ყველანაირი სახეობა ვიყიდე და ასე, დატვირთული მივედი წვეულებაზე. მითხრეს, ახლა დაჯექი და ჭამე ეს ყველაფერიო ***(იცინის).*** სხვათა შორის, იქ ყოფნისას რამდენჯერმე კინაღამ ავტობუსი დამეჯახა, თუმცა, სიკვდილს ყველა ჯერზე გადავურჩი და ცოცხალი დავბრუნდი თბილისში ***(იცინის).***

**– სერიალში გამოჩენის შემდეგ თუ გრძნობ, რომ მაყურებელი გცნობს?**

– ჩემი ოჯახის წევრებმა ნამდვილად მიცნეს ***(იცინის).*** ზოგადად კი, ჩემი თვითმიზანი არ არის პოპულარობა. არ ვიცი, ეს ცუდია თუ კარგი. თუმცა, ჩემი პროფესია ისეთია, გინდა არ გინდა, ასე ხდება. ამ შემთხვევაშიც ამაზე არ მიფიქრია, უბრალოდ, მინდოდა, ჩემი პროფესიით მემუშავა. წლების წინ, მესამე კურსზე ვიყავი, როცა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალ „დებიუტზე“ ჩვენი სპექტაკლი „ღია შუშაბანდი“ გავიდა. დაჯილდოებაზე მივდიოდი და გზაში წამიერად გავიფიქრე, ახლა მე რომ გადმომცენ რაიმე პრიზი-მეთქი. მივედი და მართლაც მე დამასახელეს ნომინაციაში – ქალის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებლი. – ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, ეს ისე მოულოდნელი იყო, კარგა ხანს ვერ მივხვდი, რა მოხდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი როლი მთავარი იყო, უფრო მეორეხარისხოვანი როლი გახლდათ. მოკლედ, გაოცებული, კარგა ხანს ვიყურებოდი აქეთ-იქეთ. ბოლოს ძალით ამაყენეს ფეხზე და სცენაზეც საოცრად დაბნეული ავედი. მხოლოდ ის მახსოვს, რომ წამყვანი მაღალი გოგო იყო. გმადლობ-მეთქი, ავძახე მიკროფონში და უკან გამოვიქეცი ***(იცინის).*** ასე რომ, ყურადღება მაბნევს, თუმცა, გულის სიღრმეში ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა.



**ბედი რომ არ მაქვს – მსახიობი გოგო ცოლად რეჟისორს გავყევი და არქიტექტორი გახდა**

**– როგორც ჩანს, წინასწამეტყველების ნიჭიც გაქვს.**

– არ ვიცი, მე ამას ინტუიციას ვეძახი. უცებ რაღაცას გავიფიქრებ, რაც არსებულ სიტუაციასთან აბსოლუტურად არაა კავშირში და მალე მართლაც ისე ხდება. მაგალითად, სანამ ტელეფონს დავხედავ, ვიცი, ვინ მირეკავს ან ვინ დამირეკავს. ვინმესთან რომ დავრეკავ ხოლმე, მეუბნებიან, ზუსტად ამწუთას ვაპირებდი შენთან დარეკვასო და ასე შემდეგ. ოღონდ ეს ძალიან ხშირად ხდება. მგონი, მე და ლელა კაკულია ვართ ასე ***(იცინის).*** სამსახიობოზე თუ არაფერი გამომივიდა, მერე ხელზე მკითხაობას დავიწყებ ***(იცინის).***

**– მეუღლის და შვილის შესახებაც მოგვიყევი.**

– ჩემი მეუღლე – კიტა როყვა, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ბიჭია ***(იცინის)***. არის ეკონომისტი, რეჟისორი და უკვე არქიტექტორიც. ბედი რომ არ მაქვს, მსახიობი გოგო ცოლად რეჟისორს გავყევი და არქიტექტორი გახდა ***(იცინის).*** ცოტა ხნის წინ სპექტაკლიც დადგა „ფსიქოზი“, თუმცა მთლიანობაში ამ საქმისთვის მაინც უჭირს დროის გამონახვა. ის ერთ-ერთ სპექტაკლზე მუშაობის დროს გავიცანი. ეს იყო ლევან ხვიჩიას „აბსენტი“, რომელიც რუსთაველის მცირე სცენაზე დაიდგა. ლევანი და ჩემი მეუღლე რობერტ სტურუას მაგისტრანტები იყვნენ. აქედან დაიწყო ჩემი და აწ უკვე ჩემი მეუღლის ურთიერთობა, რომელიც საკმაოდ მალე განვითარდა და გაცნობიდან, სადღაც რვა თვეში, დავქორწინდით. როგორც ყველა წყვილი, ჩვენც წავედით საქორწინო მოგზაურობაში და სხვათა შორის, პირველად სწორედ იქ ვიჩხუბეთ. თან ისე, რომ ცალ-ცალკე ვაპირებდით დაბრუნებას, ბილეთები უნდა გადაგვეცვალა. თუმცა, მერე ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა და ერთად წამოვედით. მას შემდეგ ხუთი წელია, ერთად ვართ. გვყავს ოთხი წლის ნიცა, რომელიც ბაღში დადის. დედას გოგოა. არცერთი დღე და ღამე არ გაუტარებია დედის გარეშე. ისე ვართ, რომ მამა უკვე ცოტას ეჭვიანობს, მე საერთოდ აღარ მაქცევთ ყურადღებასო. ნიცა ძალიან გათამამებული გოგოა. მთელი სანათესაო ისე ვაკეთებთ ყველაფერს, როგორც ის იტყვის ***(იცინის).*** სხვათა შორის, ისეთი ბავშვი არაა, რომელიც სულ მინდა, მინდას გაიძახის. მე უფრო ვთავაზობ ხოლმე – დედა ეს არ გინდა?! ერთხელ მაღაზიაში შემარცხვინა. თვითონ რაღაც აარჩია და როცა მე სხვა რაღაცაზეც ვუთხარი, იქნებ ესეც-მეთქი, შემომიბრუნდა და მითხრა: დედა, საკმარისია, რა საჭიროა ამდენი სათამაშოო... თან, სამი წლის იყო. ყველა მე მიყურებდა და ძალიან შემრცხვა ***(იცინის).*** წელს თოვლის ბაბუას ძალიან გაუთამამდა. სია შეადგინა, რომელშიც 32 სახეობის სურვილი ეწერა, სათამაშო, კაბები და ასე შემდეგ. ავუხსენით, რომ თოვლის ბაბუა აქედან თვითონ ამოარჩევდა ერთს, მაგრამ მაინც 17 შევუსრულეთ ***(იცინის),*** რადგან გვითხრა, მე ვიცი, რომ ის მაინც მომიტანსო. მოკლედ, გიჟი დედა ვარ. მასთან თითოეულ სიტყვას ვაკონტროლებ, რაც კარგი არაა, შუალედის დაცვა საჭიროა. ამის გამო ბაღში ცოტა უჭირს, რადგან იქ ასე არ ანებივრებენ.

**ქეთი კაპანაძე**

# ჩაფიძის გულის ცენტრი – ანდეთ თქვენი გული პროფესიონალებს!

*უმაღლესი პროფესიონალიზმი, მომსახურების ხარისხის მუდმივი კონტროლი და აქცენტი პაციენტის უსაფრთხოებაზე – აი, ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სავიზიტო ბარათი. სწორედ ამიტომაც, ის ჩვენი მკითხველების მიერ წლის კარდიოლოგიურ კლინიკად დასახელდა. რებრენდინგის შემდეგ კლინიკაში ელექტრონული მომსახურების სისტემა დაინერგა და პაციენტებისთვის ევროპული სერვისის სრული პაკეტია წარმოდგენილი. ელექტრონული ჯანმრთელობის, ტელემედიცინისა და დისტანციური განათლების ინოვაციური მიდგომების პიონერი საქართველოში მუდმივად ორიენტირებულია კლინიკის განვითარებასა და ახალი მაღალტექნოლოგიური სერვისების დანერგვაზე. დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია და პრევენცია – ევროპული სტანდარტებით, მაღალი ხარისხითა და მისაღები ფასებით.*

*„აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ (ანუ – ჩაფიძის გულის ცენტრი) პირველი ქართულ-გერმანული ერთობლივი კლინიკაა, რომელიც 1994 წელს დაარსდა და მდიდარი და სახელოვანი ისტორია აქვს. ცენტრის მთავარ სპეციალიზაციას წარმოადგენს კარდიოლოგია (ინტერვენციული კარდიოლოგიითა და კარდიოქირურგიით), ანგიოლოგია, ელექტრონული ჯანმრთელობის ინოვაციური მეთოდები და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენცია/რეაბილიტაცია. ის გახლავთ ინვაზიური კარდიოლოგიის პირველი კლინიკა საქართველოში.*

*ჩაფიძის გულის ცენტრის მისიაა მოსახლეობისათვის თანამედროვე ევროპული სტანდარტების დონის, საუკეთესო ხარისხის მრავალფეროვანი სამედიცინო დახმარების მიწოდება. ამავდროულად, ცენტრი წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფელირებულ კლინიკას, რომელშიც ხდება დიპლომამდელი, სარეზიდენტო და უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღება და მიმდინარეობს საერთაშორისო სამეცნიერო კლინიკური კვლევები. ჩაფიძის გულის ცენტრის მრავალწლიანი პარტნიორები არიან ფრაიბურგის უნივერსიტეტი და ბად-კროცინგენის გულის ცენტრი.*

*კლინიკის სამუშაო პროფილსა და მიმართულებებზე სასაუბროდ კლინიკის აღმასრულებელ დირექტორს, მედიცინის დოქტორს, ბატონ რევაზ ჯორბენაძეს ვესტუმრეთ.*

**– ბატონო რევაზ, რომელ მიმართულებებს მოიცავს დღეისათვის თქვენი კლინიკა?**

– ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი მოიცავს საკმაოდ ფართო პროფილს და სერვისი წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებებით: ამბულატორიული მომსახურება, დიაგნოსტიკა, ცენტრალური ლაბორატორია, ინვაზიური დიაგნოსტიკა, კარდიოლოგია, კარდიოქირურგია, არითმიების მკურნალობა, ინტერვენციული კარდიოლოგია, პულმონოლოგია, სისხლძარღვთა ქირურგია, პრევენცია და რეაბილიტაცია, ტელემედიცინა.

**– კონკრეტულად რომელი კარდიოლოგიური დაავადებების მკურნალობაა თქვენთან შესაძლებელი?**

– ჩვენს კლინიკაში ძირითადად მკურნალობენ შემდეგ დაავადებებს: მწვავე კორონარული სინდრომი, მიოკარდიუმის ინფარქტი, სტენოკარდია, კარდიოგენული შოკი, არტერიული ჰიპერტენზია, გულის მანკები, მიოკარდიტი, ფილტვისა და სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული დაავადებები და ასე შემდეგ.

რაც შეეხება კარდიოქირურგიულ განყოფილებას, აქ მიმდინარეობს სარქვლის პლასტიკა: ანულოპლასტიკა, კარედების პლასტიკა, ხელოვნური ქორდები, სარქვლის პროთეზირება: ერთი ან ორი სარქვლის (მექანიკური, ბიოლოგიური) პროთეზირება, როგორც კლასიკური, ასევე, პირველად საქართველოში, მინი-ინვაზიური მეთოდით, რაც პაციენტს საშუალებას აძლევს, 40%-ით სწრაფად დაუბრუნდეს ჩვეულ ცხოვრებას. კორონარული შუნტირება:



ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში ან – მომუშავე გულზე.

კორონარული შუნტირება შესაძლებელია იზოლირებულად ან სარქვლის პროთეზირებასთან (პლასტიკასთან) ერთად.

ჩვენთან დანერგილია ასევე სხვა პროცედურები: ანევრიზმის რეზექცია/აპლიკაცია, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტის აღდგენა, აღმავალი აორტის პლასტიკა/პროთეზირება, მუცლის აორტის ანევრიზმების სტენტირება ანუ ინტერვენციული მკურნალობა, რომელიც მკურნალობის დროს და გამოსავალს ბევრად აუმჯობესებს, გულის სხვადასხვა ტრავმა და ასე შემდეგ. კლინიკაში ტარდება გულის თანდაყოლილი პათოლოგიების ოპერაციებიც.

გარდა ამისა, მინდა, თქვენი ყურადღება შევაჩერო ანგიოლოგიურ განყოფილებაზე,



სადაც ვმკურნალობთ სისხლძარღვთა პათოლოგიებს როგორც დიაგნსოტიკურ დონეზე, ასევე სამკურნალო ჩარევებსაც ვახორციელებთ, კერძოდ, რეკონსტრუქციულ ოპერაციებს აორტასა და მის ტოტოებზე, პერიფერიულ არტერიებზე და ვენური და ლიმფური სისტემების დაავადებების ქირურგიულ მკურნალობას ვახდენთ. ჩვენს კლინიკაში წარმოდგენილია უკვე არა მარტო მკურნალობის ჰოსპიტალური ეტაპი, არამედ, პირველად საქართველოში, კომპლექსური რეაბილიტაციაც და პრევენციაც, რაც მიზნად ისახავს პაციენტის გაწერის შემდეგ მის სრულფასოვან დაბრუნებას ცხოვრების ჩვეულ რიტმთან.

**– ბატონო რევაზ, ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი გამორჩეულია ქართულ მედიცინაში როგორც ამ სფეროს ლიდერი პროფესიონალების სამუშაო ადგილი..**

– მართალს ბრძანებთ. ჩვენთან მუშაობენ ქართული მედიცინის ამ დარგის აღიარებული სპეციალისტები, ფუძემდებლები და ლიდერები: ქალბატონი გულნარა ჩაფიძე – „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ გენერალური დირექტორი (1994 წლიდან), საქართველოს ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მედიკობიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ზვიად ბახუტაშვილი – „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ კარდიოქირურგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საქართველოში პირველი კარდიოქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი); არჩილ ჩუხრუკიძე – კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ექიმი კარდიოლოგი; ინტერვენციული კარდიოლოგი. ალექსანდრე ალადაშვილი – „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის” ინტერვენციული მედიცინისა და დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პირველი ინტერვენციული კარდიოლოგი; მიხეილ წვერავა „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; პროფესორი თამაზ მაღლაკელიძე – ცენტრის პულმონოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ასე შემდეგ. ჩვენი კლინიკა, როგორც იტყვიან, კარდიოლოგიის დარგის სამჭედლო და მაღალი კლასის პროფესიონალების სამუშაო ადგილია. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პროფესიონალური გუნდითა და პაციენტთან განსაკუთრებული მიდგომებით. ეს გახლავთ ადგილი, სადაც ტრადიციები და სიახლეები პოზიტიურ შედეგებს იძლევა.

ჩაფიძის გულის ცენტრი: ავადმყოფებზე განუხრელი ზრუნვა+უმაღლესი პროფესიონალიზმი=თქვენს ჯანმრთელობას!

**საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი, 0159, ლუბლიანას ქ.№4;**
**ტელ. (ადმინისტრაცია): 2 402-301;**
**ტელ. (საინფორმაციო, 24 სთ.): 2 402-322;**
**ფაქსი: 2 53-06-32;**
**ელ-ფოსტა: office@ecc.ge;**
**Facebook: Chapidze Emergency Cardiology Center;**
**Skype: Chapidze-Center.**

**ანა თაბაგარი**



გვ.54

მსოფლიო დონის არაერთ ვარსკვლავთან მიმუშავია და ამჯერად ახალ ფილმს ვაკეთებ „ბიბისი ვორლდვაიდთან“ ერთად, რომელიც 2016 წელს უნდა გამოვიდეს. ეს უკვე სხვა დონის ფილმია, რომელსაც დაახლოებით სამი წელია, ვიღებთ

როგორ აღმოჩნდა ლევან ციქურიშვილის ფილმში მადონა და რამ გააოგნა წლების შემდეგ სამშობლოში სტუმრად დაბრუნებული რეჟისორი



გვ.14

ვინ სთხოვდა ქათმისგან უფლებების დაცვას ელენე თევდორაძეს და რატომ დანიშნა მან შვილიშვილის ქორწილში თამადად პატიმარი



გვ.10

რატომ წაიყვანა მეუფე იობმა ალბერტ მანელოვის კოლექციიდან იშვიათი სახეობის ფრინველები და რატომ უნდა მიირთვან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებმა „ალაუკანის“ მწვანე კვერცხი



ვერავის დავადებ ხელს, თუმცა, კაცის ნამოქმედარი მაინც არ მგონია

## როდის ჰბანდა თამო ვაშალომიძეს ოთხი კაცი და ვისზე არ უფიქრია მას არასდროს როგორც მამაკაცზე

გვ.63

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბი… …იგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • 11 – 17 იანვარი • №2 (785) • ფასი 1,50 ლარი